აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში

საქართველოს
საკანონმდებლო.
აღმასრულებელი
ხელისუფლება.
საერთაშორისო
ორგანიზაციები

1989–1999 წ.წ.

I

აფხაზეთის საკითხი ოფიციალურ დოკუმენტებში

საქართველოს საკანონმდებლო,
აღმასრულებელი ხელისუფლება,
საერთაშორისო ორგანიზაციები

1989-1999 წ.წ.

ნაწილი I. 1989-1995 წ.წ.

თბილისი – 2000

წინამდებარე კრებულის მიზანია ქრონოლოგიურად თავი მოუყაროს აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს ალმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ კონფლიქტისწინა (1989-1992 წწ.), კონფლიქტისა და მისი მოწესრიგების მცდელობის ადრეულ (1992-1995 წწ.) და პოსტკონფლიქტურ (1995-1999 წწ.) პერიოდში მიღებულ კანონებს, ბრძანებულებებს, დადგენილებებს, სხვა ნორმატიულ აქტებსა და დოკუმენტებს.

კრებულში აგრეთვე შეტანილია აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები, ეუთოს ბუდაპეშტის, ლისაბონის, სტამბულის სამიტებისა და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურთა საბჭოს გადაწყვეტილებები, ქართულ და აფხაზურ მხარეებს შორის ხელმოწერილი შეთანხმებები, გაეროს, ეუთოს და სხვა საერთაშორისო ფორუმებზე საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოსვლები.

ვფიქრობთ, აფხაზეთის პრობლემებისადმი მიძღვნილ ბოლო პერიოდში გამოცემულ სხვა ნაშრომებთან ერთად ალნიშნული კრებული გარკვეულ დახმარებას გაუწევს პარლამენტის წევრებს, სახელმწიფო მოხელეებს, მეცნიერებს, სპეციალისტებს, სხვა დაინტერესებულ პირებს.

ავტორები და სარედაქციო კოლეგია:

ვახტანგ ყოლბაია – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის თავმჯდომარე;

თემურაზ ჯახრაკია – საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის სპეციალისტთა ჯგუფის ხელმძღვანელი;

რაფიელ გელანტია – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის პირველი თანაშემწე – სამდივნოს უფროსი;

დავით ლაცუზბაია – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე.

მოვლენათა ქრონიკა და

აფხაზეთის საკითხი

კრებული ფაქტობრივად მოიცავს 10 წელზე (1989-1999 წწ.) მეტ პერიოდს.

ეს ათწლეული აღსავსე იყო ეპოქალური მნიშვნელობის მოვლენებით – დასრულდა ცივი ომი, კომუნისტური ტოტალიტარიზმი, შეიცვალა მსოფლიო პოლიტიკური სპექტრი; საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, აღიდგინა 1921 წელს წართმეული სახელმწიფოებრიობა, შეუდგა დემოკრატიულ აღმშენებლობას.

ამ პერიოდში ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ძირეული ცვლილებები აისახა საქართველოს განუყოფელი მხარის – აფხაზეთის ცხოვრებაში, ამ რეგიონის პრობლემების მოწესრიგებასთან დაკავშირებულ საკითხებში.

1985 წელს ე.წ. „პერესტროიკით“ დაწყებულმა პროცესებმა საქართველოში დასაბამი მისცა ეროვნული მოძრაობის გამოსვლას იატაკქვეშეთიდან. ამ მოძრაობის ახალი, გადამწყვეტი ეტაპი ქვეყანაში 1988 წელს დაიწყო. შესაბამისად, ამავე პერიოდიდან გააქტიურდა აფხაზეთში საკავშირო ცენტრის მიერ ინსპირირებული სეპარატისტული ტენდენციები, რომლის პირველი სერიოზული გამოვლენა იყო 1988 წლის ივნისში სკკპ I საკავშირო კონფერენციისათვის გაგზავნილი ე.წ. „აფხაზური წერილი.“

1988 წლის შემოდგომა-ზამთარში აფხაზეთში ისევე როგორც მთლიანად საქართველოში მკვეთრად გააქტიურდა არაფორმალურ ორგანიზაციათა საქმიანობა. სოხუმში, ასევე აფხაზეთის სხვა ქალაქებსა და რაიონებში ჩატარდა მიტინგები ზ. ჭავჭავაძის, მ. კოსტავას, გ. ჭანტურიასა და ეროვნული მოძრაობის სხვა ლიდერთა ინიციატივითა და მონაწილეობით.

იმავე წლის 13 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ხელშეწყობით შეიქმნა აფხაზეთის სახალხო ფორუმი „აიდგილარა“ („ერთობა“).

1989 წლის იანვარში ჩატარდა მოსახლეობის საყოველთაო საკავშირო აღწერა. აფხაზეთის მოსახლეობის აღწერის დროს იყო ქართველთა რაოდენობის ხელოვნურად შემცირების ტენდენცია მათი მეგრელებად ჩაწერის გზით. აღწერის შედეგები სხვაგვარადაც გაყალბდა, თუმცა, მიჩნეულია, რომ აღწერა ძირითადად ობიექტურად ჩატარდა.

იმავე წლის დასაწყისში გაძლიერდა აჟიოტაჟი აფხაზეთის ტოპონიმიკის

გარშემო. სეპარატისტების მხრიდან იყო საყოველთაოდ აღიარებული და დამკვიდრებული ქართული დასახელებების შეცვლის მცდელობა. შეიქმნა ამ საკითხზე მომუშავე აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს კომისიაც.

სეპარატისტული მისწრაფების გამოვლენის კულმინაცია გახდა 1989 წლის 18 მარტს აფხაზი მოსახლეობის თავყრილობა გუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში და იქ საკავშირო ხელისუფლებისადმი მიმართვის მიღება, რომელიც ანტიქართული სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი.

აღნიშნული მიმართვის საპასუხოდ იმავე წლის 25 მარტს სოხუმში და გალის რაიონულ ცენტრში გაიმართა ქართული მოსახლეობის, ხოლო თბილისში – ვაკის პარკსა და რუსთაველის პროსპექტზე მრავალათასიანი არასანქციონირებული საპროტესტო მიტინგები.

აფხაზეთში საპროტესტო გამოსვლების გაგრძელებას წარმოადგენდა 1 აპრილს დაბა ლესელიძეში ჩატარებული ე.წ. ანტიიმპერიალისტური მიტინგი, რომლის მონაწილეთა ერთი ჯგუფი დარბეულ იქნა აფხაზთა ეგზალტირებული მასის მიერ. ბევრი მათგანი დაიჭრა. ამ ვანდალურ აქციას მოჰყვა 2 აპრილს სოხუმში ქართული მოსახლეობის საპროტესტო აქციები და სიტუაციის უკიდურესად დაძაბვა.

მოსალოდნელი განუჭვრეტელი შედეგების თავიდან ასაცილებლად ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ფართომასშტაბიანი აქციების სოხუმიდან თბილისში გადმოტანა.

4 აპრილს თბილისში დაიწყო აფხაზეთის პრობლემებისადმი მიძღვნილი საპროტესტო გამოსვლები.

6 აპრილს გაიმართა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი. პლენუმმა საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ბორის ადლეიბა და მიიღო დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა აფხაზეთში ვითარების სტაბილიზაციის უზრუნველყოფას.

მიუხედავად ამისა, აფხაზეთის თემაზე თბილისში მთავრობის სახლთან დაწყებული აქცია გადაიზარდა მძლავრ ანტისაბჭოურ მიტინგში, რომელიც 9 აპრილს სსრკ თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ჯარების მიერ სასტიკად იქნა დარბეული, დაიღუპა 19, მოიწამლა და სხეულის დაზიანება მიიღო ასობით უდანაშაულო ადამიანმა.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ საქართველოში დაიწყო ეროვნულგანმანთავისუფლებელი მოძრაობის სრულიად ახალი ეტაპი, რომლის საპასუხოდ საკავშირო ცენტრის ინსპირირებით აფხაზეთში გააქტიურდა სეპარატისტული მოძრაობაც. საქართველოს მტრები აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის დაპირისპირების მიზნით ქმნიან ანტიქართულ ორგანიზაციებს: „სლავიანსკი დომ," „კრუნკ," „ალან," რომლებიც ხდებიან აფხაზური „აიდგილარას" მოკავშირეები.

აფხაზეთში დაძაბულობამ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, რომელიც ახლიშნული უნივერსიტეტის ქართული სექტორის გამოყოფითა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 14 მაისის № 343 განკარგულების შესაბამისად ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დაარსებით დასრულდა. ამ უმაღლესი სასწავლებლის გახსნა სეპარატისტულმა ძალებმა გამოიყენეს საბაბად 1989 წლის 15-16 ივლისის სისხლიანი შეტაკებების პროვოცირებისათვის, რომლებსაც ოცამდე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ივლისის მოვლენებმა უკიდურესად აღაშფოთა მთელი ქვეყანა, ათეულათასობით ადამიანი გაემგზავრა აფხაზეთში, მაგრამ იმჟამინდელმა ხელისუფლებამ შეძლო ვითარების სტაბილიზაცია. მიუხედავად ამისა, მომდევნო პერიოდში აფხაზეთში გაღრმავდა ეთნოპოლიტიკური წინააღმდეგობები. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის ცენტრმა მოახერხა ქართულ ეროვნულ მოძრაობაში უთანხმოების შეტანა, რომელიც მკაფიოდ გამოვლინდა აფხაზეთშიც.

1990 წლის 28 მაისს გაიმართა ე.წ. აფხაზი საზოგადოებრიობის კრება, რომელმაც მოითხოვა აფხაზეთის პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობის სრული შემადგენლობით შეცვლა. დაუფარავი გახდა „აიდგილარას“ სწრაფვა ხელისუფლებისაკენ და მმართველობაში ტრადიციული საკადრო ბალანსის ეროვნული ნიშნით დარღვევის მცდელობა.

1990 წლის ივლისში უკიდურესად გამწვავდა მდგომარეობა აფხაზეთის უზენაეს საბჭოში, რომელიც სოხუმის 1989 წლის 15-16 ივლისის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, ფაქტიურად, გაიხლიჩა. ამავე პერიოდში მოსკოვის მიერ ინსპირირებულ იქნა ე.წ. თურქი-მესხების პრობლემა და მათი აფხაზეთის ტერიტორიის გავლით „მშობლიური ადგილებისაკენ“ დაბრუნების მცდელობა.

25 აგვისტოს აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ, აფხაზ დეპუტატთა ჯგუფის ინიციატივით, სესიის ჩატარების საკონსტიტუციო მოთხოვნების უხეში დარღვევით, ანტიდემოკრატიული მეთოდების გამოყენებითა და დეპუტატთა უმრავლესობის აზრის გაუთვალისწინებლად მიიღო დადგენილება „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ“ და დეკლარაცია „აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ“.

26 აგვისტოს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილების შესახებ“ დადგენილებით გააუქმა აღნიშნული დოკუმენტები.

31 აგვისტოს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს ქართველ დეპუტატთა ინიციატივით გაიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საგანგებო სესია, რომელმაც ამხილა აფხაზეთში კონსტიტუციური გადატრიალების მცდელობა და გააფრთხილა საზოგადოება მოვლენათა შემდგომი ესკალაციის განუჭვრეტელი შედეგების თაობაზე, მოუწოდა ერთიანობის, სიფრთხილისა და წინდახედული მოქმედებისაკენ.

1990 წლის 30 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს უზენაესი საბჭოს პირველი მრავალპარტიული არჩევნები. ქვეყანაში სახელმწიფო წყობა დემოკრატიული გზით შეიცვალა. 14 ნოემბერს საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ზვიად გამსახურდია.

4 დეკემბერს საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებით აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა სსრკ სახალხო დეპუტატი, ბლოკ „სოიუზის" ერთ-ერთი ლიდერი ვლადისლავ არძინბა.

1991 წლის 29 იანვარს საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ გააუქმა ადგილობრივი საბჭოები, მაგრამ ვ.არძინბა აღნიშნულ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა. ოფიციალურ თბილისსა და სოხუმს შორის ურთიერთობამ გაუარესება დაიწყო.

17 მარტს საკავშირო ხელისუფლებამ ჩაატარა საყოველთაო რეფერენდუმი სსრკ-ს შენარჩუნების შესახებ. საქართველოს პარლამენტმა 1991 წლის 26 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება საკავშირო რეფერენდუმის ბოიკოტირების თაობაზე. 5 მარტს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით გამოსვლისას ზ.გამსახურდიამ მოუწოდა მოსახლეობას ცენტრის მიერ გამოცხადებული რეფერენდუმისათვის ბოიკოტის გამოცხადებისა და მის ნაცვლად 31 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობისადმი მიძღვნილ რეფერენდუმში მონაწილეობის მიღებისაკენ.

როგორც შემდეგ გაირკვა, ადგილებიდან შემოსული, ბოლომდე გაუთვლელი თვალსაზრისის სარწმუნოდ მიღების შედეგად საკავშირო რეფერენდუმში მონაწილეობა არ მიიღო გალის რაიონის მოსახლეობამ. ამას დაემატა აფხაზეთის ხელისუფალთა მიერ რეფერენდუმის შედეგების მასობრივი ფალსიფიკაცია, რის გამოც მის მონაწილეთა ნახევარზე ოდნავ მეტმა ხმა მისცა სსრკ-ს შენარჩუნებას. ყოველივე ეს საკავშირო ცენტრის ინტერესებში შედიოდა.

22 მარტს საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბათილად ცნო აფხაზეთში საკავშირო რეფერენდუმის შედეგები.

31 მარტს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი, რომელმაც დაადასტურა ქართველი ერის სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ.

9 აპრილს საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, ქვეყანაში შემოღებულ იქნა პრეზიდენტის ინსტიტუტი.

14 აპრილს საქართველოს უზენაესი საბჭოს საგანგებო სესიაზე ღია კენჭისყრით, ხოლო 26 მაისს პირდაპირი, საყოველთაო, ფარული კენჭისყრით ზვიად გამსახურდია არჩეულ იქნა საქართველოს პრეზიდენტად.

აღნიშნული მოვლენებით შეშფოთებულმა ცენტრმა ახალი, უფრო რადიკალური ნაბიჯები გადადგა. კერძოდ, 1991 წლის ივლის-აგვისტოში სოხუმში ინსპირირებულ იქნა ანტიქართული გამოსვლები სამართალდამცავი ორგანოების ქართველ ხელმძღვანელთა შეცვლის მოთხოვნით. აქციებში „აიდგილარას" აქტიურად უჭერდნენ მხარს „სლავიანსკი დომ," „კრუნკ" და სხვა.

აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებში განხორციელდა ძალადობის აქტები ქართველი მოსახლეობის წინააღმდეგ.

19-21 აგვისტოს მოსკოვში „გკჩპ“-ს ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცკ-ისა და მისი ცალკეული რეგიონული ორგანიზაციების მიერ დაკავებული პოზიციის გამო 26 აგვისტოს საქართველოს უზენაესმა საბჭომ აკრძალა საქართველოს კომპარტია, შეჩერებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში საქართველოს კომპარტიისაგან არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილება. 7 სექტემბერს ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნა სალიკვიდაციო კომისიები. აღსანიშნავია, რომ ეს იყო იმ პერიოდში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელიც დაუყონებლივ შეასრულა ვ.არძინბამ, რადგანაც მას გზა ეხსნებოდა შეუზღუდავი ძალაუფლებისაკენ.

10 და 27 სექტემბერს ვ. არძინბამ უკანონოდ შექმნა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა, სახელმწიფო ქონების მართვის და პრივატიზაციის კომიტეტები, აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო. ეს სტრუქტურები დაექვემდებარა, ფაქტობრივად არარსებულ უმაღლეს საბჭოს. აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ, მათ შორის, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე საქონლის გასატანად აუცილებელი გახდა საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტში ლიცენზიის მიღება. შექმნილი უკანონო სტრუქტურები გახდნენ მხოლოდ და მხოლოდ პრივილეგირებული აფხაზური ეთნოპარტიული ელიტის ვიწრო კლანური ინტერესების დამცველი ორგანოები. სავარაუდოა, რომ მათი შექმნის ერთ-ერთი მიზანი იყო დაგეგმილი შეიარაღებული დაპირისპირებისათვის საჭირო თანხების აკუმულირება.

აფხაზეთის იურისდიქციაში გადაყვანილ იქნა აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარე ყველა საწარმო და ორგანიზაცია. აფხაზეთში დისლოცირებული სსრკ-ს სამხედრო და მილიციის ნაწილები დაექვემდებარა უმაღლეს საბჭოს, განხორციელდა მხოლოდ აფხაზებით დაკომპლექტებული უკანონო სამხედრო ფორმირებების ლეგალიზაცია.

საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში დღემდე არაერთგვაროვნადაა შეფასებული საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების კომპრომისული საარჩევნო გარიგება სეპარატისტებთან, რის შედეგადაც 1991 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებით აფხაზეთის უზენაეს საბჭოში არჩეულ იქნა 28 აფხაზი, 25 ქართველი (26-ის ნაცვლად) და 11 სხვა ეროვნების წარმომადგენელი. „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების თაობაზე“ 1991 წლის 9 ივლისს მიღებული, აშკარად აპარტეიდული კანონით სეპარატისტებმა ხელოვნურად მოიპოვეს უპირატესობა აფხაზეთის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში. ქართველთა და აფხაზთა გარდა აფხაზეთში მცხოვრებმა 84 ეროვნების მოსახლეობამ (რუსები, უკრაინელები, სომხები, ბერძნები, ებრაელები, ოსები, ესტონელები) უზენაეს საბჭოში მიიღო ორნახევარჯერ ნაკლები ადგილი, ვიდრე 17 პროცენტმა

აფხაზებმა. შედეგად ხელყოფილ იქნა ავტონომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები ქართველების, ასევე სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ელემენტარული სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები.

მაშინაც, და განსაკუთრებით აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ, პოლიტიკოსთა ერთი ნაწილი თვლის, რომ აღნიშნული სახით საარჩევნო კანონის მიღება იყო მიუტევებელი შეცდომა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი შემდგომი არასასურველი მოვლენების განვითარებას.

პოლიტიკოსთა მეორე ნაწილს კი მიაჩნდა და ეხლაც მიაჩნია, რომ ზემოაღნიშნულ კომპრომისზე წასვლა განპირობებული იყო იმ პერიოდში საქართველოში და ქვეყნის გარეთ რეალურად არსებული ვითარებით. საქართველოს იმჟამინდელი ცენტრალური ხელისუფლება ცდილობდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, შეენარჩუნებინა აფხაზეთში არსებული მყიფე სტაბილურობა და აეცილებინა თავიდან მოსალოდნელი შეტაკებები. პოლიტიკოსთა ამ ნაწილს თავისი არგუმენტების განსამტკიცებლად მოჰყავს აგრეთვე ისიც, რომ ახალ საარჩევნო კანონში იყო ჩადებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით გარანტირებული დამცავი მექანიზმები, რომლებიც მოიაზრებოდა სამართლებრივ გარანტად აფხაზეთის საქართველოდან გასვლის დაუშვებლობისათვის.

სამწუხაროდ, შემდგომში მოვლენები სულ სხვა სქემით განვითარდა, არსებული დამცავი მექანიზმი უძლური აღმოჩნდა სეპარატისტთა თვითნებობისა და უცერემონიო თავხედობის წინაშე.

„აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილების შესაბამისად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ 22 ოქტომბერს მიიღო დადგენილება „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის იურისდიქციაში გადასვლის ღონისძიებათა შესახებ,“ რაც საქართველოს ეკონომიკური საფუძვლების ხელყოფას ნიშნავდა.

საქართველოს პრეზიდენტის 24 ოქტომბრის ბრძანებულებით შეჩერდა აღნიშნული დადგენილებების მოქმედება. ისინი ცნობილ იქნა იურიდიული ძალის არმქონედ და ბათილად.

ახალარჩეული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველმა სხდომებმა ცხადყო, რომ სეპარატისტებმა მოახერხეს „კანონთა ომში“ გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება და შეუდგნენ შეიარაღებული დაპირისპირებისათვის პოლიტიკურ-სამართლებრივი და სამხედრო საფუძვლების მომზადებას, რასაც შემდგომში მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი თბილისის 1991-1992 წლების მოვლენებმა და საქართველოს პრეზიდენტის ძალისმიერი მეთოდებით გადაყენებამ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, მისი პრეზიდიუმი, რომლის წევრების უმრავლესობას აფხაზები და სეპარატისტული ორი-

ენტაციის სხვა ეროვნების წარმომადგენლები შეადგენდნენ, ქართული დეპუტაციის წინააღმდეგობის მიუხედავად, აფხაზეთისა და საქართველოს კონსტიტუციების მოთხოვნებისა და რეგლამენტის უხეში დარღვევით ღებულობდნენ კანონებსა და დადგენილებებს, რითაც პრაქტიკულად შეიზღუდა საქართველოს იურისდიქცია და ხელყოფილ იქნა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. ამ თვალსაზრისით აღსანიშნავია ნორმატიული აქტები: „საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის რეგულირების შესახებ," „საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის შესახებ," „ბანკებისა და საბანკო საქმიანობის შესახებ," „საქართველოს რესპუბლიკის კანონების შესახებ" და სხვ. ასევე საგარეო-ეკონომიკური და რესპუბლიკებს შორის ურთიერთობათა კომიტეტის, საბაჟო საქმისა, აფხაზური ეროვნული მინორიტარული გვარდიის, კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის აფხაზური ბატალიონის, „აიდგილარას" შეიარაღებული ფორმირების შექმნის, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საჯარისო და მილიციის ნაწილების, უშიშროების, სახელმწიფო ქონების მართვისა და პრივატიზაციის კომიტეტების დაქვემდებარების შესახებ და სხვ.

„აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული საჯარისო და მილიციის ნაწილების საქმიანობის კოორდინაციისა და ხელახალი დაქვემდებარების უზრუნველსაყოფად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარესთან დროებითი საბჭოს შექმნის შესახებ" უმაღლესი საბჭოს 29 დეკემბრის დადგენილებით შექმნილი საბჭოს თავმჯდომარე გახდა ვ. არძინბა. ამ დადგენილებით მათ ხელში ჩაიგდეს ყოფილი სსრკ შეიარაღებული ძალების აფხაზეთში განლაგებული ნაწილების მართვის სადავეები.

ამგვარად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის სახელით სეპარატისტთა ლიდერების გამგებლობაში გადავიდა საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების თითქმის ყველა რგოლი, მათ შორის, ძალისმიერი და საფინანსო. შედეგად, აფხაზეთში ჩამოყალიბდა ავტორიტარული მმართველობის რეჟიმი. მიჩნეულია, რომ ამ სამართლებრივ განუკითხაობას საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან არ მოჰყოლია რეალური ვითარების ადეკვატური რეაგირება.

ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო იმით, რომ საქართველოს ხელისუფლებას არ ჰქონდა ქვეყნის მართვის სათანადო გამოცდილება. მან დროზე ვერ აუღო ალღო აფხაზეთში საკავშირო ცენტრის მიერ ინსპირირებულ მოვლენებს, ვერ შეაფასა აფხაზეთის მრავალეროვან მოსახლეობაში მიმდინარე ძალთა გადანაწილების პროცესი, სეპარატიზმის გლობალური საშიშროება. აფხაზეთში იმ პერიოდში არსებული ვითარების სიღრმისეული შეუფასებლობა, მოვლენების წინმსწრები, ყოველმხრივ გათვლილი ღონისძიებების გაუტარებლობა გახდა მიზეზი იმისა, რომ საქართველოს ხელისუფლებამ პრაქტიკულად დაკარგა ავტონომიურ რესპუბლიკაში მიმდინარე პროცესების მართვის მექანიზმები. ის მხოლოდ მომხდარი ფაქტების კონსტატაციას ახდენდა და რეაგირებას აგვიანებდა. აფხაზეთთან მიმა-

რთებაში თბილისში მიღებული ბრძანებულებები და დადგენილებები სოხუმის ხელისუფლების მიერ, ფაქტობრივად, იგნორირებული რჩებოდა.

1-2 ნოემბერს სოხუმში გაიმართა საკავშირო სუკ-ის მიერ ორგანიზებული კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის III ყრილობა, სადაც ქ. სოხუმი კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის დედაქალაქად გამოცხადდა.

აფხაზეთში დემოგრაფიული ვითარების შეცვლისა და აფხაზი მოსახლეობის რაოდენობის მექანიკური ზრდის მისაღწევად სეპარატისტულმა ხელისუფლებამ მიიღო დისკრიმინაციული ხასიათის დადგენილებები: „აფხაზეთში მოქალაქეთა ჩაწერის შეზღუდვის შესახებ," „გვარის და ეროვნული კუთვნილების შეცვლის თაობაზე" და სხვა, რითაც რეგიონში პრაქტიკულად აიკრძალა აფხაზი ეროვნების წარმომადგენელთა გარდა სხვა მოქალაქეთა დაფუძნება. ეს დადგენილებები არ ვრცელდებოდა შორეული საზღვარგარეთის ქვეყნების მოქალაქეებზე, რომლებიც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე თავს აფხაზებად ასაღებდნენ. აფხაზეთში მათი მუდმივად ჩაწერა ხდებოდა საიდუმლოდ და გამარტივებული წესით, უშუალოდ ვ.არძინბას ზედამხედველობით. მხოლოდ ერთი თვის განმავლობაში – 1992 წლის მარტში სოხუმში, ოჩამჩირესა და სხვა რაიონებში მუდმივად ცხოვრების ნება დაერთო სირიიდან, იორდანიიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ 100-ზე მეტ მოქალაქეს.

1992 წლის იანვარში საქართველოში ხელისუფლება შეიარაღებული გზით შეიცვალა. შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო, რომელმაც ხელში აიღო ძალაუფლება, რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე დროებით შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება, დაითხოვა ქვეყნის პარლამენტი. პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი გადაყენებულ იქნა თანამდებობიდან. საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის დროებითი შესრულება დაევალა თენგიზ სიგუას.

ახალი საპარლამენტო არჩევნების მოსამზადებლად და საქართველოს პოლიტიკური განვითარების პროგრამის შესამუშავებლად პოლიტიკურ პარტიებს მიეცათ საკონსულტაციო დარბაზის შექმნის წინადადება. დარბაზში მონაწილეობის უფლება მიიღეს საქართველოში მოქმედმა ყველა პოლიტიკურმა პარტიამ და ორგანიზაციამ, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებმა, აგრეთვე კერძო პირებმა, რომელთა მოწვევასაც დარბაზი ჩათვლიდა მიზანშეწონილად.

3 იანვრიდან თბილისში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა. სამხედრო საბჭომ დაიქვემდებარა რესპუბლიკის სახელმწიფო მართვის ყველა სტრუქტურა, სამართალდამცავი და ადმინისტრაციული ორგანოები და დაავალა მათ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მშვიდობის დამყარებისა და ვითარების სტაბილიზაციისათვის ხელშეწყობა.

სამხედრო საბჭომ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ მთავრობის კაბინეტის ჩამოყალიბებისთანავე მოიხსნიდა უფლებამოსილებას და ძალაუფლებას მას გადასცემდა.

თბილისის 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ტრაგიკულ მოვლენებს ქვეყნის საზოგადოების დაპირისპირებულ ბანაკებად დაყოფა მოჰყვა. მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა კატეგორიულად არ მიიღო ლეგიტიმური ხელისუფლების შეიარაღებული გზით შეცვლის ფაქტი. 1992 წლის იანვრიდან ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, ძირითადად დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, სამეგრელოსა და აფხაზეთში იმართებოდა დამხობილი ხელისუფლების მომხრეთა საპროტესტო მიტინგები. დასავლეთ საქართველოში შეიქმნა ყოფილი ხელისუფლების მომხრე მრავალი ორგანიზებული შეიარაღებული ჯგუფი. ბევრი მათგანი თავს ესხმოდა სახელმწიფო და საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებს, აფეთქებდა ხიდებს, ძარცვავდა მატარებლებს, იტაცებდა და აფხაზეთში მალავდა თანამდებობის პირებს. საქართველოში ფაქტობრივად სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა.

21 თებერვალს საქართველოს სამხედრო საბჭომ მიიღო დეკლარაცია, რომლის თანახმადაც აღიარებდა საქართველოს რესპუბლიკის იმ დღისათვის არსებული საზღვრებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის (აფხაზეთისა და აჭარის 21 თებერვლის მდგომარეობით არსებული სტატუსის) უცვლელობას, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობას და მისი ამოქმედებას არსებული რეალობის გათვალისწინებით.

დეკლარაციაში აღინიშნა, რომ საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები გაიმართებოდა არა უგვიანეს 1992 წლის შემოდგომისა, საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების შესაბამისად.

დეკლარაციაში კვლავ დადასტურდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო დროებით მთავრობასთან ერთად უფლებამოსილებას მოიხსნიდა საქართველოს ახალარჩეული პარლამენტის წინაშე, მის პირველსავე სხდომაზე.

აღნიშნული დეკლარაციის მიღება სეპარატისტებმა შეაფასეს, როგორც აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის ხელყოფა და მოგვიანებით სხვა ფაქტორებთან ერთად გამოიყენეს საბაბად საკუთარი, შორს მიმავალი მიზნების განსახორციელებლად, მიუხედავად იმისა, რომ დეკლარაციის პირველი მუხლი ცხადყოფს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის აღდგენას არ შეუცვლია არც ქვეყნის საზღვრები და არც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობა, აფხაზეთის ასსრ სტატუსი.

სამოქალაქო დაპირისპირებამ საქართველოში კრიტიკულ ზღვარს მიაღწია. ქვეყანაში არ არსებობდა ლეგიტიმური ხელისუფლება. კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა ქართული სახელმწიფოს არსებობის საკითხი.

ასეთ პირობებში 1992 წლის 7 მარტს საქართველოს ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლების, პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა ლიდერების, ფართო საზოგადოებრიობის თხოვნით საქართველოში დაბრუნდა ედუარდ შევარდნაძე. შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საბჭო, რომელსაც ის ჩაუდგა სათავეში.

დღითიდღე იძაბებოდა მდგომარეობა აფხაზეთშიც, სოხუმში პერმანენტულად იმართებოდა ყოფილი ხელისუფლების მომხრეთა მრავალათასიანი მიტინგები. გამოიკვეთა სეპარატისტთა და ექსპრეზიდენტის მომხრეთა ალიანსის ნიშნები. სეპარატისტებს ხელს აძლევდა ქართულ საზოგადოებაში არსებული დაპირისპირების გაღრმავება, როგორც საქართველოსაგან აფხაზეთის გამოყოფის ხელშემწყობი ფაქტორი.

აფხაზეთის ადგილობრივი ქართველი მოსახლეობა ეძებდა ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის მოწესრიგების საშუალებას. ამ მიზნით 1992 წლის 9 მაისს შეიქმნა ეროვნული ერთიანობის საბჭო, რომელიც მოსალოდნელი ტრაგიკული შედეგების თავიდან ასაცილებლად სეპარატისტთა ზომიერ ფრთასთან აწარმოებდა აქტიურ მოლაპარაკებებს.

ეროვნული ერთიანობის საბჭომ მიმდინარე საქმიანობის წარმართვის მიზნით აირჩია ალმასკომი. საბჭოს დახურულ და ღია სხდომებზე იხილებოდა პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და სამხედრო საკითხები. აფხაზეთში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საბჭო იძულებული გახდა სეპარატისტული ხელისუფლებისათვის სამოქალაქო დაუმორჩილებლობა გამოეცხადებინა და დაეწყო პოლიტიკური და სამეურნეო მმართველობის პარალელური სტრუქტურების ჩამოყალიბებისათვის მზადება.

ამ კონტექსტში განიხილება სოხუმის მექანიზებული ბატალიონის ჩამოყალიბება და 19 მაისიდან მისი სოხუმში დისლოცირება. საბჭოს დაექვემდებარა სოხუმისა და გაგრის „მხედრიონი.“ საბჭოს რეკომენდაციით თბილისმა დანიშნა აფხაზეთის სამხედრო კომისარი (პოლკოვნიკი ვახტანგ ვეკუა), რომელიც აქტიურად შეუდგა რაიონული სამხედრო კომისარიატების ჩამოყალიბებას.

საბჭოს საქმიანობა არაერთგვაროვან შეფასებებს იწვევდა. ზოგიერთი პოლიტიკოსის აზრით, ეს ორგანო აფხაზეთში სიტუაციის დარეგულირების ნაცვლად მის დაძაბვას იწვევდა და ფაქტობრივად ხელს უწყობდა კონფლიქტის ესკალაციას.

19 მაისს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ გააუქმა აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1992 წლის 24 მარტის დადგენილება „აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების იურისდიქციაში გადაცემისა და გამგებლობაში მიღების შესახებ,“ როგორც საქართველოს კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში მყოფი. იმავე დღეს სახელმწიფო საბჭოს მიერ ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ იქნა ცნობილი აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკის მიწის კოდექსის პროექტის საყოველთაო განხილვისათვის გამოქვეყნების შესახებ.“

24 ივნისს დაგომისში ე. შევარდნაძემ და ბ. ელცინმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცხინვალის რეგიონში ცეცხლის შეწყვეტისა და საშუალო ძალების შეყვანის შესახებ. აღნიშნული შეთანხმების ჩარჩოში მიღებულ იქნა გადაწ-

ყვეტილება სამშვიდობო ოპერაციაში რუსეთისა და ოსურ ძალებთან ერთად სოხუმის ქართული ბატალიონის მონაწილეობის შესახებ. აფხაზეთში სიტუაციის განმუხტვას უთუოდ შეუწყობდა ხელს ამ ოპერაციაში სოხუმის ქართული ბატალიონისა და „აფხაზური გვარდიის“ ერთობლივი მონაწილეობა, მაგრამ ბოლო მომენტში ეს წინადადება აფხაზურმა მხარემ უარყო და კონფლიქტის ზონაში საქართველოს თავდაცვის მინისტრის თ. კიტოვანის ბრძანებით გაიგზავნა მხოლოდ სოხუმის ქართული ბატალიონი (შეთაური ს. ანალაია).

24 ივნისს, თბილისში, შეიარაღებულმა ჯგუფმა ხელში ჩაიგდო ტელეცენტრი. იყო შეიარაღებული ამბოხის მცდელობა. იმავე დღეს ვ.არძინბას ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალის გამოყენებით დაიკავა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა და თანამდებობას ჩამოაშორა ამ უწყების ქართველი ხელმძღვანელობა. აფხაზეთში სტაბილურობის უკანასკნელი დასაყრდენი სეპარატისტების ხელში გადავიდა.

23 ივლისს სეპარატისტებმა საქართველოსა და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციებისა და კანონების უხეში დარღვევით, ქართული დეპუტატების საწინააღმდეგოდ, ხმათა უბრალო უმრავლესობით გააუქმეს აფხაზეთის 1978 წლის კონსტიტუცია და აღადგინეს ე.წ. აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1925 წლის კონსტიტუცია, რომელიც თავის დროზე (1925 წლის 1 აპრილი) არც კი გამოქვეყნებულა. ამდენად, მას კანონის ძალა არ მიუღია და არ ამოქმედებულა.

საქართველოს სახელმწიფო საბჭომ 25 ივლისს მიიღო დადგენილება „1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 23 ივლისის დადგენილების თაობაზე“. ეს იყო რეაქცია სეპარატისტთა მიერ 1925 წლის ე.წ. აფხაზეთის სსრ კონსტიტუციის აღდგენაზე.

31 ივლისს საქართველოს რესპუბლიკა მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიან, 179-ე წევრად.

აფხაზეთში მოსალოდნელი ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად და ვითარების დასარეგულირებლად, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირები სისტემატურად ჩადიოდნენ აფხაზეთში.

ამ პერიოდში აფხაზეთში ტოტალური ხასიათი მიიღო რკინიგზაზე მატარებლების ძარცვამ, განუკითხაობამ. ზარალმა ათეულობით მილიონი მანეთი შეადგინა.

კრიმინალურ დამნაშავეებს საავტომობილო გზით აფხაზეთში გადაჰყავდათ მძევლად აყვანილი თანამდებობის პირები, რიგითი მოქალაქეები.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ 1992 წლის 10 აგვისტოს მიიღო დადგენილება „რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ“, რომლის განხორციელება დაევალა თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების შეიარაღებულ ძალებს — რკინიგზის დაცვის გასამხედროებულ შენაერთებს. ამასთან, სახელმწიფო საბჭომ ძალოვან სტრუქტურათა

ხელმძღვანელებს კატეგორიულად მოსთხოვა არ დაეშვათ ქალაქებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში შეიარაღებული ძალებისა და ტექნიკის თავმოყრა.

უეჭველია, რომ 1989-1992 წლების აფხაზეთის ტრაგიკული მოვლენები მომზადდა და განხორციელდა გარეშე ძალების მიერ, რომელთა მიზანი იყო დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის მებრძოლი საქართველოს დასუსტება, არჩეული კურსისა და ორიენტირების შეცვლა.

– აფხაზეთის მოვლენათა განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმ ფაქტორმა, რომ: საქართველოს გეოპოლიტიკური, გეოსტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით აფხაზეთის „აფეთქებისათვის" შენელებული მოქმედების ნაღმები ჯერ კიდევ ცარიზმმა ჩადო. ეს პოლიტიკა გაგრძელდა კომუნისტურ ეპოქაში და ჩამოყალიბდა აგრესიული სეპარატიზმის იდეოლოგიად და პრაქტიკად;

– პოსტკომუნისტური საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სიძნელეები, ძველი სახელმწიფო მანქანის რღვევა და ახალფეხადგმული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების შინაგანი სირთულეები, აგრეთვე საქართველოს ხელისუფლებაში ეროვნული მოძრაობიდან მოსული ენერგიული, მაგრამ გამოუცდელი კადრების ზედმეტი სიფრთხილე და არათანმიმდევრულობა, სეპარატისტთა ზურგს უკან მდგარმა გარეშე ძალებმა კარგად გამოიყენეს აფხაზეთში თავიანთი მიზნების განსახორციელებლად საიმედო პლაცდარმის შესაქმნელად;

– აფხაზეთში დაძაბულობის ესკალაციის დეტონატორი გახდა 1991-1992 წლების თბილისის მოვლენები, როცა ერთმანეთს გადაეჯაჭვა ურთულესი და ურთიერთსაწინააღმდეგო პოლიტიკურ-სამართლებრივი პრობლემები, დაირღვა ეროვნული და სამოქალაქო ერთობა;

– გარეშე ძალებმა აფხაზეთსა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში შეძლეს სამოქალაქო დაპირისპირებისათვის ნიადაგის მომზადება;

– აფხაზეთში ომამდელი ლეგიტიმური არჩევნების შედეგად ეთნოკრატებმა რაოდენობრივი უპირატესობა მოიპოვეს ხელისუფლების წარმომადგენლობით უმაღლეს ორგანოში და მის პრეზიდიუმში. ამ ვითარებამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა საქართველოს კონსტიტუციითა და აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუციით გარანტირებული საქართველოს იურისდიქციის ხელყოფის შესაძლებლობა, აფხაზეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადება.

ექსპერტთა აზრით, არასაკმარისი აღმოჩნდა საქართველოს ხელისუფლების მცდელობა, თავიდან აეცილებინა მოვლენათა ტრაგიკული განვითარება და, როგორც გარკვეულ პოლიტიკურ წრეებშია მიჩნეული, ეს შეუძლებელიც კი იყო, რადგანაც რუსეთის ხელისუფლების ინტერესებში შედიოდა კონფლიქტის გაჩაღება, აფხაზეთში მართვადი ქაოსის შექმნა, დემოგრაფიული ვითარების შეცვლა და საქართველოს დაყენება ურთულესი პრობლემების წინაშე.

* * *

1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს შეიარაღებული ძალების შეზღუდულ კონტიგენტს, რომელიც აფხაზურ მხარესთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 10 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად აფხაზეთში საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებზე ყაჩაღობისა და ტვირთების გატაცების აღსაკვეთად იყო შესული, აფხაზთა უკანონო შეიარაღებულმა ფორმირებებმა ცეცხლი გაუხსნეს ოჩამჩირისა და გულრიფშის რაიონებში, შემდეგ სოხუმის მისადგომებთან. მოხდა შეიარაღებული კონფლიქტის პროვოცირება.

15 აგვისტოს კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციამ და ჩერქეზთა მსოფლიო ასოციაციამ მოუწოდეს ჩრდილოეთკავკასიელებს გაეგზავნათ აფხაზეთში მოხალისეები სეპარატისტთა დასახმარებლად. 18 აგვისტოს კონფედერაციის ე.წ. პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთში გასაგზავნად მოხალისეთა რაზმების შეგროვების თაობაზე და საქართველოს სახელმწიფო საბჭოს წაუყენა ულტიმატუმი აფხაზეთიდან ჯარების 21 აგვისტომდე გაყვანის შესახებ.

20 აგვისტოს რუსეთის სამხრეთის რესპუბლიკებისა და მხარეების ხელმძღვანელებმა მიმართეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბ. ელცინს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებზე რეაგირებისა და საქართველოსათვის აფხაზეთიდან ჯარების გაყვანის მოთხოვნით.

საქართველოს ხელისუფლების არაერთგზის მცდელობას — მოლაპარაკებოდა სეპარატისტებს ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, ასევე სოხუმში, გუდაუთაში საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების უმაღლესი რანგის პირთა ჩასვლას პოზიტიური შედეგი არ მოჰყოლია. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო საბჭოს შეიარაღებული ფორმირებები გადამწყვეტი სამხედრო უპირატესობის მიუხედავად არ შევიდნენ გუდაუთის რაიონში და ქ. ტყვარჩელის ზონაში.

აფხაზეთში შექმნილი ურთულესი მდგომარეობა მოითხოვდა რეგიონის სოციალურ-ეკონომიკური ვითარების მომწესრიგებელი სპეციალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ამ მიზნით შეიქმნა აფხაზეთში ვითარების სტაბილიზაციის დროებითი საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც მიენიჭა აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები. საბჭოს თავმჯდომარედ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ქართული ფრაქციის დეპუტატთა მიერ დამტკიცებულ იქნა გ. ლომინაძე.

იმავდროულად შეიქმნა ჰუმანიტარული და სხვა სახის დახმარების კომისიები, რომლებსაც სათავეში ჩაუდგნენ გ. ნაჭყებია (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის საპენსიო ფონდის თავმჯდომარე) და დეპუტატი ე. ასტემიროვა.

3 სექტემბერს მოსკოვში, რუსეთის პრეზიდენტის შუამდგომლობითა და გარანტიით, ხელმოწერილ იქნა დოკუმენტი, რომლის თანახმადაც 1992 წლის 5 სექტემბრის 12.00 საათიდან კონფლიქტში მონაწილე ყველა შეიარაღებულ ფორმირებას უნდა შეეწყვიტა ძალის გამოყენება და თავი შეეკავები-

ნა ნებისმიერი შეტევითი მოქმედებისაგან. ეს იყო საქართველოს ხალხისა და ხელისუფლების კეთილი ნების დემონსტრაცია, რომელიც მზად იყო ყოველგვარი დათმობის გზით ძმათამკვლელი ომის შესაწყვეტად.

ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერდნენ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ შევარდნაძე, აგრეთვე, აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე თამაზ ნადარეიშვილი, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა, საქართველოს თავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი, საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრე ჩიკვაიძე, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს კომისიის თავმჯდომარე კონსტანტინე ოზგანი, ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელები, ითვალისწინებდა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას, 1992 წლის 10 სექტემბრამდე მხარეთა მიერ ყველა დაკავებული პირის, ტყვეებისა და მძევლების განთავისუფლებას პრინციპით — „ყველა ყველაზე," დევნილთა დაბრუნებას თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში, 15 სექტემბრიდან აფხაზეთში ხელისუფლების კანონიერი ორგანოების ნორმალური ფუნქციონირების აღდგენას.

მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა მხარემ შეასრულა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები, დატოვა მის მიერ ადრე დაკავებული პოზიციები, აფხაზი სეპარატისტების, ჩრდილოკავკასიელი ბოევიკების მიერ აღნიშნული ხელშეკრულების მუდმივი დარღვევის შედეგად 1992 წლის 5 სექტემბერს მათ დაიკავეს ქვემო ეშერა და უხეშად ხელყვეს მშვიდობიანი მოსახლეობის, აგრეთვე დამსვენებელთა უფლებები და თავისუფლება. კერძოდ, ადგილი ჰქონდა ადამიანთა ხოცვა-ჟლეტისა და გაუპატიურების ათეულობით ფაქტს.

აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით 24-25 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დახურულ სხდომაზე განხილულ იქნა აფხაზეთის მოვლენების გამო ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი მდგომარეობა. მიღებულ იქნა დადგენილება „აფხაზეთის მოვლენებთან დაკავშირებით ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის შესახებ." აღნიშნულმა ფაქტმა გაეროს სახელზე საქართველოს სახელმწიფო მეთაურის ე. შევარდნაძის მიერ გაგზავნილ წერილში მწვავე შეფასება მიიღო და დადგენილება მიჩნეულ იქნა, როგორც საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა, სუვერენული სახელმწიფოს წინააღმდეგ უტიფარი აგრესიის გამართლების მცდელობა.

1-2 ოქტომბერს ჩრდილოეთ კავკასიელმა და აფხაზმა ბოევიკებმა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების აქტიური მხარდაჭერით აიღეს ქ. გაგრა, რასაც მოჰყვა ათასობით უდანაშაულო ადამიანის, ძირითადად ქართველთა მკვლელობა, განდევნა საკუთარი საცხოვრებლებიდან.

3 ოქტომბერს ქ. ნალჩიკში ჩატარდა მთიელ ხალხთა კონფედერაციის საგანგებო ყრილობა, რომელზედაც მას ეწოდა კავკასიელ ხალხთა კონფედერაცია. სახელის გამოცვლა საშუალებას იძლეოდა კონფედერაციაში კავკასიის სხვა ხალხების, კერძოდ, კაზაკების ჩაბმისათვის.

აფხაზეთში ვითარების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებით საქართველოს ხელისუფლება იძულებული გახდა განეხორციელებინა მოსახლეობის დაცვისა და თავდაცვიანობის განმტკიცების დამატებითი ღონისძიებანი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის 2 ოქტომბრის დადგენილებით გიორგი ხაინდრავა დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრად – აფხაზეთის რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო წარმომადგენლად.

სახელმწიფო მინისტრის ძირითად ამოცანად განისაზღვრა აფხაზეთის რეგიონში კონფლიქტის მოგვარებისა და მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის ნორმალური პირობების შექმნის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებების შესრულების კონტროლი, სამინისტროებისა და უწყებების, ცენტრალური ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების მუშაობის კოორდინაცია, აგრეთვე კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება ამ რეგიონში სახელმწიფოებრივი ინტერესების, მოქალაქეთა და ეროვნებათა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

იმავე დღეს ქგაგრის მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭომ გააკეთა სპეციალური განცხადება და მიიღო მიმართვის ტექსტი გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს-ბუტროს გალისადმი.

6 ოქტომბერს საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით შეიქმნა აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბი.

11 ოქტომბერს ჩატარდა საქართველოს პარლამენტის არჩევნები. აფხაზეთში არაკონტროლირებადი (ქგაგრისა და გუდაუთის რაიონები, ქ. ტყვარჩელის ზონა) ტერიტორიებისა და გალის რაიონის გარდა (აქ აქტიურობდნენ ზ. გამსახურდიას მომხრეები, რომლებმაც ჩაშალეს არჩევნები), მოსახლეობამ ყველგან გამოხატა თავისი ნება. აფხაზეთიდან პარლამენტში არჩეულ იქნა 14 დეპუტატი.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ – სახელმწიფოს მეთაურად პირდაპირი არჩევნებით არჩეულ იქნა ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვა, აფხაზეთის პრობლემა და დევნილთა სოციალური მდგომარეობა საქართველოს პარლამენტის განსაკუთრებული ყურადღებისა და მსჯელობის საგანი გახდა.

დე-ფაქტოდ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არსებობის შეწყვეტის გამო „აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით“ საქართველოს პარლამენტის 26 ნოემბრის დადგენილებით ცნობად იქნა მიღებული აფხაზეთის საზოგადოებრიობის გადაწყვეტილება სახელისუფლებო სტრუქტურის,

კერძოდ, მინისტრთა კაბინეტის შექმნისა და მის ხელმძღვანელად თ. ნადარეიშვილის დანიშვნის შესახებ. პარლამენტი მიესალმა აფხაზი საზოგადოებრიობის პროგრესული ნაწილის გადაწყვეტილებას „აფხაზეთის ხსნის კომიტეტის“ შექმნის თაობაზე. საქართველოს სახელმწიფო მინისტრს აფხაზეთში – გ. ხაინდრავას გაუგრძელდა უფლებამოსილების ვადა და განისაზღვრა მისი რწმუნებები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისადმი მიმართებაში.

საქართველოს პარლამენტის 26 ნოემბრის დადგენილებით შეიქმნა აფხაზეთის საქმეთა (თავმჯდომარე ნ. ჭავჭავაძე) და ქ. გაგრის მოვლენების შემსწავლელი კომისიები (თავმჯდომარე რ. კუპრავა).

საქართველოს პარლამენტის 1 დეკემბრის დადგენილებით დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის 1992 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულება ქ. სოხუმსა და ოჩამჩირის ზონაში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ.

აფხაზეთში სამხედრო ოპერაციების ანალიზი, ფაქტები და მოვლენები ადასტურებდნენ სეპარატისტთა და ჩრდილოეთკავკასიელ ბოევიკთა მხარეზე რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალებისა და ტექნიკის, ავიაციის, სპეციალური დანიშნულების სამსახურების მზარდ პირდაპირ თუ შენიღბულ მონაწილეობას საომარ მოქმედებებში. სისტემატურ ხასიათს ღებულობს აფხაზეთის ქალაქებისა და სოფლების დაბომბვა ჰაერიდან და ზღვიდან.

აღნიშნულთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის 17 დეკემბრის განცხადებაში დაგმობილია აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში სეპარატისტთა მხარეზე რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობის ფაქტები. დეპუტატებმა მოითხოვეს რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ კონფლიქტის რეგიონის დაუყოვნებლივი დატოვება.

1993 წლის 4 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკებების წარმართვისა და აფხაზეთში კონფლიქტის დამთავრების ღონისძიებათა შესახებ,“ რომლითაც საქართველოს სახელმწიფო მეთაურსა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს განესაზღვრათ სათანადო რწმუნებები.

აღნიშნული დადგენილების მე-2 პუნქტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტის 10 თებერვლის დადგენილებით შეიქმნა აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებისათვის წინადადებების შემმუშავებელი დროებითი კომისია საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარის ა. კავსაძის თავმჯდომარეობით.

იმავე დღეს გამოიცა საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბრძანება ქ. სოხუმისა და ოჩამჩირის ზონის დაცვის ღონისძიებათა შესახებ. აღნიშნული ღონისძიებების გატარებამ შემდგომში მნიშვნელოვნად განაპირობა ქ. სოხუმზე მოწინააღმდეგის 15-16 მარტის მასირებული შემოტევის უვნებელყოფა.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების პრობლემას პარლამენტი დაუბრუნ-

და 25 თებერვალს მიღებული დადგენილებით „აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის საჯარისო ნაწილების შესახებ.“ ამ დოკუმენტით რუსეთის საჯარისო ნაწილების შემდგომი ყოფნა აღნიშნულ ტერიტორიაზე დაუშვებლად იქნა მიჩნეული.

4 მარტს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა სახელმწიფოს მეთაურის ე. შევარდნაძის 1993 წლის 3 მარტის ბრძანებულება იმის თაობაზე, რომ ქ. სოხუმისა და ოჩამჩირის ზონაში ადრე გამოცხადებულ სამხედრო მდგომარეობასთან ერთად სამხედრო მდგომარეობა გამოცხადებულიყო აგრეთვე გალისა და გულრიფშის რაიონების ტერიტორიებზე. იმავე დღეს სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე ჩავიდა ქ. სოხუმში.

11 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „თანამედროვე ეტაპზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხების შესახებ“ დებატების თაობაზე. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალების დაუფარავმა მონაწილეობამ აფხაზეთში საომარ მოქმედებებში გაამწვავა ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის, აუცილებლად იქნა მიჩნეული მისი მოწესრიგებისათვის მყარი სამართლებრივ-სახელშეკრულებო საფუძვლების შექმნა.

საქართველოს ხელისუფლება, სამინისტროები და უწყებები ცდილობდნენ გაეტარებინათ სათანადო ღონისძიებები ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განსამტკიცებლად.

15-17 მარტს მდ. გუმისთიდან ქ. სოხუმზე განხორციელდა აფხაზური ფორმირებების ფართომასშტაბიანი შეტევა, რომელიც ფაქტობრივად იყო რუსეთის ფედერაციისა და ჩრდილოეთკავკასიელი ბოევიკების კარგად ორგანიზებული სამხედრო ოპერაცია. ქ. სოხუმის დამცველთა პატრიოტიზმისა და ვაჟკაცობის, სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ გატარებული მაღალპროფესიული კონტრღონისძიებების შედეგად შეტევა არა მარტო მოგერიებულ იქნა, არამედ მომხდურებმა ბრძოლის ველზე დატოვეს რამოდენიმე ასეული მებრძოლი. გუდაუთაში საყოველთაო გლოვა გამოცხადდა.

17 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო მიმართვა გაეროს, ევროპარლამენტის, მსოფლიო ქვეყნების პარლამენტებისა და რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოსადმი. მასში ხაზგასმულია: „საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, დადგა დრო, საგნებსა და მოვლენებს თავისი სახელი დაერქვას და აცხადებს, რომ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის სამხედრო მოქმედებების მიზანია საქართველოსაგან აფხაზეთის მოწყვეტა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა. ეს კონფლიქტი კიდევ უფრო აქტუალურს ხდის საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანას.“

„შეიარაღებული კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლისა და უსაფრთხოების დასაცავად აუცილებელ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1 აპრილის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ აფხაზეთში „ტარდება ეთნიკური წმენდის პოლიტიკა, რომელმაც მიიღო ქართველი და სხვა ეროვნების მოქალაქეთა წინააღმდეგ

მიმართული გენოციდის შესახებ". გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი მიმართვაში პარლამენტმა ყურადღება გაამახვილა საქართველოს ტერიტორიის ნაწილზე უცხო ქვეყნის მიერ ორგანიზებულ ეთნიკური წმენდის ფაქტებზე.

„რუსეთის ფედერაციის საჯარისო ნაწილების აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან გაყვანის თაობაზე" 27 აპრილის დადგენილებაში და 24 ივნისს გაეროსა და რუსეთისადმი მიმართვაში საქართველოს პარლამენტმა უკვე მერამდენედ დააფიქსირა რუსეთის ფედერაციის ოფიციალური სამხედრო-პოლიტიკური სტრუქტურების აქტიური როლი საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულ ომში და კატეგორიულად მოითხოვა მისი ჯარების გაყვანა კონფლიქტის ზონიდან.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 29 აპრილის ბრძანებულებით შეიქმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭო, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა თ. ნადარეიშვილი.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის 15 მაისის ბრძანებულებით აფხაზეთის რეგიონში შექმნილი საომარი მდგომარეობის გამო და რეგიონის ეფექტიანი მართვის მიზნით პოლკოვნიკის სამხედრო წოდება მიენიჭათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს წევრებსა და რაიონების გამგეობების თავმჯდომარეებს, ასევე ქ. სოხუმის მერს (ლ. მარშანია, რ. სიჭინავა — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, გ. გაბისკირია — ქ. სოხუმის მერი, მ. დგებუაძე — სოხუმის, დ. გვაძაბია — გულრიფშის, გ. გუგუჩია — ოჩამჩირის, რ. ცატავა — გალის რაიონების გამგეობათა თავმჯდომარეები).

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 31 მაისისა და 14 ივნისის ბრძანებულებებით სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მოსამსახურეთა დიდი ჯგუფი დაჯილდოვდა სახელმწიფო ჯილდოებით.

აფხაზეთის რეგიონში სამხედრო-პოლიტიკური ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით, რაც განპირობებული იყო ოჩამჩირის ზონაში მოწინააღმდეგის მრავალრიცხოვანი დესანტის გადმოსხმით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისა და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 6 ივლისის ბრძანებულებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე გამოცხადდა სამხედრო მდგომარეობა, რაც დაამტკიცა საქართველოს პარლამენტმა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1993 წლის 18 ივლისის ბრძანებულებით თ. ნადარეიშვილი განთავისუფლდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობიდან. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა საქართველოს პარლამენტის წევრი ჟიული შარტავა.

იმავე დღეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე თ. ნადარეიშვილი დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.

27 ივლისს კონფლიქტის მონაწილე მხარეებმა რუსეთის შუამავლობით ხელი მოაწერეს შეთანხმებას „აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მისი დაცვისადმი კონტროლის მექანიზმის შესახებ.“

ქართული მხარე შეუდგა ხელშეკრულების უკლებლივ ყველა მოთხოვნის შესრულებას. შეიქმნა წინაპირობა კონფლიქტის პოლიტიკური საშუალებებით მოწესრიგებისათვის. დაიწყო მშვიდობიანი მოსახლეობის, ქალებისა და ბავშვების დაბრუნება ქ. სოხუმში, აფხაზეთის სხვა ქალაქებსა და სოფლებში.

28 ივლისს ექსპრეზიდენტის მომხრე შეიარაღებული შენაერთები ქ. სენაკში შევიდნენ.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 2 აგვისტოს ბრძანებულებით შეიქმნა სახელმწიფო კომისია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ფარგლებში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის განსაზღვრის, ხელისუფლების ცენტრალურ და ავტონომიურ ორგანოებს შორის ფუნქციების გამიჯვნის, მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შესახებ ძირითადი დებულებების ჩამოყალიბების, სხვა პოლიტიკური და სამართლებრივი საკითხების მოწესრიგებისა და აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების უზრუნველსაყოფად. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა ჟ. შარტავა.

6 აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრი თ. სიგუა თანამდებობიდან გადადგა.

20 აგვისტოს ქართულმა მხარემ მთლიანად შეასრულა შეთანხმება: რუსეთის სამხედრო-სატრანსპორტო გემების საშუალებით ფოთის მიმართულებით გაყვანილ იქნა მთელი მძიმე ტექნიკა და შეიარაღება, დაიწყო ბატალიონების დაშლა.

24 აგვისტოს ვ. არძინბა ჩავიდა მოსკოვში და შეხვდა ბ. ელცინს.

აგვისტო-სექტემბერს ექსპრეზიდენტის მომხრეთა რაზმებმა ლ. ქობალიას ხელმძღვანელობით მოაწყვეს ლაშქრობები სამეგრელოსა და გურიის მხარეებში.

14 სექტემბერს, პარლამენტთან უთანხმოების გამო, ე. შევარდნაძემ გააკეთა განცხადება მისი შესაძლო გადადგომის შესახებ, რასაც მოჰყვა სახელმწიფოს მეთაურის მხარდამჭერთა მრავალათასიანი მიტინგი ქ. თბილისში.

16 სექტემბერს სეპარატისტებმა კვლავ დაარღვიეს რა მორიგი სამშვიდობო ხელშეკრულება, დაიწყეს შეტევა ე.წ. აღმოსავლეთის ფრონტზე და მდ. გუმისთასთან.

17 სექტემბერს ე. შევარდნაძე ქ. ადლერში შეხვდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრს პ. გრაჩოვს.

18 სექტემბერს სენაკში ჩეჩნეთიდან ჩამოფრინდა ზ. გამსახურდია. მან მოაწყო მიტინგები სენაკში, ჩხოროწყუში, ზუგდიდში, გალში, ჩავიდა ოჩამჩირეში და შეხვდა სამთავრობო ჯარების რიგ ხელმძღვანელებს.

აფხაზური მხარის მიერ 27 ივლისის შეთანხმების ვერაგულმა დარღვევამ გამოიწვია სამხედრო მოქმედებების ესკალაცია ყველა მიმართულებით. მძიმე ტექნიკით შეიარაღებული ათასობით რუსეთის სპეცდანიშნულების შენაერთების მეომარი, უცხოტომელი და აფხაზი ბოევიკი ქ. სოხუმს შეესია. ქალაქის დამცველები, ფაქტიურად შიშველი ხელებით უმკლავდებოდნენ მტერს.

16 სექტემბრიდან ე. შევარდნაძე ცეცხლმოკიდებულ სოხუმშია და ხელმძღვანელობდა ქალაქის თავდაცვას, მოსახლეობის გადარჩენის ორგანიზაციას, 18 სექტემბერს მიმართა მსოფლიო საზოგადოებრიობას.

20 სექტემბერს საქართველოს ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციამ „თეთრი მანდილი“ (თავმჯდომარე ქეთი დოლიძე) მოაწყო ომისა და სისხლისღვრის საწინააღმდეგო აქცია. მატარებელმა, რომელშიც იმყოფებოდა სხვადასხვა ეროვნების (ქართველები, სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, უკრაინელები, გერმანელები, ლიტველები და სხვ.) ასეულობით აქტივისტი ქალი, ოჩამჩირემდე მიაღწია. აქცია გახდა კიდევ ერთი დასტური იმისა, რომ საქართველოს საზოგადოებრიობა კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მომხრე იყო.

21 სექტემბერს ე.შევარდნაძე იმყოფებოდა სოხუმის შემოგარენში განლაგებულ საბრძოლო პოზიციებზე. 23 სექტემბერს სახელმწიფოს მეთაურმა პრესკონფერენცია გამართა ქ. სოხუმში. 24 სექტემბერს მან რადიოთი მიმართა სოხუმის მოსახლეობასა და ქალაქის დამცველებს.

აფხაზეთში შეიქმნა უკიდურესად კრიტიკული ვითარება. საქართველოს მოსახლეობა ფეხზე დადგა აფხაზეთის გადასარჩენად. მოიხსნა ყველა ავიარეისი და მოხალისეები, პრაქტიკულად უიარაღონი, მიემართებოდნენ ფრონტზე, იღუპებოდნენ უთანასწორო ბრძოლაში. თანამედროვე ტექნიკური საბრძოლო საშუალებებით უზრუნველყოფილი მოწინააღმდეგე ახერხებდა ქართველ მებრძოლთა და მშვიდობიანი ადამიანებით სავსე თვითმფრინავებისა და სხვა სატრანსპორტო საშუალებების განადგურებას ჰაერში, მიწაზე, ზღვაზე.

მიუხედავად გადამწყვეტი უპირატესობისა მტერმა ვერ შეძლო სოხუმის დამცველთა წინააღმდეგობის მოკლე დროში გატეხვა. უმძიმესი სიტუაციიდან გამოსასვლელად ცენტრალური და აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის ხელისუფლების ინიციატივით იმართებოდა ინტენსიური მოლაპარაკებები ექსპრეზიდენტის მომხრეებთან. მიღწეული შეთანხმების შესაბამისად კოდორის სიახლოვეს მოხერხდა საქართველოს შეიარაღებული მნიშვნელოვანი ძალების, მათ შორის ყოფილი ხელისუფლების მომხრეთა შეიარაღებული ფორმირებების თავმოყრა (დაახლოებით 3 ათასი მებრძოლი და 60-მდე ჯავშანტექნიკა).

სამწუხაროდ, მიზეზთა გამო, რომლებიც კომპეტენტური ორგანოების ძიებაშია, შეუძლებელი გახდა მდ.კოდორის ფორსირება და სოხუმის დაცვის გაძლიერება.

საქართველოს პარლამენტის წევრი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბ-

ლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ჟ. შარტავა სოხუმში დარჩა. როგორც შემდგომ გახდა ცნობილი, ჟ. შარტავა და თანმხლები პირები: ქ. სოხუმის მერი გ. გაბისკირია, მინისტრთა საბჭოს რამდენიმე მუშაკი და დაცვის თანამშრომელი სეპარატისტთა ლიდერების განკარგულებით დახვრიტეს.

27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. მძევალი გახდა ათასობით მშვიდობიანი მოსახლე, დაიღუპა ასეულობით სამხედრო მოსამსახურე და მოხალისე, სოხუმის მცხოვრები. მოსახლეობის ნაწილის ევაკუაცია მოხდა ზღვიდან, ათეულ ათასობით ადამიანი იძულებული გახდა კოდორის ხეობის ურთულესი გზით გასულიყო აფხაზეთიდან. ხეობის უმკაცრეს კლიმატურ პირობებში დაიღუპა ასობით ადამიანი, ძირითადად ბავშვები და მოხუცები.

28 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის, ხელისუფლების მოთხოვნით ე. შევარდნაძემ დატოვა აფხაზეთი.

აფხაზეთში განვითარებული უკიდურესად მძიმე, ტრაგიკული მოვლენების შედეგად ლტოლვილად და დევნილად იქცა ათეულათასობით ადამიანი.

უბედურების ზონიდან დევნილთა და მებრძოლთა გამოყვანისა და განთავსების საკითხების მოსაგვარებლად 2 ოქტომბერს გამოიცა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება, შემუშავდა სპეციალური ღონისძიებები. შეიქმნა შტაბი პრემიერ-მინისტრის ო. ფაცაციას ხელმძღვანელობით, რომელსაც დაევალა საწვავისა და სატრანსპორტო საშუალებების გამოძებნა, პირველ რიგში კოდორის ხეობაში მყოფი მოქალაქეების გამოსაყვანად, აგრეთვე – დამატებითი რესურსებისა და კვების პროდუქტების გამონახვა იქ მყოფი 40 ათასზე მეტი კაცისათვის. შეიქმნა საევაკუაციო შტაბი დევნილთა თავმოსაყრელად. აფხაზეთიდან იძულებით გადადგილებული 300 ათასზე მეტი დევნილი გადავიდა სამეგრელოსა და ზემო სვანეთის, იმერეთის, აჭარის, შიდა და ქვემო ქართლის რეგიონებში, ქ. თბილისში, პრაქტიკულად მთელ საქართველოში. ზუგდიდის, წალენჯიხის, სამეგრელოს სხვა რაიონებში დევნილთა რაოდენობა ადგილობრივ მოსახლეობას აღემატებოდა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 4 ოქტომბრის ბრძანებულებით ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, გმირობისა და თავგანწირვისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე გენერალ-მაიორი ჟიული შარტავა დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 6 ოქტომბრის ბრძანებულებით შეიქმნა აფხაზეთის რეგიონში ქართული მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტების გამოვლენისა და საერთაშორისო ტრიბუნალისათვის მასალების მომზადების სახელმწიფო კომისია პროფესორ ლ. ალექსიძის თავმჯდომარეობით.

13 ოქტომბერს გამოიცა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება „სამხედრო ტყვეთა, მძევალთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ.“ კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე ა. კავსაძე.

აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციის გამო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აპარატის ქ. თბილისში დროებით გადმოსვლისა და მისთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა 1993 წლის 18 ოქტომბერს მიიღო დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აპარატის საკითხების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს დაევალათ სათანადო თანადგომისა და დახმარების აღმოჩენა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსათვის მიმდინარე ეტაპზე მის წინაშე არსებული ამოცანების რეალიზაციაში. მათვე, ავგრეთვე დაევალათ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი დარგობრივი სამინისტროების განთავსება და მათი საქმიანობისათვის ყოველმხრივი ხელშეწყობა.

ზემოაღნიშნული და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებელ მთავრობის სხვა დადგენილებების, სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებებისა და განკარგულებების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა დევნილთა ფიზიკური გადარჩენა, ავტონომიური რესპუბლიკის ინტელექტუალური, სამეურნეო, შემოქმედებითი, კულტურული, საკადრო პოტენციალის, შრომითი კოლექტივების შენარჩუნება.

ამ მხრივ განსაკუთრებულია საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაცვის, განათლების, კულტურის, ფინანსთა, შინაგან საქმეთა, ზოგიერთი სხვა სამინისტროსა და უწყების, ქალაქების — თბილისის, ქუთაისისა და წყალტუბოს მერიების, ზუგდიდის, სენაკის, წალენჯიხის, ჩხოროწყუსა და ბორჯომის რაიონების გამგეობების, სამეგრელო-ზემო სვანეთისა და იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციების, ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისა და სხვათა საქმიანობა.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული სირთულეებისა, ხელისუფლებამ შეძლო საქართველოს 72 ქალაქსა და რაიონში 290 ათასამდე აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილის დროებითი განსახლება, მათ შორის, 124 ათასის - 1500-მდე კომპაქტური ჩასახლების ობიექტებში. მარტო თბილისში დაბინავებულ იქნა 85,2 ათასამდე დევნილი, რომელთაგან 24 ათასზე მეტი კომპაქტურად ცხოვრობს დედაქალაქის სხვადასხვა რაიონის 200-მდე ობიექტში.

აღნიშნული პრობლემის რამდენადმე მოსაგვარებლად დევნილთა განსახ-

ლებისათვის გამოიყო ყველა შესაძლო ფართი: სასტუმროები, საავადმყოფოები, სკოლები, ბაგა-ბაღები და ა.შ.

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო დახმარების ორგანიზებისა და შემდგომი სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ საერთაშორისო ჰუმანიტარულ ორგანიზაციებთან ერთად.

დღეისათვის მარტო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სისტემაში დევნილთა ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 700-ზე მეტი დევნილი სპეციალისტი, მათ შორის, 250-ზე მეტი ექიმი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარების წესით გადაეცა ათეულობით სამედიცინო დაწესებულება თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

19 ოქტომბერს გაეროს უშიშროების საბჭომ განიხილა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის წერილი აფხაზეთში შექმნილი ვითარების შესახებ და მიიღო რეზოლუცია, რომელშიც გამოთქმულია უკიდურესი შეშფოთება რეგიონში კონფლიქტის შედეგად ადამიანთა ტანჯვის, ეთნიკური წმენდის და სხვა დარღვევათა თაობაზე, დაგმო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მკვლელობა და მოითხოვა ძალადობის, ადამიანის ჰუმანიტარული უფლებების ყოველგვარი დარღვევების აღკვეთა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 23 ოქტომბრის ბრძანებულებით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა ზურაბ ერქვანია.

29 ოქტომბერს თამაზ ნადარეიშვილი დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ აფხაზეთის საკითხებში.

24 ნოემბერს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულებით შეიქმნა აფხაზეთის პრობლემებზე მუშაობის საკოორდინაციო შტაბი თ. ნადარეიშვილის ხელმძღვანელობით. შტაბის შემადგენლობაში შევიდნენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური და მთავარი სამხედრო პროკურორი, ძალოვანი მინისტრები, საგარეო საქმეთა მინისტრი, შსს შინაგანი ჯარებისა და სასაზღვრო ჯარების სარდალი, ფინანსთა მინისტრი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და სხვა.

1993 წლის ნოემბერში, საქართველოს პარლამენტში მწვავე დებატების შემდეგ, საქართველო შევიდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში. დამთავრდა შეიარაღებული დაპირისპირებები, ძმათამკვლელი კონფრონტაცია დასავლეთ საქართველოში.

საქართველოს მინისტრთა კაბინეტი, სამინისტროები, უწყებები და დაწესებულებები, ადგილობრივი ორგანოები ყველა შესაძლო ღონისძიებებს ატარებდნენ

დევნილთა დაბინავების, სურსათით უზრუნველყოფის, სამედიცინო მომსახურების, ბავშვთა სწავლებაში ჩაბმის საკითხების გადასაწყვეტად, ადამიანთა სიცოცხლის გადასარჩენად.

მიღწეულ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების, მსოფლიო გაერთიანების ძალისხმევის კოორდინაცია იძულებით გადაადგილებული მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად.

1993 წლის 1 დეკემბერს ჟენევაში შედგა ქართული და აფხაზური მხარეების პირველი დიალოგი გაეროს ეგიდით. რუსეთის ხელშეწყობით მიღებულ იქნა ურთიერთგაგების მემორანდუმი ცეცხლის შეწყვეტისა და ჰუმანიტარული სახის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

1993 წლის შემოდგომაზე დაიწყო მოქალაქეთა კავშირის რაიონული ორგანიზაციების შექმნა. 29 დეკემბერს გაიმართა აფხაზეთის მოქალაქეთა კავშირის რეგიონული ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება, რომელსაც ესწრებოდა და სიტყვა წარმოთქვა საბელმწიფოს მეთაურმა ე. შევარდნაძემ.

1994 წლის 11-13 იანვარს ჟენევაში, გაეროს ეგიდით, რუსეთის ფედერაციის ხელშეწყობით, ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირისა და დევნილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების მოლაპარაკების მეორე რაუნდი კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების თაობაზე. მიღებულ კომუნიკეში აისახა მხარეების მზადყოფნა კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის დაწყების შესახებ, კერძოდ, მხარეები შეთანხმდნენ ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა აფხაზეთში, პირველ ეტაპად გალის რაიონში დაბრუნების პროცესის 10 თებერვლიდან დაწყების თაობაზე.

3-4 თებერვალს საქართველოში იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ბ. ელცინი. ხელი მოეწერა „რუსეთ-საქართველოს კეთილმეზობლობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ“ ჩარჩო ხელშეკრულებას, ასევე დოკუმენტი საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ. ქვეყანაში რუსეთის ბაზების ყოფნის პირობად განისაზღვრა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგება.

თებერვლის დასაწყისში აფხაზმა და დაქირავებულმა ბოევიკებმა გადაწვეს გალის რაიონი, დახოცეს ასობით ადამიანი, დევნილად აქციეს დაბრუნებული მოსახლეობა.

8 თებერვალს მოსკოვში საქართველოს დელეგაციამ დაიწყო მოლაპარაკება აფხაზეთის სტატუსის შესახებ.

3-15 თებერვალს აფხაზი სეპარატისტების მიერ გალის ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებულ სადამსჯელო აქციასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტმა მიმართა გაეროს გენერალურ მდივანსა და ეუთოს თავმჯდომარეს, რომელშიც საერთაშორისო თანამეგობრობას მოუწოდა ხმა აღემაღლებინათ ქართველთა გენოციდის წინააღმდეგ. რუსეთის ფედერაციის

ფედერალური კრებისადმი გაგზავნილ მიმართვაში საქართველოს პარლამენტმა მოუწოდა, რათა რუსეთის ფედერაციამ შეასრულოს გარანტისა და შუამდგომლის ფუნქცია კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებაში, უზრუნველყოს საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის დაცვა, არ დაუშვას რუსეთის ფედერაციიდან შეიარაღებულ ფორმირებათა გადასვლა საქართველოს ტერიტორიაზე. ამასთან, კიდევ ერთხელ გამოითქვა მზადყოფნა შიდა კონფლიქტების მშვიდობიანი, ცივილიზებული გზით მოგვარების თაობაზე.

გაეროს დაჟინებით მოუწოდა მხარეებს უახლოეს დროში მიაღწიონ შეთანხმებას დევნილთა ჰუმანიტარული უფლების ეფექტიანად განხორციელების ხელშესაწყობად, აგრეთვე მოლაპარაკებების კონფლიქტის მოსაწესრიგებლად რაც შეიძლება მალე განსაახლებლად, მათ შორის, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის სრული პატივისცემის პირობებში აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხის გადასაწყვეტად.

1994 წლის 4 მარტს მიღებულ იქნა გაეროს უშიშროების საბჭოს № 901-ე რეზოლუცია, რომელმაც ცალსახად დაადასტურა ყველა ლტოლვილისა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა თავიანთ სახლებში აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე უსაფრთხო პირობებში დაბრუნების უფლებას.

9 მარტს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე დამოუკიდებელი სახელმწიფოს ხელმძღვანელის რანგით სიტყვით პირველად გამოვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ე. შევარდნაძე. გამოსვლაში ყურადღება გამახვილდა აფხაზეთში კონფლიქტის განვითარების მიზეზებზე, აგრესიული სეპარატიზმის, როგორც მთელი მსოფლიოსათვის არალოკალური მოვლენის საშიშროებაზე. წარდგენილ იქნა საქართველოს თვალსაზრისი კონფლიქტის სრულმასშტაბიანი პოლიტიკური მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

10 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკაში აპარტეიდული და რასისტული საკანონმდებლო პრაქტიკის შესახებ.“ აღნიშნული დადგენილებით გაუქმდა აფხაზეთის 1991 წლის 9 ივლისის კანონი „აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების შესახებ“ (1991 წლის 27 აგვისტოს ცვლილებებით), დათხოვნილ იქნა აღნიშნული კანონის საფუძველზე არჩეული აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო, უმაღლესი საბჭოს წევრებს მოეხსნათ სადეპუტატო უფლებამოსილება, ხოლო აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს მიენიჭა დროებით ევაკუირებული ორგანოს სტატუსი, დაეკისრა საკანონმდებლო აქტების მიღებისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ახალი არჩევნების ჩატარებამდე აფხაზეთში სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს განხორციელების უფლებამოსილებანი. იურიდიული ძალის არმქონედ და ბათილად ჩაითვალა ყველა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტი, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობასა და მიღებულია სეპარატისტთა დაჯგუფების

კონტროლსდაქვემდებარებულ ან მათთან ალიანსში მყოფი სტრუქტურების მიერ, აგრეთვე ყველა გადაწყვეტილება, სამოქალაქო სამართლებრივი გარიგება, რომლებიც არღვევენ მოქალაქის, იურიდიული პირის, სახელმწიფოს საკუთრების და სარგებლობის უფლებას აფხაზეთის ტერიტორიაზე.

4 აპრილს ქ. მოსკოვში ხელმოწერილ იქნა ოთხმხრივი ხელშეკრულება „აფხაზეთიდან დევნილთა და იძულებით გადაადგილებულთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ," ასევე, განცხადება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების თაობაზე.

ორივე დოკუმენტმა საზოგადოებაში არაერთგვაროვანი შეფასება გამოიწვია. პირველი დოკუმენტის 1 მუხლის „ც" პუნქტში დაფიქსირდა ლტოლვილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა კატეგორია, რომელთაც შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობის გამო ეხსნებათ დაბრუნების იმუნიტეტი, რაც ეწინააღმდეგება გაეროს რეზოლუციებს ყველა დევნილის თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში უპირობო და უსაფრთხო დაბრუნების თაობაზე. არანაკლები კრიტიკა გამოიწვია მეორე დოკუმენტის მე-8 მუხლის ბოლო წინადადებამ „Будет разработана поэтапная программа действий, выработаны предложения, по воссозданию государственно-правовых отношений".

სამწუხაროდ, შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს, რომ გარკვეული საფუძველი შეშფოთებისათვის ნამდვილად არსებობდა, ვინაიდან დღემდე არ არის მიღწეული არა მარტო ხარეთა შორის, არამედ საზღვარგარეთელ სპეციალისტთა შორისაც ამ დოკუმენტის ერთგვაროვანი წაკითხვა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 10 მაისის განკარგულებით რუსეთის ფედერაციაში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოსთან შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო მეთაურის საკანგებო წარმომადგენელობა აფხაზეთის საკითხებში. მის ხელმძღვანელად დაინიშნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე რ. სიჭინავა.

საქართველოს პარლამენტის მწვავე რეაქცია გამოიწვია გაეროს გენერალური მდივნის ბუტროს-ბუტროს გალის მიერ 1994 წლის 3 მაისს უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაკეთებულმა მოხსენებამ. დეპუტატთა აზრით, მიუღებელია აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსთან და საქართველოს სახელმწიფოებრივ მოწყობასთან დაკავშირებით მასში წარმოდგენილი დებულებები. უარყოფითად შეფასდა აგრეთვე სეპარატისტებთან მიმდინარე მოლაპარაკების პროცესი. ამასთან, საქართველოს პარლამენტის მიერ 24 მაისს მიღებულ განცხადებაში ხაზგასმულია კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების პროცესის გაგრძელების აუცილებლობა, კატეგორიული ფორმითაა აღნიშნული, რომ „პარლამენტი არ დაუშვებს ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლას, და რომ ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც ხელყოფს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სახელმწიფო სუვერენიტეტს სრულიად საქართველოს ნების გამოუხატავად, ჩაითვლება იურიდიული ძალის არმქონედ."

რუსეთის ფედერაციის შუამავლობით ქართულმა და აფხაზურმა მხარეებმა 14 მაისს ხელი მოაწერეს შეთანხმებას „ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ.“ სამშვიდობო შეთანხმება ითვალისწინებდა კონფლიქტის ზონაში დსთ-ის ეგიდით რუსეთის შეიარაღებული ძალების სამშვიდობო კონტინგენტის განთავსებას, უსაფრთხოების ზონისა და შეზღუდული შეიარაღების ზონის შექმნას, განისაზღვრა დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალებისა და გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა მანდატი, მათი განლაგების პრინციპები. დოკუმენტს ქართული მხარის სახელით ხელი მოაწერა ჯ. იოსელიანმა, აფხაზურიდან – ს. ჯინჯოლიამ. დოკუმენტი შეიცავს სამშვიდობო ძალების მანდატთან დაკავშირებულ ოქმს, რომელშიც აღნიშნულია: „Функция миротворческих сил СНГ будет заключаться в том, чтобы приложить максимальные усилия для поддержания прекращения огня и обеспечения его неукоснительного соблюдения. Кроме того, их присутствие должно содействовать безопасному возвращению беженцев и перемещённых лиц прежде всего в Гальский район.“

აღნიშნულმა შეთანხმებამ პარლამენტში ოპოზიციის მძაფრი კრიტიკა გამოიწვია, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობა ამ მოვლენას პოზიტიურად აფასებდა. პარლამენტის განცხადებაში აღნიშნულია: „არსებული რეალობის გათვალისწინებით არჩეულ გზას გონიერი ალტერნატივა არ გააჩნია... რუსეთის ჯარის მიერ სამშვიდობო მისიის განხორციელება ერთადერთი რეალური, და მაშასადამე, სწორი გზაა.“

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 3 ივნისის განკარგულებით შეიქმნა აფხაზეთიდან ლტოლვილთა სრულმასშტაბიანი დაბრუნების პრობლემათა მოსაგვარებელი მუდმივმოქმედი შტაბი საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ო. ფაცაციას თავმჯდომარეობით.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 22 ივნისის განკარგულებით შეიქმნა აფხაზეთში კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საინფორმაციო უზრუნველყოფის ცენტრი.

1994 წლის 24 ივნისს კონფლიქტის ზონაში დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალები (1600-მდე სამხედრო მოსამსახურე და შეიარაღება) შევიდა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 15 აგვისტოს ბრძანებულებით შეიქმნა აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სამთავრობო კომისია საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების კომიტეტის ხელმძღვანელის ა. კავსაძის თავმჯდომარეობით.

31 აგვისტო – 2 სექტემბერს ჟენევაში გაეროს ეგიდით, რუსეთის ფედერაციის ხელშეწყობით, ეუთო-სა და დევნილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისარიატის წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართა ქართული და აფხაზური მხარეების მორიგი შეხვედრა. ხელი მოეწერა განცხადებას

ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ. მხარეები შეთანხმდნენ დაღუპულთა სამარხების დადგენისა და მათი გადმოსვენების საკითხებთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე.

12 სექტემბერს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ხელი მოაწერა განკარგულებას „აფხაზეთში გუდაუთელ სეპარატისტთა მიერ ქართული მოსახლეობის მიმართ მოწყობილი ეთნიკური წმენდის, გენოციდის, აგრეთვე კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ სხვა დანაშაულობათა თაობაზე საერთაშორისო ორგანიზაციებისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის ინფორმირების ღონისძიებათა შესახებ.“

26 ნოემბერს აფხაზმა სეპარატისტებმა მიიღეს ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელშიც აფხაზეთი – საქართველოს განუყოფელი ნაწილი – გამოცხადებულია სუვერენულ სახელმწიფოდ, საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. აფხაზეთში დარჩენილი უმაღლესი საბჭოს წევრთა ნაწილის (33 დეპუტატი) მიერ არჩეულ იქნა ე.წ. აფხაზეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი. ამასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტმა 1 დეკემბერს გააკეთა სპეციალური განცხადება, რომელშიც აღნიშნა, რომ მსოფლიო თანამეგობრობის მიერ აღიარებული სუვერენული საქართველოს ტერიტორიაზე ომის გაჩაღების, დაქირავებულთა გამოყენების, ეთნიკური ნიშნით ხალხის გენოციდის და მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტა-გამოდევნის შემდეგ დამოუკიდებლობის გამოცხადება არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა, ეს არის საერთაშორისო მასშტაბით იმ ძალების წაქეზება, რომელთა მიზანია ბოლო მოუღონ თანამედროვე მსოფლიო წესრიგს, ძირი გამოუთხარონ საზღვრების ურღვევობის, სახელმწიფოთა შინაურ საქმეებში ჩაურევლობის იმპერატიულ პრინციპებს და გადააქციონ სეპარატიზმი რეაქციულ გლობალურ პრობლემად.

სეპარატისტული ხელისუფლების 26 ნოემბრის ცალმხრივმა მოქმედებამ საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მკვეთრად უარყოფითი შეფასება მიიღო. ის, როგორც უკანონო, დაგმობილ იქნა გაეროსა და ეუთოს მიერ.

6 დეკემბერს ქ. ბუდაპეშტში შედგა ეუთოს წევრი სახელმწიფოების უმაღლესი დონის შეხვედრა. შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს დოკუმენტი, რომელშიც გამოხატულია შეშფოთება აფხაზეთში ეთნკური წმენდისა, მოსახლეობის, უპირატესად ქართველების, მშობლიური საცხოვრებელი ადგილებიდან მასობრივი გამოდევნისა და უდანაშაულო ადამიანების დაღუპვასთან დაკავშირებით. ეუთოს წევრმა სახელმწიფოებმა მაღალი შეფასება მისცეს საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას ააშენონ დემოკრატიული, სამართლებრივი სახელმწიფო, სადაც უზენაესი ღირებულება იქნება ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და მოუწოდეს სახელმწიფოთა მეთაურებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს, რათა საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას გაუწიონ ყოველმხრივი პოლიტიკური მხარდაჭერა, ტექნიკური და ჰუმანიტარული დახმარება.

31 დეკემბერს მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება „იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა სოციალური მოწყობის სრულყოფისა და მათი მშობლიურ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების ორგანიზაციის დამატებით ღონისძიებათა შესახებ.“ აღნიშნულმა დადგენილებამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა დევნილთა სოციალური მოწყობისა და მათი დროებითი განთავსების ადგილებში ადაპტაციის უზრუნველყოფაში.

1995 წლის 24 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შესახებ.“ აღნიშნული დადგენილებით აღდგენილ იქნა 1991 წელს აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულ იმ დეპუტატთა უფლებამოსილება, რომლებიც რეალურად გამოხატავდნენ აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს და არ მონაწილეობდნენ გუდაუთის სეპარატისტულ დაჯგუფებებთან ერთად ანტიკონსტიტუციურ საქმიანობაში.

17 აგვისტოს ხელმოწერილ იქნა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის რეალური დახმარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.“ კოდორის ხეობის განსაკუთრებული სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობის გათვალისწინებით ეს საკითხი ხელისუფლების განსაკუთრებულ კონტროლს დაექვემდებარა.

24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ქვეყნის ძირითადი კანონი – საქართველოს კონსტიტუცია. კონსტიტუციაში განსაზღვრულია, რომ:

„საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო, რაც დადასტურებულია 1991 წლის 31 მარტს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის აფხაზეთის ასსრ-ში და ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩატარებული რეფერენდუმით და 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“ (თავი პირველი, მუხლი 1, § 1);

„საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ“ (თავი პირველი, მუხლი 2, § 1);

„საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრული აღდგენის შემდეგ“ (თავი პირველი, მუხლი 2, § 3).

კონსტიტუციის პირველი თავის მე-3 მუხლში განსაზღვრულია მხო-

ლოდ საქართველოს უმაღლესი სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული, საკითხები და აღნიშნულია ერთობლივ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხების შესახებ.

საქართველოს ახალი კონსტიტუციით დადასტურებულია, რომ:

„1. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი.

2. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან.

3. სენატი შედგება აფხაზეთში, აჭარაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან." (თავი პირველი, მუხლი 4, § 1-3).

საქართველოს ახალი კონსტიტუცია არის გარანტი, პოლიტიკური საშუალებით მოწესრიგდეს ცენტრიდანული მისწრაფებების ტენდენციების მქონე ტერიტორიული ერთეულებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მოთხოვნები, უზრუნველყოფილი იქნეს ქვეყნის ერის თანასწორუფლებიანი განვითარებისათვის პირობები, რათა აღდგეს მშვიდობა და თანხმობა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

ამგვარად, 1992-1993 წლებში გარეშე ძალებმა მოახერხეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, აფხაზეთის დროებითი ოკუპაცია. დევნილად იქცა ასეულ ათასობით აფხაზეთის მცხოვრები, ძმათამკვლელ დაპირისპირებას შეეწირა ათეულ ათასზე მეტი ადამიანი, განხორციელდა ქართველთა ეთნიკური წმენდა და გენოციდი.

იმავდროულად 1992-1995 წლები არის დამოუკიდებლობის განმტკიცების, სახელმწიფოებრიობის საფუძვლების ჩაყრის, სამოქალაქო დაპირისპირების დასრულების წლები. ქვეყანაში ბოლო ეღება განუკითხაობასა და ქაოსს, იქმნება დემოკრატიული ინსტიტუტები, მიღებულ იქნა კონსტიტუცია, შესაძლებელი გახდა ასეულათასობით დევნილის დაბინავება, შიმშილისაგან გადარჩენა, გარღვევის მიღწევა აფხაზეთთან დაკავშირებით საინფორმაციო ომში, სამშვიდობო ოპერაციის დაწყება კონფლიქტის ზონაში, ეუთოს ბუდაპეშტის სამიტზე აფხაზეთში გენოციდისა და ეთნიკური წმენდის დაფიქსირება, საერთაშორისო თანამეგობრობის მონაწილეობით ქართულ-აფხაზური მოლაპარაკებების დაწყება, გაეროს 13 რეზოლუციის მიღება, საქართველოს, როგორც თავისუფალ, დასავლეთის დემოკრატიულ ღირებულებებზე ორიენტირებულ სამართლებრივ სახელმწიფოდ, მსოფლიო თანამეგობრობის სრულუფლებიან წევრად აღიარება.

* * *

საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის 1995 წლის 5 ნოემბრის არჩევნები შერეული – პროპორციული და მაჟორიტარული სისტემით ჩატარდა. საქართველოს პრეზიდენტად არჩეულ იქნა ედუარდ შევარდნაძე, საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა „საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა“ (პარტიის თავმჯდომარე – ე. შევარდნაძე, გენერალური მდივანი ზ. ჟვანია).

აფხაზეთიდან დევნილმა მოსახლეობამ მხოლოდ პროპორციულ სიებს უყარა კენჭი. „საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ“ კანონის შესაბამისად, პარლამენტის 1995 წლის 25 ნოემბრის დადგენილებით დადასტურდა აფხაზეთიდან არჩეული 12 დეპუტატის (ჯ. საჯაია, ა. წოწონავა, ა. ფენდერავა, გ. ლომინაძე, მ. ბარამიძე, ა. ჯიქია, გ. ფაცაცია, ბ. კაკუბავა, გ. კალანდია, ე. გვაზავა, ა. მარშანია, ვ. ყოლბაია) უფლებამოსილება.

ახალარჩეულ პარლამენტში ჩამოყალიბდა ფრაქცია „აფხაზეთი“ (თავმჯდომარე გ. ფაცაცია).

1995 წლის 18 ოქტომბერს მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება „ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მოწყობისათვის ზოგიერთი დამატებითი ღონისძიებების განხორციელების შესახებ.“

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ არადამაკმაყოფილებლად ხორციელდება ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მოწყობის სრულყოფისა და მათი მშობლიურ ადგილებში დაბრუნების ღონისძიებანი იროვევა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 30 დეკემბრის № 41 განკარგულება, ბოლომდე არ შესრულებულა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 დეკემბრის № 900 დადგენილება.

ამ დადგენილებისა და „აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის სოციალური დაცვისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის სრულყოფის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 25 სექტემბრის ბრძანებულების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა დევნილთა წინაშე მდგარი სერიოზული პრობლემების შესაძლებლობის ფარგლებში მოგვარება.

1996 წლის 2 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ № 1036-ე რეზოლუციაში კვლავ დადასტურდა საქართველოს სუვერენიტეტისა და მისი ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა, ასევე ყველა ლტოლვილისა და ადგილნაცვალი პირის თავიანთ სახლებში დაბრუნების უფლება საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვისა და უსაფრთხოების პირობებში, გამოიხატა სინანული დევნილთა დაბრუნების პროცესისადმი აფხაზური ხელისუფლების მიერ შექმნილი წინააღმდეგობების გამო.

გაეროს შეახსენა მხარეებს ეუთოს უმაღლეს დონეზე ბუდაპეშტის შეხ-

ვედრის დასკვნები აფხაზეთში (საქართველო), შექმნილი ვითრების თაობაზე და მოსთხოვა აფხაზურ მხარეს ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა დაბრუნების პროცესის არსებითი დაჩქარება გაეროს უმაღლესი კომისარიატის მიერ შემოთავაზებული გრაფიკის დაცვით, ასევე აფხაზური მხრიდან გალის რაიონში არაორგანიზებულად დაბრუნებული რეპატრიანტების უსაფრთხოების დაცვის გარანტიები.

გაერომ დაგმო ეთნიკური მკვლელობები და ადამიანის უფლებათა დარღვევები აფხაზეთში,. აგრეთვე მოსთხოვა აფხაზურ მხარეს მისი კონტროლის ქვეშ მყოფ ქალაქებსა და რაიონებში ყველა პიროვნების უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

19 იანვარს დსთ-ის წევრი ქვეყნების მეთაურთა მოსკოვის სამიტმა მიიღო გადაწყვეტილება „აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ.“ აღნიშნულ დოკუმენტში დაგმობილია აფხაზური მხარის დესტრუქციული პოზიცია, რომლის გამოც გაჭიანურდა პრობლემის პოლიტიკური საშუალებებით გადაწყვეტა, დევნილთა უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნება მშობლიურ ადგილებში; დსთ-ის ქვეყნები შეთანხმდნენ, რომ არ დაუშვებენ აფხაზეთში იარაღისა და სამხედრო დანიშნულების აღჭურვილობის, ტექნიკის შეტანას, მათი საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტის გამოყენებას, სამხედრო სპეციალისტების მომზადებას, სამხედრო კონსულტაციების ან დახმარების გაწევას კადრების მომზადებაში, მათი ქვეყნების მოქალაქეების გაგზავნას აფხაზეთის შეიარაღებულ ფორმირებებში, აგრეთვე აიღეს ვალდებულება უკანონო ფორმირებებში მყოფი მოქალაქეების დაბრუნების უზრუნველსაყოფად; გადაწყვეტილებით აიკრძალა ყოველგვარი ოფიციალური კონტაქტები სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლებთან და თანამდებობის პირებთან, ასევე წარმომადგენლობათა გახსნა დსთ-ის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე.

დსთ-ის წევრი ქვეყნების მეთაურებმა გაეროს უშიშროების საბჭოს მიმართეს აფხაზეთის რეჟიმისათვის ზეწოლაში მხარდაჭერის თხოვნით.

ფაქტობრივად ეს არის გადაწყვეტილება სეპარატისტული რეჟიმის იზოლაციის შესახებ, ამასთან, იგი შეიცავს იმის გარანტიასაც, რომ აფხაზეთის მოსახლეობისათვის საჭირო ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სხვა სახის დახმარებები განხორციელდეს საქართველოს ხელისუფლების მეშვეობით.

31 იანვარს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „აფხაზეთის (საქართველო) ტერიტორიის ფარგლებში საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთზე, სოხუმის საზღვაო ნავსადგურში, პორტპუნქტებსა და საზღვაო აკვატორიაში სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმების შესახებ.“

ბრძანებულების თანახმად, აფხაზეთის (საქართველო) ტერიტორიაზე დაქირავებულთა, იარაღის, ნარკოტიკებისა და კონტრაბანდული ტვირთის შეღწევის დაუშვებლობის მიზნით სოხუმის საზღვაო ნავსადგური, პორტპუნ-

ქტები, საზღვაო აკვატორია და საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის მონაკვეთი აფხაზეთის (საქართველო) ტერიტორიის ფარგლებში ყველა საერთაშორისო ტვირთისათვის, გარდა ამავე ბრძანებულების შესაბამისად განხორციელებული ჰუმანიტარული დახმარების ტვირთების გადაზიდვისა, დახურულად გამოცხადდა.

5 მარტს გაეროს უშიშროების საბჭოში გავრცელდა საქართველოს ხელისუფლების წინადადებები აფხაზეთის (საქართველო) სტატუსთან დაკავშირებით.

საქართველოს პრეზიდენტის 16 მარტის ბრძანებულებით შეიქმნა აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის სახელმწიფო კომისია, რომლის თავმჯდომარედ დამტკიცდა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე ავთანდილ იოსელიანი.

17 აპრილს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ", რომელიც მიჩნეულია ფუნდამენტურ საბაზისო დოკუმენტად აფხაზეთის ტრაგედიის პოლიტიკური შეფასებისა და მისი ნეგატიური შედეგების აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

დადგენილებით განისაზღვრა აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებაში მონაწილე ხუთი სუბიექტი: აფხაზური მხარე, ქართული მხარე, საქართველო, რომლის ტერიტორიაზედაც ხდება კონფლიქტი, რუსეთის ფედერაცია — ხელშემწყობი მხარე, გაერო — შუამავალი.

17 აპრილის დადგენილების შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის 31 მაისის დადგენილებით შეიქმნა აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებით დროებითი საპარლამენტო კომისია, რომლის თავმჯდომარედ დამტკიცდა პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ყოლბაია.

კომისიას დაევალა: 17 აპრილის დადგენილების შესრულების ხელშეწყობა; მისი კომპეტენციის ფარგლებში აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებასთან დაკავშირებულ საკითხებზე საკანონმდებლო აქტების, დადგენილებების, სხვა გადაწყვეტილებების პროექტებისა და რეკომენდაციების შემუშავება; შეთანხმებათა ექსპერტიზაში მონაწილეობა; აფხაზეთის ტერიტორიაზე გენოციდის ფაქტების მხილება და საზოგადოებრიობის ინფორმირება; კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებზე მიღებული კანონების, დადგენილებებისა და დევნილთა სოციალურ დაცვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების შესრულების კონტროლი.

17 აპრილის დადგენილების შესაბამისად საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭომ შეიმუშავა და დაამტკიცა აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების სახელმწიფო პროგრამა.

ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში მონაწილე საერთაშორისო გაერთიანებების წევრი ქვეყნებისა და

საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით საქართველოს პრეზიდენტმა 1996 წლის 8 მაისს ხელი მოაწერა განკარგულებას „საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების პროცესში მსოფლიოს ქვეყნების, საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევის კოორდინაციის სრულყოფის ღონისძიებათა შესახებ". განკარგულების თანახმად, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან შეიქმნა კონფლიქტების პოლიტიკური მოწესრიგების საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც დაევალა შესაბამისი უწყებების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების სტრუქტურების, პოლიტოლოგების, საერთაშორისო სამართლისა და სხვა სპეციალისტების მონაწილეობით საინფორმაციო-ანალიტიკური მასალებისა და რეკომენდაციების შემუშავება და მათი წარდგენა პრეზიდენტისა და ეროვნული უშიშროების საბჭოსათვის. საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ი.მენაღარიშვილი, ხოლო მოადგილეებად – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თ. ნადარეიშვილი და საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი საერთაშორისო საკითხებში ლ. ალექსიძე.

28 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ," რომელმაც განსაზღვრა ამ კატეგორიის მოქალაქეთა უფლება-მოვალეობანი, სტატუსი, სტატუსის მინიჭებისა და განხორციელების პროცედურული ნორმები.

12 აგვისტოს გაეროს უშიშროების საბჭოში გავრცელდა საქართველოს პრეზიდენტის ე.შევარდნაძის განცხადების ტექსტი კავკასიის რეგიონში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით, რომელშიც მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო აფხაზეთის პრობლემას.

23 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის 51-ე სესიაზე გამოსვლისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ი. მენაღარიშვილმა ყურადღება გაამახვილა აგრესიულ სეპარატიზმზე და მის ტრაგიკულ შედეგებზე აფხაზეთში – უპირატესად ქართული მოსახლეობის ეთნიკურ წმენდაზე. მინისტრმა წამოაყენა „აგრესიული სეპარატიზმის შეკავების" დოქტრინა, რომელიც მოიცავს: პირველი -- სეპარატიზმის, როგორც მოვლენის საერთაშორისო-სამართლებრივ განსაზღვრას; მეორე – სეპარატიზმის წინააღმდეგ ეკონომიკური ხასიათის ზომების მიღებას; მესამე – სამხედრო-პოლიტიკური ხასიათის ზომების მიღებას, კერძოდ, შეირაღებაზე ემბარგოს დაწესებას; მეოთხე – ადამიანურობის წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენების საერთაშორისო სასამართლოს წინაშე წარდგენას და ჩადენილი დანაშაულისათვის დასჯას. ითქვა, რომ საერთაშორისო ტერორიზმი და აგრესიული სეპარატიზმი ურთიერთდაკავშირებული მოვლენებია და საჭიროა მათთან კომპლექსური ბრძოლა. ი. მენაღარიშვილმა ასევე განაცხადა, რომ საქართველო

კვლავ ერთგულია აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მის მიერ დეკლარირებული კურსისა. მინისტრი შეეხო აგრეთვე „მშვიდობიანი კავკასიისათვის“ საქართველოს პრეზიდენტის ე. შევარდნაძის ინიციატივის მნიშვნელობას არა მარტო კავკასიის რეგიონისათვის და გაეროს უშიშროების საბჭოს მუშაობის სრულყოფის საკითხებს.

24 სექტემბერს სტრასბურგში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეისადმი მიმართვაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზ. ჟვანიამ ჩამოაყალიბა აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგებისადმი საქართველოს ხელისუფლების მიდგომა და ეუთოს სტრუქტურებს მოუწოდა ამ პროცესში უფრო აქტიური მონაწილეობისაკენ.

2 ოქტომბერს პარლამენტმა განიხილა 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების შესრულების მდგომარეობა და აფხაზ სეპარატისტთა მიერ ნოემბრისათვის დანიშნული არჩევნების საკითხი. მიღებულ იქნა ორი დადგენილება: „აფხაზეთში კონფლიქტის მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 17 აპრილის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის თაობაზე“ და „აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმის მიერ შექმნილი მძიმე ვითარებისა და უკანონო არჩევნებით გამოწვეული კრიზისული მდგომარეობის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ.“ პარლამენტმა იურიდიული ძალის არმქონედ ცნო სეპარატისტთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება ოკუპირებულ ტერიტორიაზე 23 ნოემბრისათვის დაგეგმილი არჩევნების ჩატარების თაობაზე და ბათილად გამოაცხადა აქედან გამომდინარე ყველა სამართლებრივი შედეგი. პარლამენტმა დააფიქსირა თავისი დამოკიდებულება რუსეთის ხელისუფლების მიმართ, რომლის ხელშეწყობითაც ახერხებს სეპარატისტული რეჟიმი მსგავსი აქციების ჩატარებას და საქართველოს პრეზიდენტისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სათანადო სტრუქტურების წინაშე დააყენა ქმედითი ზომების მიღების საკითხი.

პარალმენტის ამ დადგენილების შესრულების უზრუნველაყოფად 9 ოქტომბერს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება № 659.

ბრძანებულების თანახმად, რუსეთის ხელისუფლებასთან სრულმასშტაბიანი მოლაპარაკებების გამართვისათვის შეიქმნა საგანგებო სახელმწიფო დელეგაცია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ი. მენაღარიშვილის ხელმძღვანელობით.

აღნიშნული ბრძანებულებით, აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა ცენტრალური ორგანოს ხელმძღვანელს, მხარეებში საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებულებს, ქალაქების მერებს, რაიონების გამგეობათა თავმჯდომარეებს დაეკისრათ პირადი პასუხისმგებლობა საქართველოს პარლამენტის 1996 წლის 2 ოქტომბრის ზემოაღნიშნული დადგენილებების განხორციელებისათვის.

ამავე ბრძანებულებით კონკრეტული დავალებები მიეცათ საქართველოს

საგარეო საქმეთა სამინისტროს, საზღვარგარეთის ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში აკრედიტებულ საქართველოს დიპლომატიურ წარმომადგენლობებს, სახელმწიფო უშიშროებისა და იუსტიციის სამინისტროებს, გენერალურ პროკურატურას, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს და საბაჟო დეპარტამენტს. ბრძანებულების შესრულების კონტროლი დაევალა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს.

საქართველოს პრეზიდენტის 14 ოქტომბრის ბრძანებულებით დამტკიცდა ინვალიდთა სოციალური დაცვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახების წევრების სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის 1997-2000 წლების სახელმწიფო პროგრამა.

24 ოქტომბერს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „მოსახლეობის სოციალური დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და სამედიცინო მომსახურების, დევნილთა და იძულებით ადგილნაცვალ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.“

1 დეკემბერს ქ. ლისაბონში ეუთოს უმაღლესი დონის შეხვედრამ, რომელშიც მონაწილეობდა და სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი, საბოლოო დოკუმენტში დაგმო ეთნიკური წმენდა აფხაზეთში, რომელსაც შედეგად მოჰყვა მასიური მკვლელობები და მოსახლეობის იძულებით განდევნა.

27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულთა, უგზო-უკვლოდ დაკარგულთა, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის შესახებ,“ რომლითაც განისაზღვრა ამ კატეგორიის პირთა სოციალური დაცვის ორგანიზაციული, ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლები.

აფხაზეთის პრობლემის სიმწვავის თაობაზე მსოფლიო საზოგადოებრიობის უფრო ფართო ინფორმირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1997 წლის 2-21 მარტს ყოფილი „ИМЛ-ის“ შენობაში საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთისა“ და საქართველოს პარლამენტის ზოგიერთი სხვა წევრის საპროტესტო შიმშილობის აქცია, რომელიც რუსეთის სამშვიდობო ძალებისა და სხვა შეიარაღებული ფორმირებების მიერ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ტერიტორიების უპირობო დატოვების მოთხოვნით მიმდინარეობდა და საერთაშორისო რეზონანსი მიიღო.

მოშიმშილეებს შეხვდნენ საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, დეპუტატები, მინისტრები, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტი ვ.ლამენტოვიჩი, აზერბაიჯანის მილი-მეჯლისის დელეგაციის წევრები, ცნობილი სამართალდამცავი, რესუთის სახელმწიფო სათათბიროს წევრი ს.კოვალიოვი და სხვები. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-

პრეზიდენტმა მოშიმშილეებისადმი გაგზავნილ მიმართვაში აღნიშნა: „ . . . საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა უნდა აღდგეს რაც შეიძლება უმოკლეს დროში . . . მშვიდობიანი გზით. აფხაზეთში აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ საქართველოს სხვა რეგიონებში შეკედლებული დევნილები.“

19-20 მარტს პარლამენტში გაიმართა დებატები აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით. პარლამენტმა მოშიმშილეებს აქციის შეწყვეტის თხოვნით მიმართა.

28 მარტს დსთ-ის წევრი ქვეყნების მეთაურთა სამიტმა მიიღო გადაწყვეტილება „აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის ზონაში სამხედრო ოპერაციის შესახებ.“ ამ გადაწყვეტილებაში მოთხოვნილია უსაფრთხოების ზონის გაფართოება, მთლიანად გალის რაიონში (ძველი საზღვრები) მოსახლეობის დაბრუნების უზრუნველყოფა, ამ რაიონის გაფართოებული დროებითი ადმინისტრაციის შექმნა.

2 აპრილს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას 53-ე სესიაზე გასავრცელებლად გაუგზავნა მოხსენება „აფხაზეთის (საქართველო) ტერიტორიაზე ქართული მოსახლეობის მიმართ გატარებული ეთნიკური წმენდისა და გენოციდის გამოვლენილი ფაქტებისა და მათი საერთაშორისო ტრიბუნალისათვის გადაცემის თაობაზე.

3 აპრილს, ცხარე დებატების შემდეგ, პარლამენტმა მიიღო დადგენილება, რომელმაც სამუშაო ვარიანტის საფუძვლად მიიჩნია ფრაქცია „სახალხოს“ მიერ წარმოდგენილი და ინტერფრაქციულ ჯგუფთან შეთანხმებული „საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მდგრადობის, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების განმტკიცების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კონცეფცია.“ ამ კონცეფციით განისაზღვრა საქართველოს ძირითადი პოლიტიკური პრიორიტეტები.

„აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დსთ-ის ეგიდით მყოფი რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების შემდგომი ყოფნის თაობაზე,“ საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 30 მაისის დადგენილებაში დაფიქსირდა, რომ: არ შეინიშნება რაიმე პროგრესი, არც დევნილთა და ლტოლვილთა აფხაზეთში დაბრუნების საქმეში, არც აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენის საკითხში. მიუხედავად დსთ-ის ქვეყნების სახელმწიფო მეთაურთა 1997 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებისა, კონფლიქტის ზონაში ვერ მოხერხდა სამშვიდობო ძალების რეალური ამოქმედება. ისინი, ფაქტობრივად, სასაზღვრო ჯარების ფუნქციას ასრულებენ, რაც სეპარატისტთა მხარდაჭერას ნიშნავს.

პარლამენტმა დსთ-ის ეგიდით განხორციელებული სამშვიდობო მისია ჩაშლილად გამოაცხადა და ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ეფექტიანობის საკითხი ეჭვქვეშ დააყენა. „თუ სერიოზული ნაბიჯები არ იქნება გადადგმული რუსეთის ფედერაციის მხრიდან აფხაზეთში კონფლიქტის მოსაგვარებლად, საქართველო იძულებული გახდება გადახედოს სამშვიდობო ძალების მანდატის გაგრძელების საკითხს“, — აღნიშნულია დადგენილებაში.

6-8 ივნისს სანკტ-პეტერბურგში გაიმართა დსთ-ის წევრი ქვეყნების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომა. აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხზე 8 ივნისს მიღებულ დადგენილებაში ასამბლეის საბჭომ აღნიშნა აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების დასაჩქარებლად დსთ-ის ქვეყნების სახელმწიფო მეთაურთა საბჭოს 1997 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების შესრულების გადაუდებლობის მნიშვნელობა. საბჭომ თანამეგობრობის საწესდებო ორგანოებს მიმართა მოწოდებით ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უზრუნველსაყოფად ძალისხმევის გააქტიურების თაობაზე.

5-8 ივლისს ვარშავაში გაიმართა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის სხდომა. მიღებულ დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ ჩვენი დროის ყველაზე მთავარი ღირებულება არის სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის ურღვევობის უზრუნველყოფა, რომ თვითგამორკვევის პრინციპი უნდა ხორციელდებოდეს მშვიდობიანი გზით და დემოკრატიული გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც მისაღებია ნაციონალური სამართლის სისტემებისათვის, საერთაშორისო ნორმების შესაბამისად და საერთაშორისო მეთვალყურეობის ქვეშ. ფორუმზე ხაზი გაესვა, რომ თვითგამორკვევის ნება არ უნდა ეყრდნობოდეს და არ უნდა იქნეს მიღწეული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის შედეგად. დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ იმ ადგილებში, სადაც ჩადენილ იქნა ეთნიკური წმენდა, არჩევნები თავისუფლად და სამართლიანად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათში მონაწილეობის მიღების საშუალება მიეცემა კონფლიქტამდე მცხოვრებ მთელ მოსახლეობას.

ეუთო-ს ასამბლეის სხდომამ 9 ივლისს მიიღო აგრეთვე რეზოლუცია აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის შესახებ, რომელშიც დაფიქსირდა, რომ აფხაზეთში კონფლიქტი უნდა გადაწყდეს საერთაშორისო სამართლის აღიარებული პრინციპებისა და გაეროს შესაბამისი რეზოლუციების, ეუთოს ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტების, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეისა და დსთ-ის შესაბამისი ორგანოების რეზოლუციებისა და გადაწყვეტილებების შესაბამისად, რომლებიც ითვალისწინებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას, აფხაზეთისათვის ფართო ავტონომიის მინიჭებას და სეპარატისტთა მიერ ჩადენილი ეთნიკური წმენდის შედეგების აღმოფხვრას ეუთოს ლისაბონის სამიტის გადაწყვეტილების შესაბამისად.

1997 წლის 21 ივლისს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა ე. შევარდნაძემ ხაზი გაუსვა, რომ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პროცესში არა თუ რაიმე წინსვლა არ იგრძნობა, პირიქით, მდგომარეობა უფრო რთული ხდება. კრიტიკულად შეფასდა დსთ-ის ეგიდით მოქმედი რუსეთის ფედერაციის სამშვი-

დობო ძალების საქმიანობა, გამოითქვა საშიშროება ამ ძალების სასაზღვრო ჯარებად გადაქცევის თაობაზე. აღინიშნა, რომ სეპარატისტთა მხრიდან მოლაპარაკებების დაუშვებლად გაჭიანურების შემთხვევაში გაეროს უშიშროების საბჭომ უნდა შეახსენოს მათ გაეროს წესდების მე-7 თავის დებულებანი. საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლაში ჩამოყალიბებულ იქნა აფხაზეთში კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების პრინციპები.

31 ივლისს მიღებულ № 1124-ე რეზოლუციაში გაეროს უშიშროების საბჭომ გამოხატა ღრმა შეშფოთება კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების საკითხში შექმნილი მდგომარეობისა და გალის რაიონში არასტაბილური მდგომარეობის შენარჩუნების გამო. გაერომ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და ხაზი გაუსვა ამ პრინციპებისაგან აფხაზური მხარის ნებისმიერი გადახვევის მიუღებლობას. გაერო მიესალმა მხარეებს შორის ჟენევაში ჩატარებულ შეხვედრას და მოუწოდა აფხაზურ მხარეს სექტემბრისათვის დაგეგმილ შეხვედრაზე კონსტრუქციული პოზიციის დაკავებისაკენ.

1997 წლის ნოემბერში ქართული და აფხაზური მხარეების ჟენევის შეხვედრის დასკვნითი განცხადების საფუძველზე შეიქმნა კონფლიქტის მოწესრიგების საკოორდინაციო საბჭო გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ლივიუ ბოტას (რომელიც შემდგომ შეცვალა დიტერ ბოდენმა) თავმჯდომარეობით. საკოორდინაციო საბჭოში ქართული და აფხაზური მხარეების წარმომადგენლებთან ერთად შევიდნენ გაეროსა და ეუთოს, რუსეთის ფედერაციის, გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფის (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთის ფედერაცია) სახელმწიფოთა წარმომადგენლები; ჩამოყალიბდა ე.წ. „ჟენევის ფორმატი.“ საკოორდინაციო საბჭოს წევრი, საქართველოს სახელმწიფო მინისტრ ვ. ლორთქიფანიძესა და პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე რ. ადამიასთან ერთად, გახდა დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ინფორმაციის მინისტრი თ. ხუბუა. ამ ახალი ინსტიტუტის ამოქმედება კონფლიქტის მოწესრიგებაში ნიშნავდა აფხაზეთის პრობლემების შემდგომ ინტერნაციონალიზაციას, მსოფლიო თანამეგობრობის დაინტერესების გაზრდას. საკოორდინაციო საბჭო მუდმივმოქმედი ორგანოა, რომელიც პერიოდულად იკრიბება თავის სესიებზე სამუშაო პროგრამის შესაბამისად ან მხარეების ინიციატივით.

1998 წლის 30 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭომ მიიღო № 1150-ე რეზოლუცია აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით. მასში მოწონებულ იქნა მხარეთა კონსტრუქციული მიდგომა ჟენევის 17-19 ნოემბრის შეხვედრებზე. გაერო მიესალმა ჟენევის ფორმატით საკოორდინაციო საბჭოსა და

მისი მუშა ჯგუფების საქმიანობის დაწყებას, მოუწოდა მხარეებს პირდაპირი დიალოგის გაგრძელებისაკენ და შეახსენა ლისაბონის სამიტის დასკვნები.

28 მარტს დსთ-ის ქვეყნების სახელმწიფო მეთაურთა სამიტმა მიიღო გადაწყვეტილება „აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების დამატებით ღონისძიებათა შესახებ.“ სამიტმა დაუშვებლად მიიჩნია დევნილთა და იძულებით გადაადგილებულთა მთელს აფხაზეთში ორგანიზებული დაბრუნების გაჭიანურება და მოითხოვა გალის რაიონში (ძველ საზღვრებში) მისი დამთავრება 1998 წლის ბოლომდე მხარეთა წარმომადგენლების, რუსეთის ფედერაციის და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ შექმნილი მექანიზმის შესაბამისად.

30 აპრილს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა განკარგულებას „ლტოლვილთა და დროებით გადაადგილებულ პირთა საბინაო და ქონებრივი უფლებების აღდგენისა და დაცვის ღონისძიებათა შესახებ,“ შეიქმნა შესაბამისი სახელმწიფო კომისია.

დევნილთა სოციალური პრობლემების ახალი გამწვავება განაპირობა გალის რაიონში 1998 წლის მაისის ტრაგიკულმა მოვლენებმა, როდესაც აფხაზი სეპარატისტების ე.წ. სადამსჯელო ოპერაციების შედეგად ათეულათასობით ადამიანი ხელმეორედ გახდა დევნილი. რაიონის ზედა და ქვედა ზონაში განმეორებით გადაიწვა პრაქტიკულად ყველა სახლი და დამხმარე სათავსო, საზოგადოებრივი და სამეურნეო დანიშნულების ობიექტი, დახოცეს 70-ზე მეტი მშვიდობიანი მცხოვრები.

გალის რაიონში, სადაც 1992-1993 წლებში საომარი მოქმედებები არ მიმდინარეობდა, სეპარატისტულმა რეჟიმმა განსაკუთრებული სისასტიკით განახორციელა გენოციდი და ეთნიკური წმენდა (1993 წლის ოქტომბერ-დეკემბერი, 1994 წლის თებერვალი, 1996 წლის ივნისი, 1998 წლის მაისი), რომელსაც შეეწირა რაიონის 1500-ზე მეტი მკვიდრი, დაიწვა 6000-ზე მეტი საცხოვრებელი სახლი, პრაქტიკულად ყველა სკოლა, საავადმყოფო, სოციალური და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა. გალის რაიონის ერთი მესამედი მიუმატეს ოჩამჩირის რაიონს, მეორე მესამედის მიერთებით კი შექმნეს ტყვარჩელის რაიონი. გალის რაიონის სკოლებში აიკრძალა ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის სწავლება.

გალის მოვლენებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის 27 მაისის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ მომხდარი ტრაგედიისათვის პასუხისმგებლობა სეპარატისტებთან ერთად ეკისრება დსთ-ის ეგიდით მოქმედ რუსეთის ფედერაციის სამშვიდობო ძალებს, რომლებმაც, ფაქტობრივად, ხელი შეუწყვეს მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევას, სოფლების განადგურებას. პარლამენტმა მიმართა გაეროს, ეუთოს, საქართველოს მეგობარ სახელმწიფოებს უახლოეს პერიოდში გაეროს უშიშროების საბჭოზე საქართველოში დსთ-ის სამშვიდობო კონტინგენტის საერთაშორისო ძალებით ჩანაცვლების

საკითხის განხილვის თაობაზე. პარლამენტმა მოუწოდა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას გალის რაიონიდან დევნილი მოსახლეობისათვის (ქალები, ბავშვები, მოხუცები) დახმარების გაწევისაკენ. ამასთან, პარლამენტმა კვლავ დაადასტურა, რომ აფხაზეთის პრობლემა უნდა გადაწყდეს მშვიდობიანი გზით და მოლაპარაკებაში ჩართულ ყველა მხარეს მოუწოდა სამშვიდობო პროცესის დასაჩქარებლად ძალისხმევის გააქტიურებისათვის.

დევნილთა ახალი ტალღის რეაბილიტაციის პრობლემების გადაწყვეტა უზრუნველყო საქართველოს პრეზიდენტის მიერ გამოცემულმა 11-მა განკარგულებამ და ბრძანებულებამ. ქვეყნის ხელისუფლებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევით შესაძლებელი გახდა 40 ათასზე მეტი დევნილის დაბინავება და ფიზიკური გადარჩენა.

24 ივნისს რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ მიიღო დადგენილება სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთზე სასაზღვრო და საბაჟო რეჟიმების ნორმალიზაციის შესახებ. ამასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტმა 28 ივნისს მიღებულ განცხადებაში აღნიშნული დადგენილება მიიჩნია საქართველოს საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევად და ხაზი გაუსვა, რომ ამ დოკუმენტით ფაქტობრივად მხარდაჭერილია სეპარატიზმი, გამართლებულია მაისის ბოლოს აფხაზი ბოევიკების მიერ კაცობრიობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული, რაც საეჭვოს ხდის რუსეთის ფედერაციის ერთგულებას საერთაშორისო სამართლის, გაეროსა და ეუთოს ფუძემდებლური პრინციპებისადმი.

16-18 ოქტომბერს ათენში (საბერძნეთი) გაეროს ეგიდითა და ჟენევის საკოორდინაციო საბჭოს ჩარჩოებში ჩატარდა 1992-1993 წლების სამხედრო კონფრონტაციის შემდეგ ქართული და აფხაზური მხარეების ყველაზე წარმომადგენლობითი შეხვედრა. ქართული მხარის მონაწილეთა უმრავლესობას აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობისა და ხელისუფლების წარმომადგენლები შეადგენდნენ. მიჩნეულია, რომ ათენის შეხვედრამ გარკვეულად შეუწყო ხელი მხარეებს შორის ნდობის ატმოსფეროს შექმნის დაწყებას.

2-3 დეკემბერს ოსლოში (ნორვეგია) გამართულ ეუთოს მინისტრთა საბჭოს შეხვედრაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქართველოსთან დაკავშირებით. დოკუმენტში აისახა გალის რაიონში 1998 წლის მაის-ივნისში დატრიალებული ტრაგედია, გაეროს მიერ აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების თაობაზე მიღებული რეზოლუციები, ბუდაპეშტისა და განსაკუთრებით ლისაბონის ეუთოს სამიტების დეკლარაციები, რომლებშიც ხაზგასმულია საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

მინისტრებმა ხაზი გაუსვეს, რომ ჟენევის პროცესი აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების წამყვანი ფორმატია და რომ გაერო მთავარი პასუხისმგებელია ამ პროცესის წარმართვისათვის. მათ დაადასტურეს

ეუთოს მზადყოფნა გაეროს ძალისხმევისადმი მხარდასაჭერად და აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებაში უფრო აქტიური როლის შესასრულებლად.

1999 წლის 2 აპრილს დსთ-ის ქვეყნების სახელმწიფო მეთაურთა სამიტმა მიიღო გადაწყვეტილება „აფხაზეთში (საქართველო) კონფლიქტის მოწესრიგების მორიგი ნაბიჯების შესახებ," რომელმაც, როგორც ადრე მიღებულ ყველა გადაწყვეტილებამ, დაადასტურა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი პატივისცემა, დაუშვებლად მიიჩნია დევნილთა დაბრუნების გაჭიანურება აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე და გააფრთხილა აფხაზური მხარე, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში განხილულ იქნებოდა საკითხი სამშვიდობო ოპერაციის შინაარსისა და ხასიათის შეცვლის შესახებ გაეროს წესდების შესაბამისად.

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს და მომდევნო პერიოდში გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობა (მისი განსაკუთრებული როლის გათვალისწინებით) კვლავ საქართველოს ხელისუფლების ყურადღების ცენტრში რჩებოდა. ტრადიციად იქცა საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიური ბრძანებულებების მიღება კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ. 1995-1999 წლებში კოდორის ხეობასთან დაკავშირებით მიღებულ იქნა პრეზიდენტის 9 ბრძანებულება და განკარგულება. ხეობისადმი გამორჩეული ყურადღების დასტურია ისიც, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელობის წინადადებების გათვალისწინებით შემოღებულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობაში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულის თანამდებობა.

1996-1999 წლებში ინტენსიურად მუშაობდა აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი საპარლამენტო კომისია. გაიმართა 40 სხდომა, მათ შორის, 14 გაფართოებული, პარლამენტის კომიტეტების, სხვა კომისიების, ფრაქცია „აფხაზეთის", აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელთა მონაწილეობით. აფხაზეთთან დაკავშირებულ საკვანძო საკითხებზე მოსმენილ იქნა საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, საქართველოს საგარეო საქმეთა, თავდაცვის, ლტოლვილთა და განსახლების მინისტრების, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების მინისტრების მოადგილეების, აფხაზეთის დევნილი ხელისუფლების წარმომადგენელთა ინფორმაციები, მიღებულ იქნა 300-ზე მეტი გადაწყვეტილება და რეკომენდაცია. კომისიის 32 სხდომის გადაწყვეტილება, რეკომენდაცია და წინადადება მოხსენდა საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, სახელმწიფო მინისტრს, ზოგიერთი მათგანი გათვალისწინებულ იქნა უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ხასიათის სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადაწყვეტილებებში.

კომისიამ ამ პერიოდში გააკეთა 26 პოლიტიკური განცხადება, მრავალჯერ მიმართა საზოგადოებას, ქვეყნის მოსახლეობას.

აფხაზეთი და მასთან დაკავშირებული საკითხები სისტემატურად იხილებოდა ფრაქცია „აფხაზეთში.“ ტრადიციად იქცა აფხაზეთის პრობლემებთან დაკავშირებული დროებითი კომისიის და ფრაქცია „აფხაზეთის“ პერიოდული შეხვედრები დევნილებთან მათი მსხვილი განსახლების რეგიონებში (სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი), დევნილთა სოციალური დაცვის ღონისძიებების ორგანიზება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი სახელმწიფოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

აფხაზთა ლიდერის ვ. არძინბას მიერ 1999 წლის 1 მარტიდან გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების ცალმხრივად დაწყების გამოცხადებას საქართველოს ხელისუფლების მწვავე რეაქცია მოჰყვა. 5 მარტის განცხადებაში საქართველოს პარლამენტმა აღნიშნა, რომ სოხუმის ხელისუფლება სპეკულირებს დევნილთა უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით და ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს მათი გაუსაძლისი ყოფა, უსაფრთხოების დაცვის ელემენტარული მექანიზმის გარეშე შეიტყუოს ისინი რაიონში, როგორც დასაქირავებელი მუშახელი, ხოლო საერთაშორისო თანამეგობრობას ეს ქმედება ჰუმანიტარულ აქტად და კეთილი ნების დემონსტრირებად მოაჩვენოს.

სეპარატისტთა ლიდერების აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატეს გაეროს ლტოლვილთა უმაღლესმა კომისარიატმა, ჟენევის ფორმატით მოლაპარაკებებში მონაწილე საქართველოს მეგობარი ქვეყნების ჯგუფმა, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

1999 წლის 25 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე,“ რომლითაც ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს უფლებებით გაუთანაბრდა მოქალაქეთა დიდი ჯგუფი, რომელთა საქმიანობაც უშუალოდ იყო დაკავშირებული საბრძოლო მოქმედებებთან.

1999 წლის 6-7 ივლისს თბილისში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია-სემინარი „გენოციდისა და ეთნიკური წმენდის პოლიტიკა აფხაზეთში (საქართველო) – აგრესიული სეპარატიზმის მთავარი იარაღი“, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ მსოფლიოს 50-ზე მეტი წამყვანი ქვეყნების წარმომდგენლები. კონფერენციაზე გამოქვეყნებულ იქნა აფხაზეთში ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული ეთნიკური წმენდის და გენოციდის ფაქტების შესწავლისა და მასალების საერთაშორისო ტრიბუნალისათვის გადაცემის სახელმწიფო კომისიის დასკვნა.

20 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის სესიაზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ აღნიშნა, რომ მსოფლიო თანამეგობრობა მზად არ აღმოჩნდა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების მოწესრიგებისათვის. ბალკანეთში არსებული დაპირისპირებისაგან განსხვავებით აფხაზეთში კონფლიქტის თაობაზე მსოფლიო თანამეგობრობა ნაკლებად ინ-

ფორმირებულია. პრეზიდენტის განცხადებით, აღნიშნული კონფლიქტის მოწესრიგების უშედეგო ცდების მიზეზი ისაა, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს დონეზე, რომელსაც წესდებით ევალება მსოფლიოში უსაფრთხოების გარანტის როლის შესრულება, აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს ობიექტური შეფასება დღემდე არ მიეცა, მიუხედავად იმისა, რომ ეუთოს ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტების დასკვნით დოკუმენტებში აფხაზ სეპარატისტთა ქმედებები კვალიფიცირებულია, როგორც ეთნიკური წმენდა.

3 ოქტომბერს სეპარატისტულმა რეჟიმმა ჩაატარა რეფერენდუმი და მისი შედეგების საყოველთაო ფალსიფიკაციით გამოაცხადა ე.წ. ხალხის ნება აფხაზეთის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის შესახებ. რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, იმავე წლის 8 ოქტომბერს, აფხაზეთის ე.წ. სახალხო კრებამ-პარლამენტმა მიიღო აფხაზეთის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი.

აფხაზეთის რეჟიმის ეს ქმედება, რომელმაც კიდევ უფრო გააღრმავა დაპირისპირება დანარჩენ საქართველოსთან, დაგმეს გაერომ, ეუთომ, დსთ-ის ქვეყნებმა, რუსეთის ფედერაციამ, სხვა სახელმწიფოებმა, ჩათვალეს იგი უკანონოდ და ბათილად.

31 ოქტომბერს ქვეყანაში გამართულ საპარლამენტო არჩევნებში კვლავ გაიმარჯვა საქართველოს „მოქალაქეთა კავშირმა."

„საქართველოს პარლამენტის არჩევნების შესახებ" საქართველოს 1999 წლის 25 ივნისის კანონის შესაბამისად პარლამენტმა უფლებამოსილება გაუგრძელა აფხაზეთში 1992 წელს არჩეულ 12 დეპუტატს.

საპარლამენტო არჩევნებში „მოქალაქეთა კავშირთან" ბლოკში გაერთიანებული „აფხაზეთის განთავისუფლების პარტიის" ერთიანი სიით საქართველოს პარლამენტის წევრები გახდნენ თ. ნადარეიშვილი, დ. გვაძაბია, ჯ. ეზუგბაია, დ. ჯაიანი, რომლებიც გაერთიანდნენ ფრაქცია „აფხაზეთში" (თავმჯდომარე გ. ლომინაძე).

საქართველოს საგარეო პოლიტიკის წარმატებად არის მიჩნეული ეუთოს ქვეყნების მეთაურთა სტამბულის 1999 წლის 17-18 ნოემბრის სამიტი, რომელზედაც ხელი მოეწერა ევროპის ახალ ქარტიას ჩვეულებრივი შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე, ხელშეკრულებას დიდი ნავთობისა და გაზის საქართველოს გავლით ტრანსპორტირების შესახებ (საუკუნის პროექტი).

სამიტზე გამოიკვეთა ახალი მიდგომა აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგებასთან დაკავშირებით. ბუდაპეშტისა და ლისაბონის სამიტებზე დაყრდნობით კვლავ დაფიქსირდა აფხაზეთში ეთნიკური წმენდის განხორციელება. მიღწეულ იქნა რუსეთ-საქართველოს შეთანხმება საქართველოდან ვაზიანისა და გუდაუთის სამხედრო ბაზების 2001 წლის ივლისამდე გაყვანისა და სხვა ბაზების შესახებ მოლაპარაკების დაწყების თაობაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილებები ქმნიან ქვეყნის უშიშროების განმტკი-

ცების, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წინაპირობას, საქართველოს ევროპული და საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიებს.

ამრიგად, 1995-1999 წლებში აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგების საკითხმა მიიღო ინტერნაციონალური ხასიათი. საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევამ ქვეყნის შიგნით და გარეთ კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის საყოველთაო მხარდაჭერა მოიპოვა.

ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის, საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობის, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერების, ოპოზიციის წარმომადგენლების, ასევე აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელთა ერთსულოვანი და ენერგიული საქმიანობა საერთაშორისო ასპარეზზე (გაეროს მიერ 1995-1999 წლებში მიღებულია 10 რეზოლუცია, ეუთოს მიერ – 3 დოკუმენტი: ლისაბონის, სტამბულის სამიტებზე, ეუთოს მინისტრთა საბჭოს შეხვედრაზე ოსლოში, ევროკავშირის, დსთ-ის, ეუთოსა და დსთ-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეების სამუშაო ღონისძიებებში უშუალო მონაწილეობა); აგრეთვე ქვეყნის ხელმძღვანელთა ოფიციალური ვიზიტები მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში, ტერიტორიული მოწყობისა და სუვერენიტეტის განმტკიცების უზრუნველმყოფი შეთანხმებები, აგრესიული სეპარატიზმისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი პლატფორმის შემუშავება.

მრავალი სირთულისა და წინააღმდეგობის მიუხედავად XX საუკუნის ბოლო წლები საქართველოს ისტორიაში შევა როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძვლების აღორძინების, მისი განვითარებისათვის მყარი გარანტიების შექმნის, ქვეყნის ქაოსური მდგომარეობიდან გამოსვლისა და სტაბილიზაციის წლები. ხელისუფლებამ შეძლო ნგრევის პროცესის შეჩერება, წესრიგისა და კანონიერების დამყარება, საზოგადოებრივი ცნობიერების დასავლურ, დემოკრატიულ ფასეულობებზე გადაყვანა. შემოღებულ იქნა ქართული ეროვნული ვალუტა — ლარი და შენარჩუნებულ იქნა მისი სტაბილური კურსი, ქვეყანამ დაიწყო სახელმწიფო საზღვრის საკუთარი ძალებით გაკონტროლება, ხელი მოეწერა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის დიდი ნავთობისა და გაზსადენის პროექტებს, ამოქმედდა სუფსის ტერმინალი, შეიქმნა ქართული დემოკრატიის საკანონმდებლო საფუძვლები, მიღებულ იქნა ისეთი ფუნდამენტური აქტები, როგორიცაა სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული კოდექსები, დაიწყო რეფორმა სასამართლო სისტემაში და ეკონომიკაში.

კონფლიქტების მოწესრიგებისა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის საქართველოს ხელისუფლებაში, მის სტრუქტურებში, მთლიანად ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე ძალისხმევის მიუხედავად, სავსებით გასაგებია ფართო საზოგადოებრიობის, დევნილი მოსახლეობის, პოლიტიკური პარტიებისა და მოძრაობების სერიოზული უკმაყოფილება და

შეშფოთება აფხაზეთში კონფლიქტის მოგვარების პროცესში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. პრობლემის გადაწყვეტისათვის სახელმწიფო კურსი დღემდე არ იძლევა სასურველ შედეგებს, სამშვიდობო პროცესი ჩიხშია.

ამის შედეგად:

– აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედიიდან მრავალი წლის გასვლის შემდეგაც ვერ იქნა მიღწეული დევნილთა საკუთარ საცხოვრებელ ადგილებში უპირობო, უსაფრთხო და ორგანიზებული დაბრუნების დაწყება, თუნდაც, პირველ ეტაპად, გალის რაიონში.

– აფხაზური მხარის მიერ უგულებელყოფილია გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში, გენერალური მდივნის მოხსენებებში, ასევე ეუთოს, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტებში ჩამოყალიბებული მოთხოვნები და წინადადებები;

– შეუსრულებელი რჩება დსთ-ის ქვეყნების სახელმწიფო მეთაურთა სამიტების გადაწყვეტილებები, ნაკლებად ეფექტიანია დსთ-ის ეგიდით კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების საქმიანობა, რომლებიც არსებული მანდატის პირობებში ვერ უზრუნველყოფენ მათთვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას;

– სეპარატისტული რეჟიმი ჯიუტად ცდილობს პოლიტიკური მოწესრიგების პროცესის გაჭიანურება გამოიყენოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს მოსაწყობად, დემოკრატიულობის იმიჯის შესაქმნელად, ატარებს ე.წ. საპრეზიდენტო, საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებს, ლეგიტიმურობის უზრუნველსაყოფად მიმართავს ე.წ. ხალხის ნებას და ფალსიფიკაციაზე დაყრდნობით აცხადებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას.

ყოველივე ეს ხდება სეპარატისტული რეჟიმის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეროვნული ნიშნის მიხედვით ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების უხეში დარღვევის ფონზე. აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის ელემენტარულ უფლებათა ხელყოფის მკაფიო გამოხატულებაა გალის რაიონის სკოლებში ქართულ ენაზე სწავლების იძულებითი შეცვლა რუსულ ენაზე სწავლებით, ქონების პრივატიზაციის უკანონო ჩატარება, მოსახლეობის მძევლად მასიური აყვანა, მკვლელობები, გატაცებები, კრიმინალურ-კლანური მმართველობა, ეროვნული განსაკუთრებულობის პრეტენზიები.

აფხაზეთის რეჟიმის თვითნებობა მნიშვნელოვანწილად განპირობებულია იმითაც, რომ მსოფლიო თანაჰეგობრობას ჯერ კიდევ მთელი სისრულით არა აქვს გაცნობიერებული აფხაზეთში განხორციელებული გენოციდისა და მასობრივი ეთნიკური მკვლელობების სიმძიმე და მასშტაბები, რაც ტრაგედიის ორგანიზატორებსა და უშუალო შემსრულებლებს განუმტკიცებს დაუსჯელობის განწყობილებას.

სეპარატისტთა ლიდერები, აფხაზური ინტელიგენციის წარმომადგენლე-

ბი გამორიცხავენ ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში ქართულ მხარესთან დიალოგისა და კონსენსუსის გამონახვის შესაძლებლობას და მას ორი მეზობელი სახელმწიფოს ურთიერთობად განიხილავენ.

საგულისხმოა, რომ რეჟიმი ჯიუტად ეწინააღმდეგება ჟენევის ფორმატის საფუძველზე შექმნილ საკოორდინაციო საბჭოში და მის მუშა ჯგუფებში აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის წარმომადგენელთა მონაწილეობას მაშინ, როცა აფხაზური მხარე დღემდე აგრძელებს დელეგაციების დაკომპლექტებას ყველაზე რადიკალური ძალებით, მათ შორის, ქართული მოსახლეობის გენოციდსა და ეთნოწმენდაში მონაწილე პირებით.

საზოგადოებას, დევნილ მოსახლეობას მიაჩნია, რომ გარკვეულ ტრანსფორმაციას მოითხოვს საერთაშორისო სამხედრო მეთვალყურეთა საქმიანობა.

საერთაშორისო ექსპერტებსაც არ ეპარებათ ეჭვი, რომ აფხაზეთში დაბრუნებული და რეჟიმის ულელქვეშ მცხოვრები ქართველი და სხვა ეროვნების მოსახლეობის აუტანელი ყოფითი პირობები, შიში, შიმშილი, სიღატაკე, სამართლებრივი ქაოსი და კრიმინალური განუკითხაობა, უიმედობა და ნიჰილიზმი, აფხაზ ეთნოკრატთა დაუსჯელობის სინდრომი ქმნის ფონს სტიქიური წინააღმდეგობის მოძრაობის განვითარებისათვის, რომელსაც თან ახლავს მნიშვნელოვანი მსხვერპლი და ტრაგიკული შედეგები.

ბუნებრივია, რომ ქვეყანაში ბოლო დროს შექმნილი ეკონომიკური კრიზისი, ხელისუფლების სტრუქტურებში არსებული კორუფცია, შემწეობებისა და პენსიების გაცემის შეფერხება, გადაუწყვეტელი საბინაო და სასურსათო პრობლემები კიდევ უფრო ართულებს დევნილთა მდგომარეობას, ამძაფრებს ხელისუფლების მიმართ უკმაყოფილებას.

ამ ვითარებაში საქართველოს ხელისუფლებას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ აფხაზეთის პრობლემის მოწესრიგებაში გარღვევის მისაღწევად აუცილებელია არასტანდარტული ნაბიჯების გადადგმა, ქვეყნის საშინაო და საგარეო რესურსების მაქსიმალური მობილიზაცია. მომზადებულია დევნილთა დაცვის უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა, რათა საქართველოს მთავრობამ, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, აფხაზეთის ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ განახორციელონ ვითარების ადეკვატური დამატებითი გადაუდებელი ღონისძიებები დევნილთა ყოფითი პირობების, სოციალური და ეკონომიკური დაცვის გასაუმჯობესებლად, მოსახლეობის ფიზიკური გადარჩენის უზრუნველსაყოფად. მიმდინარეობს მუშაობა იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებისადმი ახალი მიდგომის საერთაშორისო პროგრამის შესამუშავებლად.

აფხაზეთში ტრაგიკული მოვლენების შემდგომ განვლილი წლების მიუხედავად ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ ეჭვი არავის არ ეპარება, რომ საქართველო არასოდეს შეურიგდება მისი ძირძველი მხარის – აფხაზეთის დაკარგვას, დევნილი მოსახლეობის ტანჯვასა და უბედურებას.

საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის 2000 წლის საარჩევნო

პროგრამაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ **„აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი კვლავ არის საქართველოს სახელმწიფოს ერთ-ერთი უპირველესი პრობლემა. საბოლოო ანგარიშით ამ პრობლემის გადაჭრა მოითხოვს შეწონაწორებულ მოქმედებას რამდენიმე მიმართულებით:**

1. უნდა გავაგრძელოთ ძალისხმევა პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრისათვის, უფრო აქტიურად ვიზრუნოთ, რათა საქართველოს მეგობარი ქვეყნები და საერთაშორისო სტრუქტურები (გაერო, ეუთო, დსთ და სხვა) უფრო ეფექტურად ჩაერთონ შერიგების პროცესში;

2. უნდა ვაწარმოოთ პირდაპირი მოლაპარაკება კონფლიქტის მონაწილე მხარეებთან. ჩვენ უნდა გამოვიჩინოთ ინიციატივა: საჭიროა აფხაზურ და ოსურ მხარეებს შევთავაზოთ სიტუაციის მოწესრიგების, საყოველთაო შერიგებისა და ერთად თანაცხოვრების კონკრეტული მოდელები. ეს უნდა იყოს მოდელი, რომელშიც სრულად იქნება გათვალისწინებული საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები და იმავდროულად უზრუნველყოფილი მყარი გარანტიები აფხაზი და ოსი ხალხებისათვის. ამ მხრივ მისასალმებელია გაეროს, ეუთოს და სხვა საერთაშორისო ინსტიტუტების ძალისხმევა. ლტოლვილთა დაბრუნების, ტერიტორიული მთლიანობის საკითხები იმდენად მომწიფდა, განსაკუთრებით საერთაშორისო თანამეგობრობაში, რომ მე ჩემს თავს უფლებას ვაძლევ, ვთქვა, შემდეგი ხუთი წელი იქნება საქართველოს გამთლიანების, იძულებით გადაადგილებულთა საკუთარ კერებში დაბრუნების წლები.

3. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მძლავრი ეკონომიკური პროგრესის ბაზაზე თანამედროვე ტიპის პროფესიული არმიის მშენებლობას, თუ საჭირო გახდა, სახელმწიფო ყოველთვის მზად უნდა იყოს იარაღით ხელში დაიცვას საკუთარი საარსებო ინტერესები.“

ავტორები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 343 გ
1989 წლის 14 მაისი, ქ. თბილისი

1. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი განსაკუთრებული მდგომარეობის გამო დაკმაყოფილდეს ქართველ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მიერ დაყენებული საკითხი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილიალის შექმნის შესახებ ქ. სოხუმში.

2. დაევალოს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს გამოყოს ფილიალისათვის შესაბამისი შენობა.

3. დაევალოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ამხ. ნ. ს. ამალლობელს ა.წ. 15 მაისიდან შეუდგეს ფილიალის ორგანიზაციას და აღადგინოს სასწავლო პროცესი ყველა ფაკულტეტზე.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს კონტროლი გაუწიოს ყველა დასმული საკითხის ოპერატიულ გადაწყვეტას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ქვილითაია

•

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
ქ. სოხუმის № 359 კალინინის საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

ამხ. **ო. გ. ზუხბაიას** მიერ დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ პირად განცხადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე ჩაითვალოს ვადამდე შეწყვეტილად ქ.

სოხუმის № 359 კალინინის საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. **ოთარ გიორგის ძე ზუხბაიას** უფლებამოსილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 22 მაისი.

◆

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 515
1989 წლის 20 ოქტომბერი, ქ. თბილისი
აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის კოლექტივების ერთობლივი მიმართვის შესახებ

„აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის იანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, რომელმაც განიხილა აფხაზეთის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის კოლექტივების ურთიერთშეთანხმებული მიმართვა, **ადგენს:**

1. მოიწონოს და ხელი შეუწყოს საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროს, აფხაზეთის ა.მ.გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის საქმიანობას უმაღლესი სასწავლებლების შეერთების, სასწავლო პროცესის აღდგენისა და მისაღები გამოცდების ჩატარების თაობაზე საბოლოო შეთანხმების მისაღწევად.

წამოჭრილი პრობლემების გადაწყვეტის საუკეთესო საშუალებად მიჩნეულ იქნეს კონსტრუქციული მოლაპარაკებანი უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა, სამეცნიერო საზოგადოების, ინტელიგენციისა და სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომადგენელთა მონაწილეობით და ყველა მხარის მოსაზრებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

2. დაევალოთ აფხაზეთის ა.მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმ-

წიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ხელმძღვანელობას საქართველოს სსრ საბალხო განათლების სამინისტროსთან ერთად განაგრძონ მოლაპარაკება გაერთიანების ურთიერთმისაღები ვადის დასადგენად და წარმოუდგინონ შესაბამისი წინადადება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

უმაღლესი სასწავლებლების შეერთება უნ და განხორციელდეს არა უგვიანეს ახალი სასწავლო წლის დამდეგისა.

უმაღლესი სასწავლებლების შეერთების შემდეგ ძალადაკარგულად ჩაითვალოს აღნიშნულ საკითხზე ადრე მიღებული ყველა გადაწყვეტილება.

3. საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტრომ (ამხ. ენუქიძე) კვლავაც აქტიური დახმარება აღმოუჩინოს აფხაზეთის ა.მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალს დაწყებული მუშაობის წარმატებით დასამთავრებლად, მიიღოს ჯეროვანი ზომები სასწავლო პროცესის ნორმალიზაციისათვის აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ყველა უმაღლეს სასწავლებელში.

4. აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ (ამხ. ანჩაბაძე) უზრუნველყოს სასწავლო პროცესის განახლება და მისაღები გამოცდების ჩატარება 1989/90 სასწავლო წელს. დროულად გადაწყვიტოს წამოჭრილი საკითხები, აქტიურად ჩააბას მათს განხორციელებაში აფხაზეთის ასსრ და საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებანი.

საქართველო სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ნ. ჭითანავა

საქართველოს სსრ მინისტთა საბჭოს საქმეთა მმართველი
ზ. მახარაძე

◆

თავი II

1990 წელი

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეებისათვის საკვალიფიკაციო კლასის მინიჭების შესახებ

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოების მოსა-

მართლეთა საკვალიფიკაციო დებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

პირველი საკვალიფიკაციო კლასი მიენიჭოთ:

მეჯიტ მუსტაფას ძე **არგუნს,** აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს;

ვაჟა ნოჩოს ძე **კვარაცხელიას,** აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს;

იური ნესტორის ძე **ენალდიევს,** სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეს;

ავთანდილ ივანეს ძე **კალმახელიძეს,** თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 18 ივლისი.

◆

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში საკითხების შესასწავლად კომისის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭო **ადგენს:**

შეიქმნას კომისია აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივ გარანტიებთან დაკავშირებით წამოჭრილ საკითხებზე.

დაევალოს კომისიას სპეციალისტების, მეცნიერების, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით ზემოაღნიშნული საკითხების თაობაზე შეიმუშაოს წინადადებები და წარუდგინოს საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 ივლისი.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
ი.პ.კარდაშიდისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

საგარეო ვაჭრობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ სავაჭრო-სამრეწველო პალატის საწარმოო სამეურნეოანგარიშიანი ფირმა „აფხაზვნეშსერვისის“ დირექტორს **ივანე პავლეს ძე კარდაშიდის** მიენიჭოს „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე გ. გუმბარიძე.
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ვ. კვარაცხელია

თბილისი, 1990 წლის 27 ივლისი.

◆

საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილების შესახებ

განიხილა რა საკითხი აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო სუვერენიტეტის დეკლარაციისა და აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივი გარანტიების შესახებ დადგენილების მიღების თაობაზე საქართველოს უზენაესი საბჭო თვლის, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები საქართველოს სსრ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შეცვლის სამართლებრივი თვალსაზრისით უსაფუძვლო ცდაა და საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციების უხეშ დარღვევას წარმოადგენს.

ამასთან, საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს სრულიად მიუღებლად მიაჩნია რესპუბლიკის სუვერენული უფლებების და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობისა და ტერიტორიული მთლიანობის კონსტიტუციური უფლებების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება სესიის ჩატარების წესის დარღვევით, ანტიდემოკრატიული მეთოდების გამოყენებითა და დეპუტატთა მთელი კორპუსის აზრის გაუთვალისწინებლად, აფხაზეთის ასსრ მთელი მოსახლეობის ნების გამოხატულების უგულებელყოფით.

ასეთი მოქმედება და გადაწყვეტილებები, რომლებიც აყალბებენ ისტორიულ ფაქტებსა და თანამედროვეობის პოლიტიკურ რეალიებს, ზიანს აყენებს ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკის ხალხების ინტერესებს, ეროვნებათაშორის ურთიერთობებს, ართულებს დემოკრატიზაციის პროცესებს და სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბებას, სადაც აფხაზი ხალხის ინტერესები, ისევე როგორც რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის ინტერესები კანონით იქნება გარანტირებული და დაცული.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს დეკლარაცია და დადგენილება გამოცხადდეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 26 ივლისის დადგენილებით შექმნილმა კომისიამ, რომელიც სწავლობს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მიერ დაყენებულ ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფოებრიობის დაცვის სამართლებრივ გარანტიებთან დაკავშირებულ საკითხებს სპეციალისტების, მეცნიერების, საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მონაწილეობით უახლოეს დროში მოამზადოს წინადადებები საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის განსახილველად.

საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე გ. გუმბარიძე
საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის
მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1990 წლის 26 აგვისტო.

•

თავი III

1991 წელი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ

აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს უფლებამოსილების ვადა ფაქტობრივად დაუმთავრდა 1990 წლის 25 თებერვალს.

„საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ცვლილებებისა და დამატებების შესახებ საქართველოს სსრ კანონის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე“ საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1989 წლის 18 ნოემბრის დადგენილებით აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს თავისი უფლებამოსილება შეუნარჩუნდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნებამდე.

1990 წლის 4 დეკემბრის კანონის რედაქციით ჩამოყალიბებული აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლის შესაბამისად აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს უფლებამოსილების ვადის გაგრძელება დაშვებულია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში არა უმეტეს 6 თვისა.

მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს არ გაუგრძელებია თავისი უფლებამოსილების ვადა, არ მიულია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნების კანონი და შესაბამისად არც აფხაზეთის უზენაესი საბჭოს არჩევნები დაუნიშნავს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს:

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნები ჩაატაროს არა უგვიანეს 1991 წლის 1 ოქტომბრისა;

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 75-ე მუხლის შესაბამისად გააგრძელოს თავისი უფლებამოსილების ვადა ა\წლის 15 მარტამდე.

2. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით ავტონომიურ რესპუბლიკათა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების უფლებამოსილების ვადა განისაზღვრა ხუთი წლით, ხოლო აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭო ექვს წელზე მეტია მოქმედებს, ამ დადგენილების პირველი მუხლის შეუსრულებლობა გამოიწვევს აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ახლანდელი შემადგენლობის უფლებამოსილების შეწყვეტას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

•

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

როგორც ცნობილი გახდა, მიმდინარე წლის 22-23 თებერვალს აფხაზეთის ასსრ გულრიფშის რაიონში სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინ-

ისტროს სანატორიუმში სარეაბილიტაციო-სამშენებლო სამუშაოების ჩატარების საბაბით რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოვიდა საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების 250 ჯარისკაცი სრული საბრძოლო ეკიპირებით.

აღნიშნული ჯარის ნაწილების შემოყვანა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოხდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დაუკითხავად. როგორც ირკვევა, ეს არ იცოდა არც აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ და არც შინაგან საქმეთა სამინისტრომ.

ამ ფაქტთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის ნაწილების შემოყვანა მოხდა სსრ კავშირის კანონმდებლობის უხეში დარღვევით და საქართველოს რესპუბლიკის სუვერენული უფლებებისა და ტერიტორიული უზენაესობის სრული უგულებელყოფით.

აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, შინაგანი ჯარის ნაწილების შემოყვანისათვის არავითარი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს. „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დროს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების უფლებამოვალეობების შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-3 მუხლის თანახმად სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების გამოყენება ხდება საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის და საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევების აღკვეთის მიზნით. ამგვარ მოვლენებს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ადგილი არა აქვს. მოქმედი კანონმდებლობა კი შინაგანი ჯარების გამოყენებას სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად არ ითვალისწინებს, ასეთ სამუშაოებს ახორციელებენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციები. დარღვეულია აგრეთვე ამავე მუხლით განსაზღვრული წესი, რომლის მიხედვით შინაგანი ჯარების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მოთხოვნით ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თანხმობით, შესაბამისი მოკავშირე ან ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან ერთად შესაბამისი სავალდებულო განხილვით, ანდა სსრ კავშირის პრეზიდენტის ბრძანებულების შესაბამისად. როგორც ჩანს, სსრ კავშირის ხელმძღვანელობა მტკიცედ დაადგა არა მარტო სუვერენული რესპუბლიკების უფლებათა შელახვის, არამედ საკუთარი კანონების იგნორირების გზას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს მიაჩნია, რომ აფხაზეთის

ასს რესპუბლიკაში შინაგანი ჯარის ნაწილების შემოყვანა არის დესტრუქციული ძალების მორიგი პროვოკაცია, რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს ამ რეგიონში და მთლიანად რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო პროტესტს გამოთქვამს მომხდარი ფაქტის გამო და მოითხოვს, რომ სსრ კავშირის პრეზიდენტმა აღკვეთოს იმ თანამდებობის პირთა თვითნებობა, რომელთა უკანონო გადაწყვეტილებით შინაგანი ჯარის ნაწილები შეყვანილ იქნა საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამასთანავე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მოითხოვს, დაუყონებლივ იქნეს გაყვანილი შინაგანი ჯარის ეს ნაწილები საქართველოს ტერიტორიიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა ამ აქციის შედეგებისათვის უკანონოდ მოქმედ მხარეს დაეკისრება.

მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პირველი მოწვევის პირველი სესიის სხდომაზე

თბილისი, 1991 წლის 27 თებერვალი.

•

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ განხორციელებული ქ. გაგრისადმი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული ბზიფის სასოფლო საბჭოს სადაბო საბჭოდ გარდაქმნის დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1991 წლის 28 თებერვალს განხორციელებული ქ. გაგრისადმი ადმინისტრაციულად დაქვემდებარებული ბზიფის სასოფლო საბჭოს სადაბო საბჭოდ და სოფელ ბზიფის დაბა ბზიფად გარდაქმნა.

საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ა. ასათიანი

თბილისი, 1991 წლის 18 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
1991 წლის 19-21 აგვისტოს მოვლენების დროს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, აფხაზეთის კპ რესპუბლიკური კომიტეტის, ყოფილი სამხრეთ ოსეთის კპ საოლქო კომიტეტისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა გაუქმებული საბჭოს თვითმარქვია აღმასრულებელი კომიტეტის მოქმედებათა შესახებ

1991 წლის 19-21 აგვისტოს სსრ კავშირში ადგილი ჰქონდა თვით სსრკ კონსტიტუციის უხეში დარღვევით მომხდარ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას, რასაც მოჰყვა სსრკ ხელისუფლების მიერ შექმნილ ჯაშუშურ ორგანიზაციათა გააქტიურება სსრკ მოსაზღვრე სუვერენულ სახელმწიფოებში. ასეთ მოქმედებებს მოჰყვა კონსტიტუციური სახელმწიფო წყობილების დამხობის მიზნით პირდაპირი სამხედრო ჩარევა და ჩარევის მცდელობა ბალტიის სახელმწიფოებში და საქართველოში.

საქართველოს კომპარტიის რესპუბლიკური (საქართველოს, აფხაზეთის ასსრ) და ე.წ. სამხრეთ ოსეთის საოლქო ორგანოების განცხადებები, რომლითაც ისინი მხარს უჭერენ სსრკ-ში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ორგანიზატორ დამნაშავეთა ჯგუფს, ფაქტობრივად წარმოადგენენ პირდაპირ მიმართვას სხვა სახელმწიფოს უკანონო ხუნტისადმი სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში სამხედრო ჩარევის მოთხოვნით, რისი მიზანიც იყო კონსტიტუციური წყობილების დამხობა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა.

ცალკე უნდა აღინიშნოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა გაუქმებული საბჭოს თვითმარქვია აღმასრულებელი კომიტეტის „საქმიანობა". როგორც ცნობილია, უკვე რვა თვეა, რაც დამნაშავეთა ამ ჯგუფმა სსრკ შეიარაღებული ძალების უკანონო მხარდაჭერით მიითვისა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების ფუნქცია შიდა ქართლის ტერიტორიის ერთ ნაწილზე, რის გამოც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ და პრეზიდენტმა არაერთხელ მიმართეს პროტესტით სსრ კავშირისა და მსოფლიოს შესაბამის ორგანოებს. სსრკ „კომპეტენტური" ორგანოების დანაშაულებრივი მოქმედებების გამო ეს უკანონობა დღემდე გრძელდება, ხოლო ამ პირებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს, რას წარმოადგენენ, როდესაც სრული მხარდაჭერა გამოუცხადეს ე.წ. სსრკ საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. აიკრძალოს საქართველოს კომუნისტური პარტია და საქართვე-

ლოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი მოქალაქეთა ყველა კომუნისტური გაერთიანება, შეწყდეს მათი ორგანოების ფუნქციონირება.

2. ნაციონალიზებულ იქნეს საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი მოქალაქეთა ყველა კომუნისტური გაერთიანების ქონება და იგი გამოცხადდეს საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად.

3. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უზრუნველყოს საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი მოქალაქეთა ყველა კომუნისტური გაერთიანების ქონებისა და ფულადი სახსრების მიღება-ჩაბარება.

4. საქართველოს რესპუბლიკის ბანკებმა შეაჩერონ საქართველოს კომუნისტური პარტიისა და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი მოქალაქეთა ყველა კომუნისტური გაერთიანების, მათი პირველადი, რაიონული, საქალაქო, საოლქო, აგრეთვე მათდამი დაქვემდებარებული სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების ანგარიშსწორების (მიმდინარე) ანგარიშებიდან ყოველგვარი ოპერაციები.

5. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ განიხილოს და გადაწყვიტოს იმ პირთა იურიდიული პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც 1991 წლის 19-21 აგვისტოს სსრ კავშირში მიმდინარე მოვლენების დროს საქართველოს რესპუბლიკის მიმართ ჩაიდინეს კანონსაწინააღმდეგო მოქმედებები.

6. შეჩერდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოში საქართველოს კომპარტიისაგან არჩეულ დეპუტატთა უფლებამოსილება; სამანდატო და დეპუტატის ეთიკის კომისიამ მოამზადოს და სესიის მომდევნო სხდომაზე დააყენოს ამ დეპუტატების უფლებამოსილების საკითხი.

7. არ დაიშვას მოქალაქეთა დევნა ან დისკრიმინაცია მათი კომუნისტური პარტიის წევრობის გამო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი

თბილისი, 1991 წლის 26 აგვისტო.

◆

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულება „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილების მოქმედების შეჩერების თაობაზე

1991 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამ-

სახურის შექმნის შესახებ", რომლის სტრუქტურის, შტატებისა და საქმიანობის საკითხები შეუთანხმა სსრკ საბაჟო კომიტეტს.

პრეზიდიუმის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 15 სექტემბრის კანონს „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ", რომელიც ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას არ მიაკუთვნებს საბაჟო სამსახურების შექმნას; ეწინააღმდეგება აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 82-ე მუხლს, რომლის თანახმადაც საქართველოს რესპუბლიკის კანონები სავალდებულოა და თანაბარი ძალით მოქმედებენ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიებზე.

გარდა ამისა, პრეზიდიუმმა დაარღვია აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 103-ე მუხლი, რომელიც არ ანიჭებს მას კანონმდებლობითი ხასიათის გადაწყვეტილებათა მიღების უფლებას. ამით პრეზიდიუმმა გადააჭარბა თავის უფლებამოსილებას.

ზემოთქმულის საფუძველზე, ვხელმძღვანელობ რა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 121.4 მუხლის მე-13 პუნქტით, **ვადგენ:**

შეჩერდეს მოქმედება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილებისა „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ", რომელიც ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, ასევე აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია

თბილისი, 1991 წლის 8 ოქტომბერი.

•

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ" აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილების თაობაზე

1991 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ" მისი სტრუქტურის, შტატებისა და საქმიანობის საკითხების სსრ კავშირის საბაჟო კომიტეტთან შეთანხმებით.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ეს დადგენილება ეწინააღმდეგება „საქართველოს რესპუბლიკის საბაჟოს შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 15 სექტემბრის კანონს, რომელიც არ ითვალისწინებს ავტონომიურ რესპუბლიკებში რესპუბლიკურ საბაჟო სამსახურების შექმნასა და ამ საკითხების გადაწყვეტას ავტონომიური რესპუბლიკების გამგებლობას არ მიაკუთვნებს.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ზემოაღნიშნული დადგენილება ეწინააღმდეგება აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 82-ე მუხლს, რომლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის კანონები სავალდებულოა და ერთიანი ძალა აქვთ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიაზე.

აღსანიშნავის, რომ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამ დადგენილების მიღებისას გადაამეტა აგრეთვე თვით აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 103-ე მუხლით დადგენილ უფლებამოსილებას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილების მოქმედება შეჩერებულია, რადგან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და კანონებს.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო უზრუნველყოფს საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობას საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, ხოლო ამავე მუხლის 24-ე პუნქტის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო კონტროლს უწევს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის დაცვას და უზრუნველყოფს იმას, რომ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციები და კანონები შეესაბამებოდეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციასა და საქართველოს რესპუბლიკის კანონებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. ცნობილ იქნეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემბრის დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ“, რადგანაც იგი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, საქართველოს რესპუბლიკის კანონებსა და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციას.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს გააუქმოს აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 27 სექტემ-

ბრის დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკური საბაჟო სამსახურის შექმნის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
აკაკი ასათიანი

თბილისი, 1991 წლის 8 ოქტომბერი.

•

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
„აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“
აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა და „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის იურისდიქციაში გადასვლის ღონისძიებათა შესახებ“ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 22 ოქტომბრის დადგენილების მოქმედების შეჩერების თაობაზე

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება „აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“. ამასთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ 1991 წლის 22 ოქტომბერს მიიღო დადგენილება „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის იურისდიქციაში გადასვლის ღონისძიებათა შესახებ“. მინისტრთა საბჭოს ამავე დადგენილებით დამტკიცდა შესაბამისი დებულებანი და შეიქმნა სამუშაო კომისია, რომელსაც დაეკისრა მოვალეობა ამ მიმართულებით მუშაობის კოორდინაციის განსახორციელებლად.

დებულება ითვალისწინებს აფხაზეთის სახელმწიფო საკუთრებაში საწარმოთა და ორგანიზაციათა უსასყიდლო გადაცემას, რომლებიც ამ გზით გადადის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იურისდიქციაში.

უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ეს დადგენილება და მისგან გამომდინარე აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება უკანონოა და უთუოდ უნდა გაუქმდეს შემდეგ საფუძვლებზე:

დადგენილებათა მიღება, რომლებიც არეგლამენტირებენ საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა გადასვლას მათი ადგილმდებარეობის მიუხედავად აფხაზეთის იურისდიქციაში, სცილდება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის უფლებამოსილებათა ფარგლებს;

დარღვეულია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის დებულებანი, რომელთა შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების ფლობასთან, გამოყენებასა და განკარგვასთან დაკავშირებულ საკითხებს წყვეტენ მისი ხელისუფლებისა და მართვის ორგანოები საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსთან და მთავრობასთან შეთანხმებით.

ზემოთქმულის საფუძველზე **ვადგენ:**

1. შეჩერდეს „აფხაზეთის სუვერენიტეტის ეკონომიკური საფუძვლების უზრუნველყოფის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა და „აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა და ორგანიზაციათა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის იურისდიქციაში გადასვლის ღონისძიებათა შესახებ“ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 22 ოქტომბრის დადგენილების მოქმედება და მიჩნეულ იქნეს ისინი იურიდიული ძალის არმქონედ.

2. წინადადება მიეცეს ახლად არჩეულ აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოს დაუბრუნდეს ამ საკითხის განხილვას.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზ. გამსახურდია

თბილისი, 1991 წლის 24 ოქტომბერი.

•

მ ი მ ა რ თ ვ ა
აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს

პატივცემულო აფხაზეთის ასსრ
უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებო!

დღეს ჩვენ ყველანი ვიმყოფებით იმ ისტორიულ მიჯნაზე, როცა თითოეულმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, თითოეულმა მოქალაქემ, რომელიც გრძნობს პასუხისმგებლობას თავისი ხალხის, თავისი სახელმწიფოს ბედისათვის, უნდა გააკეთოს მტკიცე არჩევანი – ან იგი თავის პროფესიულ ცოდნას, ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ავტორიტეტს წარმართავს რეს-

პუბლიკაში შექმნილი ვითარების ნორმალიზაციისათვის, ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს დეზორგანიზაციის გამომწვევი კონფრონტაციის დასაძლევად, ან მხარს უჭერს დესტრუქციული ძალების უპასუხისმგებლო მოქმედებას, რომლებიც ეწევიან, არსებითად, ბრძოლას ძალაუფლებისათვის, ყველაზე ნაკლებად ზრუნავენ საქართველოს მრავალეროვნული მოსახლეობის ჭეშმარიტი ინტერესებისათვის.

წარმოუდგენლად რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, რომელიც ახასიათებს ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელ დღეს, მნიშვნელოვანი მოვლენა გახდა აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნები. არჩევნებმა გვიჩვენა, რომ ხალხების კეთილ ნებას შეუძლია გამოაღვიძოს გონება, ხელს უწყობს გამონახონ ოპტიმალური გადაწყვეტილებანი, რომლებიც საშუალებას იძლევიან უთანხმოების, უნდობლობის დაძლევის, სხვადასხვა თვალსაზრისთა დასაახლოებლად ვარიანტების ძიების გზას ჩვენი ხალხების მომავლისათვის, მათი მშვიდობიანი ერთობლივი ცხოვრებისათვის.

ამავე დროს აფხაზეთიდან მოსული ინფორმაცია მოწმობს, რომ კვლავ ფეხქვეშ თელავენ ავტონომიური რესპუბლიკის მცხოვრებთა უდიდესი უმრავლესობის მოქალაქეობრივ უფლებებს, დისკრიმინაციას უწევენ მათ. უწინარესად - პოლიტიკურ დარგში; უგულებელყოფენ საქართველოს რესპუბლიკის კანონებსა და კონსტიტუციას, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციას. ეს პროცესები იწვევს სერიოზულ შეშფოთებას, რადგან ეწინააღმდეგება ჩვენი ხალხების ძირეულ ინტერესებს, ხელს უშლის იმ საარსებოდ მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტას, რომლებიც ხელს უწყობს ურთიერთგაგების აღდგენას, ჩვენი სახელმწიფოს ერთიანი ეკონომიკური კომპლექსის ნორმალური ცხოველმოქმედების აღორძინებას. სამწუხაროდ, ვითარების სტაბილიზაციის მიზნებს ეწინააღმდეგება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ზოგიერთი გადაწყვეტილებაც, რომლებიც საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციების თვითნებური აღრევის შედეგია. განსაკუთრებით შემაშფოთებელია აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობაში საკანონმდებლო ნორმების საშიში უგულებელყოფა, რასაც შეიძლება სერიოზული კონფრონტაცია მოჰყვეს.

ამ პასუხსაგებ მომენტში საჭიროდ მიმაჩნია აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს დაჟინებით მოვუწოდო მთელი თავიანთი ძალები მოახმარონ ავტონომიურ რესპუბლიკაში მდგომარეობის სტაბილიზაციის პირველი ყლორტების მხარდაჭერას, სხვადასხვა საზოგადოებრივი ძალების შეკავებას, რათა არ გადადგან მოუზომელი ნაბიჯები, რომლებსაც შეიძლება შორს გამიზნული შედეგები მოჰყვეს, პოლიტიკური და სამართ-

ლებრივი რეალიების საღ შეფასებას საქართველოს რესპუბლიკის, კერძოდ აფხაზეთის მშვიდობის უზრუნველყოფისა და აყვავების საკეთილდღეოდ.

უნდა შეგახსენოთ წინათ გამოთქმული აზრი, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მომავალი პარლამენტის კანონიერ საფუძველზე ჩამოყალიბება დიდმნიშვნელოვანი პირობაა ახალ სიტუაციაში ავტონომიის უფლებათა რეალური შინაარსით გამდიდრების საკითხის გადასაჭრელად.

მე მოვუწოდებ მოქალაქეობრივი თანხმობისა და თანამშრომლობისათვის თითოეულს, ვისაც ამოძრავებს რეალიზმისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, ვინც მზად არის შეკავშირდეს და იმუშაოს ჩვენი საერთო სახლის, ჩვენი რესპუბლიკის კეთილდღეობისათვის, საკითხებისა და პრობლემების სამართლიანი გადაჭრისათვის, რომლებიც არ ბღალავს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა კანონიერ უფლებებსა და ინტერესებს.

მომავალი თაობა არ გვაპატიებს, თუ არ შევიგნებთ, რომ ნორმალური ცხოვრების ერთადერთი გზაა ჩვენი სახელმწიფოს მთელი შეგნებული, კონსტრუქციული ძალების შეკავშირება, ნამდვილი ძმობა და გულწრფელი მეგობრობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი
ზვიად გამსახურდია

თბილისი, 1991 წლის 24 ოქტომბერი.

•

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 26 ნოემბრის დადგენილების შესახებ

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1991 წლის 26 ნოემბერს მიიღო დადგენილება „სამობილიზაციო რეზერვების მდგომარეობისა და აფხაზეთში ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ".

დადგენილებაში გათვალისწინებულია: სსრკ სამობილიზაციო რესურსების დაგროვებისა და განმტკიცების, აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებულ საბჭოთა არმიის ნაწილებსა და ქვედანაყოფებში ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის ნორმები, რაც გულისხმობს უცხო სახელმწიფოს სამხედრო ფორმირებების შექმნას და გამოიწვევს აფხაზეთის ასსრ-ში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციას, კონფრონტაციას.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ეს აქტი აშკარად ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციას, საქართვე-

ლოს რესპუბლიკის 1991 წლის 9 სექტემბრის ბრძანებულებას „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ“, რომლითაც საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის ფორმირება დავალებული აქვს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1990 წლის 28 დეკემბრის დადგენილებას „კანონით გაუთვალისწინებელი შეიარაღებული ფორმირებების აკრძალვის შესახებ“, აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციას, რომელშიც არ არის გათვალისწინებული საბჭედრო სამსახური აფხაზეთში და რომელიც აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმს არ ანიჭებს ასეთი საკითხების გადაწყვეტის უფლებას.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 104-ე მუხლის 24-ე პუნქტის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1991 წლის 26 ნოემბრის დადგენილება „სამობილიზაციო რეზერვების მდგომარეობისა და აფხაზეთში ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ“ ჩაითვალოს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ, რადგან იგი ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის და აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციებს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნემო ბურჭულაძე

თბილისი, 1991 წლის 3 დეკემბერი.

◆

თავი IV

1 9 9 2 წ ე ლ ი

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოში პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების მოსვლის დღიდან მძვინვარებს დიქტატორული რეჟიმი. უხეშად ირღვევა ადამიანთა უფლებები, შეგნებულად ჩაიდება ერთაშორისი შუღლი.

ოპოზიციის წარმომადგენელთა მრავალგზის მოწოდებებმა, რომ ხელისუფლებას ვითარების ნორმალიზაციის მიზნით ეწარმოებინა დიალოგი

საკუთარ ხალხთან და ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან, შედეგი ვერ გამოიღო.

პრეზიდენტის ბრძანებით მისმა ერთგულმა ლაქიებმა რამდენჯერმე ცეცხლი გაუხსნეს მშვიდობიან მოსახლეობას. დაიღვარა სისხლი.

რჩებოდა ერთადერთი გზა ერის გადარჩენისა და ქვეყანაში მშვიდობის დამყარებისა – არსებული რეჟიმის დამხობა შეიარაღებული გზით.

საქართველოში დიქტატორული რეჟიმის დამხობის მთავარი მიზანია მმართველობის დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბება და ქვეყნის ყველა მოქალაქისათვის ჭეშმარიტი თავისუფლების გარანტიების შექმნა. აღნიშნულთან დაკავშირებით უკვე დაიწყო მოქმედება საკონსულტაციო პოლიტიკურმა ორგანომ („საკოორდინაციო საბჭო"), რომელშიც გაერთიანდნენ ყველა პოლიტიკური პარტიისა და ორგანიზაციის წარმომადგენლები. აქვე დავძენთ, რომ საკოორდინაციო საბჭოს კარი ღიაა გამსახურდიას რეჟიმის დროის პოლიტიკური ბლოკის პარტიებისა და ორგანიზაციებისათვისაც. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ დიქტატორი.

საბჭო შეუდგა დემოკრატიული პრინციპების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მოწყობის პროგრამის შემუშავებას, უშუალოდ მონაწილეობს დროებითი მთავრობის ფორმირების პროცესში, აგრეთვე მუშაობს ახალი საპარლამენტო არჩევნების მომზადებისა და მისი სათანადოდ მაღალ დონეზე ჩატარების ორგანიზებისთვის.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო აცხადებს, რომ დროებითი მთავრობის შექმნისთანავე სრული ძალაუფლება გადაეცემა პრემიერ-მინისტრსა და მის კაბინეტს.

თბილისი, 1992 წლის 2 იანვარი.

◆

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მ ი მ ა რ თ ვ ა საქართველოს მოსახლეობისადმი

1992 წლის 2 იანვრიდან პრეზიდენტ გამსახურდიას მიერ უზურპირებული ხელისუფლება დამხობილია. საქართველოში ძალაუფლებას ხელში იღებს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო. სამხედრო საბჭომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე დროებით შეაჩერა კონსტიტუციის მოქმედება და დაითხოვა პარლამენტი.

საქართველოს სახელმწიფო მართვის ყველა სტრუქტურა ემორჩილება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს.

პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი გადაყენებულია თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შესრულება დროებით დაევალა ბატონ თენგიზ სიგუას.

პოლიტიკურ პარტიებს მიეცათ წინადადება შექმნან საკონსულტაციო დარბაზი, რომელიც მოამზადებს ახალ საპარლამენტო არჩევნებს და შეიმუშავებს საქართველოს პოლიტიკური განვითარების პროგრამას. დარბაზში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში მოქმედ ყველა პოლიტიკურ პარტიასა და ორგანიზაციას, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, აგრეთვე კერძო პირებს, რომელთა მოწვევასაც დარბაზი მიზანშეწონილად ჩათვლის.

1992 წლის 3 იანვრის 0 საათიდან ქალაქ თბილისში ცხადდება საგანგებო მდგომარეობა.

სამხედრო საბჭო იქვემდებარებს რესპუბლიკის სამართალდამცავ და ადმინისტაციულ ორგანოებს და ავალებს მათ საგანგებო მდგომარეობის პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე ხელი შეუწყონ მშვიდობის დამყარებასა და ვითარების სტაბილიზაციას.

მთავრობის კაბინეტის ჩამოყალიბებისთანავე სამხედრო საბჭო მოიხსნის უფლებამოსილებას და ძალაუფლებას გადასცემს მთავრობას.

სამხედრო საბჭოს სახელით:

თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი

თბილისი, 1992 წლის 2 იანვარი.

•

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს ბრძანება

1992 წლის იანვრიდან საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე გაუქმებულ იქნას პრეფექტურები. დროებით შეჩერებული იქნას ყველა დონის საკრებულოთა საქმიანობა.

ადგილებზე მთელი ძალაუფლება გადაეცეს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დროებით საგანგებო რწმუნებულებს.

მოქალაქეები, რომლებიც ჩაიდენენ ქმედებას, მიმართულს სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებათა საბოტაჟისაკენ, პასუხს აგებენ სამხედრო მდგომარეობის პირობებში მოქმედი კანონების მიხედვით.

თბილისი, 1992 წ. 4 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს დეკლარაცია

საქართველოს რესპუბლიკის ფუძემდებელი სახელმწიფოებრივი დოკუმენტებია: „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“, გამოცხადებული საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ 1918 წლის 26 მაისს და „საქართველოს კონსტიტუცია“, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, აგებული ამ დოკუმენტებსა და 1918-1921 წლებში მიღებულ სხვა სამართლებრივ აქტებში ჩამოყალიბებულ პრინციპებზე, დე-ფაქტო და დე-იურე სცნო ერთა ლიგამ, მასში შემავალმა წამყვანმა სახელმწიფოებმა.

საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება განისაზღვრა "მუდმივ და შეუწყვეტლივ" (თავი პირველი, ზოგადი დებულებანი, მუხლი 10). მისი მიღების შემდეგ საქართველოს პარლამენტს არ დაუდგენია საკანონმდებლო აქტით კონსტიტუციის გაუქმება ან შეჩერება, ამგვარი დადგენილების მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ და მხოლოდ სარეფერენდუმო გადაწყვეტილებით საქართველოს მოქალაქეთა მიერ, რის გარეშეც საქართველოს დამფუძნებელ კრებას არ ჰქონდა უფლებამოსილება გაეუქმებინა კონსტიტუცია ან შეეჩერებინა მისი მოქმედება.

1992 წლის 2 იანვარს საქართველოში მოხდა კონსტიტუციური წყვეტა, რამაც აღადგინა სამართლიანობა. დასრულდა პერიოდი, რომელიც სამართლებრივი თვალსაზრისით ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას.

საქართველოს კონსტიტუცია მიღებულ იქნა 1921 წლის 21 თებერვალს, საქართველო-საბჭოთა რუსეთის ომის დროს. ამ გარემოებამ განაპირობა კონსტიტუციის ტექსტში მისი დამცავი მექანიზმის შეტანა, რომელმაც უზრუნველყო დოკუმენტის სამართალმემკვიდრეობა ქვეყნის ოკუპაციისა და ანექსიის პირობებში.

საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელსაც არ შეეძლო სამართალმემკვიდრეობითობის დაცვით საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, ამ პრინციპის უხეში დარღვევით მოახდინა უსამართლო კონსტიტუციური წყვეტა, სამხედრო ძალით შეცვალა ადგილობრივი არჩევითი და დემოკრატიული პოლიტიკური სტრუქტურები, დააწესა საკუთარი პოლიტიკური წესწყობილება და დამოუკიდებელი საქართველოს სახელმწიფოს მიერ მიღებულ კონსტიტუციას დაუპირისპირა საქართველოს სსრ კონსტიტუცია.

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება, რომელიც დაემხო 1992 წლის 2 იანვარს, წარმოადგენდა სამართალმემკვიდრეს არა 1918-1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა, არამედ 1921 წლის

25 თებერვალს გამოცხადებული საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა. ამით იგი აღიარებდა არა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის უზენაესობას, არამედ იცავდა საქართველოს სსრ 1922, 1927, 1937 და 1978 წლების კონსტიტუციების ტოტალიტარულ პრინციპებს და წარმოადგენდა არა საქართველოს პარლამენტს, არამედ ამ კონსტიტუციების საფუძველზე შექმნილი ხელისუფლების უშუალო მემკვიდრეს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს, იმავე წლის 31 მარტს გამართული რეფერენდუმის საფუძველზე, მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლითაც იგი აღადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობას 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე და ცნობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის იურიდიულ ძალამოსილებას. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ რეალურად არ განახორციელა მის მიერვე დეკლარირებული პრინციპი. საქართველოს ხელისუფლებამ უარყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრეობითობა, არ აღადგინა 1921 წლის კონსტიტუცია და დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენის ნაცვლად საქართველოში ავტორიტარული რეჟიმი დაამყარა.

1991 წლის 22 დეკემბერს პრეზიდენტმა, რომელმაც ხელისუფლების უზურპაცია მოახდინა, ხალხის წინააღმდეგ დაიწყო ომი და კანონზომიერად დამარცხდა.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს, რომელიც ამჟამად წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლებას, მიაჩნია, რომ არ შეიძლება ერთი უკანონო ხელისუფლების შეცვლა მეორე, ასევე უკანონო, ხელისუფლებით და აუცილებელია საქართველოში კანონიერი, კონსტიტუციური ხელისუფლების აღდგენა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო აცხადებს:

1. საქართველოს რესპუბლიკის დღეს არსებული საზღვრებისა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობის (აფხაზეთისა და აჭარის დღევანდელი სტატუსის) შეუცვლელად აღიარებს საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობას და მის ამოქმედებას დღევანდელი რეალობების გათვალისწინებით.

2. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის არჩევნები გაიმართება არა უგვიანეს 1992 წლის შემოდგომისა საქართველოს 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების შესაბამისად.

3. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო, დროებით მთავრობასთან ერთად, თავის უფლებამოსილებას მოიხსნის საქართველოს ახლადარჩეული პარლამენტის წინაშე მის პირველსავე სხდომაზე.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს წევრები:
თენგიზ კიტოვანი, ჯაბა იოსელიანი

თბილისი, 1992 წლის 21 თებერვალი.

◆

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
საქართველოს რესპუბლიკაში
კანონმდებლობის მოქმედების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციით რესპუბლიკის 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციის უზენაესობისა და დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით მისი ამოქმედების აღიარებასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭო ადგენს:

1. მოქმედი კანონმდებლობის საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანამდე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს დღემდე არსებული კანონმდებლობა, გარდა მისი იმ ნაწილებისა, რომლებიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებს.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის დროებით მთავრობას, მოქმედი კანონმდებლობა შეუსაბამოს საქართველოს კონსტიტუციის პრინციპებს.

სამხედრო საბჭოს სახელით:
თ. კიტოვანი, ჯ. იოსელიანი

თბილისი, 1992 წლის 24 თებერვალი.

◆

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
„აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების იურისდიქციაში გადაცემისა და გამგებლობაში მიღების შესახებ“ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1992 წლის 24 მარტის №46 დადგენილების თაობაზე

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წლის 24 მარტს

მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც ადრე, სსრ კავშირის დაშლამდე, საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკურ დაქვემდებარებაში იმყოფებოდნენ, გადავიდნენ აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების იურისდიქციაში და მათ გამგებლობაში. ამავე დადგენილებით აფხაზეთის ასსრ იუსტიციის სამინისტროს დაევალა სამეურნეო სუბიექტების რეგისტრაციის უზრუნველყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო აღნიშნავს, რომ აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილება ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის მოქმედ კანონმდებლობას შემდეგ გარემოებათა გამო:

„საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სტატუსის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები გამოცხადდა საქართველოს რესპუბლიკის საკუთრებად, ხოლო მათი მართვა დაევალა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება ვრცელდება აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე განლაგებულ ორგანიზაციებზეც, ვინაიდან აფხაზეთი საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების მოქმედება საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ უკვე გადაცემულია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის შესაბამისი ორგანოების გამგებლობაში.

ამრიგად, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს არ ჰქონდა უფლება აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული ყოფილი საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები მათი მესაკუთრის – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, ან სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის ნებართვის გარეშე გადაეცა აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო მმართველობის ორგანოების იურისდიქციაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დებულების“ მე-19 მუხლის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო **ადგენს:**

1. გაუქმდეს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1992 წლის 24 მარტის №46 დადგენილება „აფხაზეთის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების იურისდიქციაში გადაცემისა და გამგებლობაში მიღების შესახებ“.

2. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტის, სამინისტროების და უწყებების მეშვეობით უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მოვლა-პატრონობა, რესპუბლიკის ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დაცვა.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
ვ. გოგუაძე

თბილისი, 1992 წლის 19 მაისი.

•

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს
დ ე კ რ ე ტ ი
„აფხაზეთის რესპუბლიკის მიწის კოდექსის“ პროექტის შესახებ

1992 წლის 31 მარტის გაზეთ „აფხაზეთის რესპუბლიკაში“ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებით საყოველთაო განხილვისათვის გამოქვეყნდა „აფხაზეთის რესპუბლიკის მიწის კოდექსის“ პროექტი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო აღნიშნავს, რომ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ეს დადგენილება ეწინააღმდეგება როგორც აფხაზეთის ასსრ, ისე საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას შემდეგ გარემოებათა გამო:

აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 66-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად საადგილმამულო ურთიერთობათა სფეროში აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლესი ორგანოების გამგებლობას საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის

შესაბამისად განეკუთვნება მხოლოდ მიწის გამოყენებაზე კონტროლი.

საქართველოს რესპუბლიკის მიწის კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად აფხაზეთის ასს რესპუბლიკის კომპეტენციას საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგების დარგში განეკუთვნება ერთიანი სახელმწიფო მიწის ფონდის განკარგვა ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში, მიწის გამოყენების წესზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება და ხელმძღვანელობა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად. ამავე კოდექსის მე-2 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მიწის კანონმდებლობის სისტემას, საერთოდ არ ითვალისწინებს ავტონომიური რესპუბლიკების საკანონმდებლო აქტებს, როგორც ამ სისტემის შემადგენელ ნაწილს, რადგან საადგილმამულო ურთიერთობათა სფეროში ავტონომიურ რესპუბლიკებს არა აქვთ ასეთი აქტების მიღების უფლებამოსილება. საქართველოს რესპუბლიკის მიწის კანონმდებლობას წარმოადგენენ მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მიწის კოდექსი და საქართველოს რესპუბლიკის მიწის კანონმდებლობის სხვა აქტები, რომლებიც აწესრიგებენ საადგილმამულო ურთიერთობებს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის დაცვისა და აფხაზეთის ასსრ კანონმდებლობის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო **ადგენს:**

1. ცნობილ იქნეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება „აფხაზეთის რესპუბლიკის მიწის კოდექსის“ პროექტის საყოველთაო განხილვისათვის გამოქვეყნების შესახებ.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოს გააუქმოს ამ დადგენილების პირველ პუნქტში აღნიშნული სამართლებრივი აქტი.

3. განემარტოს აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოს, რომ საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობებით აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოს საადგილმამულო ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში არა აქვს აქტების მიღების უფლებამოსილება.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
ვ. გოგუაძე

თბილისი, 1992 წლის 19 მაისი.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
„1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ“ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 23 ივლისის დადგენილების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო აღნიშნავს, რომ 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად შეწყდა 1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მოქმედება; ახალი კონსტიტუციის შემუშავებამდე აღდგენილ იქნა 1925 წლის აფხაზეთის სსრ კონსტიტუცია ამჟამად მოქმედი საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო ორგანოების შენარჩუნებით.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო მიიჩნევს, რომ აღნიშნულ დადგენილებაში მცდარად არის წარმოდგენილი საქართველოს რესპუბლიკისა და აფხაზეთის ასსრ სახელმწიფო-სამართლებრივი ურთიერთობა საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიერ 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის აღდგენის დეკლარირების შემდეგ.

სსრ კავშირის დაშლას არ შეუცვლია და არც შეიძლებოდა შეეცვალა საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები და სახელმწიფოებრივი მთლიანობა, რაც დადასტურებულია გაეროს უშიშროების საბჭოს, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე და სხვა სახელმწიფოების მიერ, რომლებმაც აღიარეს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტი.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს მიერ 1921 წლის საქართველოს კონსტიტუციის აღდგენის გამოცხადებას არ შეუცვლია საქართველოს რესპუბლიკის საზღვრები და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მოწყობა, აფხაზეთის ასსრ სტატუსი, რაც დადასტურებულია საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო საბჭოს 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციის პირველი პუნქტით.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს ხსენებული დადგენილება მიღებულია კონსტიტუციონალიზმის აღიარებული პრინციპების, კერძოდ აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის 162-ე მუხლის უხეში დარღვევით, რომელიც კონსტიტუციური საკითხების გადაწყვეტისათვის ითვალისწინებს დეპუტატთა ხმების კვალიფიციურ უმრავლესობას. დადგენილებით უგულებელყოფილია აფხაზეთის ასსრ მოსახლეობის უმრავლესობის ნება, დარღვეულია ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა შესახებ საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები და პრინციპები.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო აღნიშნავს, რომ აფხ-

აზეთის ასსრ ხელისუფლებამ, რომელიც აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საქართველოს სახელმწიფოებრივი მოწყობის საკითხების გადაწყვეტაში, ხსენებული დადგენილება მოამზადა და მიიღო საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებასთან კონსულტაციების გარეშე და შედეგებისათვის პასუხისმგებლობაც თვითონ უნდა იკისროს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო **ადგენს:**

ცნობილ იქნეს იურიდიული ძალის არმქონედ აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს 1992 წლის 23 ივლისის დადგენილება „1978 წლის აფხაზეთის ასსრ კონსტიტუციის მოქმედების შეწყვეტის შესახებ“.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მდივანი
ვ. გოგუაძე

თბილისი, 1992 წლის 25 ივლისი.

◆

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ

ქვეყნისათვის საარსებო მნიშვნელობის არტერიის – რკინიგზის ტრანსპორტზე ბოლო დრომდე გრძელდება შეიარაღებული ბანდების თავდასხმები. გახშირდა სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირების, აფეთქებისა და დაზიანების, რკინიგზის მოძრავი შემადგენლობებისა და ტვირთის ხელში ჩაგდების, გატაცების, მგზავრთა გაძარცვის, ტრანსპორტის მუშაკთა იძულებისა და სიცოცხლის ხელყოფის ფაქტები. ამასთან, განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ამ ვანდალურ აქტებში შეიარაღებულ ბანდების მიერ ჩათრეული აღმოჩნდა ზოგიერთი რაიონის მოსახლეობა.

საქართველოს რკინიგზის სამმართველოსა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ რკინიგზაზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გატარებული ზომები არასაკმარისი და უშედეგოა. არ სრულდება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს მანიფესტით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლის თანახმად საქართველოს ყველა რეგიონის, ქალაქისა და რაიონის მოსახლეობამ, ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამარ-

თალდაცვის ორგანოებმა არ უნდა დაუშვან მათ ტერიტორიაზე დივერსიული და ტერორისტული აქტები, უნდა უზრუნველყონ რკინიგზისა და სხვა სახის ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობა.

მანიფესტის გამოცემის მეორე დღესვე სადგურ ახიუბჟასთან ბოროტმოქმედები თავს დაესხნენ სატვირთო მატარებელს, დაჭრეს გამცილებელი, იმავე დღეს გააჩერეს სარკინიგზო მიმოსვლა ფოთში; 8 აგვისტოს ფოთთან ააფეთქეს ჭალადიდის სარკინიგზო ხიდი, გალში გაძარცვის მიზნით გააჩერეს თბილისიდან და ერევნიდან მოსკოვისაკენ მიმავალი მატარებლები; ცაცხვი-ინგირის მონაკვეთზე რამდენიმე შეიარაღებული პირი თავს დაესხა ერევნიდან რუსეთში მიმავალ სატვირთო მატარებელს, ძარცვაში მონაწილეობდა მოსახლეობა; ხობში სადგურ ხეთასთან შეიარაღებულმა პირებმა გაძარცვეს სატვირთო მატარებლის ორი ვაგონი, იგივე განმეორდა 9 აგვისტოს ინგირში.

რკინიგზის ტრანსპორტზე გავრცელებული დანაშაულობების შედეგად მიყენებული ზარალი უკვე ცხრა მილიარდ მანეთს შეადგენს, ნადგურდება სახელმწიფო, საზოგადოებრივი და მოქალაქეთა ქონება, სახალხო მეურნეობა და მოქალაქეები ვერ იღებენ არსებობისათვის აუცილებელ პროდუქტებსა და საქონელს. აფხაზეთში, ფოთსა და სამეგრელოს რეგიონში შეუძლებელი ხდება საწვავ-საცხები, სამშენებლო მასალების, კომბინირებული საკვების, ფულის ნიშნების შეტანა, რაც კიდევ უფრო აღრმავებს ქვეყანაში ისედაც დაძაბულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და საზოგადოებას საყოველთაო ქაოსითა და ანარქიით ემუქრება. მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეზობელი რესპუბლიკა სომხეთი, რომელიც რეგიონში შექმნილი სიტუაციის გამო საქართველოს რკინიგზით ახორციელებს სატრანსპორტო გადაზიდვებსა და მოქალაქეთა გადაყვანას.

რკინიგზის ტრანსპორტზე მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, კანონიერებისა და მართლწესრიგის აღდგენის, ვითარების უსწრაფესი ნორმალიზაციის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დებულების მე-13 მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის რკინიგზის ტრანსპორტზე 1992 წლის 15 აგვისტოდან შემოღებულ იქნეს საგანგებო წესები ერთი თვის ვადით.

2. რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების განხორციელება დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების შეიარაღებულ ძალებსა და საქართველოს რკინიგზის სამმართველოს გასამხედროებული დაცვის ნაწილებს.

3. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ საგანგებო მდგომარეობის შედეგების ლიკვიდაციისათვის მოხმობილი ძალების კოორდინაციისა და თანამოქმედების ორგანიზაციის მიზნით შექმნას ერთიანი ოპერატიული შტაბი, რომელსაც უხელმძღვანელებს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ა. ცქიტიშვილი. ოპერატიული შტაბის უფროსის მოადგილეებად დაინიშნონ საქართველოს რკინიგზის სამმართველოს უფროსი რ. ვაშაკიძე და შინაგან საქმეთა მინისტრის ერთ-ერთი მოადგილე.

4. რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების განხორციელებისათვის მოხმობილმა ძალებმა უზრუნველყონ მატარებლების, ხიდების, გვირაბების, სხვა კომუნიკაციებისა და ობიექტების დაცვა, სამგზავრო და სატვირთო შემადგენლობების გაცილება, რკინიგზის ტრანსპორტზე თავდასხმებისა და სხვა დანაშაულებრივ ხელყოფათა აღკვეთა და თავიდან აცილება. ამ ამოცანის განხორციელებისას სრულად გამოიყენონ „საგანგებო წესების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონით, აგრეთვე სხვა საკანონმდებლო აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებანი.

5. ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობისა და სამართალდაცვის ორგანოებმა მიიღონ ზომები მათ ტერიტორიაზე რკინიგზისა და საავტომობილო ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობის თაობაზე საქართველოს რესპუბლიკის მანიფესტის დებულებათა განხორციელებისათვის. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს მკაცრი დისციპლინური ზომების მიღებას თვით თანამდებობიდან განთავისუფლებამდე.

6. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები ტრანსპორტზე დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ.

7. „რკინიგზის ტრანსპორტზე საგანგებო წესების შემოღების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება დაუყოვნებლივ წარედგინოს სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად.

8. დადგენილება ძალაშია მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 10 აგვისტო.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
გ. ყარყარაშვილის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს პოლკოვნიკი **გია ყარყარაშვილი** აფხაზეთში დისლოცირებული სამხედრო ნაწილების სარდლად.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 23 აგვისტო.

◆

ИТОГОВЫЙ ДОКУМЕНТ МОСКОВСКОЙ ВСТРЕЧИ

Президент Российской Федерации и Председатель Государственного Совета Республики Грузия, обсудив при участии руководителей Абхазии, северокавказских республик, краев и областей Российской Федерации положение, сложившееся в Абхазии, стремясь к скорейшему прекращению огня, преодолению чрезвычайной кризисной ситуации и созданию условий для полномасштабного политического урегулирования в Абхазии, которая стала зоной вооруженного конфликта, подтверждая приверженность духу и букве Устава ООН, принципам Заключительного Акта СБСЕ, Парижской Хартии для Новой Европы, Хельсинской Декларации 1992 года, считая недопустимыми любые посягательства на общепризнанные принципы территориальной целостности государств и неприкосновенности их границ, уважая права и свободы человека, а также права национальных меньшинств, договорились о следующем:

Статья 1

Обеспечивается территориальная целостность Республики Грузия.

Все участвующие в конфликте вооруженные формирования с 12.00 5 сентября 1992 года прекращают огнь и любое применение силы друг против друга. При этом участники конфликта обязуются до вступления в силу прекращения огня воздерживаться от каких-либо наступательных действий.

Одновременно создается Комиссия по контролю и инспекции из представителей, назначаемых органами власти Грузии, в том числе Абхазии и России. Комиссия обеспечивает соблюдение прекращения огня, выполнение

других положений данного соглашения в соответствии с разработанными ею процедурами.

Для выполнения возложенных на нее задачи участники Комиссии придают ей соответствующие подразделения, осуществляющие разоружение, расформирование и удаление из Абхазии, а также недопущение в Абхазию незаконных вооруженных формирований и групп, с тем чтобы обеспечить строгий контроль по всему периметру зоны конфликта.

Комиссия осуществляет наблюдение за тем, чтобы после прекращения огня и передислокации войск вооруженные силы Республики Грузия в зоне конфликта не превышали согласованного уровня, необходимого для достижения целей настоящего соглашения (охраны железной дороги и других определенных объектов).

Рекомендации Комиссии незамедлительно рассматриваются властями всех уровней.

Статья 2

До 10 сентября 1992 года производится обмен задержанных лиц, заложников, пленных и других, по принципу «всех на всех».

Статья 3

Стороны запрещают и не допускают любые террористические акты и захват заложников и принимают эффективные меры по привлечению к ответственности виновных.

Статья 4

Принимаются незамедлительные меры к устранению помех на путях движения товаров, услуг и лиц, занимающихся законной деятельностью. Будет обеспечиваться бесперебойное и безопасное функционирование соответствующих наземных, воздушных и морских путей сообщения, охрана границы.

Особое внимание будет уделяться обеспечению безопасности соответствующих участков Закавказской железной дороги, в том числе путем создания совместного механизма.

Комиссия по контролю и инспекции представит необходимые рекомендации по этому вопросу.

Статья 5

Обеспечиваются условия для возвращения беженцев в места их постоянного жительства. Им оказываются необходимое содействие и помощь.

Принимаются меры по розыску лиц, пропавших без вести, и по эвакуации желающих выехать из Абхазии.

Статья 6

В зоне конфликта принимаются эффективные меры по прекращению и недопущению насилия и грабежей, привлечению к ответственности виновных.

Статья 7

Стороны примут меры по восстановлению пострадавших районов и оказанию гуманитарной помощи, в том числе на международной основе, населению, пострадавшему в ходе конфликта. Определение порядка доставки и распределения такой помощи возьмут на себя организации Красного Креста в координации с Комиссией по контролю и инспекции.

Статья 8

Стороны подтверждают необходимость соблюдения международных норм в области прав человека и национальных меньшинств, недопущения дискриминации прав граждан по признаку национальности, языка и религии, обеспечения проведения свободных демократических выборов.

Статья 9

Вооруженные Силы Российской Федерации, временно находящиеся на территории Республики Грузия, в том числе и в Абхазии, соблюдают строгий нейтралитет и не участвуют во внутренних конфликтах

Все органы государственной власти и управления в Республике Грузия, в том числе и в Абхазии, обязуются уважать нейтралитет дислоцированных там Российских Вооруженных Сил и пресекать противоправные действия в отношении военнослужащих, членов их семей и военного имущества.

Статья 10

Стороны будут содействовать возобновлению к 15 сентября 1992 года нормальной деятельности законных органов власти в Абхазии.

Статья 11

Органы власти и управления республик, краев и областей Северного Кавказа в составе Российской Федерации примут эффективные меры по их пресечению и недопущению любых действий с их территории, расходящихся с положениями настоящего соглашения. Они будут содействовать его выполнению и установлению мира в регионе. Они предпримут усилия по разъяснению положений настоящего соглашения среди населения.

Статья 12

Стороны обращаются к ООН и СБСЕ с просьбой поддержать изложенные выше принципы урегулирования конфликта и оказать содействие в их реализации, включая направление миссий по установлению фактов и наблюдателей.

Москва, 3 сентября 1992 года

ЗА РОССИЙСКУЮ ФЕДЕРАЦИЮ
Б. ЕЛЬЦИН

ЗА РЕСПУБЛИКУ ГРУЗИЯ
Э. ШЕВАРДНАДЗЕ

Согласились:

Г.С. ХИЖА
А.В. КОЗЫРЕВ
П.С. ГРАЧЕВ
А.М. МИРЗАБЕКОВ
М.М. МАГОМЕДОВ
В.М. КОКОВ
Х.М. КАРМОКОВ
В.Н. САВЕЛЬЕВ
В.И. ХУБИЕВА.
С.В. ХЕТАГУРОВ
А.Х. ГАЛАЗОВ
А.А. ДЖАРИМОВ
Х. ТЛЕУЖ
В.Н. ДЬЯКОНОВ
Е.С. КУЗНЕЦОВ
В.Ф. ЧУБ

◆

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №952
თბილისი, 1992 წლის 25 სექტემბერი
საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების ფონდის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს დეკრეტის „იძულებით გადაადგილებულ პირთა სტატუსის შესახებ“ შესაბამისად იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფისათვის საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა **ადგენს:**

1. შეიქმნას იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების ფონდი

(შემდგომში „ფონდი“) საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროსთან.

2. გაიხსნას ანგარიშსწორების ანგარიში ბანკში ფონდის სახსრების აკუმულაციისა და გამოყენების მიზნით.

3. დაწესდეს, რომ ფონდის ანგარიშიდან ფულადი სახსრების გადარიცხვა და გაცემა მოხდეს ფონდის გამგეობის გადაწყვეტილებით.

4. ფონდის სახსრებს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები, აგრეთვე, საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებათა, ასოციაციების, კოოპერატივებისა და სხვა იურიდიული და ფიზიკური პირების შემოწირულობანი.

5. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროს განსაზღვრონ ფონდის მუშაობისათვის საჭირო საბიუჯეტო თანხების ოდენობა, რომელთა ჩარიცხვა განხორციელდეს ფონდის ანგარიშზე (საწესდებო საქმიანობის დასაწყებად ჩაირიცხოს 10 მილიონი მანეთი).

6. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ ყოველკვარტალურად წარმოადგინოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში ანგარიში ამ სახსრების გამოყენების თაობაზე.

7. ფონდის სახსრები მოხმარდეს შემდეგ ღონისძიებათა დაფინანსებას:

– გადაუდებელ პირველად ფულად დახმარებათა აღმოჩენას;

– საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების აუცილებელ ღონისძიებებს დროებითი განსახლების მიხედვით;

– ერთჯერადი ფულადი დახმარების გაწევას (ოჯახის თითოეულ წევრზე, რესპუბლიკაში დადგენილი მინიმალური ხელფასის ოდენობით);

– შესაძლებლობებიდან გამომდინარე აუცილებლობის შემთხვევაში ფულადი სახსრების გამოყოფას შელავათიანი სესხის სახით.

8. საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტრომ უზრუნველყოს ფონდის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა.

9. დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის შრომის, სოციალური დაცვისა და დემოგრაფიის სამინისტროებთან იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების ფონდის დებულება.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის – პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი კ. გელაშვილი

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

გ. ხაინდრავას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრად – აფხაზეთის რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაინიშნოს გიორგი ხაინდრავა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრად – აფხაზეთის რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო წარმომადგენლად.

2. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრის – აფხაზეთის რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო წარმომადგენლის ძირითად ამოცანად განისაზღვროს აფხაზეთის რეგიონში ეთნიკური კონფლიქტის მოგვარებისა და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის ნორმალური პირობების შექმნის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და შეთანხმებების შესრულების კონტროლი, სამინისტროებისა და უწყებების, ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების კოორდინაცია, აგრეთვე კონკრეტული ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება ამ რეგიონში სახელმწიფოებრივი ინტერესების, მოქალაქეთა და ეროვნებათა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად.

3. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრი – აფხაზეთის რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო წარმომადგენელი ხელმძღვანელობს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით, საერთაშორისო სამართლის ნორმებით და ანგარიშვალდებულია უშუალოდ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წინაშე.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მინისტრს – აფხაზეთის რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო წარმომადგენელს ორი კვირის ვადაში სახელმწიფო საბჭოს დასამტკიცებლად წარმოუდგინოს დებულება თავისი სამსახურის შესახებ საშტატო სტრუქტურებისა და ხელფასის განაკვეთების გაანგარიშებით.

5. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს საქმეთა მმართველს და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელმწიფო კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელს ამ დადგენილების შესაბამისად ხელი შეუწყონ სახელმწიფო მინისტრს – აფხაზეთის რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო წარმომადგენელს საკადრო, საფინანსო და სატრანსპორტო-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფაში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს
თავმჯდომარე ე. შევარდნაძე
საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის –
პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი თ. სიგუა

თბილისი, 1992 წლის 2 ოქტომბერი.

◆

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს
მ ი მ ა რ თ ვ ა
გაეროს გენერალურ მდივანს მის ალმატებულებას ბატონ ბუტროს-ბუტროს გალის

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო გაცნობებთ, რომ 1 ოქტომბერს აფხაზმა სეპარატისტებმა რუსეთის ფედერაციის ჩრდილოეთ კავკასიის რაიონებიდან ჩამოსულ დაქირავებულ ტერორისტებთან ერთად განახორციელეს დიდმასშტაბიანი შეტევა ქალაქ გაგრაზე საქართველო-რუსეთის საზღვართან გასვლისა და აფხაზეთის ჩრდილოეთი ნაწილის საქართველოს დანარჩენი ტერიტორიისაგან ჩამოშორების მიზნით. მოიერიშეები აღჭურვილი არიან უახლესი ტიპის მძიმე ტანკებითა და იმ სხვა თანამედროვე იარაღით, რომელიც აქვს შეიარაღებაში რუსეთის არმიას.

საქართველოს ჯარები, რომლებიც იცავენ მოსკოვის შეთანხმებებს, აღმოჩნდნენ დაუფარავი აგრესიის ობიექტი და იძულებული იყვნენ უკან დაეხიათ მოწინააღმდეგის შემოტევათა შედეგად, რომელიც ბევრად აღემატებოდა მათ როგორც ტექნიკით, ისე რიცხობრივადაც. იღუპებიან ადამიანები, ძარცვავენ და წვავენ სახლებს.

სავსებით აშკარაა აფხაზ სეპარატისტთა შეთქმულება რუსეთის რეაქციულ ძალებთან, რამაც თავი იჩინა რუსეთის ფედერაციის პარლამენტში ხმათა უმრავლესობით მიღებულ გადაწყვეტილებებში, პარლამენტისა, რომელიც მოქმედებს იმ დემოკრატიული რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ, პრეზიდენტი ბორის ელცინი რომ მეთაურობს და უცხადებს სოლიდარობას

დაჭრავებული ბანდიტების აშკარა შეიარაღებულ ინტერვენციას, რისი მიზანია ჩამოაშორონ აფხაზეთი საქართველოს ძირითად ნაწილს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო გთხოვთ სასწრაფოდ მოიწვიოთ უშიშროების საბჭოს სხდომა და განიხილოთ საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში – აფხაზეთში შექმნილი სიტუაცია. ნებისმიერმა დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ კონფლიქტი იქცეს ფართომასშტაბიან ომად, საფრთხე შეექმნას მშვიდობასა და უშიშროებას მთელ კავკასიის რეგიონში. ქართველი ხალხი არ დაუშვებს თავისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, მთელი ძალებით დაიცავს მის ხელშეუხებლობას.

თბილისი, 1992 წლის 2 ოქტომბერი.

◆

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმის დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული შეიარაღებული ძალების ნაწილების მთავარი შტაბის შექმნის შესახებ

აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული შეიარაღებული ძალების ნაწილების მართვის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული შეიარაღებული ძალების ნაწილების ერთიანი ხელმძღვანელობისა და კოორდინაციის უზრუნველყოფის მიზნით სოხუმში შეიქმნას მთავარი შტაბი, რომლის უფროსად დაინიშნოს ბრიგადის გენერალი ავთანდილ ცქიტიშვილი.

2. მთავარ შტაბთან შეიქმნას გაფართოებული სამხედრო საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ა. ცქიტიშვილი – შტაბის უფროსი.

წევრები: გ. ყარყარაშვილი, გ. ხაინდრავა, თ. ნადარეიშვილი, გ. ლომინაძე, ა. იოსელიანი.

3. გაფართოებული სამხედრო საბჭოს ფარგლებში შეიქმნას მცირე სამხედრო საბჭო, რომლის შემადგენლობის განსაზღვრა დაევალოს ბრიგადის გენერალს ა. ცქიტიშვილს.

4. აფხაზეთის რეგიონში დისლოცირებული ყველა სამხედრო შენაერთის საერთო ხელმძღვანელობა და კოორდინაცია დაევალოს თავდაცვის მინისტრს თენგიზ კიტოვანს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 6 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის ჯარების ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის პრობლემების გადაწყვეტის კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის ფედერაციის ჯარების ხელმძღვანელობასთან ურთიერთობის დამყარებისა და წამოჭრილი პრობლემების უკეთ გადაწყვეტის მიზნით შეიქმნას კომისია საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს მრჩევლის, გენერალ-ლეიტენანტ რ. თავაძის თავმჯდომარეობით.

2. დაევალოს რ. თავაძეს განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოადგინოს სია კომისიის წევრთა შემადგენლობის შესახებ და ჩასატარებელ სამუშაოთა გეგმა 1992 წლის 20 ნოემბრამდე.

3. დღემდე არსებული კომისიები ჩაითვალოს გაუქმებულად და მათზე დაკისრებული ყველა ფუნქცია განახორციელოს აღნიშნულმა კომისიამ.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 9 ნოემბერი.

◆

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

ქალაქ სოხუმში გაზის, ელექტროენერგიისა და წყლის შეწყვეტასთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო აღნიშნავს, რომ ბოლო დღეებში ქ. სოხუმში შეწყვეტილია გაზის, ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდება, რის გამოც არ ცხვება პური, ქალაქის მოსახლეობა და იქ დისლოცირებული ჯარის ნაწილები განიცდიან უკიდურეს გაჭირვებას. შექმნილ ვითარებაში საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, სათბო-

ბისა და ენერგეტიკის სამინისტროს, „საქმთავარენერგოს“ და სახელმწიფო კონცერნ „საქგაზის“ ხელმძღვანელები არ იღებენ კონკრეტულ ზომებს მდგომარეობის გამოსასწორებლად.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტროს, მთავარ საწარმოო სამმართველოს „საქმთავარენერგოს“ და სახელმწიფო კონცერნ „საქგაზის“ მიერ ქ. სოხუმისათვის გაზის, ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდების აღდგენისათვის ჩატარებული სამუშაოები ჩაითვალოს არასაკმარისად.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კვებისა და გადამმუშავებელი მრეწველობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს ა. ჭლიკაძეს, საქართველოს რესპუბლიკის სათბობისა და ენერგეტიკის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელს გ. გოგავას, მთავარი საწარმოო სამმართველოს „საქმთავარენერგოს“ უფროსს ი. ჭედიას და სახელმწიფო კონცერნ „საქგაზის“ თავმჯდომარეს ბ. ლიბჟანიძეს მიიღონ გადამჭრელი ზომები და პირადი პასუხისმგებლობით უმოკლეს ვადაში უზრუნველყონ ქ. სოხუმისათვის გაზის, ელექტროენერგიისა და წყლის მიწოდება, რის შესახებაც მოახსენონ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს 1992 წლის 20 ნოემბრამდე.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე
ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 9 ნოემბერი.

◆

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა თბილისი-სოხუმის მაგისტრალის გათავისუფლებისა და დაცვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ ხანს მოწინააღმდეგემ მკვეთრად გააქტიურა თავისი მოქმედება, შემოაქვს იარაღი, შემოჰყავს დამატებითი შეიარაღებული ძალები და ემზადება ამ რეგიონში შეტევითი ოპერაციების ჩა-

სატარებლად, რამაც შეიძლება გამოიწვიოს რესპუბლიკისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი თბილის-სოხუმის საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების დაკარგვა, რითაც კიდევ უფრო გართულდება ქალაქ სოხუმში განლაგებული საჯარისო დაჯგუფებებისა და მოსახლეობის მდგომარეობა.

თბილის-სოხუმის საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების სრული გათავისუფლებისა და დაცვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს — მთავარი შტაბის უფროსს გენერალ-მაიორ ნ. გუჯაბიძეს ოპერაციის მომზადების გეგმის შემუშავება.

ოპერაციის ჩატარების მზადყოფნის ვადა განისაზღვროს 1992 წლის 25 ნოემბრისათვის.

2. ოპერაცია „მაგისტრალის“ წარმატებით ჩასატარებლად შექმნას დამკვრელი საჯარისო დაჯგუფება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების ძალებით საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის — შინაგანი ჯარების სარდლის, ბრიგადის გენერალ გ. ლანჩავას ხელმძღვანელობით.

დაევალოს ბრიგადის გენერალ გ. ლანჩავას 1992 წლის 17 ნოემბერს დამკვრელი საჯარისო დაჯგუფება სამხედრო ეშელონით გადაიყვანოს თბილისიდან დანიშნულების ადგილამდე.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრს თ. კიტოვანს უზრუნველყოს დამკვრელი საჯარისო დაჯგუფება საჭირო იარაღით, საბრძოლო ტექნიკით, საწვავითა და თბილი სამოსით შინაგანი ჯარების სარდლის, ბრიგადის გენერალ გ. ლანჩავას განაცხადის შესაბამისად.

4. დაევალოს მე-3 მოტომსროლელი ბრიგადის ბატალიონის მეთაურს ვაშაკიძეს უზრუნველყოს დამკვრელი საჯარისო დაჯგუფების მიერ საბრძოლო ოპერაცია „მაგისტრალის“ განხორციელება.

5. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს — მთავარი შტაბის უფროსს გენერალ-მაიორ ნ. გუჯაბიძეს საბრძოლო ოპერაცია „მაგისტრალის“ წარმატებით ჩატარების მიზნით გააგზავნოს დამკვრელი საჯარისო დაჯგუფების გადასაყვან სამხედრო ეშელონთან ერთად დანიშნულების ადგილას საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სადაზვერვო სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი დ. მაისურაძე, საჰაერო ძალებისა და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი ი. ცერცვაძე, კავშირგაბმულობის სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი კ. კალანდაძე.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 16 ნოემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

კ. ჩალაძის შესახებ

ვბრძანებ:

გათავისუფლდეს პოლკოვნიკი **კ. ჩალაძე** ეროვნული გვარდიის მე-3 ბრიგადის მეთაურის მოადგილის თანამდებობიდან და დაინიშნოს ქალაქ სოხუმის გარნიზონის სამხედრო კომენდანტად.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 17 ნოემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

ვ. ვაშაკიძის საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **ვალერი ვაშაკიძე** საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 24 ნოემბერი.

◆

საქართველოს პარლამენტის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებით

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქართულმა დეპუტატციამ რამდენჯერმე შესთავაზეს აფხაზეთის ხელმძღვანელებს დაბრუნებულიყვნენ სოხუმში და შეესრულებინათ თავიანთი ფუნქციები, მაგრამ უშედეგოდ, საქართველოს პარლამენტი ცნობად იღებს აფხაზეთის საზოგადოებრიობის მიერ მიღებულ სწორ გადაწყვეტილებას სამთავრობო სტრუქტურის – მინისტრთა კაბინეტის შექმნის შესახებ და მის ხელმძღვანელად **თამაზ ნადარეიშვილის** არჩევის თაობაზე.

2. საქართველოს პარლამენტი მიესალმება აფხაზი საზოგადოებრიობის პროგრესული ნაწილის გადაწყვეტილებას აფხაზეთის ხსნის კომიტეტის შექმნის თაობაზე.

3. გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა გიორგი ხაინდრავას — საქართველოს სახელმწიფო მინისტრს აფხაზეთში და განსაზღვრულ იქნეს მისი უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისადმი მიმართებაში.

4. შეიქმნას საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის საქმეთა კომისია, რომელიც განაგრძობს მუშაობას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის მიერ პარლამენტში წარმოდგენილ მოხსენებაზე და სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხაინდრავას ინფორმაციის გათვალისწინებით წარმოადგენს სრულყოფილ საპარლამენტო დოკუმენტს, აგრეთვე შეიმუშავებს წინადადებებს აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის სამართლებრივი ნორმების თაობაზე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი, 1992 წლის 26 ნოემბერი.

◆

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
აფხაზეთის საქმეთა კომისიის შემადგენლობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

შეიქმნას აფხაზეთის საქმეთა კომისია შემდეგი შემადგენლობით:

დავით ბერძენიშვილი	—	რესპუბლიკური პარტია
ალექსანდრე გუგუნავა	—	კონსერვატიული პარტია
გიორგი კობახიძე	—	ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
ადა მარშანია	—	რესპუბლიკური პარტია
ირაკლი მელაშვილი	—	„ქარტია-91“.
კონსტანტინე სალია	—	ბლოკი „ერთობა“
ნიკო ჭავჭავაძე	—	ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
ივლიანე ხაინდრავა	—	რესპუბლიკური პარტია
ვახტანგ ხმალაძე	—	„დას-ი“

საქართველოს პალამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი 1992 წლის 26 ნოემბერი.

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისიის
თავმჯდომარის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს **ნიკოლოზ ჭავჭავაძე** აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისიის თავმჯდომარედ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი, 1992 წლის 26 ნოემბერი.

◆

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
გაგრის მოვლენების შემსწავლელი
კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. შეიქმნას გაგრის მოვლენების შემსწავლელი პარლამენტის კომისია შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე **რაულ კუპრავა**
— ი. ჭავჭავაძის საზოგადოება

მოადგილეები: **ალექსანდრე საჯაია**
— ეროვნულ-დემოკრატიული პარტია

ადა მარშანია — რესპუბლიკური პარტია

წევრები:

დემურ ბაბტაძე — საქართველოს სოციალ--დემოკრატიული პარტია
მალხაზ ბარამიძე — დემოკრატიული პარტია
ელგუჯა გვაზავა — საქართველოს მწვანეთა პარტია
პანტელეიმონ გიორგაძე — საქართველოს მშრომელთა სოციალისტური პარტია
გიზო გელოვანი — საქართველოს რადიკალურ-მონარქისტული კავშირი
თემურ დიხამინჯია — „ჭარტია-91“
როსტომ დოლიძე — ბლოკი „მშვიდობა“
არჩილ იოსელიანი — საქართველოს სოციალური სამართლიანობის პარტია
ნუგზარ კვაჭაძე — სრულიად საქართველოს — მერაბ კოსტავას საზოგადოება

როინ ლიპარტელიანი – სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი
ლევან მესხი – საქართველოს სახალხო ფრონტი
რომან მიმინოშვილი – საქართველოს ეროვნული თანხმობისა და ალორძინების კავშირი
ამირან ნადარაია – საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია
მამული ჟღენტი – მონარქისტული (კონსერვატიული) პარტია
კონსტანტინე სალია – ბლოკი „ერთობა"
გერმანე ფაცაცია – ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი
ლუიზა შაკიაშვილი – ბლოკი „მშვიდობა"
ირაკლი წერეთელი – საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია
ივერი ჭელიძე – დამოუკიდებელ დეპუტატთა ჯგუფი

საქართველოს პალამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი, 1992 წლის 26 ნოემბერი.

◆

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო შემდეგი შემადგენლობით:

ედუარდ შევარდნაძე – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე;
თენგიზ სიგუა – საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
ჯაბა იოსელიანი – საქართველოს პარლამენტის წევრი, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

თენგიზ კიტოვანი — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი, ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

საბჭოს წევრები:

ირაკლი ბათიაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი;

ალექსანდრე ჩიკვაიძე — საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;

თემურ ხაჩიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი;

ალექსანდრე კავსაძე — საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე;

ნოდარ ნათაძე — საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე;

თევდორე ნინიძე — საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი;

ანატოლი კამკამიძე — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 27 ნოემბერი.

◆

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა საბელმწიფოს უშიშროებისა და თავდაცვის საკითხებზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, საბელმწიფოს მეთაურის, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის უფლებამოსილებათა განსაზღვრის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო **ადგენს:**

I. საქართველოს სახელმწიფოს მეთაური არის საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი არის სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების უმაღლესი ხელმძღვანელი პირი და მას ექვემდებარებიან:

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალები;

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები;

საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის სპეციალური ქვედანაყოფები.

II. საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი:

1. ხელმძღვანელობს ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფის რესპუბლიკური პროგრამებისა და სამხედრო დოქტრინის შემუშავების საქმიანობას და წარუდგენს მათ საქართველოს პარლამენტს განსახილველად და დასამტკიცებლად.

2. ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების კონცეფციას, მშენებლობის გეგმებს, სტრუქტურას და ორგანიზაციას.

3. იხილავს და ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამობილიზაციო გაშლის გეგმას.

4. ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის ინტერესებისათვის საჭირო სამობილიზაციო რეზერვების შექმნისა და მომზადების, აგრეთვე არსენალებში, ცენტრალური დაქვემდებარების სამხედრო საწყობებსა და ბაზებში მატერიალურ საშუალებათა დაგროვების გეგმებს.

5. ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საომარი მოქმედების ასპარეზის, როგორც რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ოპერატიული და საბრძოლო მოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანის, საინჟინრო მოწყობის გეგმას.

6. ნიშნავს თანამდებობაზე საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრს.

7. ნიშნავს თანამდებობებზე საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის წარდგინებით საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის მოადგილეებს, მთავარი შტაბის უფროსს და მის მოადგილეებს, ჯარების სახეობათა სარდლებს, ბრიგადისა და კორპუსის მეთაურებს, აგრეთვე ათავისუფლებს მათ დაკავებული თანამდებობიდან ან იღებს გადაწყვეტილებას სამხედრო სამსახურიდან გადაგომის შესახებ მათი სურვილის მიხედვით.

8. ანიჭებს დადგენილი წესით პოლკოვნიკის, პირველი რანგის კაპიტნის, გენერლისა და ადმირალის სამხედრო წოდებებს.

9. ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის დებულებებს.

10. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში არსებული სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების, აგრეთვე სამხედრო დანიშნულების ობიექტების საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე დისლოცირებისა და განლაგების გეგმებს.

11. აცხადებს მობილიზაციას, საომარ და სამხედრო მდგომარეობას საქართველოს რესპუბლიკაზე სამხედრო თავდასხმის შემთხვევაში და დაუყოვნებლივ შეაქვს ეს საკითხი პარლამენტის განსახილველად.

12. მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველყოფისათვის იძლევა გაფრთხილებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ან ცალკეულ ადგილებში საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ, საჭიროების შემთხვევაში აცხადებს მათ შემოღებას. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ შეაქვს პარლამენტის დასამტკიცებლად.

13. აწარმოებს მოლაპარაკებებს უცხოეთის სახელმწიფოებთან და ხელს აწერს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს ერთობლივი თავდაცვის, სამხედრო თანამშრომლობის, კოლექტიური უშიშროებისა და განიარაღების საკითხებზე.

14. უბრძანებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს რესპუბლიკის შეირაღებულ ძალებს საომარი მოქმედების წარმოებასა და საბრძოლო იარაღის გამოყენებას.

15. მოქმედებაში მოყავს ომის დროისათვის დადგენილი ნორმატიული აქტები და წყვეტს მათ მოქმედებას საჭიროების გავლის შემთხვევაში.

16. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მდგომარეობის კანონის შესაბამისად საჭიროებისამებრ აუქმებს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს.

17. ავჩილდოებს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეებს საქართველოს რესპუბლიკის ორდენებითა და მედლებით.

18. ორგანიზაციულ-ტექნიკური და ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით აყალიბებს საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს აპარატს.

19. როგორც საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გამოსცემს ბრძანებებს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევისა და სამხედრო საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე.

III. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ 1992 წლის 12 ოქტომბრის

დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში ოფიცერთა შემადგენლობის მიერ სამხედრო სამსახურის გავლის წესის დროებითი დებულება მოიყვანოს შესაბამისობაში საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონთან.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 27 ნოემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
ა. კამკამიძის შესახებ

1. დაინიშნოს გენერალ-ლეიტენანტი **ანატოლი კამკამიძე** საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ – თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სარდლად.

2. დაევალოს გენერალ-ლეიტენანტ ა. კამკამიძეს ხუთი დღის ვადაში წარმოადგინოს დებულება საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების შესახებ და მისი სტრუქტურა.

3. დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე – თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სარდალი გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი კამკამიძე ქალაქ თბილისის გარნიზონის უფროსად.

4. დაევალოს ქალაქ თბილისის გარნიზონის უფროსს გენერალ-ლეიტენანტ ა. კამკამიძეს:

შექმნას სამხედრო კომენდატურა ქალაქ თბილისში და თავისი ბრძანებით დანიშნოს ქალაქ თბილისის სამხედრო კომენდანტი 1992 წლის 10 დეკემბრამდე;

ჩამოაყალიბოს საპატრულო სამსახური და ქალაქის პოლიციასა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების ხელმძღვანელობასთან ერთად ქალაქის ტერიტორიაზე დაამყაროს მკაცრი წესრიგი და უზრუნველყოს სამხედრო მოსამსახურეების მიერ ქალაქის საზოგადოებრივ ადგილებსა და ქუჩებში მაღალი სამხედრო დისციპლინის დაცვა.

ჩატარებული სამუშაოს შესახებ წარმოადგინოს წერილობითი მოხსენება 1992 წლის 30 დეკემბრამდე;

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 1 დეკემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
საქართველოს რესპუბლიკის
ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს
შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს შექმნისა და საქმიანობის წესის შესახებ კანონის მიღებამდე დამტკიცდეს საბჭოს შემდეგი შემადგენლობა:

ედუარდ შევარდნაძე — საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი.

თენგიზ სიგუა — საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ვაჟა იოსელიანი — საქართველოს რესპუბლიკის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

თენგიზ კიტოვანი — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

ირაკლი ბათიაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს წევრი.

ალექსანდრე კავსაძე — საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს წევრი.

ანატოლი კამკამაძე — საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, შეიარაღებული ძალების სარდალი, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს წევრი.

ნოდარ ნათაძე — საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების მუდმივი კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს წევრი.

თევდორე ნინიძე — საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს წევრი.

თემურ ხაჩიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, საქართველოს რესპუბლიკის უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს წევრი.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 1 დეკემბერი.

◆

საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისიის დებულების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

დამტკიცდეს აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისიის დებულება.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი, 1992 წლის 1 დეკემბერი.

დანართი

აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისიის დებულება

1. აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისია შექმნილია პარლამენტის მიერ და მისი საქმიანობა შეწყდება პარლამენტის გადაწყვეტილებით.

2. აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისიის ძირითადი ამოცანაა აფხაზეთთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა, დამუშავება და შესაბამისი კანონპროექტების, აგრეთვე სხვა დოკუმენტების და წინადადებების შემოტანა პარლამენტში განსახილველად და დასამტკიცებლად.

3. აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისია სარგებლობს პარლამენტის მუდმივი კომისიის ყველა უფლებით.

4. აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისიის მიერ არჩეულ თვმჯდომარეს ამტკიცებს პარლამენტი, კომისია ირჩევს თვმჯდომარის მოადგილესა და მდივანს.

5. აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისია სარგებლობს უფლებით

აწარმოოს პოლიტიკური მოლაპარაკება აფხაზური მხარის უფლებამოსილ წარმომადგენლობასთან.

6. კომისიის წარმომადგენლები მონაწილეობენ მოლაპარაკებაში საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან, თუ ამ მოლაპარაკებებზე განიხილება აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური ასპექტები.

◆

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
სოხუმისა და ოჩამჩირის ზონაში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ

საქართველოს პარლამენტის ადგენს:

დამტკიცდეს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის 1992 წლის 30 ნოემბრის ბრძანებულება სოხუმისა და ოჩამჩირის ზონაში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შესახებ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი, 1992 წლის 1 დეკემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტთან საგანგებო კომისიის შექმნის შესახებ

რესპუბლიკაში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციებისა და სტიქიური უბედურებების შედეგად მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი იქცა ლტოლვილად ან დაექვემდებარა განსახლებას.

ამ პრობლემის ოპერატიულად გადაჭრის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტთან შეიქმნას საგანგებო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ვალერიან ვაშაკიძე — კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარე.

კომისიის წევრები:

ვაჟა გუჯაბიძე — საქართველოს რესპუბლიკის სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების მინისტრი;

დემურ დვალიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი;

გურამ ვახტანგიშვილი — ცხინვალის რეგიონიდან ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარე;

მურთაზ ზანკალიანი — საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების მინისტრი;

დავით ზუბიტაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრის მოადგილე;

პანტიკო თოდრია — საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე;

ფრიდონ ინჯია — საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრი;

რამაზ კლიმიაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე;

რევაზ კომახიძე — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო გაერთიანება "საქკოოპუნმეურნეობის" თავმჯდომარე.

რესან კონცელიძე — საქართველოს რესპუბლიკის ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე;

ირაკლი მენაღარიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი;

გურამ მირიანაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა მინისტრი;

გერმანე მეძმარიაშვილი — კონცერნ „საქნავთობპროდუქტის" თავმჯდომარე.

კახი პოპიაშვილი — საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი;

ნუგზარ რობიტაშვილი — თბილისის ვიცე-მერი;

კონსტანტინე სალია — საქართველოს რესპუბლიკის ტურიზმის კომიტეტის თავმჯდომარე;

დავით სალარიძე — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე;

ირაკლი ტუღუში — საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციის თავმჯდომარე;

რევაზ ტყემალაძე — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო კანცელარიის სახელმწიფო მრჩეველი საგანგებო სიტუაციების საკითხებში (კომისიის პასუხისმგებელი მდივანი);

კახა ჭორიძე — საქართველოს რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილე;

ავთანდილ ყიფშიძე — საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე;

ლონდერ ცაავა — აფხაზეთიდან ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარე;

ნოდარ ცქიტიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის წითელი ჯვრის კომიტეტის თავმჯდომარე;

იური ჭელია — დეპარტამენტ „საქენერგოს" თავმჯდომარე;

გოჩა ხუნდაძე — საქართველოს რესპუბლიკის ტელერადიო-კორპორაციის გენერალური დირექტორი.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 8 დეკემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო კომისიის შექმნის შესახებ

შეიქმნას საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სამეცნიერო-ტექნიკური და სამრეწველო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ლევან ჯაფარიძე — კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის კომიტეტის თავმჯდომარე;

ჯაბა იოსელიანი — საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

თეიმურაზ ლოლაძე — კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

პანტიკო თორდია — კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი;

გაიოზ გელეიშვილი — საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრი;

ანატოლი კამკამიძე – საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, შეიარაღებული ძალების სარდალი;

ზურაბ კერვალიშვილი – საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე;

თენგიზ კიტოვანი – საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი;

გიორგი კვესიტაძე – საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი;

ირაკლი მენაღარიშვილი – საქართველოს რესპუბლიკის ეკანმრთელობის დაცვის მინისტრი;

ნოდარ ნათაძე – საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების კომისიის თავმჯდომარე;

კახი პოპიაშვილი – საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი;

რევაზ სალუქვაძე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი;

ავთანდილ ხოფერია – თბილისის საავიაციო ქარხნის დირექტორი.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 11 დეკემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
საქართველოს თავდაცვის ფონდის შესახებ

საქართველოს თავდაცვის ფონდის შესაქმნელად სახალხო მოძრაობის ფართოდ გაშლისა და მისი მაქსიმალურად ეფექტიანად წარმართვის მიზნით საქართველოს თავდაცვის ფონდის გამგეობის ჩამოყალიბება და სხვა ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა მიენდოს საქართველოს პარლამენტის წევრს, ცნობილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს **ჭაბუა ამირეჯიბს.** მანვე წარმოადგინოს შესაბამისი წინადადებანი თავდაცვის ფონდის შემადგენლობისა და მისი საქმიანობის შესახებ.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 11 დეკემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
ა. კამკამიძისათვის საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალ-პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სარდალს – თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს გენერალ-ლეიტენანტ **ანატოლი კამკამიძეს** საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალ-პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 15 დეკემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფო მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
ა. კამკამიძის შესახებ

1. უკრაინის მოქალაქე ანატოლი კამკამიძე, როგორც გამონაკლისი მიღებულ იქნეს საქართველოს მოქალაქედ.

ეთხოვოს უკრაინის პრეზიდენტს საქართველოსა და უკრაინას შორის მოქალაქეობის საკითხთა რეგულირების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების გაფორმებამდე ანატოლი კამკამიძეს შეუნარჩუნოს უკრაინის მოქალაქეობა.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა და თბილისის მერიამ დაუყოვნებლივ გამოუყოს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, შეიარაღებული ძალების სარდალს, გენერალ ანატოლი კამკამიძეს შესაფერისი საცხოვრებელი ბინა.

3. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს, შეიარაღებული ძალების სარდალს ანატოლი კამკამიძეს ხელფასი განესაზღვროს მინიმალური ხელფასის 12 კოეფიციენტით.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 16 დეკემბერი.

◆

საქართველოს პარლამენტის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლება დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ანიჭებს საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობას,

სამართლიანად მიიჩნევს რა ამას სტაბილურობის ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად დღევანდელი მსოფლიოსათვის უმნიშვნელოვანეს კავკასიის რეგიონში.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა საკმაოდ საფუძვლიანი განსხვავებული მოსაზრებებიც, საქართველოს ხელმძღვანელობამ აირჩია რუსეთთან ურთიერთნდობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის კურსი, ამის ნათელი მაგალითია ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის სამშრივი სამშვიდობო ძალებით მოგვარებისა და აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური გზით გადაწყვეტის ცდა, რამაც ასახვა პოვა მოსკოვის 3 სექტემბრის მოლაპარაკების შედეგად მიღებულ დოკუმენტში. სამწუხაროდ, ქართული მხარის ამ ინიციატივებმა სასურველ შედეგებამდე ვერ მიგვიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ 3 სექტემბრის შეთანხმებას ხელს აწერდა რუსეთის პრეზიდენტი, მას მოჰყვა რუსეთის უზენაესი საბჭოს მიერ საქართველოს საშინაო საქმეებში უხეში ჩარევა, რაც გამოიხატა 1992 წლის სექტემბრის უპრეცედენტო გადაწყვეტილებებით და უმაღლეს ოფიციალურ პირთა მრავალი განცხადებით, რითაც ფაქტობრივად სანქცირებულ იქნა გაგრა-ლესელიძის ტრაგედია. ამ ტრაგედიამ მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის მასობრივი დახვრეტის და ეთნიკური წმენდის პოლიტიკით ცხადყო, რომ შეიარაღებული აფხაზი სეპარატისტები რუსეთის რეაქციულ ძალებთან ერთად აშკარად დაადგნენ საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის ძალისმიერ გზას.

ძალადობის პოლიტიკას ვერ გაამართლებს განცხადებები რუსულენოვანი მოსახლეობის დაცვის შესახებ. რუსულენოვან მოსახლეობას საქართველოში საომარ ვითარებაშიც კი არაფერი ემუქრება, თუ არ მივიღებთ მხედველობაში თვით რუსი სამხედროების მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის დაბომბვას, რასაც მოჰყვა სხვადასხვა ეროვნების ადამიანთა მსხვერპლი, ხოლო 60000-ზე მეტი ლტოლვილი გახიზნულია საქართველოს მრავალ ქალაქსა და სოფელში.

საქართველოს მხარემ იცის უამრავი ფაქტი, რომელიც მოწმობს რუსეთის შეიარაღებული ძალების უშუალო მონაწილეობას ამ კონფლიქტში ექსტრემისტ-სეპარატისტთა მხარეს. მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს:

ამა წლის 2 და 9 დეკემბერს რუსეთის არმიის უშუალო მონაწილეობით დაიბომბა სოხუმისა და მისი შემოგარენის საცხოვრებელი უბნები, პირდაპირი დამიზნებით ჭურვები დაუშინეს სოხუმის ბაზრის ტერიტორიას, რასაც მოჰყვა სრულიად უდანაშაულო 13 სამოქალაქო პირის, მათ შორის რუსი ეროვნების მოქალაქეთა მსხვერპლი;

5 ოქტომბერს რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ჩამოაგდეს საქართველოს შეიარაღებული ძალების ვერტმფრენი მი-24;

13 ოქტომბერს ქვემო ეშერაში ჩამოაგდეს საქართველოს სუ-25 ტიპის თვითმფრინავი;

5 ნოემბერს 18 საათსა და 40 წუთზე რუსეთის სუ-25 ტიპის ორმა თვითმფრინავმა ცეცხლი დაუშინა ქართულ ბატალიონს მდინარე გუმისთასთან;

15 ნოემბერს 18 საათსა და 45 წუთზე განხორციელდა საავიაციო თავდასხმა მდინარე გუმისთაზე განლაგებული საქართველოს საჯარისო ნაწილებისა და სამხედრო პოლიციის პოზიციებზე.

18 ნოემბერს 13 საათსა და 15 წუთზე დასახლებულ პუნქტ კელასურზე საჰაერო თავდასხმის შედეგად დაიღუპა მშვიდობიანი მოსახლეობა.

5 დეკემბერს 18 საათზე სუ-25 ტიპის ორი თვითმფრინავით განხორციელდა საჰაერო დარტყმები მდინარე გუმისთასთან განლაგებულ საქართველოს შეიარაღებული ძალების ნაწილებსა და დასახლებულ პუნქტ ცხენისწყალზე;

10 დეკემბერს რუსეთის ავიაციამ დაბომბა ოჩამჩირის რაიონის სოფელი ახალდაბა, სადაც არავითარი საომარი ოპერაციები არ მიმდინარეობდა. თავდასხმის შედეგად დაიღუპა 11 მოქალაქე.

აღარაფერს ვამბობთ ამა წლის ოქტომბრის თვეში სახელმწიფოს მეთაურის ვერტმფრენზე განხმაურებული თავდასხმის ფაქტის შესახებ.

თუმცა ა.წ. ნოემბრის ბოლოს მიღწეულ იქნა შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე, რომელსაც ქართული მხარე განუხრელად იცავდა და რომლის თანახმადაც რუსეთის შეიარაღებულ ძალებს უნდა დაეტოვებინათ ქალაქი სოხუმი და მისი მიმდებარე ტერიტორია, ეშერის ყოფილ სამხედრო ლაბორატორიაში დღმდე იმყოფებიან რუსი მედესანტეები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საბრძოლო მოქმედებაში. მედესანტეებს არც ქალაქი სოხუმი დაუტოვებიათ.

სწორედ ეშერის ლაბორატორიის ტერიტორიიდან დაიბომბა სოხუმის ბაზარი.

კონფლიქტის ზონის საზღვაო თუ საჰაერო სივრცეში რუსეთის სამხედრო საჰაერო და საზღვაო ძალები ბატონობენ, რამაც განაპირობა ამ რეგიონში დიდძალი კონტრაბანდული იარაღის შემოტანა. ყოველივე ეს უხეშად არღვევს როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს კანონმდებლობის ელემენტარულ მოთხოვნებს.

ქართულმა მხარემ არაერთგზის განაცხადა და დღესაც ადასტურებს, რომ ის ხელს არ შეუშლის ტყვარჩელში ჰუმანიტარული ტვირთების გადაზიდვას მათი სოხუმის აეროპორტში შემოწმების შემდეგ, რადგან გუდაუთიდან რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალთა უშუალო მონაწილეობით სისტემატურად ხდება იარაღის, საბრძოლო მასალისა თუ შეიარაღებულ

დაჭრავებულთა გადაყვანა. ეს მოთხოვნა სისტემატურად ირღვევა, ამიტომ მთელი პასუხისმგებლობა დატრიალებული ტრაგედიისათვის, რომელიც რუსეთის სამხედრო შვეულმფრენის მი-8 კატასტროფას მოჰყვა, მეორე მხარეს ეკისრება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ შემთხვევის ადგილი ოც კილომეტრზე მეტით არის დაშორებული იმ ზონიდან, რომელსაც ქართული მხარე აკონტროლებს.

სრულიად აშკარაა, რომ აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის შეიარაღებული ძალები გადაიქცნენ კონფლიქტის მონაწილე მხარედ, რომლებიც მათ მიერ შეიარაღებულ სეპარატისტებთან და რუსეთის რეაქციულ პოლიტიკურ წრეებთან ერთად ახორციელებენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის იმპერიულ პოლიტიკას. ეს სამხედრო შენაერთები არ ექვემდებარებიან თვით ყოფილი ამიერკავკასიის სარდლობასაც კი, რომელთანაც მთელ რიგ წინააღმდეგობათა მიუხედავად ქართული მხარე ინარჩუნებს და კვლავაც ეცდება შეინარჩუნოს ცივილიზებული ურთიერთობა.

რუსეთმა წესად აქცია ყველა შემთხვევაში საქართველოს დადანაშაულება, ხშირად კი საკუთარ დანაშაულთა ჩვენზე გადმობრალება. ვეჭვობთ, რომ საქართველოს პარლამენტის ამ განცხადებასაც მსგავსი რეაქცია მოჰყვება. უფრო მეტიც, რუსეთის ხელისუფლების მაღალი რანგის ოფიციალური პირი აფხაზეთში განლაგებულ რუსეთის ჯარის ნაწილებს საქართველოს მხარესთან შეუთანხმებლად ანიჭებს საშშვიდობო ჯარების სტატუსს და იმავდროულად მაღალი ტრიბუნიდან უაპელაციოდ იმუქრება ამ ჯარის გამოყენებით საქართველოს წინააღმდეგ, ავიწყდება რა, რომ ეს ნაწილები დაუპატიჟებლად იმყოფებიან სუვერენული ქვეყნის ტერიტორიაზე, რომ არა აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის არმიის ნაწილების პირდაპირი ჩარევა საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ, რუსეთის მოქალაქეთა მასობრივი მონაწილეობა სეპარატისტთა საჯარისო ფორმირებებში, ქართველთა და აფხაზთა სამშვიდობო მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდებოდა და კონფლიქტისა და მსხვერპლის მასშტაბებიც გაცილებით ნაკლები იქნებოდა.

დღვანდელ მძიმე სიტუაციაში კი აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში აქტიურად ფუნქციონირებს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, რომელშიც შედიან ქართველი, აფხაზი, რუსი, სომეხი და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლები.

მდგომარეობას მკვეთრად ამწვავებენ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ გარკვეული წრეები დაინტერესებული არიან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შემდგომი ესკალაციით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი მოითხოვს,

რუსეთის შეიარაღებულმა ჯარებმა დაუყონებლივ დატოვონ კონფლიქტის რეგიონი.

რუსეთ-საქართველოს ბოლოდროინდელი ურთიერთობანი თვალნათლივ მოწმობს, რომ იზრდება აგრესიული ფაქტორი რუსეთის პოლიტიკაში, რაც საფრთხეს უქმნის სტაბილურობას არა მარტო კავკასიაში, არამედ მთელ მსოფლიოში. სწორედ ამ ტენდენციების განვითარებას ადასტურებს რუსეთის სახალხო დეპუტატთა მე-7 ყრილობის ბატალიები და ამავე ყრილობის მიმართვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების პარლამენტებისადმი ახალი კონფედერაციის შექმნის მოწოდებით.

რუსეთში ამ პოლიტიკურ განწყობილებათა გამარჯვების შემთხვევაში კიდევ უფრო გაძლიერდება ძალისმიერი მეთოდებით იმპერიის ხელახალი შეკოწიწების მცდელობა. რუსული იმპერიული პოლიტიკის მსგავსი რეციდივები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშკარად ვლინდება საქართველოს სახელმწიფოს მიმართ. მსოფლიოსათვის ამ ერთობ საზიფათო პოლიტიკური კურსის განვითარების რეალურ საშიშროებაზე მეტყველებს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის გახმაურებული გამოსვლაც სტოკჰოლმში ევროთათბირის პლენარულ სხდომაზე ა.წ. 14 დეკემბერს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მხარე ხელშეკრულებათა პაკეტის მომზადებისას, სარგებლობს რა საქართველოში არსებული რთული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობით, ცდილობს მოლაპარაკება აწარმოოს ძალის პოზიციებიდან. იგი უგულებელყოფს ჩვენი ქვეყნის ინტერესებისათვის ისეთ უაღრესად მნიშვნელოვან მომენტებს, როგორიცაა საქართველოს კუთვნილი ქონების გადმოცემის და რუსეთის შეიარაღებული ძალების საქართველოს ტერიტორიაზე დროებითი ყოფნისა და გასვლის ვადების საკითხები.

შექმნილ ვითარებაში, როცა საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევამ მიიღო უპრეცედენტო ხასიათი, ამავე დროს მოსკოვში რეალური შედეგების გარეშე დამთავრდა საქართველოსა და რუსეთს შორის მოლაპარაკების მეორე რაუნდი, პარლამენტს პრობლემატურად მიაჩნია მოლაპარაკების გაგრძელება.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი მოგვიანებით დაუბრუნდება რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების გაგრძელების მიზანშეწონილობის საკითხს. საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის მიმართ რუსეთის ხელისუფალთა დამოკიდებულების გათვალისწინებით.

ორ სახელმწიფოს შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულების მშენებლობის უმნიშვნელოვანესი პირობა იქნება რუსეთის მხრივ მისი ტერ-

იტორიიდან საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აგრესიის დაუყონებლივ შეწყვეტა.

თბილისი, 1992 წლის 17 დეკემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა სოხუმის რეგიონული სამხედრო სასამართლოს მოსამართლის სამი საშტატო ერთეულის დაწესების შესახებ

დაწესდეს სოხუმის რეგიონული სამხედრო სასამართლოს მოსამართლის სამი საშტატო ერთეული.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 19 დეკემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა რ. ქორჩილავას სოხუმის რეგიონული სამხედრო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **რუსუდან ქორჩილავა** სოხუმის რეგიონული სამხედრო სასამართლოს მოსამართლედ.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 19 დეკემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა დ. სილაგაძის სოხუმის რეგიონული სამხედრო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **დავით სილაგაძე** სოხუმის რეგიონული სამხედრო სასამართლოს მოსამართლედ.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 19 დეკემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
გ. ქოიავას სოხუმის რეგიონული სამხედრო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **გიორგი ქოიავა** სოხუმის რეგიონული სამხედრო სასამართლოს მოსამართლედ.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 19 დეკემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
ჯ. მაისურაძის ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)

ერის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების, სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირული თავდადებისა და მამაცობისათვის საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მფრინავი — გვარდიის პოლკოვნიკი **ჯიმშერ მაისურაძე** დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
მ. გელაშვილის ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით დაჯილდოვების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი თავდადების, სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ მიცემული საბრძოლო დავალების წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მფრინავი **მერაბ გელაშვილი** დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 25 დეკემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
რესპუბლიკის ხელმძღვანელ მუშაკთა ჯგუფის აფხაზეთში მივლინების შესახებ

აფხაზეთში, სამხედრო კონფრონტაციის რაიონებში ადგილი აქვს შტაბის მუშაკებისა და საველე მეთაურების არაორგანიზებულ, ურთიერთშეუთანხმებელ, არაკოორდინირებულ მოქმედებებს, სერიოზულად ფერხდება მებრძოლების სამხედრო ტექნიკით, ტყვია-წამლით, საწვავით, კვების პროდუქტებითა და ტანსაცმლით მომარაგება, ხდება ფრონტისათვის განკუთვნილი ტვირთის გაფლანგვა და დატაცება.

1. არსებული ვითარების სასწრაფოდ შესწავლის მიზნით დაუყოვნებლივ გაიგზავნოს აფხაზეთში ხელმძღვანელი მუშაკების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ზურაბ კერვალიშვილი – ჯგუფის ხელმძღვანელი, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე;

მიხეილ ელბაქიძე – საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შტაბის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ფრიდონ ინჯია – საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრი;

მიხეილ გურგენიძე – საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრი;

ზურაბ ჭანკოტაძე – საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსი;

ალექსანდრე ჯავახიშვილი – საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საზღვაო სამმართველოს უფროსი;

თეიმურაზ ხურციძე – საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების მინისტრის პირველი მოადგილე;

ავთანდილ ყიფშიძე – საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე;

ჯემალ გორგიაშვილი – საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

გურამ ბალანჩივაძე – საქართველოს რესპუბლიკის სარკინიგზო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

ალექსანდრე შუშანაშვილი – საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სამხედრო პროკურორი.

2. დაევალოს ამ ჯგუფს აფხაზეთის ფრონტებზე შექმნილი სიტუაციის დეტალური შესწავლის შედეგების გათვალისწინებით შეიმუშაოს მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მობილიზაციის, ფრონტის ინტერესებთან დაკავშირებული რესპუბლიკის ყველა სამსახურში მკაცრი დისციპლინის უზრუნველყოფის კონკრეტული ღონისძიებები და ოპერატიულად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს განსახილველად და დასამტკიცებლად.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 28 დეკემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
საქართველოს რესპუბლიკის ზოგიერთი რეგიონიდან კონფლიქტური სიტუაციებისა და სტიქიის შედეგად, აგრეთვე რესპუბლიკის ფარგლებს გარედან ლტოლვილთა სოციალური დაცვისა და უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ

შიდა ქართლში და აფხაზეთში შექმნილი კონფლიქტური სიტუაციების, რიგ რაიონებში მომხდარი სტიქიური მოვლენების გამო, აგრეთვე რესპუბლიკის ფარგლებს გარედან ლტოლვილთა სოციალური დაცვისა და უფლებრივი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად:

1. საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა მისმა რეგიონალურმა კომისიებმა ძირითადი საქმიანობა წარმართონ ლტოლვილთა მიღება-დაბინავების, სოციალური და მატერიალური უზრუნველყოფის, შემდგომში კი შესაბამისად მათ მშობლიურ ადგილებში დაბრუნების, რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში გეგმაზომიერად განსახლებისა და მიწისძვრის შედეგების დროული ლიკვიდაციისაკენ.

2. ქალაქ თბილისის მერიამ, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა აღნიშნული საკითხების მოწესრიგებისათვის აქტიური დახმარება გაუწიონ საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტს, გამოძებნონ შესაძლებლობები რეგიონალური კომისიებისათვის თითო საშტატო ერთეულის გამოსაყოფად.

3. 1993 წლის პირველი იანვრიდან ლტოლვილთა დახმარების გაცემასთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციების წარმართვა დაევალოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტს.

4. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროებმა, შესაბამისმა ბანკებმა:

– დაფარონ 1993 წლის იანვარში მიმდინარე წლის ნოემბერ-დეკემბრის ლტოლვილების კუთვნილი ფულადი დახმარებების და დადგენილი პენსიების დავალიანება.

– შეუფერხებლად გასცენ 1993 წლის იანვრიდან აღნიშნული ყოველთვიური დახმარება და პენსიები.

5. საქართველოს რესპუბლიკის შემნახველმა ბანკმა, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა უზრუნველყონ ლტოლვილთა მომსახურება და ფულადი დახმარების გაცემა ყოველი თვის 20 რიცხვამდე.

6. კონფლიქტური სიტუაციების შედეგად ლტოლვილ შრომისუნარიან დროებით უმუშევარ პირთა ყოველთვიური დახმარება განისაზღვროს მინიმალური ხელფასის ოდენობით, ხოლო სახელმწიფო კმაყოფაზე (უფასო კვება და ბინა) მყოფთათვის მინიმალური ხელფასის ერთი მესამედით.

7. ორგანიზებულად ჩასახლებულ ლტოლვილთა ცხოვრებისა და კვების ხარჯების ანგარიშსწორების ოპერატიულად განხორციელების წესი განსაზღვროს საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა. რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ აღნიშნული კომიტეტის განაცხადის საფუძველზე უზრუნველყოს შესაბამისი თანხების გაცემა და სათანადო ცვლილებები შეიტანოს რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტში.

8. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა და შემნახველმა ბანკებმა უზრუნველყონ ლტოლვილთა საცხოვრებელ ადგილებზე ფულადი ანაბრების შეუფერხებელი გაცემა.

9. ლტოლვილთათვის გათვალისწინებული ჰუმანიტარული დახმარებისა და ნორმირებული პროდუქტების გაცემის ორგანიზაციისათვის საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მატერიალური მომარაგების სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, ქ.თბილისის მერიამ, ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის განაცხადის შესაბამისად დაუყონებლივ უზრუნველყონ მალაზიების საჭირო რაოდენობის გამოყოფა.

10. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ, მიწის რესურსებისა და მიწის კადასტრის

კომიტეტმა, რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა ხელი შეუწყონ ლტოლვილთა სოფლის მეურნეობაში დასაქმებას, რისთვისაც გამოუყონ მათ შესაბამისი ფართობის მიწის ნაკვეთები დროებითი სარგებლობისათვის.

11. რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა უზრუნველყონ სრულწლოვან ლტოლვილთა დროებით დასაქმება.

12. საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის, ვაჭრობისა და მატერიალური უზრუნველყოფის სამინისტროებმა, ცეკავშირის გამგეობამ ორი კვირის ვადაში ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტს წარუდგინონ წინადადებანი ლტოლვილთათვის იაფფასიანი ზამთრის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, თეთრეულისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნაწარმის გამოყოფის შესახებ.

13. საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტრომ ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტთან ერთად შეარჩიოს ლტოლვილთა მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების პერიოდისათვის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების შესაფერისი ტიპიური პროექტები.

14. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს ლტოლვილთა შორის სამხედრო ვალდებულთა და მოხალისეთა საქართველოს მოქმედ არიაში გაწვევა.

15. საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა 1993 წლის პირველ კვარტალში შეისწავლოს სტიქიით დაზარალებული მოსახლეობისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლების გამოყენების საკითხი, გამოავლინოს წლების განმავლობაში ჩაუსახლებელი სახლები და წარადგინოს წინადადებები მათი სტიქიით დაზარალებულთათვის განაწილების შესახებ.

16. იმ რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, სადაც ხორციელდება სტიქიით დაზარალებულთა ჩასახლება, ხელი შეუწყონ ახლადგადმოსახლებულთა შრომით მოწყობას, სკოლებსა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში განწესებას, სამედიცინო მომსახურებას და სხვა სოციალური საკითხების მოგვარებას.

17. მიწისძვრით დაზარალებული ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა მკაცრად დაიცვან დაზარალებულთათვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობის რიგითობა.

18. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1992 წლის 30 დეკემბერი.

თავი V

1993 წელი

საქართველოს პარლამენტის დადგენილება გაგრის მოვლენების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ საქართველოს პარლამენტის დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილებები „გაგრის მოვლენების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1992 წლის 19 ნოემბრის დადგენილებაში და კომისია ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

თენგიზ გელოვანი – კონსერვატიულ-მონარქისტული პარტია;
დემურ ბაბტაძე – საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია;
მალხაზ ბარამიძე – დემოკრატიული პარტია;
ელგუჯა გვაზავა – საქართველოს მწვანეთა პარტია;
თენგიზ დიხამინჯია – „ქარტია-91“;
როსტომ დოლიძე – ბლოკი „მშვიდობა“;
არჩილ იოსელიანი – საქართველოს სოციალური სამართლიანობის კავშირი;
ნუგზარ კვაჭაძე – სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება;
რაულ კუპრავა – ილია ჭავჭავაძის საზოგადოება;
როინ ლიპარტელიანი – სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი;
რომან მიმინოშვილი – საქართველოს ეროვნული აღორძინების კავშირი;
ლევან მესხი – საქართველოს სახალხო ფრონტი;
ამირან ნადარაია – საქართველოს სახელმწიფოებრივ-ეროვნული მთლიანობის პარტია;
მამული ჟღენტი – კონსერვატიულ-მონარქისტული პარტია;
გერმანე ფაცაცია – ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი;
ლუიზა შაკიაშვილი – ბლოკი „მშვიდობა“;

ივერი ჭელიძე — დამოუკიდებელ დეპუტატთა ჯგუფი.

2. დამტკიცდეს ამ კომისიის დებულება (თან ერთვის).

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი, 1993 წლის 12 იანვარი.

<u>დანართი</u>

გაგრის მოვლენების შემსწავლელი დროებითი კომისიის დებულება

1. გაგრის მოვლენების შემსწავლელი კომისია შექმნა საქართველოს პარლამენტმა 6 თვის ვადით. კომისიის მუშაობის ვადის გაგრძელება შეუძლია პარლამენტს კომისიის წინადადებით.

2. გაგრის მოვლენების შემსწავლელი კომისიის მიზანია:

ა) გამოიძიოს აფხაზეთში საქართველოს შეიარაღებული ძალების მარცხის მიზეზები;

ბ) გამოიკვლიოს ქართველი და სხვა ეროვნების მშვიდობიან მოქალაქეთა მასობრივი ჟლეტის, ადამიანის უფლებათა საყოველთაოდ აღიარებული ნორმების დარღვევათა ფაქტები.

3. კომისია თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილესა და მდივანს. კომისიის თავმჯდომარეს ამტკიცებს პარლამენტი.

4. გაგრის მოვლენების შემსწავლელი კომისია უფლებამოსილია ჩამოართვას ჩვენებები, დანიშნოს ექსპერტიზები, მოახდინოს დოკუმენტების ამოღება და ჩააბაროს სხვა საგამოძიებო მოქმედებანი. კომისიის მოთხოვნა სავალდებულოა სახელმწიფო ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა ორგანოსათვის თუ თანამდებობის პირისათვის.

5. კომისიის საქმიანობა შეწყდება პარლამენტის დადგენილებით.

•

საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის საკითხთა დროებით კომისიის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. აფხაზეთის საკითხთა დროებითი კომისიის შემადგენლობაში დამატებით არჩეულ იქნენ პარლამენტის შემდეგი წევრები:

გიორგი ბარამიძე
ოთარ ზუხბაია
ბორის კაკუბავა
გენო კალანდია
პაატა კოლუაშვილი
თამაზ ნადარეიშვილი
ვახტანგ ყოლბაია
თამაზ წოწონავა

2. საქართველოს პარლამენტის აფხაზეთის საკითხთა დროებითი კომისიის მომსახურე პერსონალის შემადგენლობა განისაზღვროს პარლამენტის მუდმივი კომისიისათვის დადგენილი საშტატო განრიგის შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი, 1993 წლის 27 იანვარი.

◆

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა საბრძოლო მოქმედების ზონაში მყოფი საქართველოს შეიარაღებული ძალების პირად შემადგენლობაში სამხედრო დისციპლინის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო აღნიშნავს, რომ მიუხედავად რთული პირობებისა, რომლებშიც მიმდინარეობს საბრძოლო მოქმედებები, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა საფრთხეში იგდებს რა სიცოცხლეს, გმირულად იცავს დაკავებულ პოზიციებს და ქართული მიწის მთლიანობას.

ამავე დროს მებრძოლები და მეთაურები არღვევენ სამხედრო დისციპლინას, საარმიო წესრიგს, არცხვენენ სხვა მეომრებს, თვითნებურად ტოვებენ სამხედრო ქვედანაყოფებს, მათზე განპირობებული იარაღით გამოდიან საბრძოლო მოქმედების ზონიდან და მიდიან სხვა რაიონებში.

მსგავსი მოქმედებების აღმოფხვრის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო **ადგენს:**

1. აფხაზეთის რეგიონში დისლოცირებული სამხედრო შენაერთების

მეთაურებმა ბრიგადის გენერალმა პ. დათუაშვილმა, ბრიგადის გენერალმა გ.ყარყარაშვილმა, პოლკოვნიკმა გ. ადამიამ და პოლკოვნიკმა გ.ვაშაკიძემ გამოსცენ ბრძანება და კატეგორიულად აუკრძალონ მათდამი დაქვემდებარებულ პირად შემადგენლობას სამხედრო ნაწილებისა და საბრძოლო მოქმედების ზონის იარაღით თვითნებურად დატოვება.

ბრძანებაში აღინიშნოს, რომ სამხედრო ნაწილების დატოვება შეიძლება მხოლოდ ზემოაღნიშნული პირების მიერ ხელმოწერილი მივლინების ფურცლის და შესაბამისი სამხედრო კომენდანტის საშვის საფუძველზე, რომლებიც დამოწმებული უნდა იყოს ხელისმომწერის მრგვალი გერბიანი ბეჭდით.

2. სოხუმისა და ოჩამჩირის გარნიზონის უფროსებმა, ამ ქალაქების სამხედრო კომენდატებმა, სამხედრო პოლიციის უფროსმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა კონტროლზე აიყვანონ ამ დადგენილების შესრულება, გააძლიერონ აეროპორტების, ასაფრენი მოედნების, რკინიგზის სადგურებისა და საავტომობილო გზების პატრულირება სამხედრო მოსამსახურეების მიერ საბრძოლო ნაწილების თვითნებურად დატოვების აღმოფხვრისა და დეზერტირების დაკავების მიზნით.

3. ქ. თბილისის გარნიზონის უფროსმა, თბილისის სამხედრო კომენდატმა, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა გააძლიერონ თბილისის აეროპორტის, რკინიგზისა და საავტომობილო სადგურების, აგრეთვე მათი მიმდებარე რაიონების პატრულირება, დააკავონ და ჩააბარონ სამხედრო კომენდატურას ყველა სამხედრო მოსამსახურე, რომელსაც არ ექნება საბრძოლო ზონიდან დადგენილი წესით გამოსვლის ნებართვა.

მონაცემები დაკავებულთა შესახებ ყოველდღიურად მოახსენონ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის – შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის აპარატის სამორიგეო ნაწილს.

4. აფხაზეთის რეგიონის სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების მეთაურებმა 18 წლამდე ასაკის ყველა ახალგაზრდა, რომელიც ჩავიდა საბრძოლო მოქმედების ადგილებში, დააბრუნონ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე 1993 წლის 10 თებერვლამდე, რის შესახებაც მოახსენონ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს 1993 წლის 15 თებერვლამდე.

5. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ყველა რანგის მეთაურებმა საბრძოლო ზონის თვითნებურად დამტოვებელთა მიმართ აღძრან სისხლის სამართლის საქმე საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლის შესაბამისად.

6. დადგენილება დაყვანილ იქნეს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთელ პირად შემადგენლობამდე.

7. ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის კონტროლი დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოადგილეს – მთავარ სამხედრო პროკურორს ა.შუშანაშვილს, რომელმაც ჩატარებული სამუშაოების შესახებ მოახსენოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს 1993 წლის 1 მარტამდე.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 1 თებერვალი.

•

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მიერ სამხედრო გადაზიდვების ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო აღნიშნავს, რომ აფხაზეთის რეგიონში საომარი მდგომარეობის გამო სამხედრო ხელმძღვანელობა და პოლიცია ვერ უზრუნველყოფენ სამხედრო მოსამსახურეთა გადაყვანის, სამხედრო და სხვა ტვირთების გადაზიდვის კონტროლს და ირღვევა გეგმით გათვალისწინებული რეისები.

აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო ადგენს:

1. დაევალოს სამხედრო გადაზიდვების ორგანიზაციის კონტროლი საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სარდალს ა.კამკამიძეს; სამხედრო გადაზიდვის ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით გამოყოს და სპეციალური უფლებები მიანიჭოს მაღალი რანგის თანამდებობის პირს, აგრეთვე განიხილოს სამხედრო კონტიგენტის გასაგზავნი პუნქტის შექმნის საკითხი დაბა ალექსეევკაში არსებული პუნქტის ბაზაზე.

2. თავდაცვის სამინისტრომ:

აწარმოოს სამხედრო კონტიგენტის გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა სამხედრო აეროდრომიდან სპეციალურად გამოყოფილი თვითმფრინავებით;

განიხილოს მათი გადაზიდვის ორგანიზაციის შესაძლებლობა და მკაცრი კონტროლი გაუწიოს რეისების დაკომპლექტებას.

3. დაევალოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსს ზ.ჭანკოტაძეს გამოყოს სამხედრო გადაზიდვებისათვის ორი თვითმფრინავი

ტუ-154 და ტუ-134 თბილისის აეროპორტიდან და 2 თვითმფრინავი ტუ-134 სოხუმის აეროპორტიდან.

სამოქალაქო ავიაციის სამმართველომ სამხედრო გადაზიდვები აწარმოოს მხოლოდ თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების სარდლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირისაგან მიღებული განაცხადის საფუძველზე.

4. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ განიხილოს და გადაწყვიტოს სამოქალაქო ავიაციის მიერ წარმოებული სამხედრო გადაზიდვების ხარჯების დროული ანაზღაურების საკითხი.

5. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს წევრს ა. კამკამიძეს.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 1 თებერვალი

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარედან და მისი ზოგიერთი რეგიონიდან კონფლიქტური სიტუაციის შედეგად ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ფულადი დახმარების გაცემისა და შეღავათიანი ტარიფებით მგზავრობის უფლების მინიჭების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკაში ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი ყოველთვიური ფულადი დახმარებით უზრუნველყოფის ერთიანი სისტემის შექმნის მიზნით:

1. ნებისმიერი ასაკის ლტოლვილს და იძულებით გადაადგილებულ პირს, გარდა იმ პირებისა, რომლებიც მოხუცებულობის გამო იღებენ პენსიას ან იმყოფებიან სახელმწიფოს კმაყოფაზე (აქვთ უფასო კვება და ბინა), მიეცეს ფულადი დახმარება მინიმალური ხელფასის ოდენობით.

2. სახელმწიფოს კმაყოფაზე მყოფ პირებს მიეცეთ დახმარება და პენსია მინიმალური ხელფასის ერთი მესამედის ოდენობით.

3. პირებს, რომლებიც მოხუცებულობის გამო იღებენ პენსიას, დამატებით მიეცეთ დახმარება მინიმალური ხელფასის 20 პროცენტის ოდენობით.

4. ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს, რომლებიც იღებენ ფულად დახმარებას, სტიპენდიები, კომპენსაციები ან კანონით დადგენილი სხვა დახმარებები არ მიეცემათ.

5. ზემოაღნიშნულ პირთათვის დახმარების გაცემასთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციები განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა.

6. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა, სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტროებმა, შესაბამისმა ბანკებმა ყოველთვიურად უზრუნველყონ ფულადი დახმარებისა და მოხუცებულობის გამო პენსიის შეუფერხებელი გაცემა.

7. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ლტოლვილებსა და იძულებით გადაადგილებულ პირებს მიეცეთ შეღავათიანი ტარიფებით მგზავრობის უფლება;

დროებით ჩასახლების რეგიონის ფარგლებში ყველა სახის სახელმწიფო საქალაქო ტრანსპორტით (გარდა ტაქსისა) - უფასოდ;

სახელმწიფო, სარკინიგზო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით დროებითი ჩასახლებისა და მუდმივ საცხოვრებელ ადგილს შორის — 50 პროცენტის ფასდაკლებით.

8. ზემოაღნიშნული შეღავათებით სარგებლობს ყველა ის პირი, რომელსაც საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტი მიანიჭებს ლტოლვილის ან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსს.

9. ამ განკარგულების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა.

10. განკარგულება ძალაშია 1993 წლის 1 მარტიდან.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 4 თებერვალი.

◆

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების წარმართვისა და აფხაზეთში კონფლიქტის დამთავრების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. მიეცეს რწმუნება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურსა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს — წარმართონ მოლაპარაკება

რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის თაობაზე საქართველოს ეროვნული, სახელმწიფოებრივი ინტერესების სრული დაცვის პირობებით

2. დაევალოს საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს, პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების მუდმივი კომისიისა და აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისიის მონაწილეობით, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსთან, აფხაზეთის მთავრობასთან და ეროვნული ბანის კომიტეტთან, სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად, აფხაზეთის საკითხებზე საპარლამენტო დებატების დროს შემოტანილ წინადადებათა გათვალისწინებით შეიმუშაოს და განახორციელოს გადაუდებელი ღონისძიებანი აფხაზეთის კონფლიქტის დროულად და ღირსეულად დამთავრებისათვის და 10 დღის ვადაში წარმოუდგინოს ინფორმაცია საქართველოს პარლამენტს.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი, 1993 წლის 4 თებერვალი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისათვის წინადადებების შემმუშავებელი დროებითი კომისიის შექმნის შესახებ

1. რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების წარმართვისა და აფხაზეთის კონფლიქტის დამთავრების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 4 თებერვლის დადგენილების მე-2 პუნქტის საფუძველზე შეიქმნას აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისათვის წინადადებების შემმუშავებელი დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე

ა. **კავსაძე** — საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე.

კომისიის წევრები:

გ. **ანჩაბაძე** — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი;

რ. ეშბა	–	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრი, აფხაზეთის ხსნის კომიტეტის წევრი;
მ. ვაჩაძე	–	საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს საინფორმაციო განყოფილების გამგე;
გ. კალანდია	–	საქართველოს პარლამენტის წევრი;
ა. კამკამიძე	–	საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე;
პ. მამრაძე	–	საქართველოს პარლამენტის წევრი;
ა. მარშანია	–	საქართველოს პარლამენტის წევრი;
ი. მაჭავარიანი	–	საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელის მოადგილე;
თ. ნადარეიშვილი	–	საქართველოს პარლამენტის წევრი, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;
გ. ჟორჟოლიანი	–	საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრის დირექტორი;
გ. როგავა	–	საქართველოს პარლამენტის წევრი;
დ. უსუფაშვილი	–	საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის იურიდიული განყოფილების სახელმწიფო მრჩეველი;
ნ. ჭავჭავაძე	–	საქართველოს პარლამენტის წევრი, აფხაზეთის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე.

3. დაევალოს კომისიას ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს წინადადებები აფხაზეთის კონფლიქტის დროულად და ღირსეულად დამთავრებისათვის და წარმოუდგინოს საქართველოს პარლამენტს.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 10 თებერვალი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება გ. გაბისკირიას ქ. სოხუმის მერად დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს **გურამ გაბისკირია** ქალაქ სოხუმის მერად.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 10 თებერვალი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დ. გვაძაბიას გულრიფშის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს **დავით გვაძაბია** გულრიფშის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 10 თებერვალი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

რ. ცატავას გალის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს **რუდიკ ცატავა** გალის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 10 თებერვალი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

მ. დგებუაძის სოხუმის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს **მერაბ დგებუაძე** სოხუმის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 10 თებერვალი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გ. გუგუჩიას ოჩამჩირის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ დამტკიცების შესახებ

დამტკიცდეს **გუგუშა გუგუჩია** ოჩამჩირის რაიონის გამგეობის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 10 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. სოხუმისა და ოჩამჩირის ზონის დაცვის ღონისძიებათა შესახებ

მიღებული ცნობებით უკანასკნელ ხანს გუდაუთისა და გუმისთის რაიონებში მოხდა სხვადასხვა ქვეყნებიდან შემოსული შეიარაღებული ძალების კონცენტრაცია. არსებობს მონაცემები სეპარატისტებისა და მათი მხარდამჭერი შეიარაღებული ძალების სერიოზული ზრახვების შესახებ ხელში ჩაიგდონ ქ. სოხუმი, გამოიწვიონ სრული დესტაბილიზაცია და ქაოსი მთელ საქართველოში.

საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას და თითოეულ მოქალაქეს არა აქვს უფლება გაგრის, ლესელიძისა და განთიადის ტრაგედიის შემდეგ არ გააკეთონ სერიოზული დასკვნები, რომლებიც გვიკარნახებს, რომ საჭიროა მიღებულ იქნეს ყველა ზომა სამხედრო ავანტიურის გამოსარიცხად და აღსაკვეთად, აგრეთვე სოხუმის, ოჩამჩირისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების საიმედოდ დასაცავად. სოხუმის დათმობაზე ფიქრიც კი საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვას ნიშნავს.

საერთო ეროვნული და სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, **ვბრძანებ:**

1. დაუყონებლივ გაიგზავნოს ქ. სოხუმში დამატებითი ძალები საჭირო ოდენობით სოხუმისა და ოჩამჩირის გარანტირებული დაცვის, ყველა გზისა და შემოსასვლელის გადაკეტვის მიზნით.

2. დაევალოთ კორპუსის მეთაურს, ბრიგადის გენერალს პ. დათუაშვილს, ბრიგადის მეთაურებს პოლკოვნიკ გ. ადამიას და პოლკოვნიკ გ. ვაშაკიძეს, ოპერატიული სამმართველოს უფროსს პოლკოვნიკ ზ. უჩაძეს დამატებითი ძალების ჩასვლამდე დაუყონებლივ მიიღონ ყველა ზომა, რათა არ მისცენ მოწინააღმდეგეს შეტევითი ოპერაციების განხორციელების საშუალება.

3. აფხაზეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული შეიარაღებული ძალების საბრძოლო იარაღითა და მასალით, სურსათითა და ტანსაცმლით, სხვა რესურსებით მომარაგებისათვის პერსონალური პასუხისმგებლობა დაეკისროს თ. კიტოვანს. მანვე უზრუნველყოს აუცილებელი რეზერვების შექმნა რეზერვისტების და წვევამდელების ახალი კონტიგენტის ხარჯზე.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მრეწველობის (თ. გელეიშვილი), ეკონომიკის (მ. ჯიბუტი), ფინანსთა (კ. პოპიაშვილი), ენერგეტიკის (რ. არველაძე), ვაჭრობის (მ. ზანკალიანი), ჯანმრთელობის (ი.

მენალარიშვილი), კავშირგაბმულობისა (ფ. ინჯია) და სოფლის მეურნეობის (გ. კვესიტაძე) სამინისტროებს, საქართველოს რკინიგზისა (ო. ვაშაკიძე) და საავიაციო (ზ. ჭანკოტაძე) დეპარტამენტებს დაუყონებლივ გამონახონ ყველა საშუალება და მიიღონ ზომები რეგიონში ვითარების გასაუმჯობესებლად, საომარი მოქმედებების უზრუნველსაყოფად, მოსახლეობის ცხოვრების ნორმალური რიტმის შესაქმნელად.

ალნიშნული დავალების საერთო ხელმძღვანელობა და შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს თ. სიგუას.

5. დაევალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს (თ. ნადარეიშვილი) დაუყონებლივ მოახდინოს ყველა არსებული რესურსისა და რეზერვის მობილიზაცია სოხუმისა და ოჩამჩირის დაცვის უზრუნველსაყოფად.

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ (თ. ხაჩიშვილი) რადიკალური ღონისძიებები გაატაროს ქვეყანაში დამნაშავეობის წინააღმდეგ; დაეკისროს მას სრული პასუხისმგებლობა ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის.

7. შემოსული სიგნალების შესამოწმებლად სათანადო ინფორმაციის შეკრებისა და გაანალიზებისათვის, სათანადო ზომების მისაღებად გაიგზავნოს აფხაზეთის რეგიონში საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი ი. ბათიაშვილი. ამ დავალების შესასრულებლად გადაეცეს მას საჭირო მატერიალური საშუალებანი.

8. დაევალოთ ქ. სოხუმის მერს გ. გაბესკირიას, სოხუმის (მ. დგებუაძე), გულრიფშის (დ. გვაძაბია), ოჩამჩირის (გ. გუგუჩია), გალის (რ. ცატავა) რაიონების გამგეობების თავმჯდომარეებს მობილიზაცია გაუკეთონ არსებულ რეზერვებს ამ რაიონებში მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

9. სათანადო სამხედრო ოპერაციების მომზადება, კოორდინაცია, კონტროლი და საერთო პასუხისმგებლობა ამ ღონისძიებების განხორციელებისათვის დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სარდალს, თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს გენერალ-პოლკოვნიკ ა. კამკამიძეს.

10. დაევალოს სასაზღვრო ჯარების სარდალს — სასაზღვრო ჯარების მთავარი სამმართველოს უფროსს პ.გიორგაძეს მოამზადოს ძალები და საშუალებები რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარებისაგან საქართველო-თურქეთის საზღვრის მიღებისათვის;

საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურთან ერთად შეისწავლოს შექმნილი ვითარება და მიიღოს ზომები მეზობელი

სახელმწიფოებიდან საქართველოს ტერიტორიაზე მოხალისეთა ზღვით შემოსვლის აღსაკვეთად.

11. რესპუბლიკის ქალაქების მერებმა და რაიონების გამგეობის თავმჯდომარეებმა რადიკალურად გააძლიერონ ბრძოლა დამნაშავეობის წინააღმდეგ, საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად, გამორიცხონ საქართველოს ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის ყველა საზეობის ჯარის ნაწილებზე თავდასხმა; რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა, მთავარმა სამხედრო პროკურორმა უზრუნველყონ ყოველი ასეთი ფაქტის ოპერატიული გამოძიება და დამნაშავეთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში დაუყონებლივ მიცემა;

რუსეთის ფედერაციის კუთვნილი საბრძოლო ობიექტების ბაზების, შეიარაღებისა და სხვა საბრძოლო ტექნიკის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსათვის გადაცემა განხორციელდეს მხოლოდ ამ მიზნით შექმნილი კომისიის მიერ შესაბამისი აქტების გაფორმების შემდეგ.

12. შეიქმნას აფხაზეთის რეგიონიდან ლტოლვილთაგან ბატალიონი. დაევალოთ რესპუბლიკის ქალაქების მერებსა და რაიონების გამგეობების თავმჯდომარეებს ლტოლვილთა გადაგზავნა დისლოკაციის ადგილებზე.

თავდაცვის სამინისტრომ უზრუნველყოს მათი სამხედრო წვრთნა და მომზადება.

13. ვიღებ ცნობად რუსეთის არმიის ოფიციალური წარმომადგენლების დარწმუნებას, რომ უახლოეს დღეებში ეშერიდან სრულად იქნებიან გაყვანილი რუსეთის ჯარის ნაწილები.

გენერალმა პ.დათუაშვილმა, სხვა პასუხისმგებელმა პირებმა შექმნან სათანადო პირობები აღნიშნულის განსახორციელებლად, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი პროვოკაციული მიზნებით შემდგომი გამოყენება.

14. მივმართავ საქართველოს ყველა მოქალაქეს, მთელ მოსახლეობას, ვისაც გული შეტკივა სამშობლოს დამოუკიდებლობაზე, დაუყონებლივ ნებაყოფლობით ჩააბაროს მის ხელთ უკანონოდ არსებული საბრძოლო იარაღი. იარაღს ჩაიბარებენ შესაბამისი შინაგან საქმეთა განყოფილებები, დაწესდება აღრიცხვა და მათი გვარები სურვილის შემთხვევაში გამოქვეყნდება პრესაში.

ემზარ ელისაშვილი — პირველი ოპერატიული ბრიგადის პირველი ბატალიონის ათეულის მეთაური;

სერგო იმედაძე — უფროსი ლეიტენანტი, სოხუმის ცალკეული ბატალიონის მეთაურის მოადგილე ტექნიკისა და შეიარაღების დარგში;

ვლადიმერ იმნაძე — პოლკოვნიკი, შინაგანი ჯარების სარდლის განსაკუთრებულ დავალებათა შემსრულებელი;

ვალერი ისაკაძე — საპატრულო პოლკის პირველი ბატალიონის მეორე ასეულის მეთაურის მოადგილე;

ზურაბ კალმახიძე — ზემდეგი, აქტიური ღონისძიებების ასეულის ზემდეგი;

ანზორ კობიძე — ლეიტენანტი, საპატრულო პოლკის ავტობატალიონის პირველი ასეულის მეთაურის მოადგილე აღმზრდელობით დარგში;

ტრისტან მამაცაშვილი — პოლკოვნიკი, მთავარი სამმართველოს შეიარაღების განყოფილების უფროსი;

ტრისტან მელიაშვილი — ზემდეგი, საპატრულო პოლკის ავტოსამსახურის ბატალიონის ოცეულის მეთაური;

ვახტანგ მოძღვრიშვილი — სერჟანტი, პირველი ოპერატიული ბრიგადის პირველი ბატალიონის ათეულის მეთაური;

ვასილ მურადაშვილი — ზემდეგი, საპატრულო პოლკის მეორე ბატალიონის მესამე ასეულის ზემდეგი;

ვალერი პიგუნოვი — რიგითი, სოხუმის ცალკეული ბატალიონის რიგითი;

მამუკა ქვანია — ზემდეგი, საპატრულო პოლკის მეორე ბატალიონის ოცეულის მეთაური;

კახა სააკიანი — სერჟანტი, პირველი ოპერატიული ბრიგადის პირველი ბატალიონის ასეულის მეთაური;

გურამ ფარულავა — პოლკოვნიკი, შინაგანი ჯარების სარდლის მოადგილე ზურგის დარგში;

სერგო ფიფია — ზემდეგი, აქტიური ღონისძიებების ასეულის ზემდეგი;

რობინზონ ქურხული — ზემდეგი, საპატრულო პოლკის პირველი ბატალიონის პირველი ასეულის მეთაურის მოადგილე;

ზურაბ ყოლანდარია — ზემდეგი, აქტიური ღონისძიებების ასეულის ზემდეგი;

ივერ ძაძამია — რიგითი, სოხუმის ცალკეული ბატალიონის რიგითი;

ზვიად ხორავა — რიგითი, სოხუმის ცალკეული ბატალიონის რიგითი;

დავით ჯალაღონია — პირველი ოპერატიული ბრიგადის სამედიცინო პუნქტის უფროსი;

გიორგი ჯარმელაშვილი — სერჟანტი, პირველი ოპერატიული ბრიგადის პირველი ბატალიონის ათეულის მეთაური;

ვალერი ჯოლოხავა — რიგითი, აქტიური ღონისძიებების ასეულის რიგითი.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 30 აგვისტო.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების გაერთიანებულ კომისიაში საქართველოს მხრიდან წევრების დამატების შესახებ

აფხაზეთში ვითარების მოწესრიგების გაერთიანებულ კომისიაში საქართველოს მხრიდან დამატებით დაინიშნონ:

ბორის კაკუბავა — საქართველოს პარლამენტის წევრი;

ვალერი ქვარაია — გენერალ-მაიორი, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარი სამხედრო მრჩეველი;

ვლადიმერ ჩიქოვანი — გენერალ-მაიორი, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდალი.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 5 სექტემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის ბ რ ძ ა ნ ე ბ ა პოლკოვნიკ ვ. ჭოჭუას სახელობითი ცეცხლსასროლი იარაღით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი თავდადების, შეიარაღებულ ძალებში უმწიკვლო სამსახურის, სამხედრო ხელმძღვანელობის მიერ მიცემული დავალებების კეთილსინდისიერად შესრულებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს საარტილერიო სამმართველოს უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი **ემზარ ჭოჭუა** დაჯილდოვდეს სახელობითი ცეცხლსასროლი იარაღით.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 8 სექტემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს რესპუბლიკის ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და განსაკუთრებული დამსახურებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით:

ალექსანდრე ჯავახიშვილი — პირველი რანგის კაპიტანი, სამხედრო-საზღვაო ძალების სარდალი.

მედლით „მხედრული მამაცობისათვის“:

შოთა ბაიაძე — პოლკოვნიკი, საბრძოლო და ოფიცერთა კადრების მომზადების სამმართველოს უფროსი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“:

პაატა ზაქარეიშვილი — რიგითი, ტყვეთა გაცვლის კომისიის თავმჯდომარე.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 10 სექტემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
რ. ქორჩილავასათვის იუსტიციის პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს სოხუმის რეგიონული სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს **რუსუდან ქორჩილავას** იუსტიციის პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 10 სექტემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
ზ. პაჭკორიასათვის იუსტიციის პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს სოხუმის რეგიონული სამხედრო სასამართლოს მოსამართლეს **ზაურ პაჭკორიას** იუსტიციის პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 10 სექტემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
მ. ფაციასათვის იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს სოხუმის რეგიონული სამხედრო სასამართლოს მოსამართლეს **მერაბ ფაციას** იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 10 სექტემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
გ. ქოიავასათვის იუსტიციის პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭების სესახებ

მიენიჭოს სოხუმის რეგიონული სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარეს **გიორგი ქოიავას** იუსტიციის პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 10 სექტემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
გ. გადელიასათვის იუსტიციის პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს სოხუმის რეგიონული სამხედრო სასამართლოს მოსამართლეს **გივდონ გადელიას** იუსტიციის პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 10 სექტემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
დ. სილაგაძისათვის იუსტიციის პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს სოხუმის რეგიონული სამხედრო სასამართლოს მოსამართლეს **დავით სილაგაძეს** იუსტიციის პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 10 სექტემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
ა. ხაზალიასათვის იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკის სამხედრო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოს სოხუმის რეგიონული სამხედრო სასამართლოს მოსამართლეს **ავთანდილ ხაზალიას** იუსტიციის ვიცე-პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 10 სექტემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების ორგანიზაციულ ღონისძიებათა შესახებ

„აფხაზეთში ცეცხლის შეწყვეტისა და მასზე კონტროლის მექანიზმის შემუშავების შესახებ“ შეთანხმების ხელმოწერის შედეგად კონფლიქტის

ზონაში შეწყდა საომარი მოქმედებები, მოხდა დაპირისპირებულ მხარეთა დაშორიშორება, საბრძოლო პოზიციებიდან გამოყვანილ იქნა საჯარისო შენაერთები, არტილერია და მძიმე ტექნიკა.

მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ბევრი საკითხია გადასაწყვეტი, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი, როგორიც არის მხარეთა სრული განიარაღება, მძიმე ტექნიკის გაყვანის პროცესის დასრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული შინაგანი ჯარების შენაერთების შექმნა, ლტოლვილთა დაბრუნება მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე და სხვა.

სამშვიდობო პროცესის შეუქცევადობის მიღწევის, შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების, შესრულების, კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების პირობების შექმნის მიზნით:

1. მოწვეულ იქნეს აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების უზრუნველსაყოფად შექმნილი კომისიის სხდომა 1993 წლის სექტემბერში.

2. სახელმწიფოს მეთაურის პირადმა და სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ა.კავსაძემ წარმოადგინოს კონკრეტული წინადადებები კომისიის მუშაობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის შესახებ.

3. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად.

4. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, ვაჭრობისა და მომარაგების, მრეწველობის, კავშირგაბმულობის მინისტრებს, გენერალურ პროკურორს, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების, ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კორპორაციის თავმჯდომარეებს, სატრანსპორტო უწყებათა ხელმძღვანელებს, პოლიგრაფიისა და საგამომცემლო საქმის კორპორაციის გენერალურ დირექტორს გამოყონ თავიანთი მოადგილე, რომელიც მხოლოდ აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებზე იმუშავებს.

5. საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ შექმნას კომისიის მუშაობის სამართლებრივი უზრუნველყოფის ჯგუფი.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილეს ბ. ჯიქიას აფხაზეთში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ორგანიზაცია ამ რეგიონის მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის მიზნით.

7. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში შეიქმნას მრჩეველთა სპეციალური ჯგუფი აფხაზეთის საკითხებთან დაკავშირებით, რომლის ერთი ნაწილი იმუშავებს უშუალოდ სოხუმში.

8. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს გაეროს სამხედრო მეთვალყურეებთან მუშაობას. მათი საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფა, მმართველობის ადგილობრივ და სელისუფლების ცენტრალურ ორგანოებთან ურთიერთობის კოორდინაცია დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს თ. შარმანაშვილს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა გადაწყვიტოს გაეროს სამხედრო მეთვალყურეთა საცხოვრებელი ხარჯების სახელმწიფოს მიერ ანაზღაურების საკითხი.

9. აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების კომისიის თავმჯდომარემ ორ კვირაში ერთხელ წერილობით მომახსენოს გაწეული მუშაობის შესახებ.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 10 სექტემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
გ. ყარყარაშვილის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **გიორგი ყარყარაშვილი** საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრად.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 11 სექტემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
ვ. ვაშაკიძის საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **ვალერიან ვაშაკიძე** საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 11 სექტემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
ა. კავსაძის საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **ალექსანდრე კავსაძე** საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 11 სექტემბერი.

◆

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა
საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზებული ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეთა წახალისების შესახებ

ვბრძანებ:

სამშობლოსა და ერის წინაშე თავდადებისათვის, უმწიკვლო მხედრული სამსახურისა და მამულიშვილური ღვაწლისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს 23-ე მექანიზებული ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებს გამოეცხადოთ მადლობა:

I ბატალიონიდან:

იოსებ აბაშიძეს — რიგითს, მსროლელს;
ელგუჯა გოგოლაძეს — რიგითს, კვების სამსახურის უფროსს;
ვალერი ვარდანიძეს — ლეიტენანტს, ოცეულის მეთაურს;
ვანო კაპანაძეს — რიგითს, მსროლელს;
მამუკა სალინაძეს — ლეიტენანტს, მეთაურის მოადგილეს.

II ბატალიონიდან:

კობა ბოკერიას — რიგითს, ქიმიური დაცვის უფროსს;
ვაჟა გელენიძეს — ლეიტენანტს, ასეულის მეთაურის მოადგილეს;
ვალერი გოგბერიშვილი — ლეიტენანტს, ოცეულის მეთაურის მოადგილეს;

ალექსანდრე კვიციანს – რიგითს, მზვერავს;
გიორგი კობეშავიძეს – უფროს ლეიტენანტს, მეთაურს.

III ბატალიონიდან:

რაჟდენ ბარათელს – რიგითს, მსროლელს;
გიორგი ბესელიას – რიგითს, მსროლელს;
მალხაზ გაბიძაშვილს – რიგითს, მსროლელს;
ზურაბ გაბუნიას – რიგითს, მსროლელს;
ჯურგუ ზაქარაიას – რიგითს, მსროლელს;
გივი მატუას – რიგითს, მსროლელს;
მერაბ პაჭკორიას – რიგითს, მსროლელს;
მურმან ქარცივაძეს – რიგითს, მსროლელს;
თემურ შენგელიას – უფროს ლეიტენანტს, ასეულის მეთაურის მოადგილეს;
თენგიზ ჩიჩუას – უფროს ლეიტენანტს, ასეულის მეთაურის მოადგილეს.

V ბატალიონიდან:

ნოდარ გეწაძეს – რიგითს, მზვერავს;
მზევარ თოდუას – რიგითს, მსროლელს;
ზურაბ კეკუციას – რიგითს, მსროლელს;
ნუგზარ მინაძეს – რიგითს, მსროლელს;
ანზორ ქალდანს – რიგითს, მსროლელს.

VI ბატალიონიდან:

ვანო ბერიას – რიგითს, მემიზნეს;
სლავა ბრეგვაძეს – რიგითს, მძღოლ-მექანიკოსს;
შაქრო ბრეგვაძეს – რიგითს, მემიზნეს;
გურამ დგებიას – რიგითს, მძღოლ-მექანიკოსს;
გიზო ესვანჯიას – უფროს ლეიტენანტს, ოცეულის მეთაურს;
იური ვართანოვს – რიგითს, გამტენს;
დავით თოფურიას – რიგითს, ტანკის მეთაურს;
ზურაბ ისაკაძეს – რიგითს, ტანკის მეთაურს;
რომან კალანდიას – უფროს ლეიტენანტს, ოცეულის მეთაურს;
ნუგზარ კალანდიას – რიგითს, მემიზნეს;
ზურაბ კვარაცხელიას – ლეიტენანტს, ასეულის მეთაურის მოადგილეს;
რომან კირთაძეს – რიგითს, მძღოლ-მექანიკოსს;
ავთო ლოლაძეს – რიგითს, მემიზნეს;

ნუგზარ ოკუჯავას — რიგითს, გამტენს;
თემურ ფაცაციას — ლეიტენანტს, ოცეულის მეთაურს;
ნიკოლოზ ყრუიშვილს — ზემდეგს, ოცეულის მეთაურის მოადგილეს;
ვასილ შკრიბას — რიგითს, გამტენს;
გიორგი შონიას — რიგითს, მძღოლს;
მერაბ ჩიჩუას — რიგითს, მსროლელს;
ზურაბ ჩიქოვანს — რიგითს, ათეულის მეთაურს;
ანზორ ძიძიგურს — ზემდეგს, სარაკეტო ოცეულის მეთაურს;

VII ბატალიონიდან:

ჯემალ ნაჭყებიას — რიგითს, ყუმბართმტყორცნელს;
ვალერი ონიანს — რიგითს, მსროლელს;
ამირან რეზესიძეს — ლეიტენანტს, ასეულის მეთაურის მოადგილეს;
ვიტალი შამათავას — რიგითს, სნაიპერს;
რომან ჩხეიძეს — რიგითს, ათეულის მეთაურს.

VIII ბატალიონიდან:

თამაზ ბენიძეს — რიგითს, მსროლელს;
ავთანდილ დგებუაძეს — რიგითს, ათეულის მეთაურს;
გიორგი ეგაძეს — ლეიტენანტს, ოცეულის მეთაურს;
ბადრი კვიციანს — რიგითს, მსროლელს;
ვლადიმერ შველიძეს — ზემდეგს, მსროლელს;
კახა წითელაშვილს — რიგითს, მსროლელს;
გია ხეცურიანს — რიგითს, მსროლელს;
მამუკა ჯალაღონიას — რიგითს, ასეულის მეთაურის მოადგილეს.

საარტილერიო დივიზიონიდან:

რაინდ ბაჩილავას — რიგითს, პირველი ბატარეის სექციის მემიზნეს;
ზურაბ გოგუას — რიგითს, რადიოსადგურის ათეულის რადიო-ტელეფონისტს;
დაზმირ ზანთარაიას — რიგითს, მესამე საცეცხლე სექციის ნომერს;
ბონდო თოდუას — მაიორს, დივიზიონის მეთაურის მოადგილეს;
ზაურ კეკელიას — რიგითს, მემიზნეს;
დავით ლომიძეს — რიგითს, პირველი ბატარეის საცეცხლე სექციის გამომთვლელს;
ვიტალი კუპრეიშვილს — რიგითს, სარემონტო ათეულის მექანიკოსს;
მერაბ ლომოურიძეს — რიგითს, მეორე საცეცხლე სექციის მეთაურს;

აკაკი ნათენაძეს — რიგითს, სექციის ნომერს;
ვალერიან რეხვიაშვილს — რიგითს, საავტომობილო ათეულის მძღოლს;
ზურაბ ფაცაციას — რიგითს, მესამე ბატარეის საცეცხლე სექციის მძღოლს;
ვენიამინ შენგელიას — ლეიტენანტს, ოცეულის მეთაურს;
არჩილ წულაიას — რიგითს, საავტომობილო ათეულის მძღოლს;
გელა ხარებავას — რიგითს, მეორე ბატარეის მართვის ოცეულის მძღოლს;
ზაურ ჯამბურიას — რიგითს, მემიზნეს;
თეიმურაზ ჯიშკარიანს — რიგითს, სექციის ნომერს.

სადაზვერვო ასეულიდან:

გიორგი ბაგათელიას — რიგითს, მზვერავს;
ზურაბ ბერიძეს — რიგითს, მზვერავს;
ტარიელ გოგუას — რიგითს, ოცეულის მეთაურს;
გენადი კაკუბერს — რიგითს, მზვერავს;
ელდარ კუხალაშვილს — რიგითს, ათეულის მეთაურს;
თეიმურაზ ნაყოფიას — ზემდეგს, მზვერავს;
მურთაზ ჩიტაიას — რიგითს, მზვერავს;
ფრიდონ ძაგანიას — რიგითს, მზვერავს;
იოსებ ხვადაგიანს — რიგითს, მზვერავს;
დიმიტრი ჯანგირაშვილს — რიგითს, ოპერატორს.

საზენიტო დივიზიონიდან:

გიორგი ბალავაძეს — ლეიტენანტს, მესამე ბატარეის ათეულის მეთაურს;
თენგიზ ბლიაძეს — რიგითს, პირველი ბატარეის მსროლელს;
მალხაზ დიდიშვილს — რიგითს, ოპერატორს;
ირაკლი კაკაურიძეს — რიგითს, პირველი ბატარეის გათვლის მეთაურს;
ალექსანდრე ყრუაშვილს — რიგითს, რადიოლოკაციური სადგურის ათეულის მეთაურს;
გიორგი მატუას — ლეიტენანტს, დაზვერვის უფროსს;
ვარდენ ხავთასს — რიგითს, პირველი ბატარეის მსროლელს.

საკომენდანტო ასეულ „ცხუმიდან“:

სერგო გრინკოს — რიგითს, მსროლელს;
მუხრან კაკულიას — რიგითს, ყუმბარათმყორცნელს;
ენვერ ქირიას — რიგითს, ყუმბარმტყორცნელს.

საინჟინრო მესანგრეთა ასეულიდან:

ზურაბ ბებურიას — ლეიტენანტს, ასეულის მეთაურის მოადგილეს;
ბეჟან ბენდელიანს — რიგითს, მეკავშირეს;
შაქრო ქომეთიანს — რიგითს, ოცეულის მეთაურს;
ალკაზარ ჩხეიძეს — უფროს ლეიტენანტს, ასეულის მეთაურის მოადგილეს.

სამთომსროლელ ასეულ „სკორპიონიდან“:

ვალერიან კევლიშვილს — რიგითს, მსროლელს;
იოსებ ლაშხიას — ლეიტენანტს, ოცეულის მეთაურს;
ნუგზარ სიჭინავას — რიგითს, მსროლელს;
მურმან ტყებუჩავას — უფროს ლეიტენანტს, ოცეულის მეთაურს.

კავშირგაბმულობის ბატალიონიდან:

ალექსანდრე ანტონოვს — რიგითს, უფროს მექანიკოსს;
გივი ბერულავას — რიგითს, მექანიკოსს;
გურამ მელაძეს — კაპიტანს, მეთაურის მოადგილეს ზურგის დარგში;
რომან ნინუას — რიგითს, ენერგეტიკოსს.

ქიმიური ასეულიდან:

სერგო მაისურაძეს — რიგითს, ქიმიკოსს;
სერგო მაისურაძეს — რიგითს, ქიმიკოსს;
თემურ უგრეხელიძეს — რიგითს, ქიმიკოსს.

სამედიცინო ასეულიდან:

იოსებ ამირგულაშვილს — კაპიტანს, ექიმ-პროვიზორს;
თამაზ გადრანს — ზემდეგს, საწყობის უფროსს;
ლევან ყიფიანს — უფროს ლეიტენანტს, ექიმს.

შტაბიდან:

ვახტანგ ხარჩილავას — რიგითს, ზეინკალს.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 13 სექტემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადების შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკაში შექმნილი მძიმე კრიმინოგენური ვითარების ნორმალიზაციის, შეიარაღებული ბანდებისა და უკანონო ფორმირებე-

ბის თარეშის აღკვეთის, მასობრივი ეპიდემიების თავიდან აცილების, მოქალაქეთა უშიშროების უზრუნველყოფის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერების, საბელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში კანონიერების დამკვიდრების მიზნით, სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 6 ნოემბრის კანონისა და საგანგებო წესების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 11 დეკემბრის კანონის საფუძველზე გამოცხადდეს საგანგებო წესები საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე 1993 წლის 20 სექტემბრის 00 საათიდან ორი თვის ვადით.

2. საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში სამხედრო დისციპლინის განმტკიცებისა და სამხედრო მოსამსახურეთა მხრიდან საზოგადობერივი წესრიგის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით აიკრძალოს სამხედრო მოსამსახურეთა საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში საშტატო იარაღით გამოჩენა და მათი უმწყობროდ მიმოსვლა დასახლებულ პუნქტებში, აგრეთვე იარაღისა და საბრძოლო მასალების გადატანა საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის, შინაგან საქმეთა მინისტრის, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსის ან მათ მიერ უფლებამოსილი პირების უნებართვოდ, თუ ეს დაკავშირებული არ იქნება კონკრეტულ ტერიტორიაზე სამხედრო-ოპერატიულ ამოცანებთან.

3. რესპუბლიკაში კრიმინოგენური ვითარების გამოსასწორებლად აიკრძალოს უნებართვოდ სამხედრო ფორმისა და სამხედრო ეკიპირების საგნების ტარება, შეჩერდეს მოქალაქეებისათვის ცეცხლსასროლი იარაღის გაფორმება.

4. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ თავდაცვის სამინისტროსთან, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურთან და პროკურატურასთან ერთად უზრუნველყოს:

– დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი და ძებნილი მოქალაქეების დაკავება;

– საპატიმრო დაწესებულებებიდან გაქცეული პირების მოძებნა და ამ დაწესებულებებში დაბრუნება;

– მოსახლეობისა და უკანონო შეიარაღებული ფორმირებებისათვის უნებართვო იარაღის ჩამორთმევა და იმ პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, ვინც წინააღმდეგობას გასწევს იარაღის ჩამორთმევისას;

– შეიარაღებული ბანდებისათვის იარაღის ჩამორთმევა და ბანდების წევრთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, კანონით გათვალისწინებული სხვა უმკაცრესი ზომების მიღება, ყველა შემთხვევაში, როგორც წესი, მშვიდობიანი მოსახლეობის უსაფრთხოების გარანტიების სრული დაცვით.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა, საიონფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსმა, თავდაცვის მინისტრმა და გენერალურმა პროკურორმა სასწრაფოდ წარმოუდგინონ ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს აღნიშნულ ღონისძიებათა დაწვრილებითი გეგმა და გრაფიკი.

5. სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულებების, სახელმწიფო და კერძო საწარმოების, მნიშვნელოვანი მაგისტრალებისა და სხვა ობიექტების ნორმალური ფუნქციონირების და მასობრივ არეულობათა თავიდან აცილების მიზნით, დროებით აიკრძალოს მიტინგების, დემონსტრაციების, გაფიცვებისა და სხვა აქციების მოწყობა.

6. საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ, საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ და მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა სამართალდამცავი ორგანოების დახმარებით უზრუნველყონ პრესისა და ინფორმაციის საშუალებების შესახებ კანონის მოთხოვნათა შესრულების კონტროლი.

7. კონკრეტულ გარემოებათა კვალობაზე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობებმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა თავიანთი კომპეტენციის შესაბამისად განახორციელონ შემდეგი ღონისძიებები:

ა) შემოიღონ დასახლებულ პუნქტებში მოქალაქეთა შესვლისა და გასვლის განსაკუთრებული რეჟიმი; შეამოწმონ დოკუმენტები საკონტროლო პუნქტებისა და მოქალაქეთა მასობრივი თავშეყრის ადგილებში; მოაწყონ რეიდები, პირადი გასინჯვა, ნივთებისა და სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება საპასპორტო რეჟიმის დამრღვევი და სხვა საეჭვო პირების გამოვლენის მიზნით;

ბ) შექმნან მოხალისეთა ჯგუფები საზოგადებრივი წესრიგის დაცვასა და ერთობლივ პატრულირებაში მონაწილეობის მისაღებად;

გ) აუკრძალონ ცალკეულ მოქალაქეებს დადგენილი ვადით გარკვეული ადგილის დატოვება და დააკავონ საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევნი, რომლებიც არ არიან მოცემული ადგილის მცხოვრებნი;

დ) შეზღუდონ სპირტიანი სასმელებით ვაჭრობის საათები;

ე) შემოიღონ კარანტინი და განახორციელონ სხვა სავალდებულო სანიტარულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო ღონისძიებანი;

ვ) დანიშნონ და გაათავისუფლონ თანამდებობიდან მათდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები;

ზ) აკრძალონ მუშა-მოსამსახურეთა სამუშაოდან დათხოვნა საკუთარი სურვილით, საპატიო მიზეზით დათხოვნის შემთხვევების გარდა;

თ) დაადგინონ მათთვის დაქვემდებარებული ცალკეული საწარმოების მუშაობის განსაკუთრებული რეჟიმი, საწარმოებისათვის ზარალის მიუყენებლად შეიტანონ ცვლილებები მათი პროდუქციის რეალიზაციის პირობებსა და წესში;

ი) გააუქმონ ქვემდგომი ორგანოების ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც ეწინააღმდეგება საგანგებო რეჟიმის პირობებს.

8. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა და საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსმა ხუთი დღის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს რესპუბლიკის დასახლებული პუნქტების, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალებისა და აეროპორტების, სამედიცინო და სხვა განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების დაცვის საგანგებო ღონისძიებების ერთობლივი სადღეღამისო პატრულირების გეგმა.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახურმა ამავე ვადაში მოამზადოს წინადადებები რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონების ერთობლივ პატრულირებაში მოხალისე მოქალაქეთა მონაწილეობის თაობაზე.

9. საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარემ ერთი კვირის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს ინფორმაცია რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში მყოფი ლტოლვილების და ხიზნების რაოდენობის, მათი საყოფაცხოვრებო პირობების, შრომითი მოწყობის, მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების მიმდინარეობის შესახებ და კონკრეტული წინადადებები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

10. საქართველოს რესპუბლიკის ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარემ და საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს ერთი კვირის ვადაში წარმოუდგინონ ინფორმაცია ტურისტული ჯგუფების უცხო ქვეყნებში მოგზაურობისას და რესპუბლიკის ტურისტულ ბაზებში და გამშვებ პუნქტებში სანიტარული მოთხოვნების დაცვის შესახებ, აგრეთვე წინადადებები ცალკეული ტურისტული მარშრუტების დროებით გაუქმების თაობაზე.

11. საგანგებო წესების დაცვის საერთო ხელმძღვანელობა დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს.

საგანგებო წესებით გათვალისწინებული კონკრეტული ღონისძიებების კოორდინაციისა და შესრულების კონტროლის მიზნით საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთან შეიქმნას დროებითი კომიტეტი.

ადგილებზე საგანგებო წესების დაცვის ორგანიზაციისათვის რესპუბლიკის რეგიონებში, ქალაქებსა და რაიონებში შეიქმნას შტაბები შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების გამგებლების (მერების), პროკურორების, შინაგან საქმეთა სამმართველოების (განყოფილებების) უფროსების, სამხედრო კომისრების, გარნიზონების უფროსების, საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის შესაბამისი ქვედანაყოფების უფროსების შემადგენლობით. შტატების ხელმძღვანელებს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო.

12. საგანგებო წესების მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვევს ადმინისტრაციულ, სამოქალაქო და სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

13. საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს აცნობოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადება.

14. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს დაადასტუროს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საგანგებო წესების გამოცხადება.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 14 სექტემბერი.

◆

საქართველოს პარლამენტის
გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე – სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე იმყოფება ფრონტის ხაზზე აფხაზი სეპარატისტებისა და დაქირავებული მკვლელების მიერ მიწასთან გასწორებულ სოხუმში. სახელმწიფოს მეთაურის ვაჟკაცობის და თავდადების პირადი მაგალითი მთელი მსოფლიოსათვისაა ცნობილი, მაგრამ ვითვალისწინებთ რა მთლიანად სახელმწიფოში შექმნილ ურთულეს ვითარებას, მიგვაჩნია, რომ ბატონი ედუარდ შევარდნაძის ქალაქ სოხუმში შემდგომი ყოფნა სახიფათოა არა მარტო მისი სიცოცხლისა და პირადი უსაფრთხოებისათვის, არამედ ქართული სახელმწიფოებრიობისათვისაც, და მოვლენების საბედისწერო განვითარების შემთხვევაში შეიძლება უფრო დიდი სისხლისღვრისა და სამოქალაქო ომის დაწყების მიზეზი გახდეს.

საქართველოს პარლამენტი კატეგორიულად მოითხოვს, რომ ბატონი ედუარდ შევარდნაძე დაუყონებლივ დაბრუნდეს დედაქალაქში და შეუდგეს თავისი მოვალეობის შესრულებას. დღეს საქართველოს დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის ახალი ეტაპი იწყება.

საქართველოს პარლამენტი

1993 წლის 27 სექტემბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით:

ზურაბ იარაჯული – უფროსი ლეიტენანტი, სამხედრო საჰაერო ძალების მოიერიშე საავიაციო პოლკის მფრინავი (სიკვდილის შემდეგ);

იზან ცერცვაძე – პოლკოვნიკი, სამხედრო საჰაერო ძალების და ჰაერ-საწინააღმდეგო თავდაცვის სარდლის პირველი მოადგილე (სიკვდილის შემდეგ).

ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით:

ივანე ობგაიძე – მაიორი, სპეციალური დანიშნულების გაერთიანებული სამმართველოს განსაკუთრებული დანიშნულების სამ-სახურის საბრძოლო განყოფილების უფროსის მოადგილე.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 29 სექტემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლის ოფიცრების და მსმენელების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის, მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი სკოლის ოფიცრები და

მსმენელები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით (სიკვდილის შემდეგ):

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით:

ბადრი გერაძე — ლეიტენანტი, მსმენელი;
ზაქარია ვეშაპური — ლეიტენანტი, მსმენელი;
ერნესტ კუქსა-კვინიკაძე — ლეიტენანტი, მსმენელი;
ნუგზარ მარშანიშვილი — ლეიტენანტი, მსმენელი;
ლევან ცისკარიშვილი — ლეიტენანტი, მსმენელი.

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით:

გელა ბელქანია — ლეიტენანტი, მსმენელი;
გელა თუთარაშვილი — ლეიტენანტი, მსმენელი;
ბაჩუკი კოკაია — ლეიტენანტი, მსმენელი;
ანდრია ჭანტურიძე — მსმენელი.

ღირსების მედლით:

მირიან თეთრაძე — მაიორი, მეთოდისტ-მასწავლებელი;
ვახტანგ კვესიტაძე — კაპიტანი, კურსის უფროსი.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 29 სექტემბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის საფრენოსნო კომპლექსის თანამშრომლების და საჰერო ხომალდის ტუ-154-ის ეკიპაჟის წევრების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში შეტანილი პირადი წვლილის, გამოჩენილი ვაჟკაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტის საფრენოსნო კომპლექსის თანამშრომლები და საჰერო ხომალდის ტუ-154-ის ეკიპაჟი დაჯილდოვდეს საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

ვახტანგ გორგასლის III ხაარისხის ორდენით:

ბორის ავაკოვი — საჰაერო ხომალდის მეთაური;

ანზორ ბაკურაძე — საჰაერო ხომალდის მეთაური;
ედუარდ ბულოიანი — საჰაერო ხომალდის ბორტგამყოლი;
ვლადიმერ გასოიანი — საჰაერო ხომალდის შტურმანი;
კონსტანტინე კოშკინი — საჰაერო ხომალდის მეორე მფრინავი;
ალი მუზაფაროვი — საჰაერო ხომალდის ბორტინჟინერი;
მალხაზ ონოფრიშვილი — საჰაერო ხომალდის შტურმანი;
ზურაბ ფერიშვილი — ფრენის უსაფრთხოებისა და კონტროლის განყოფილების უფროსის მოადგილე;
კახი წილოსანი — საჰაერო ხომალდის ბორტინჟინერი;
ვლადიმერ ხიდეშელი — საჰაერო ხომალდის ბორტგამყოლი;
ნიკოლოზ ხრუში — საჰაერო ხომალდის მეორე მფრინავი.

ღირსების ორდენით:

ლევან გრიგოლაშვილი — საფრენოსნო კომპლექსის უფროსი;
ელგუჯა დვალი — საფრენოსნო კომპლექსის უფროსის მოადგილე;
გოჩა თვარაძე — საავიაციო ტექნიკური ბაზის უფროსი;
ვალერი ქაძანაია — თბილისის აეროპორტის უფროსი;
ვასილ ჯამბაზიშვილი — ავიაკომპანია „ორბის“ გენერალური დირექტორი.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 29 სექტემბერი.

◆

საქართველოს პარლამენტის
მ ი მ ა რ თ ვ ა
მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტებს

მოგმართავთ ჩვენს კოლეგებს, მსოფლიოს ყველა ქვეყნის პარლამენტარებს მაქსიმალური საშუალებებით აღმოგვიჩინონთ დახმარება საქართველოს წინააღმდეგ სეპარატიზმისა და ინტერვენციის შედეგად აფხაზეთიდან ასიათასობით ლტოლვილისა და იძულებით აყრილი მშვიდობიანი მოქალაქის — ქართველის, რუსის, სომეხის და სხვა ეროვნების ადამიანების — სიცოცხლის გადარჩენის საქმეში.

სახელმწიფოს არ გააჩნია შესაძლებლობა უზრუნველყოს აფხაზეთიდან ეთნიკური წმენდის შედეგად განდევნილი არააფხაზი მოსახლეობის — ქალების, ბავშვების, მოხუცების, დაჭრილების გადმოყვანა, უსაფრთხო ზონაში უზრუნველყოს ისინი სათანადო კვებით, ტანსაცმლით, სატრანსპორტო და სამედიცინო საშუალებებით.

კიდევ ერთხელ გამოვთქვამთ იმედს, რომ ცივილიზებული მსოფლიო გულგრილი არ დარჩება საბედისწერო განსაცდელში ჩავარდნილი ასი ათასობით ლტოლვილის მიმართ.

თბილისი, 1993 წლის 2 ოქტომბერი.

•

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
აფხაზეთიდან ლტოლვილთა და მებრძოლთა გამოყვანისა და განთავსების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

აფხაზეთში შექმნილი უკიდურესად მძიმე, ტრაგიკული ვითარების შედეგად ლტოლვილად იქცა ათეულ ათასობით ადამიანი. უბედურების ზონიდან ლტოლვილთა და მებრძოლთა გამოყვანისა და განთავსების — ამ დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი საქმის სასწრაფოდ მოგვარების მიზნით კატეგორიულად მოვითხოვ:

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების ხელმძღვანელებმა, ბიზნესმენთა გაერთიანებებმა, გამგეობების თავმჯდომარეებმა სასწრაფო და გადაუდებელი ზომები მიიღონ აფხაზეთიდან — უბედურების ზონიდან დევნილი მოსახლეობის სასწრაფოდ გამოსაყვანად და რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში განსათავსებლად.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, სპეციალურმა შტაბმა ო.ფაცაციას ხელმძღვანელობით გამოძებნოს საწვავი და სატრანსპორტო საშუალებები პირველ რიგში იმ მოქალაქეთა გამოსაყვანად, რომლებიც კოდორის ხეობაში იმყოფებიან, აგრეთვე დამატებითი რესურსები, კვების პროდუქტები იქ მყოფი 40 ათასზე მეტი კაცისათვის.

მათვე შექმნან საევაკუაციო შტაბი ლტოლვილთა თავმოსაყრელად.

3. დაევალოს თავდაცვის სამინისტროს მიიღოს საგანგებო ზომები იმ ჯარისკაცებისა და ოფიცრების გამოსაყვანად და შესაბამის ნაწილებში დასაბრუნებლად, რომლებიც არაორგანიზებულად გამოდიან უბედურების ზონიდან.

4. მინდა გაცნობოთ, რომ მე მივმართე საერთაშორისო ორგანიზაციებს სასწრაფო, გადაუდებელი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის. ასეთი დახმარება აუცილებლად იქნება.

საქართველოს კარგად ესმის ლტოლვილთა უკიდურესი გაჭირვების, განცდების და ტრაგედიისა. ხელისუფლება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მათ ტანჯვა შეუმსუბუქდეთ.

ხვალ დილით დანიშნულია ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს გაფართოებული სხდომა ლტოლვილთა გამოყვანისა და მათი განთავსების საკითხებზე. მოსმენილი იქნება შესაბამის უწყებათა ხელმძღვანელების, რაიონების გამგებლების ინფორმაციები.

თანამდებობის პირთა მხრივ გამოჩენილი ოდნავი უყურადღებობა და უპასუხისმგებლობა გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის ხსნის საქმეში გამოიწვევს მათ სასტიკ დასჯას, სამუშაოდან დათხოვნას. მათ მიმართ გამოყენებული იქნება სხვა უკიდურესი ღონისძიებებიც. ლტოლვილების გამოყვანა და განთავსება ხდება საგანგებო მდგომარეობის პირობებში და საგანგებო მდგომარეობამ ხელი უნდა შეუწყოს ამ დიდი ეროვნული, სახელმწიფოებრივი საქმის სასწრაფოდ მოგვარებას. ლტოლვილებზე ზრუნვა საგანგებო მდგომარეობის დროს ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა.

5. მივმართავ რესპუბლიკის მოსახლეობას, ქალაქებს, სოფლებს შეიფარონ აფხაზეთიდან დევნილი ჩვენი დები, ძმები, შვილები, შვილიშვილები.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 2 ოქტომბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
ჟ. შარტავას ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ (სიკვდილის შემდეგ)

ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის, გმირობისა და თავგანწირვისათვის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, აფხაზეთის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე გენერალ-მაიორი **ჟული შარტავა** დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ).

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 4 ოქტომბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
აფხაზეთის რეგიონში ქართული მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტების გამოვლენის და საერთაშორისო ტრიბუნალისათვის მასალების მომზადების სახელმწიფო კომისიის შექმნის შესახებ

1. შეიქმნას აფხაზეთის რეგიონში ქართული მოსახლეობის გენოციდისა და ეთნიკური წმენდის ფაქტების გამოვლენის და საერთაშორისო ტრიბუნალისათვის მასალების მომზადების სახელმწიფო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ლევან ალექსიძე	–	კომისიის თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი პრორექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი, საერთაშორისო სამართლის კათედრის გამგე;
ჯამლეთ ბაბილაშვილი	–	საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი;
თევდორე ნინიძე	–	საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი;
ალექსანდრე კავსაძე	–	საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე;
ირაკლი ბათიაშვილი	–	საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის უფროსი;
ავთანდილ იოსელიანი	–	საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე;
ვახტანგ აბაშიძე	–	საქინფორმის გენერალური დირექტორი;
ვალერიან ვაშაკიძე	–	საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარე;
აკაკი სიხარულიძე	–	საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე;
არჩილ გოგელია	–	საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის კორპორაციის თავმჯდომარე;
მარკ რივკინი	–	საქართველოს პარლამენტის წევრი;
შალვა ნათელაშვილი	–	საქართველოს პარლამენტის წევრი, იურიდიული კომისიის თავმჯდომარე;
ქართლოს ღარიბაშვილი	–	საქართველოს პარლამენტის წევრი;

დავით კუპრეიშვილი — საქართველოს პარლამენტის წევრი;
გივი ლომინაძე — საქართველოს პარლამენტის წევრი;
ლია ცინდელიანი — საქართველოს პარლამენტის წევრი;
გიგა ლორთქიფანიძე — საქართველოს პარლამენტის წევრი, ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე;
ლონდერ ცაავა — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის რეგიონების მართვის სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;
გივი შაჰნაზარი — მწერალი;
გურამ ფანჯიკიძე — მწერალი;
ნიკო ჭავჭავაძე — საქართველოს პარლამენტის წევრი;
ქეთევან დოლიძე — კინორეჟისორი;
დავით კობახიძე — კომისიის მდივანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის კათედრის თანამშრომელი;
ავთანდილ დემეტრაშვილი — საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის იურიდიული განყოფილების გამგე.

2. დაევალოს კომისიას უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს დებულება და წარმოადგინოს დასამტკიცებლად.

3. კომისიასთან შეიქმნას ექსპერტების ჯგუფი საქართველოს და უცხოეთის ცნობილი სპეციალისტების მონაწილეობით.

4. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს გამოუყოს კომისიას სამუშაო ადგილი და უზრუნველყოს იგი სათანადო მატერიალური და ტექნიკური საშუალებებით.

5. კომისიის შექმნის შესახებ ეცნობოს გაეროს, სხვა სახელმწიფოთაშორისო და არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაციებს.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 6 ოქტომბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
სამხედრო ტყვეთა, მძევალთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საკითხების შემსწავლელი კომისიის შექმნის შესახებ

აფხაზთა მხარის მიერ 27 ივლისს შეთანხმების ვერაგულმა დარღვევამ გამოიწვია საბრძოლო მოქმედებების ესკალაცია. ტყვედ ჩავარდა მრავალი სამხედრო პირი, მძევლად დარჩა ათასობით ქართველი და არაქართველი

მშვიდობიანი მოქალაქე, დაიღუპა ასობით სამხედრო მოსამსახურე, მოხალისე და მშვიდობიანი მოქალაქე, საგრძნობლად გაიზარდა უგზო-უკვლოდ დაკარგულთა რიცხვი.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე:

1. შეიქმნას სამხედრო ტყვეთა, მძევალთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა საკითხების შემსწავლელი კომისია. კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვის და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრე კავსაძე.

2. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული კომისიის მუშაობაში თავდაცვის, შინაგან საქმეთა, უშიშროების, ჯანმრთელობის დაცვის, კავშირგაბმულობის სამინისტროების, რესპუბლიკის პროკურატურის, ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის, ტელერადიოკორპორაციის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მონაწილეობა. დასახელებული სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებმა ორი დღის ვადაში მიავლინონ კომისიაში პასუხისმგებელი თანამდებობის პირები და უზრუნველყონ მისი დაკომპლექტება.

3. დაევალოს კომისიას მოიძიოს და დააზუსტოს სამხედრო ტყვეთა, მძევალთა, დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სიები, აწარმოოს მოლაპარაკება აფხაზურ მხარესთან ტყვეთა და მძევალთა გათავისუფლების, დაღუპულთა გადმოსვენებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ პირთა ძიების შესახებ, დაამყაროს საქმიანი კონტაქტები გაეროსა და ევროგაერთიანების მისიებთან, საერთაშორისო წითელ ჯვართან და სრულიად გამოიყენოს მათი შესაძლებლობანი.

4. საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის ბაზაზე შეიქმნას კომისიის მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფები. კომისიისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობის კოორდინაცია დაევალოს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარეს ალექსანდრე კავსაძეს.

5. რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა აღმოუჩინონ კომისიას ქმედითი დახმარება. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურმა (ი. ანდრიაძე), საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ (ფ. ინჯია), საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტმა (გ. გოგიჩაიშვილი) უზრუნველყონ კომისია სატრანსპორტო და კავშირგაბმულობის საშუალებებით მათი განაცხადის საფუძველზე.

6. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს (დ. იაკობიძე) გაითვალისწინოს კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 13 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 741
1993 წლის 18 ოქტომბერი, ქ. თბილისი
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აპარატის საკითხების შესახებ

აფხაზეთის ტერიტორიის ოკუპაციის გამო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აპარატის ქალაქ თბილისში დროებით გადმოსვლისა და მისთვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წინადადება და დამტკიცდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აპარატის თანდართული დროებითი სტრუქტურა.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველობამ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად უზრუნველყოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აპარატის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შენობაში (ინგოროყვას ქუჩა, №8) დროებით განთავსება, საკანცელარიო, სატელეფონო (მათ შორის ორი სამთავრობო) და სატრანსპორტო საშუალებებით მომსახურება, შეუქმნას ყოველდღიური საქმიანობისათვის საჭირო პირობები.

3. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ განიხილოს და წარადგინოს წინადადება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აპარატის შესანახი ხარჯების გაღების შესახებ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აპარატის მუშაკებს შეუნარჩუნდეთ არსებული ხელფასის დონე.

4. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აპარატის საფინანსო და საბუღალტრო საქმიანობის წარმართვა დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველობის ფინანსებისა და საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილებას (ვ. ფანჯიკიძე).

5. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ იხელმძღვანელოს „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 6 ნოემბრისა და „საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ“ 1992 წლის 22 დეკემბრის კანონებით და სხვა მოქმედი ნორმატიული აქტებით.

6. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა, უწყებებმა, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა აღმოუჩინონ სათანადო თანადგო-

მა და დახმარება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიმდინარე ეტაპზე მის წინაშე არსებული ამოცანების რეალიზაციაში.

7. საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა:

– განათავსონ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი დარგობრივი სამინისტროები და ყოველმხრივ შეუწყონ ხელი მათ ფუნქციონირებაში;

– საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად განიხილონ და გადაწყვიტონ ამ სამინისტროების მუშაკთა შრომის ანაზღაურების საკითხი.

8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ (რ.სიჭინავა, ლ.მარშანია) რესპუბლიკის შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით წარმოადგინოს მოქმედების პროგრამა და მისი რეალიზაციების ღონისძიებათა გეგმა.

9. თბილისის მერიამ განიხილოს და გადაწყვიტოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აპარატის მუშაკთა საცხოვრებლად განთავსების საკითხი.

10. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საქმეთა მმართველობის ადგილობრივი ორგანოების განყოფილებას (დ. ნოზაძე).

11. ამ დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდეს პრესაში, გადაიცეს ტელევიზიითა და რადიოთი.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია

◆

19 октября 1993 г. Нью-Йорк, ООН
Совет Безопасности

РЕЗОЛЮЦИЯ 876 (1993),
принятая Советом Безопасности на его 3295-м заседании
19 октября 1993 года

Совет Безопасности,

вновь подтверждая свои резолюции 849 (1993) от 9 июля 1993 года, 854 (1993) от 6 августа 1993 года и 858 (1993) от 24 августа 1993 года,

ссылаясь на заявление, сделанное Председателем Совета Безопасности 17 сентября 19393 года (S/26463), в котором Совет Безопасности выразил

свою крайнюю обеспокоенность в связи с ситуацией в Абхазии, Республика Грузия, и настоятельно призвал все страны содействовать возобновлению мирного процесса,

рассмотрев письмо Председателя Парламента, Главы государства Республики Грузия, от 12 октября 1993 года (S/26576, приложение),

рассмотрев также доклад Генерального секретаря от 7 октября 1993 года (S /26551),

будучи глубоко озабочен человеческими страданиями, вызванными конфликтом в регионе, и сообщениями об «этнической чистке» и других серьезных нарушениях международного гуманитарного права,

полагая, что продолжение конфликта в Абхазии, Республика Грузия, создает угрозу миру и стабильности в регионе,

1) подтверждает суверенитет и территориальную целостность Республики Грузия;

2) вновь подтверждает свое решительное осуждение серьезного нарушения абхазской стороной Соглашения о прекращении огня, заключенного 27 июля 1993 года Республикой Грузия и силами в Абхазии, и последующих действий в нарушение международного гуманитарного права;

3) осуждает также убийство Председателя Совета обороны и Совета министров Автономной Республики Абхазии;

4) требует, чтобы все стороны воздерживались от применения силы и любых нарушений международного гуманитарного права, и приветствует в этой связи решение Генерального секретаря направить в Республику Грузия миссию по установлению фактов, и в частности для расследования сообщений об «этнической чистке",

5) подтверждает право беженцев и перемещенных лиц на возвращение в свои дома и призывает стороны содействовать этому;

6) приветствует уже оказанную гуманитарную помощь, в том числе со стороны международных организаций по оказанию помощи, и настоятельно призывает государства- члены вносить свой вклад в усилия по оказанию помощи;

7) призывает к беспрепятственному осуществлению деятельности по оказанию международной гуманитарной помощи в регионе;

8) призывает все государства не допускать предоставления абхазской стороне, с их территории или лицами, находящимися под их юрисдикцией, любой помощи, помимо гуманитарной, и в частности не допускать поставок любых видов оружия и боеприпасов:

9) вновь заявляет о своей поддержке усилий Генерального секретаря и его Специального посланника, осуществляемых в сотрудничестве с действующим Председателем Совещания по безопасности и сотрудничеству в Европе (СБСЕ) и с помощью правительства Российской федерации, выполняющего функции содействия, с тем чтобы двигать вперед мирный процесс в целях достижения полномасштабного политического урегулирования;

10) отмечает предварительные шаги, предпринятые Генеральным

секретарем в отношении Миссии Организации Объединенных Наций по наблюдению в Грузии (МООННГ), и приветствует его намерение представить дополнительный доклад как о будущем МООННГ, так и о политических аспектах роли Организации Объединенных Наций, стремящейся положить конец конфликту в Абхазии;

11) постановляет продолжать заниматься этим вопросом.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
თ. ნადარეიშვილის საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის საგანგებო წარმომადგენლად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **თამაზ ნადარეიშვილი** საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის საგანგებო წარმომადგენლად განსაკუთრებულ საკითხებში.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 20 ოქტომბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
გ. ლომინაძის სახელმწიფო მინისტრად, დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **გივი ლომინაძე** სახელმწიფო მინისტრად, დასავლეთ საქართველოს საგანგებო სიტუაციების ზონის დროებითი კომიტეტის თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 23 ოქტომბერი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
ზ. ერქვანიას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **ზურაბ ერქვანია** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 28 ოქტომბერი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
თ. ნადარეიშვილის საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს **თამაზ ნადარეიშვილი** საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილედ აფხაზეთის საკითხებში.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 29 ოქტომბერი.

◆

4 ноября 1993 г. Нью-Йорк, ООН
Совет Безопасности

РЕЗОЛЮЦИЯ 881 (1993),
принятая Советом безопасности на его 3304-м заседании 4 ноября 1993 года,

Совет Безопасности,

вновь подтверждая свои резолюции 849 (1993) от 9 июля 1993 года, 854 (1993) от 6 августа 1993 года, 858 (1993) от 24 августа 1993 года и 876 (1993) от 19 октября 1993 года,

ссылаясь, в частности, на резолюцию 858 (1993) от 24 августа 1993 года, в которой Совет постановил учредить Миссию Организации Объединенных Наций по наблюдению в Грузии (МООННГ),

рассмотрев доклад Генерального секретаря от 27 октября 1993 года (S/26646) о положении в Абхазии, Республика Грузия,

с обеспокоенностью отмечая, что первоначальный мандат МООННГ утратил свою силу в связи с военными событиями, имевшими место 16-27 сентября 1993 года,

выражая свою серьезную озабоченность по поводу того, что продолжение конфликтам в Абхазии, Республика Грузия, угрожает миру и стабильности в регионе.

1) приветствует доклад Генерального секретаря от 27 октября 1993 года;

2) приветствует также продолжающиеся усилия, предпринимаемые Генеральным секретарем и его Специальным посланником а сотрудничестве с

действующим Председателем Совещания по безопасности и сотрудничеству в Европе (СБСЕ) и с помощью правительства Российской Федерации в качестве содействующей стороны для продвижения вперед мирного процесса с целью достижения полномасштабного политического урегулирования и, в частности, организации в конце ноября 1993 года в Женеве переговоров с участием обеих сторон;

3) вновь повторяет содержащееся в его резолюции 876 (1993) требование о том, чтобы все стороны конфликта в Абхазии, Республика Грузия, воздерживались от применения силы и любого нарушения международного гуманитарного права, и ожидает представление доклада миссии по установлению фактов, направленной в связи с этим Генеральным секретарем в Республику Грузия;

4) одобряет сохранение присутствия МООННГ в Грузии до 31 января 1994 года в составе пяти военных наблюдателей и минимального вспомогательного персонала со следующим временным мандатом:

а) поддерживать контакты с обеими сторонами в конфликте и с военными контингентами Российской Федерации;

б) наблюдать за ситуацией и представлять доклады в Центральные учреждения с уделением особого внимания любым событиям в связи с предпринимаемыми Организацией Объединенных Наций усилиями по содействию всеобъемлющему политическому урегулированию;

5) постановляет не продлевать мандат МООННГ после 31 января, 1994 года, если Генеральный секретарь не сообщит Совету о значительном прогрессе, достигнутом в осуществлении мер, направленных на достижение прочного мира, или что такое продление мандата будет служить целям осуществления мирного процесса, и просит Генерального секретаря представить в соответствующий срок, и в любом случае к концу января 1994 года, доклад о деятельности МООННГ;

6) просит Генерального секретаря предпринять организационные шаги, которые после принятия Советом нового решения позволили бы осуществить безотлагательное развертывание дополнительного персонала в рамках первоначально санкционированной численности МООННГ, если Генеральный секретарь сообщит а том, что это оправдано обстановкой на месте и ходом мирного процесса;

7) постановляет продолжать заниматься этим вопросом.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
აფხაზეთის პრობლემებზე მუშაობის
საკოორდინაციო შტაბის შექმნის შესახებ

აფხაზეთის პრობლემათა დროული და ჯეროვანი მოგვარების აუცილებლობიდან გამომდინარე შეიქმნას ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობისა და აფხაზეთის პრობლემებზე მუშაობის საკოორდინაციო შტაბი შემდეგი შემადგენლობით:

თამაზ ნადარეიშვილი – საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე (შტაბის ხელმძღვანელი);

ჯამლეთ ბაბილაშვილი – საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი;

იგორ გიორგაძე – საქართველოს რესპუბლიკის უშიშროების მინისტრი;

ზურაბ ერქვანია – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე;

დავით იაკობიძე – საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი;

ბორის კაკუბავა – საქართველოს პარლამენტის წევრი;

შოთა კვირაია – საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი;

გიორგი ყარყარაშვილი – საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი;

ალექსანდრე შუშანაშვილი – საქართველოს რესპუბლიკის მთავარი სამხედრო პროკურორი;

ალექსანდრე ჩიკვაიძე – საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი;

ვლადიმერ ჩიქოვანი – საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სარდალი;

ვალერი ჩხეიძე – საქართველოს რესპუბლიკის სასაზღვრო ჯარების სარდალი;

ნოდარ ჯავახიშვილი – საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1993 წლის 24 ნოემბერი.

МЕМОРАНДУМ О ПОНИМАНИИ между грузинской и абхазской сторонами на переговорах в Женеве

4. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრომ, სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ, პურპროდუქტებისა და მეფრინველეობის კორპორაციამ, ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა, ადგილობრივი მმართველობის შესაბამისმა ორგანოებმა განახორციელონ საგანგებო ზომები, რათა მკვეთრად გაუმჯობესდეს ორგანიზებული წესით დაბინავებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა კვების ობიექტების პროდუქტებით მომარაგება.

5. საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა, საქართველოს შრომის ბირჟამ, სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა იძულებით გადაადგილებულ შრომისუნარიან პირთა დროებითი დასაქმებისათვის.

6. საქართველოს საერთაშორისო დახმარების კოორდინაციის ბიურომ იძულებით გადაადგილებულ მრავალრიცხოვან პირთათვის ჰუმანიტარული დახმარების ორგანიზებულად მიწოდების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტთან ერთად უზრუნველყოს ამ დახმარების მიმწოდებელი დონორი ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაცია და დასავლეთ საქართველოში სახელმწიფოს მეთაურის პირადი და სრულუფლებიანი წარმომადგენლისა და შიდა ქართლის რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულის აპარატებთან, აგრეთვე ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად მისი განაწილებისა და მომხმარებლამდე მიტანის სწორი ორგანიზაცია.

7. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

– შეიმუშაოს და განახორციელოს იძულებით გადაადგილებულ პირთა სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების, მათი მედიკამენტებით მომარაგების, მკურნალობის და სამედიცინო რეაბილიტაციის უზრუნველყოფის ღონისძიებანი;

– საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ქმედითი დახმარება აღმოუჩინოს აფხაზეთში საომარი მოქმედების დროს დაჭრილ და დასახიჩრებულ მეომრებს მკურნალობასა და პროტეზირებაში.

8. ქალაქ თბილისის მერიამ განიხილოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს აპარატისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურის და სხვა სამართალდამცველი ორგანოების მუშაკების ოჯახთა დროებით საცხოვრებელში განთავსების საკითხი.

9. საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან ერთად მიიღოს საჭირო ზომები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკისა და ცხინვალის კულტურის მუშაკთა და შემოქმედებითი კოლექტივებისათვის შრომისა და ცხოვრებისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად, შემოქმედებითი პოტენციალის შესანარჩუნებლად და აღსადგენად, საჭირო შემთხვევაში წარმოადგინოს სათანადო წინადადებანი.

10. ქალაქ ზუგდიდის გამგეობამ მიიღოს ჯეროვანი ზომები ქალაქში განლაგებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საკოორდინაციო შტაბისა და გალის რაიონის გამგეობისათვის მუშაობის შესაფერისი პირობების შესაქმნელად.

11. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ:

– განიხილოს დადგენილებაში მოცემული ღონისძიებების დაფინანსების საკითხი, დაუთმოს განსაკუთრებული ყურადღება ორგანიზებული კვებისა და დახმარების თანხების დროულად ჩარიცხვას;

– დადებითად გადაწყვიტოს საკითხი მომსახურე იძულებით გადაადგილებულ პირებზე ხელფასისა და დახმარების თანხის ერთდროულად გაცემის საკითხი;

ერთი კვირის ვადაში განიხილოს საკითხები:

– იძულებით გადაადგილებულ მომსახურეთა განათლების სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და სხვა ევაკუირებული ორგანიზაციების 1995 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას შესაძლო დახმარების შესახებ;

– აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის და ქალაქ ცხინვალის მასობრივი ინფორმაციის მომსახურე ორგანიზაციათა დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის, კერძოდ, აფხაზეთის ტელე-

რადიოკომპანიის ნორმალური მუშაობისათვის აუცილებელი მოწყობილობების შესაძენი თანხის გამოყოფის შესახებ.

12. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ და ფინანსთა სამინისტრომ იმ უწყებების ხელმძღვანელებთან ერთად, რომელთა დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების შენობებში ცხოვრება უხდებათ იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს, განიხილონ საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის წინადადებანი ერთიანი საგადასახადო ტარიფების შემოღების, ამ ორგანიზაციებში მომსახურე პერსონალის საშტატო ერთეულების შემცირების, სხვადასხვა სახის მომსახურებისათვის დარიცხვის გაუქმების, კომუნალური გადასახადების მოწესრიგების შესახებ, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკთან, მრეწველობის სამინისტროსთან და საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო, საზღვაო და საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტებთან ერთად დროებით განსახლების ადგილებში აფხაზეთის ავტონომიური რეპუბლიკის საწარმოთა ამოქმედების მიზნით მათთვის კრედიტის გამოყოფის შესახებ.

13. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა ბანკმა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კომერციულმა შენახველმა ბანკმა განიხილონ საკითხები:

– იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ფულადი დახმარების გაცემის მომსახურებისათვის ორი პროცენტის დაკავების გაუქმების შესახებ;

– იძულებით გადაადგილებულ პირთათვის მეანაბრეობისა და მეპაიეობის საკითხებში დახმარების აღმოჩენის შესახებ.

14. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტთან ერთად გადაწყვიტოს იძულებით გადაადგილებული მოქალაქეების ქონების პრივატიზაციასა და ვაუჩერიზაციასთან დაკავშირებული საკითხები.

15. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ:

– საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის გაანგარიშების შესაბამისად ერთი თვის ვადაში გამოყოს ქალაქ თბილისში საჭირო რაოდენობის ფართობი პროფტექსასწავლებლების საერთო საცხოვრებლების ბაზაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა განსათავსებლად;

– განიხილოს საკითხები იძულებით გადაადგილებული ოჯახებიდან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდების საჭიროების შემთხვევაში რესპუბლიკაში გადმოყვანისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალისათვის აუთვისებელი ადგილების ხარჯზე დამატებით 100 ადგილის გამოყოფის შესახებ /ომში დაჭრილი, დაღუპული მეომრების ოჯახის წევრები-

სათვის, აგრეთვე იმ მეომრებისათვის, რომლებიც გამოცდების პერიოდში ასრულებდნენ სამხედრო დავალებას და ფიზიკურად არ ჰქონდათ მისაღებ გამოცდებში მონაწილეობის მიღების საშუალება/;

– კომერციულ და სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ იძულებით გადაადგილებულ პირთა გადასახადებზე შეღავათების გავრცელების შესახებ;

– თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალისათვის შესაფერისი შენობის გამონახვის შესახებ;

– იძულებით გადაადგილებული მოსწავლე-ახალგაზრდების უფასოდ სახელმძღვანელოებით მომარაგების შესახებ, ქალაქებში მოსკოვსა და სოჭში ლტოლვილი ბავშვებისათვის ქართული სკოლების კონტიგენტის გათვალისწინებით.

16. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ, კულტურის სამინისტროსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან ერთად ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი საქართველოს მთლიანობისათვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

17. საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით:

– სამი თვის ვადაში აღრიცხოს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ლტოლვილი მოქალაქეები, დააყენოს საკითხი შესაბამის ორგანოებში მათი სოციალური პრობლემების მოწესრიგების თაობაზე ლტოლვილთა შესახებ საერთაშორისო ნორმების მიხედვით;

– მიიღოს ზომები ლტოლვილთა რაოდენობის საბოლოოდ დასაზუსტებლად და სამშობლოში დაბრუნებისათვის მოსამზადებლად, მათი ცხოვრებისა და შრომის მინიმალური პირობების შესაქმნელად, სამშობლოსთან კავშირის აღსადგენად და დასამყარებლად.

ამ მიზნით ფართოდ გამოიყენოს პრესის, რადიოსა და ტელევიზიის შესაძლებლობანი;

– საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობის კომიტეტთან ერთად აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ მოწყობასთან დაკავშირებული საკითხების მომზადებისას და განხილვისას, როგორც წესი, გაითვალისწინონ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლის მონაწილეობა.

18. აფხაზეთიდან გამოყვანილი სახელმწიფო სატრანსპორტო საშუალებათა უფრო ეფექტური ექსპლუატაციისა და ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტში შემოსავლების გაზრდის მიზნით:

– აიკრძალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კუთვნილი

ყველა სახის სახელმწიფო ტრანსპორტისა და სხვა ქონების ლიცენზირება, პრივატიზაცია და იჯარით გადაცემა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმების გარეშე;

— საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ განიხილოს საზღვაო კომპანია „აფხაზეთისათვის“ საომარი მოქმედებების დროს დროებით გადაცემული გემების „კოდორისა“ და “ვექტორის“ დაბრუნების საკითხი.

19. საქართველოს რესპუბლიკის საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტმა საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტთან, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად დაამუშაოს დებულება ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, ხეიბრების, მძიმე ავადმყოფების და მათი მომვლელების, მარჩენალის გარეშე დარჩენილი პენსიონერების, აგრეთვე საგანგებო დავალების შესასრულებლად მივლინებული პირებისათვის სამგზავრო ბილეთებზე შეღავათიანი ფასების დაწესების შესახებ.

ამასთან დაკავშირებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის 10 ნოემბრის № 845 განკარგულება.

20. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ, „საქნავთობის“ დეპარტამენტმა და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო კონცერნ „საქნავთობპროდუქტმა“ განიხილონ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსათვის 10 ტონა ბენზინისა და 10 ტონა დიზელის საწვავის ყოველთვიურად გამოყოფის საკითხი წინასწარი ანგარიშსწორებით.

21. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა:

— მიიღონ ზომები იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა შორის სამართალდარღვევათა ფაქტების პროფილაქტიკისა და აღკვეთისათვის;

— საჭიროების მიხედვით უზრუნველყონ იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა რესპუბლიკიდან გასვლისა და რესპუბლიკაში დაბრუნებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება;

— საზღვარგარეთ სამუშაოდ წამსვლელ პირთათვის ვიზების გაცემა მოახდინოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიების საფუძველზე;

— დაუყონებლივ განიხილოს და გადაწყვიტოს იძულებით გადაადგილებულ პირთა და ლტოლვილთა პასპორტიზაციასთან დაკავშირებული საკითხები;

— მიიღოს ზომები საომარი მოქმედების დროს სხვადასხვა სამხედრო ფორმირებისა და უწყების დაქვემდებარებაში გადაცემული სახელმწიფო

სატრანსპორტო საშუალებათა კანონიერი მფლობელებისათვის დასაბრუნებლად.

22. საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტისა და საქართველოს საერთაშორისო დახმარების კოორდინაციის ბიუროს მიერ იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მოწყობის საკითხებში განსახორციელებელი სამუშაოს შეთანხმებულად წარმართვის მიზნით იძულებით გადაადგილებულ პირთა რიგებიდან:

– დაინიშნოს საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარის ერთი მოადგილე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წარდგინებით;

– გათვალისწინებულ იქნეს ქალაქებისა და რაიონების მერიებსა და გამგეობებთან არსებული იძულებით გადაადგილებულ პირთა კომიტეტების შემადგენლობაში, როგორც წესი, ორი კაცი.

23. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად შექმნას პირობები დალის ხეობაში სახელმწიფოებრივი სტრუქტურების გამართული მუშობისათვის, განახორციელოს ღონისძიებანი აღნიშნულ ხეობაში დარჩენილი სატრანსპორტო საშუალებების, სხვადასხვა მექანიზმებისა და მატერიალურ ფასეულობათა მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად.

24. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ:

– ორი კვირის ვადაში გადაწყვიტოს დალის ხეობაში ადგილობრივი მმართველობის საკადრო საკითხები;

– საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად გაატაროს აუცილებელი ერთობლივი ღონისძიებანი ხეობაში შექმნილი კრიმინოგენური სიტუაციის განსამუხტავად, ხეობაში კონცენტრირებული და ხიზანი მოსახლეობის პირადი ქონების დასაცავად;

– საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე მოსმენილ იქნეს რესპუბლიკის მოსახლეობის სურსათით მომარაგების სამთავრობო კომისიისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი ინფორმაცია „დალის ხეობაში მცხოვრებთა და აფხაზეთიდან ლტოლვილთა სურსათით უზრუნველყოფის ღონისძიებათა გეგმის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის 1994 წლის 1 სექტემბრის № 743 განკარგულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

25. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ:

– საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად მიიღოს ზომები დალის ხეობაში სოფლების სკოლებში სარემონტო სამუშაოთა ჩასატარებლად და ამ სამუშაოების დასაფინანსებლად;

– განიხილოს აღნიშნული ხეობაში მცხოვრები ახალგაზრდების უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის დროს მათთვის შეღავათების გაწევის საკითხი.

26. საქართველოს რესპუბლიკის საავიაციო ტრანსპორტის დეპარტამენტმა დალის ხეობასთან მყარი და რეგულარული კავშირის უზრუნველსაყოფად დანიშნოს შვეულმფრენის რეისები პერიოდულობით — არა ნაკლებ კვირაში ერთხელ.

27. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ, მრეწველობის სამინისტრომ, სახელმწიფო კონცერნმა „საქნავთობპროდუქტმა“, ცეკავშირის გამგეობამ, ადგილობრივი მმართველობის შესაბამისმა ორგანოებმა ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტთან ერთად განახორციელონ გადაუდებელი ზომები დალის ხეობის მცხოვრებთა, აგრეთვე მშობლიურ ადგილებში დაბრუნების პროცესში ადამიანთა საკვებით, ტანსაცმელით, საწვავით, სარეცხი საშუალებებით, განადგურებული ოჯახების აღდგენისათვის საჭირო სამეურნეო საქონლით უზრუნველყოფისათვის /სათანადო რესურსებისა და ანგარიშსწორების გათვალისწინებით/.

28. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტრომ და ფინანსთა სამინისტრომ ერთობლივად განიხილონ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში აღდგენითი სამუშაოების დაპროექტებისა და წარმოების დაფინანსების საკითხები და თვიანთი წინადადებანი წარმოუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ოცი დღის ვადაში.

29. აღდგენითი სამუშაოების მოცულობათა დაზუსტება, დაპროექტება და განხორციელება დაევალოს რესპუბლიკაში განლაგებულ საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციებს, განურჩევლად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა, საქართველოს რესპუბლიკის არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა და საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თაოსნობით.

აღნიშნულმა კომიტეტმა ამ დავალების შესრულებისას განსაკუთრებული ყურადღებით განიხილონ აღდგენითი სამუშაოები უცხოური წარმოების მალალი მზადყოფნის ასაკრები ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების გამოყენების კონცერნ „საქსოფმშენისა“ და კომპანია „ლისის“ მიერ შემოთავაზებული მეთოდი.

30. საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტრომ, არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტმა, ცეკავშირის გამგეობამ, მატერიალური რეზერვების დეპარტამენტმა, რესპუბლიკურმა გაერთიანება „საქსაშენმასალებმა“, საავტომობილო ტრანსპორტის დეპარატამენტმა და სახელმწიფო კონცერნმა „საქნავთობპროდუქტმა“ მიიღონ საგანგებო ზომები, რათა აღდგენითი სამუშაოებით დასაქმებული მოსახლეობა, საპროექტო და სამშენებლო ორგანიზაციები შეძლების მიხედვით იქნენ უზრუნველყოფილი სამშენებლო მასალებით, ნაკეთობებით, სატრანსპორტო საშუალებებით, რისთვისაც შექმნან მათი საჭირო რეზერვი /სათანადო რესურსებისა და ანგარიშსწორების გათვალისწინებით/.

31. ეთხოვოს რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, წარმოებებსა და დაწესებულებებს, ქალაქებისა და რაიონების მერიებსა და გამგეობებს, აგრეთვე ასოციაციებს, ფირმებს, ბანკებს და სხვა არასახელმწიფოებრივ სტრუქტურებს სათანადო საქველმოქმედო ღონისძიებებით შეხვდნენ ამ წამოწყებას და თავიანთი წინადადებანი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური დახმარების შესახებ წარმოუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს.

32. საქართველოს რესპუბლიკის დაზღვევის სახელმწიფო კომპანიამ შესაძლებლობის ფარგლებში ჩაატაროს საჭირო სამუშაო მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის აღსარიცხავად.

33. საქართველოს რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ფართო ადგილი დაუთმონ თვიანთ მუშაობაში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტრაგედიის ობიექტურ ჩვენებას; უზრუნველყონ ქართველთა გენოციდის ამსახველი დოკუმენტების პოპულარიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ, შექმნან აფხაზ და ოს სეპარატისტთა დეზინფორმაციის საწინააღმდეგო მოქმედების ეფექტური მექანიზმი, ამხილონ მათი ანტიხალხური მოქმედების არსი, მისი განვითარების პროცესი ჩასახვიდან დღემდე, მოპოვებულ დოკუმენტებზე დაყრდნობით ამცნონ მსოფლიოს ხალხებს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიებზე ამჟამად მოქმედი ფაშისტური რეჟიმების შესახებ; განუმარტონ მოსახლეობას, რომ საქართველოს ხელისუფლება ისევე იცავს მშვიდობიან აფხაზთა და ოსთა ინტერესებს, როგორც ქართველთა და საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებისას.

გამომცემლობა „საქართველომ“ უზრუნველყოს თავისი ხარჯებით გაზეთ „აფხაზეთის ხმის“ გამოსვლა კვირაში ერთხელ 5000 ცალი ტირაჟით.

34. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატას პერიოდულად შეამოწმოს იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ მიღებული კანონების, ნორმატიული აქტების, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებების რეალიზაციის საკითხი და საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურასთან, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონტროლის პალატასა და პროკურატურასთან ერთად ერთი თვის ვადაში შეისწავლოს აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან დაკავშირებული საზოგადოებრივი და საქველმოქმედო ფონდების საქმიანობა.

35. კონტროლი ამ დადგენილების შესრულებისადმი დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხთა სამსახურს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

ო. ფაცაცია

12 января 1995 г. Нью-Йорк, ООН
Совет Безопасности

РЕЗОЛЮЦИЯ 971 (1995), принятая Советом Безопасности на его 3488-м заседании 12 января 1995 года

Совет Безопасности,

подтверждая свои резолюции 849 (1993) от 9 июля 1993 года, 854 (1993) от 6 августа 1993 года, 858 (1993) от 24 августа 1993 года, 876 (1993) от 19 октября 1993 года, 881 (1993) от 4 ноября 1993 года, 892 (1993) от 22 декабря 1993 года, 896 (1994} от 31 января 1994 года, 906 (1994) от 25 марта 1994 года, 934 (1994) от 30 июня 1994 года и 937 (1994) от 21 июля 1994 года,

рассмотрев доклад Генерального секретаря от 6 января 1995 года (S/1995/10 и Add 1 и 2),

вновь подтверждая свою приверженность суверенитету и территориальной целостности Республики Грузия и в этом контексте ссылаясь на заявление Председателя Совета Безопасности от 2 декабря 1994 года (S/PRST/1994/78),

вновь подтверждая также право всех беженцев и перемещенных лиц, затронутых конфликтом, на возвращение в свои дома в условиях безопасности в соответствии с международным правом и положениями Четырехстороннего соглашения о добровольном возвращении беженцев и перемещенных лиц (S/1994/397, приложение II), подписанного в Москве 4 апреля 1994 года,

настоятельно призывая стороны воздерживаться от любых односторонних действий, которые могут осложнить или подорвать политический процесс, направленный на скорейшее и всеобъемлющее урегулирование конфликта,

будучи глубоко обеспокоен отсутствием прогресса в отношении всеобъемлющего политического урегулирования, а также медленными темпами возвращения беженцев и перемещенных лиц,

призывая стороны активизировать усилия, под эгидой Организации Объединенных Наций и при помощи Российской Федерации в качестве

действующей стороны и при участии представителей Организации по безопасности и сотрудничеству в Европе (ОБСЕ), в целях достижения скорейшего и всеобъемлющего политического урегулирования конфликта, включая вопрос о политическом статусе Абхазии, при полном уважении суверенитета и территориальной целостности Республики Грузия,

выражая свое удовлетворение по поводу тесного сотрудничества и координации между Миссией Организации Объединенных Наций по наблюдению в Грузии (МООННГ) и миротворческими силами Содружества Независимых Государств (СНГ) в осуществлении их соответствующих мандатов,

высоко оценивая вклад миротворческих сил СНГ и МООННГ в поддержание прекращения огня и стабилизацию обстановки в зоне грузино-абхазского конфликта,

1) приветствует доклад Генерального секретаря от 6 января 1995 года;

2) постановляет продлить мандат МООННГ, изложенный в его резолюции 937 (1994), на дополнительный период, заканчивающийся 15 мая 1995 года;

3) просит Генерального секретаря в течение двух месяцев после принятия настоящей резолюции представить доклад о всех аспектах ситуации в Абхазии, Республика Грузия;

4) предлагает Генеральному секретарю продолжать свои усилия, направленные на достижение всеобъемлющего политического урегулирования конфликта, включая вопрос о политическом статусе Абхазии, при полном уважении суверенитета и территориальной целостности Республики Грузия, и призывает стороны достичь существенного прогресса в переговорах под эгидой Организации Объединенных Наций и при помощи Российской Федерации в качестве содействующей стороны и при участии представителей ОБСЕ;

5) призывает стороны соблюдать свои обязательства в отношении возвращения беженцев и перемещенных лиц, принятые в Четырехстороннем соглашении, и в частности, призывает абхазскую сторону существенно ускорить этот процесс;

6) постановляет провести, на основе доклада Генерального секретаря, который будет представлен к 4 мая 1995 года, и в свете любого прогресса, достигнутого в направлении политического урегулирования и возвращения беженцев и перемещенных лиц, всесторонний обзор ситуации в Абхазии, Республика Грузия;

7) просит также Генерального секретаря изучить, в рамках существующего мандата МООННГ, в сотрудничестве с соответствующими представителями миротворческих сил СНГ возможность принятия дополнительных мер с целью содействовать созданию условий, благоприятствующих безопасному и упорядоченному возвращению беженцев и перемещенных лиц;

8) вновь обращается к государствам-членам с призывом делать взносы в фонд добровольных взносов в поддержку осуществления Соглашения о прекращении огня и разъединении сил, подписанного в Москве 14 мая 1994

года (S/1994/583, приложение I). и/или гуманитарных аспектов, включая разминирование, как это будет определяться донорами;

9) постановляет продолжать активно заниматься этим вопросом.

•

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №60 1995 წლის 7 თებერვალი ქ. თბილისი აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ

აღინიშნოს, რომ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 15 აგვისტოს № 255 ბრძანებულებით შექმნილი აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სამთავრობო კომისიის მიერ გაწეულია გარკვეული მუშაობა. კერძოდ, მისი ინიციატივით მოხერხდა ბევრი ადამიანის ტყვეობიდან დახსნა, გაცვლა და განთავისუფლება, დაზუსტდა დაღუპულთა სამარხების ადგილმდებარეობა, შეიქმნა მოძიებული სამარხების რუკა. სხდომებზე რეგულარულად იხილებოდა კომისიის საქმიანობასთან დაკავშირებული სპეციფიკური საკითხები.

ამასთან, სამთავრობო კომისიის საქმიანობას ხელს უშლის რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები.

არ შესრულდა აგრეთვე საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 27 ნოემბრის № 15 დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ და უკვალოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა პერსონალური აღრიცხვისა და მათი ოჯახების წევრთათვის შეღავათების, უპირატესობებისა და დახმარების შესახებ“ და საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 18 თებერვლის № 154-18 დადგენილება „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას დაინვალიდებულ სამხედრო მოსამსახურეთა და მოხალისეთა დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების წევრთათვის პენსიების დანიშვნისა და შეღავათების დაწესების შესახებ“.

აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. მიღებულ იქნეს ცნობად ა. კავსაძის ინფორმაცია აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის კომისიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2. ეთხოვოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს განიხილოს აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სამთავრობო კომისიის რეორგანიზაციის საკითხი.

3. დაევალოს სამთავრობო კომისიას:

ა/ გააქტიუროს მუშაობა ქ. ჟენევაში 1994 წლის 2 სექტემბრის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე ოთხმხრივი კომისიის შექმნის შესახებ ტყვეთა გაცვლისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მეომართა მოძიებისათვის და ამ კომისიაში დაკარგულ მეომართა ახლობლების ჩართვის შესახებ;

ბ/ დააჩქაროს მუშაობა დაღუპულ მეომართა სამარხების დადგენისა და მათ საფუძველზე შესაბამისი რუკების შედგენისათვის;

გ/ ორგანიზაცია გაუწიოს ქალაქებსა და რაიონებში დაღუპული მეომრებისათვის ძმათა სასაფლაოს მოწყობას;

დ/ საქველმოქმედო ფონდთან ერთად /ვ. დობორჯგინიძე/ ორგანიზაცია გაუწიოს აფხაზეთში დაღუპული მებრძოლების დადგენილი საფლავებიდან გადმოსვენებას და მასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის მოგვარებას.

4. დაევალოთ საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, უშიშროების სამსახურს:

ა/ უზრუნველყონ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 27 ნოემბრის № 15 და რესპუბლიკის პარლამენტის 1993 წლის 18 თებერვლის № 154-18 დადგენილებების განუხრელად შესრულება და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ინფორმაცია აღნიშნულ დადგენილებათა შესრულების შესახებ;

ბ/ შეიმუშაონ და ერთი თვის ვადაში წარმოადგინონ წინადადებები აფხაზეთის ომში მონაწილე უგზო-უკვლოდ დაკარგული მეომრებისა და მოხალისეებისათვის შესაბამისი სტატუსის მინიჭების შესახებ.

5. რესპუბლიკის ყველა სამინისტრომ, უწყებამ, კომიტეტმა, დეპარტამენტმა ხელი შეუწყოს და დაეხმაროს სამთავრობო კომისიას ომში დაღუპული და უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლების მოძიების საქმეში.

6. საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტრომ ათი დღის ვადაში წარუდგინოს აღნიშნულ კომისიას აფხაზეთში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა დაზუსტებული სია.

7. საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ თავდაცვის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წინადადებები უგზო-უკვლოდ დაკარგული მებრძოლებისა და მოხალისეების ოჯახებისადმი სოციალური დახმარებისა და შეღავათების გაძლიერების თაობაზე.

8. დაევალოთ რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატს და რაიონის გამგებლებს, რათა თავიანთ დაქვემდებარებულ სამსახურებს დაავალონ

აფხაზეთის ომის მონაწილეთა პრობლემებზე მუშაობის კოორდინაცია.

9. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ჰუმანიტარული დახმარების ბიუროს საბჭომ განიხილოს მის შემადგენლობაში აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ხსნის საქველმოქმედო ფონდის წარმომადგენლის შეყვანა.

10. დაევალოს ქალაქ თბილისის მერს ნ. ლეკიშვილს და მთავარ არქიტექტორს ი. მასხარაშვილს თბილისში მშენებარე „წმინდა ნინოს მემორიალის“ ტერიტორიაზე გამოყონ ადგილი აფხაზეთიდან გადმოსვენებულ მეომართა ნეშტების დასასვენებლად, მოახდინონ ამ ადგილისათვის შესაბამისი პროექტის შედგენა და განახორციელონ მემორიალის აგება დამტკიცებული პროექტის მიხედვით.

11. აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სამთავრობო კომისიის მუშაობის პირობების გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს მისთვის ავტოტრანსპორტის, საწვავის ლიმიტისა და კავშირგაბმულობის საშუალებების გამოყოფა.

12. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ განიხილოს და გადაწყვეიტოს 1995 წლისათვის აღნიშნული სამთავრობო კომისიის საჭირო /მათ შორის სამივლინებო/ ხარჯების დაფინანსების საკითხი.

13. საინფორმაციო სამსახურებმა მეტი ყურადღება დაუთმონ აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სამთავრობო კომისიის საქმიანობის თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებას.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია

◆

10 февраля 1995 г. Казахстан, г. Алматы
Совет глав государств-участников
Содружества Независимых Государств

МЕМОРАНДУМ
О ПОДДЕРЖАНИИ МИРА И СТАБИЛЬНОСТИ В СОДРУЖЕСТВЕ НЕЗАВИСИМЫХ ГОСУДАРСТВ

Государства-участники Содружества Независимых Государств,

опираясь на исторически сложившиеся связи между ними,

исходя из того, что неурегулированность конфликтов между государствами-участниками Содружества Независимых Государств противоречит основным принципам, положенным в основу существования Содружества,

выражая свою приверженность целям и принципам, провозглашенным Уставом Организации Объединенных Наций, Организацией по безопасности и сотрудничеству в Европе, Уставом Содружества Независимых Государств и документами, принятыми в рамках Содружества, и считая, что поддержание мира и стабильности во взаимоотношениях между государствами является неотъемлемым условием функционирования Содружества Независимых Государств, обеспечивающим экономическое, социально-политическое развитие как каждого из государств, так и Содружества в целом,

признавая, что сохранение мира как в рамках всего Содружества, так и в каждом из государств в пределах общепризнанных границ, отвечает интересам народов этих государств,

заявляют о нижеследующем:

1. Государства-участники Содружества будут воздерживаться от военного, политического, экономического и иных форм давления друг на друга.

2. Государства, подписавшие настоящий Меморандум, намерены пресекать в соответствии со своим национальным законодательством создание и деятельность на своих территориях организаций, групп или отдельных лиц, направленные против независимости, территориальной целостности и неприкосновенности границ либо на обострение межнациональных отношений, а также на посягательства извне на государственное устройство государств, подписавших настоящий Меморандум.

3. Государства подтверждают нерушимость существующих границ друг друга и выступают против любых действий, подрывающих их незыблемость, а также будут решать все споры, возникающие по вопросам границ и территорий, только мирными средствами.

4. В случае возникновения ситуации, затрагивающей интересы безопасности какого-либо государства, подписавшего настоящий Меморандум, оно может обратиться к другим государствам-участникам Содружества с просьбой безотлагательно провести консультации.

5. Государства воздерживаются от любого прямого или косвенного вмешательства во внутренние дела другого государства-участника, подписавшего настоящий Меморандум.

6. Государства будут воздерживаться от участия в союзах и блоках, направленных против любого из государств-участников Содружества.

7. Государства-участники Содружества на своих территориях в соответствии с национальным законодательством и международными нормами будут предпринимать меры для пресечения любых проявлений сепаратизма, национализма, шовинизма и фашизма.

Они будут содействовать объективному освещению общественно-политических процессов в других государствах-участниках Содружества.

8. Государства обязуются не поддерживать на территории других государств-участников сепаратические движения, а также сепаратистские режимы, если таковые возникнут; не устанавливать с ними политических, экономических и

других связей; не допускать использование ими территорий и коммуникаций государств-участников Содружества; не оказывать им экономической, финансовой, военной и другой помощи.

9. Государства будут поддерживать усилия друг друга по дальнейшему укреплению мер доверия и безопасности между государствами-участниками Содружества Независимых Государств.

Совершено в городе Алматы 10 февраля 1995 года в одном подлинном экземпляре на русском языке. Подлинный экземпляр хранится в Архиве Правительства Республики Беларусь, которое направит каждому государству, подписавшему настоящий Меморандум, его заверенную копию.

за АЗЕРБАЙДЖАНСКУЮ РЕСПУБЛИКУ
Г. Алиев

за РЕСПУБЛИКУ АРМЕНИЯ
Л. Тер-Петросян

за РЕСПУБЛИКУ БЕЛАРУСЬ
А. Лукашенко

за РЕСПУБЛИКУ ГРУЗИЯ
Э. Шеварднадзе

за РЕСПУБЛИКУ КАЗАХСТАН
Н. Назарбаев

за КЫРГЫЗСКУЮ РЕСПУБЛИКУ
А. Акаев

за РЕСПУБЛИКУ МОЛДОВА
М. Снегур

за РОССИЙСКУЮ ФЕДЕРАЦИЮ
Б. Ельцин

за РЕСПУБЛИКУ ТАДЖИКИСТАН
Э. Рахмонов

за ТУРКМЕНИСТАН
С. Мурадов

за РЕСПУБЛИКУ УЗБЕКИСТАН
И. Каримов

за УКРАИНУ
Л. Кучма

Меморандум подписан Республикой Армения с примечанием: „С учетом особого мнения Армении и за исключением пп. 7-8".

◆

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №86 1995 წლის 17 თებერვალი, ქ. თბილისი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგისტრაციისა და პირადობის დამადასტურებელი საბუთების გაცემის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე 1993 წლის 10 ივნისის № 451 დადგენილებით დამტკიცებული „რესპუბლიკის მოსახლეობის რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ" დებულების თანახმად რესპუბლიკაში ნაწი-

ლობრივ 15 სექტემბრიდან, ხოლო 1 ნოემბრიდან მთლიანად დაიწყო მოსახლეობის რეგისტრაცია და მათზე პირადობის, ბინადრობის მოწმობებისა და ქართული პასპორტების გაცემა, გარდა აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებულ პირებისა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებით იძულებით გადაადგილებულ პირებზე დროებით წარმოებს პასპორტების გაცემა ყოფილი „სსრკ“-ს სიმბოლიკით, რაც ცალკეულ შემთხვევებში გარკვეულ პრობლემებს უქმნის დევნილ მოსახლეობას. მოქალაქეობის შესახებ კანონის 26-ე მუხლს „გ“ პუნქტისა და საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1993 წლის № 451 დადგენილების 26-ე მუხლის შესაბამისად დღემდე არ არის დამზადებული ორენოვანი /ქართულ-აფხაზური/ პირადობის მოწმობები.

ითვალისწინებს რა აღნიშნულ ვითარებას, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის რეგისტრაცია და შესაბამისად მათთვის პირადი ნომრის მინიჭება მოხდეს ყოფილი „სსრკ“-ს სიმბოლიკით გაცემული პასპორტებით, ხოლო რეგისტრაციის შემდეგ 1995 წლის 1 თებერვლიდან მათზე ნება დართულ იქნეს ქართული პასპორტების გაცემა „საქართველოს მოქალაქის პასპორტის შესახებ“ დებულების შესაბამისად.

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ (ზ. ერქვანია), სახელმწიფოს მეთაურის რწმუნებულმა შიდა ქართლში (ვ. ხაჭაპურიძე), საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტის თავმჯდომარემ (ვ.ვაშაკიძე) 1995 წლის 15 მარტამდე შექმნან მოქალაქეობის დამდგენი კომისიები და უზრუნველყონ იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგისტრაციისათვის აუცილებელი ორგანიზაციული საკითხები.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს (დ.იაკობიძე), საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და საფრანგეთის ფირმა „ფრანსუა შარლ ობერტურ ფიუდისერის“ შორის დადებული კონტრაქტის ანგარიშში უმოკლეს ვადაში მისცეს შეკვეთა აღნიშნულ ფირმას ქართულ-აფხაზური ტექსტით დაამზადოს 450 ათასი პირადობის მოწმობისა და 50 ათასი ბინადრობის მოწმობის ბლანკი.

4. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. კვირაია), საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ (თ. ნინიძე), შეიმუშაონ იძულებით გადაადგილებულ პირთა რეგისტრაციისა და მათზე ქართული პასპორტების გაცემის დროებითი წესები.

5. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ იძულებით გადაადგილებულ პირებზე დროებით, პირადობის მოწმობების გაცემის დაწყებამდე, გასცეს პასპორტები ყოფილი „სსრკ“-ს სიმბოლიკით.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

ო. ფაცაცია

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს შესახებ

1994 წლის 10 მარტს პარლამენტმა დაითხოვა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭო.

აღნიშნული ნულოვანი ვარიანტი ქმნიდა იმის პირობებსაც, რომ აფხაზეთში ეთნოწმენდის შედეგად გამოძევებული ასიათასობით დევნილის დაბრუნების შემდეგ განისაზღვრებოდა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი, მსოფლიოს მიერ ცნობილი, გაეროს რეზოლუციებით არაერთხელ დადასტურებული ქართული სახელმწიფოს ფარგლებში და მომზადდებოდა საფუძველი აფხაზეთში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად.

მიუხედავად ამისა, ყოველგვარ ლეგიტიმურობას მოკლებულმა, ეროვნული უპირატესობის ნიშნით, წინასწარი საპარლამენტო უმრავლესობის გარანტიით, მოსახლეობის უმცირესი ნაწილის მიერ 1991 წელს აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულმა გუდაუთის სეპარატისტულმა დაჯგუფებამ კვლავ უკანონოდ გააკრძალა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს სახელით მოქმედება, უფრო მეტიც, მიიღო ე.წ. კონსტიტუცია, აირჩია პრეზიდენტი, გამოაცხადა აფხაზეთის რეგიონი დამოუკიდებელ რესპუბლიკად და საერთაშორისო სამართლის სუბიექტად.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს იმ დეპუტატებმა, რომლებიც რეალურად გამოხატავენ აფხაზეთის მრავალეროვანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს, ჯერ კიდევ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებამდე შეაჩერეს საქმიანობა ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში გუდაუთის სეპარატისტული დაჯგუფების ანტიკონსტიტუციური საქმიანობისადმი პროტესტის ნიშნად. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მათ 1995 წლის იანვარში განაახლეს მუშაობა და სთხოვეს საქართველოს პარლამენტს კომპეტენციის დადასტურება.

საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ აფხაზეთში არსებული ხელისუფლების ვაკუუმი სეპარატისტთა დაჯგუფებას საშუალებას აძლევს გაიხანგრძლივოს დანაშაულებრივი უზურპატორული საქმიანობა, არ დაუშვას დევნილთა დაბრუნება, თავისუფალი არჩევნების ჩატარება და საქართველოს იურისდიქციის ფაქტობრივი აღდგენა აფხაზეთის რეგიონში.

„სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-7 მუხლის მე-3 აბზაცის შესაბამისად საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს წარმომადგენლობით და საკანონმდებლო ორგანოდ — უმაღლეს საბჭოდ — ცნობილ იქნეს 1991 წელს აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში არჩეული ის

დეპუტატები, რომლებიც რეალურად გამოხატავენ აფხაზეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ინტერესებს და არ მონაწილეობდნენ გუდაუთის სეპარატისტულ დავკგუფებასთან ერთად ანტიკონსტიტუციურ საქმიანობაში (სია ერთვის დედანს).

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ თავისი საქმიანობა წარმართოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუციის და იმ საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კანონმდებლობას; შექმნას აუცილებელი სამართლებრივი ბაზა, რაც უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სტრუქტურის ნორმალურ ფუნქციონირებას და აფხაზეთში დემოკრატიული არჩევნების ჩასატარებლად სათანადო ნორმატიული ბაზის შექმნას.

3. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს მიენიჭოს უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებულ ყველა მოლაპარაკებაში.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ არჩეული დელეგაციის თანხმობის გარეშე ბათილად ჩაითვალოს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელშეკრულება, შეთანხმება და განცხადება.

4. გაეროს წევრ სახელმწიფოებს, საერთაშორისო ორგანიზაციებს ეთხოვოთ თავი შეიკავონ ყოველგვარი ურთიერთობისაგან ეთნიკურ წმენდაში – გენოციდში დამნაშავე აგრესიულ-სეპარატისტულ რეჟიმთან (გუდაუთის დავკგუფებასთან), გარდა სამშვიდობო პროცესის მონაწილე ოფიციალური პირებისა, შუამავლებისა და დამკვირვებლებისა, რომელთაც ყველა პირობა უნდა შეექმნათ სამშვიდობო მოღვაწეობისათვის კონფლიქტის მოსაწესრიგებლად.

5. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი, 1995 წლის 24 თებერვალი.

◆

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №113
1995 წლის 27 თებერვალი, ქ. თბილისი
საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე მოხალისე სამხედრო მოსამსახურეებისა და წვევამდელი ასაკის ახალგაზრდების რეზერვში ჩარიცხვის შესახებ

1991-1993 წლებში საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო

მოქმედებებში მონაწილეობას იღებდა ათასობით მოხალისე სამხედრო მოსამსახურე და წვევამდელი ასაკის ახალგაზრდა, რომლებმაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ქვეყნის მთლიანობისათვის ბრძოლაში და მიიღეს დიდი საბრძოლო გამოცდილება და პრაქტიკა.

საბრძოლო მოქმედებების დამთავრების შემდეგ აღნიშნული პირები დაუბრუნდნენ ოჯახებს, მაგრამ დღემდე გადაჭრილი არ არის საკითხი საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების კომისარიატების მიერ სამხედრო აღრიცხვაზე აყვანისა და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის პერიოდის სამხედრო სამსახურში ჩათვლის შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე მოხალისე სამხედრო მოსამსახურეებსა და წვევამდელი ასაკის ახალგაზრდებს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის პერიოდი ჩაეთვალოთ საყოველთაო სამხედრო სამსახურის მოხდად და „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 33-ე მუხლის შესაბამისად ჩაირიცხონ პირველი კატეგორიის რეზერვში და აყვანილ იქნენ სამხედრო აღრიცხვაზე შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებით.

2. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე მოხალისე სამხედრო მოსამსახურეებისა და წვევამდელი ასაკის ახალგაზრდების საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის ფაქტის დადგენის მიზნით:

– რესპუბლიკურ, რაიონებისა და ქალაქების სამხედრო კომისარიატებში შეიქმნას სპეციალური კომისიები შესაბამისად რესპუბლიკურ, რაიონებისა და ქალაქების სამხედრო კომისრების თავმჯდომარეობით;

– კომისიების შემადგენლობაში შეყვანილ იქნენ მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები;

– კომისიის სხდომების ჩატარება გაფორმდეს შესაბამისი ოქმებით.

3. საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დამადასტურებელ დოკუმენტებად ჩაითვალოს:

– სამხედრო ნაწილებისა და ქვედანაყოფების მეთაურთა მიერ გაცემული ცნობები საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობის ხანგრძლივობის ჩვენებით;

– პირადი შემადგენლობის სიებში ჩარიცხვის ბრძანების ამონაწერი;

– ბოლო სამი თვის ხელფასის გაცემის უწყისის ასლი დამოწმებული ხელმოწერითა და გერბიანი ბეჭდით.

4. რაიონული და საქალაქო სპეციალური კომისიების სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილება დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის სპეციალური კომისიის სხდომაზე, რომელიც ჩამოყალიბდეს შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე — საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარი;

წევრები — შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

— სახელმწიფო უშიშროების სამსახურის თავმჯდომარის მოადგილე;

— მთავარი სამხედრო პროკურორის მოადგილე;

— ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე;

— თავდაცვის სამინისტროს მთავარი შტაბის მთავარი საორგანიზაციო-სამობილიზაციო სამმართველოს დაკომპლექტებისა და გაწვევის განყოფილების უფროსი;

— სახელმწიფო საზღვრების დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე.

5. რესპუბლიკური სპეციალური კომისიის სხდომაზე დამტკიცებულ იქნეს რაიონული და საქალაქო სპეციალური კომისიების სხდომების ოქმები და განხილულ იქნეს განცხადებები, აგრეთვე სხვა საკითხები, რომლებიც ვერ გადაწყვიტეს რაიონულმა და საქალაქო სპეციალურმა კომისიებმა.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

ო. ფაცაცია

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
აფხაზეთის პრობლემების პოლიტიკური მოწესრიგების, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა მშობლიურ ადგილებში დაბრუნების, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა პროგრამის შესახებ

აფხაზეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე უკანასკნელი წლები ყველაზე უფრო მძიმე და ტრაგიკულია. სეპარატისტთა და მათ მხარდამჭერთა მიერ ინსპირირებული საომარი მოქმედების შედეგად აფხაზეთი დროებით იქნა მოწყვეტილი სამშობლოსაგან.

ოკუპირებულ მიწაზე დამყარებულმა რეჟიმმა რეგიონი განუკითხაობასა და ქაოსის მდგომარეობაში ჩააგდო. აფხაზეთიდან განდევნილ იქნა მისი მრავალეროვანი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, მოეწყო და კვლავაც გრძელდება ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდა-გენოციდი.

ქვეყნისათვის უმძიმეს პირობებში მოხერხდა დევნილი მოსახლეობის ევაკუაცია, სხვადასხვა რეგიონში განსახლება და მათთვის ელემენტარული საარსებო პირობების შექმნა.

ფაქტობრივად არ შეუწყვეტიათ მუშაობა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებს, უწყებებს, ზოგიერთ წარმოება-დაწესებულებას. ახლახან დაიწყო ფუნქციონირება ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სოციალური ინფრასტრუქტურის, განათლების, კულტურის სხვადასხვა დარგში დასაქმებულია ათასობით სპეციალისტი. ადამიანები ვერ გატეხა ტრაგედიამ, სულიერმა ტკივილებმა, სიდუხჭირემ. ეს მეტად მნიშვნელოვანია განსაკუთრებით ახლა, როდესაც კონფლიქტის მოგვარების რეალური გზები ისახება.

აფხაზეთის პრობლემების პოლიტიკური მოწესრიგების, ლტოლვილთა მშობლიურ ადგილებში დაბრუნების, მათთვის პირობების შექმნის საქმეებში საქართველოს ხელისუფლების ორგანოების, საზოგადოებრივი, კერძო სტრუქტურების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსა და სხვა უწყებების საქმიანობის კოორდინაციის მიზნით:

1. დამტკიცდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საჭოს მიერ წარმოდგენილი აფხაზეთის პრობლემის პოლიტიკური მოწესრიგების, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულთა მშობლიურ ადგილებში დაბრუნების, მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა პროგრამა.

2. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, სამინისტროებმა, უწყებებმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, სახელმწიფო სტრუქტურებმა, სახელმწიფოს მეთაურის წარმომადგენლებმა მხარეებში, მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა განახორციელონ პრაქტიკული საქმიანობა პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ხარისხიანად და თავისდროულად შესრულებისათვის; დააწესონ პერსონალური პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმიანობისათვის და მკაცრი კონტროლი მისი შესრულებისადმი.

3. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მაქსიმალურად გამოიყენონ საქველმოქმედო, ჰუმანიტარული საქმიანობის შესაძლებლობები, ხელი შეუწყონ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძო სტრუქტურების, ფირმების ინიციატივას, რომლებიც დევნილთა დასახმარებლად იქნება მიმართული; მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით საზოგადოებას გააცნონ ყველა საინტერესო ინიციატივა.

4. განკარგულება გამოქვეყნდეს პრესაში, გადაიცეს ტელევიზიით და რადიოთი.

5. განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოთ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და მინისტრთა კაბინეტის აპარატებს, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმს.

ე. შევარდნაძე

1995 წლის 29 მარტი, თბილისი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 203
იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურებასთან დაკავშირებული ღონისძიებების დაფინანსებაში ზოგიერთი ცვლილებების შეტანის შესახებ

იძულებით გადაადგილებულ პირთა მომსახურებასთან დაკავშირებული ღონისძიებების რეალიზაციისათვის სახელმწიფოს მიერ გაღებული ფულადი სახსრების უფრო ეფექტურად ხარჯვის მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა, ადგილობრივი მმართველობის შესაბამისმა ორგანოებმა ერთი თვის ვადაში დააზუსტონ ორგანიზებულად ჩასახლებულ იძულებით გადაადგილებულ პირთა სიები ჩასახლების ობიექტების /სასტუმრო, სანატორიუმი, პანსიონატი, საერთო საცხოვრებელი და ა.შ./ მიხედვით.

2. საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა იძულებით გადაადგილებულ პირთა ცხოვრების კომუნალური ხარჯების ჩარიცხვა ამ ობიექტებისათვის 1995 წლის პირველი აპრილიდან აწარმოოს პირდაპირი ანგარიშსწორებით, შუალედური რგოლების გარეშე.

3. სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ორგანიზებულად ჩასახლების დაწესებულებებში მომსახურე პერსონალისათვის 1995 წლის პირველი აპრილიდან გავრცელდეს საბიუჯეტო ორგანიზაციებზე მოქმედი წესები.

4. ქალაქებისა და რაიონების ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, რომლებშიც განთავსებულია იძულებით გადაადგილებული ოჯახები განახორციელონ აღნიშნულ პირთა სამოქალაქო მომსახურება /დაკრძალვა, გამგზავრება, და ა.შ./ ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე.

5. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს განიხილოს იძულებით გადაადგილებულ პირთა ორგანიზებულად ჩასახლების დაწესებულებების დამატებითი ღირებულების გადასახადიდან განთავისუფლების საკითხი.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი
ო. ფაცაცია

თბილისი, 1995 წლის 12 აპრილი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის რადიომაუწყებლობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

აფხაზეთის ტერიტორიაზე დარჩენილი მოსახლეობა, ქართველები, აფხა-

ზები, რუსები, სომხები და სხვები, ამჟამად მოკლებულია საქართველოს საინფორმაციო წყაროებით ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას.

საქართველოს რადიოს პირველი პროგრამა, რომელიც ტექნიკური მიზეზების გამო ხშირად ვერ ვრცელდება ან ვრცელდება სერიოზული ხარვეზებით აფხაზეთის ტერიტორიაზე, ბუნებრივია, ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ საინფორმაციო ინტერესს.

ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებები ცალმხრივად, დამახინჯებულად აშუქებენ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებს, საქართველოში, კერძოდ კი აფხაზეთში, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებს.

აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს რადიოს პროგრამების ინტენსიური, შეუფერხებელი გავრცელების, პროგრამების მრავალფეროვნების უზრუნველყოფის, გადაცემათა ინფორმაციული, თემატური გამდიდრების მიზნით:

1. საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ თ.ადამარეიშვილმა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ (ზ. ერქვანია) უმოკლეს ვადაში მიიღონ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტელერადიოკომპანიის მუშაობის გასაუმჯობესებლად საჭირო კონკრეტული ზომები; გაითვალისწინონ კომპანიის ორგანიზაციული და სტრუქტურული სრულყოფის, შემოქმედებითი კადრებითა და სპეციალისტებით განმტკიცების, კოლექტივში საქმიანი, შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნის აუცილებლობა; ხელი შეუწყონ ტელერადიომაუწყებლობის კოლექტივს აფხაზეთის თემატიკის ფართოდ და კომპეტენტურად გაშუქების საქმეში.

2. საქართველოს რესპუბლიკის ტელერადიოკორპორაციამ (ა. გოგელია) მხედველობაში მიიღოს აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს რადიოს პირველი პროგრამის გავრცელების ახალი პირობები (დუშეთის რადიოგადამცემი სადგურის სრულყოფილად ამოქმედება) და აღნიშნულ პროგრამაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები აფხაზეთის თემატიკის გაფართოების თვალსაზრისით; ამასთან, გაითვალისწინოს აფხაზეთისა და საერთოდ საქართველოს მოსახლეობის გაზრდილი ინტერესი აფხაზეთის პრობლემისადმი;

შესაძლებლობის ფარგლებში დახმარება გაუწიოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტელერადიოკომპანიას მატერიალური ბაზის განმტკიცების, კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტებისა და შემოქმედებითი პროცესის სრულყოფის საქმეში.

3. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ (ფ. ინჯია) უზრუნველყოს რადიოგადამცემი სადგურის მაღალეფექტიანი მუშაობა, აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს რადიოს პირველი პროგრამის შეუფერხებელი და ხარისხიანი გავრცელება.

4. საქენერგოს დეპარტამენტმა (გ. გამყრელიძე) განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებები რადიოგადამცემი სადგურის ელექტროენერგიით მომარაგების გაუმჯობესებისათვის და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სადგურის ელექტროენერგიით მომარაგებას საქართველოს რადიოს პირველი პროგრამის გავრცელების საათებში; დაწესდეს პერსონალური პასუხისმგებლობა და უმკაცრესი კონტროლი ამ საქმეში.

5. განკარგულების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის მთავარ სახელმწიფო მრჩველს ლ. ცაავას.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1995 წლის 13 აპრილი

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში პროფესიული მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით:

შოთა ზარდალიშვილი – გენერალ-მაიორი;
ნოდარ მაისურაძე – გენერალ-მაიორი;
ნუგზარ ნიჟარაძე – პოლკოვნიკი;
თემურ ხევსურიანი – პოლკოვნიკი
გიორგი ხუბულაშვილი – პოლკოვნიკი
გივი ჯორბენაძე – გენერალ-მაიორი

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1995 წლის 4 მაისი.

◆

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი

მამცობისა და თავდადებისათვის საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით:

ბესიკ ამბროსიძე — რიგითი;
ლევან ბლუაშვილი — რიგითი;
თამაზ გელანტია — უმცროსი ლეიტენანტი;
ზურაბ გერლიანი — რიგითი;
ჯემალ გუჯეჯიანი — რიგითი;
დავით დადიანი — მაიორი;
ლაშა კაკუბავა — კაპიტანი;
ოთარ კვიციანი — ზემდეგი;
დამინ კუჭავა — კაპიტანი;
ილია მანწკავა — რიგითი;
გიორგი მელითაური — რიგითი;
მურად პირველი — ზემდეგი;
გენადი ქარდავა — რიგითი;
დავით ყოლბაია — უფროსი ლეიტენანტი;
ტრისტან წითელაშვილი — პოლკოვნიკი;
მურთაზ ჭელიძე — კაპიტანი;

მედლით „მხედრული მამაცობისათვის“:

ავთო ბენიძე — რიგითი;
ალექსანდრე ბუხნიკაშვილი — ლეიტენანტი;
კირილე გვილავა — რიგითი;
ემზარ დამენია — რიგითი;
გოჩა დარჯანია — რიგითი;
გრიგოლ კლდიაშვილი — ლეიტენანტი;
თემურ კუცია — ლეიტენანტი;
ბადრი ლეთოდიანი — რიგითი;
ლერი ლუხუტაშვილი — რიგითი;
ივანე მერებაშვილი — კაპიტანი;
შალვა მინდიაშვილი — რიგითი;
ედვარდ ჭანტურია — რიგითი;

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“

ონელი ბერულავა — რიგითი;
ბერდია გობეჯიშვილი — რიგითი;
მარლენ გოგუა — ზემდეგი;
ბესიკ ზანთარაია — რიგითი;
მურთაზ მეტრეველი — რიგითი.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1995 წლის 4 მაისი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის სამხედრო მოსამსახურეების საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში პროფესიული მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი მამაცობისა და გაბედული მოქმედებისათვის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ჯილდოებით:

მედლით „მხედრული მამაცობისათვის“:

პაატა გიორგაძე — ლეიტენანტი;
ბადრი დავითაძე — პოლკოვნიკი;
ზურაბ ინწკირველი — პოლკოვნიკი;
ბესარიონ იოსელიანი — კაპიტანი;
ზურაბ კეთილაძე — ვიცე-პოლკოვნიკი;
გიორგი კუპრეიშვილი — პოლკოვნიკი;
პაატა მაისურაძე — მაიორი;
იგორ მირონოვი — ვიცე-პოლკოვნიკი;
სოსო ხარბედია — ვიცე-პოლკოვნიკი;
არჩილ ხვედელიძე — მაიორი;
გიორგი ჯაბაური — კაპიტანი.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის“:

ტარასი ბელქანია — პოლკოვნიკი;
ალექსანდრე გეგელია — ვიცე-პოლკოვნიკი;
გიორგი გიორგაძე — უფროსი ლეიტენანტი;
სოსო ენუქიძე — პოლკოვნიკი;
ალექსანდრე ვაგინი — ვიცე-პოლკოვნიკი;
უშანგი ვახვახიშვილი — მაიორი;
ბიჭიკო ლეჟავა — პოლკოვნიკი;
ვლადიმერ ლობჟანიძე — პოლკოვნიკი;
ალექსანდრე მეტრეველი — ვიცე-პოლკოვნიკი;
ზურაბ სართანია — ვიცე-პოლკოვნიკი;
კახა საღინაძე — რიგითი;
ოთარ ქარდავა — ვიცე-პოლკოვნიკი;
აკაკი ცინცაძე — პოლკოვნიკი;
მინდია წიკლაური — უფროსი ლეიტენანტი;
ზაურ ხარაშვილი — ვიცე-პოლკოვნიკი;
ამირან ჯიმშელია — ვიცე-პოლკოვნიკი.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1995 წლის 4 მაისი.

12 мая 1995 г. Нью-Йорк, ООН
Совет Безопасности

РЕЗОЛЮЦИЯ 993 (1995), принятая Советом Безопасности на его 3535-м заседании, 12 мая 1995 года

Совет Безопасности,

подтверждая все свои соответствующие резолюции, в частности резолюцию 971 (1995) от 12 января 1995 года,

рассмотрев доклад Генерального секретаря от 1 мая 1995 года (S/1995/342),

вновь подтверждая свою приверженность суверенитету и территориальной целостности Республики Грузия,

будучи обеспокоен недостаточным прогрессом в деле достижения всеобъемлющего политического урегулирования,

приветствуя и поддерживая продолжающиеся консультации по вопросу о новой конституции для Республики Грузия, основанной на федеративных принципах, в контексте всеобъемлющего политического урегулирования,

вновь подтверждая право всех беженцев и перемещенных лиц, затронутых конфликтом, на возвращение в свои дома в условиях безопасности в соответствии с международным правом и положениями Четырехстороннего соглашения о добровольном возвращении беженцев и перемещенных лиц (S/1994/397, приложение II), подписанного в Москве 4 апреля 1994 года,

выражая сожаление по поводу продолжающегося противодействия такому возвращению со стороны абхазских властей и подчеркивая, что возвращение беженцев и перемещенных лиц в Гальский район явилось бы желательным первым шагом,

выражая беспокойство по поводу критической нехватки средств, которая может привести к приостановлению осуществления важных гуманитарных программ,

напоминая о выводах Будапештской встречи на высшем уровне Совещания по безопасности и сотрудничеству в Европе (S/1994/1435, приложение) относительно положения в Абхазии, Республика Грузия,

вновь подтверждая необходимость соблюдения сторонами норм международного гуманитарного права,

отмечая, что Соглашение о прекращении огня и разъединении сил, подписанное в Москве 14 мая 1994 года (S/1994/583, приложение 1), в целом соблюдалось сторонами в течение прошедшего года при содействии миротворческих сил Содружества Независимых Государств (СНГ) и Миссии Организации Объединенных Наций по наблюдению в Грузии (МООННГ),

однако выражая озабоченность по поводу продолжавшегося отсутствия безопасных условий, в частности недавних нападений на гражданское население в Гальском районе,

выражая далее озабоченность в отношении охраны и безопасности

персонала МООННГ и СНГ и подчеркивая то значение, которое он придает его свободе передвижения,

подчеркивая также то значение, которое он придает ограничениям на количество и виды вооружений, которые стороны могут иметь в зоне безопасности, и приветствуя намерение Генерального секретаря продолжать рассматривать этот вопрос со сторонами,

выражая свое удовлетворение по поводу тесного сотрудничества и координации между МООННГ и миротворческими силами СНГ в осуществлении ими своих соответствующих мандатов и давая высокую оценку их вкладу в стабилизацию положения в зоне конфликта,

воздавая должное тем членам миротворческих сил СНГ, которые отдали свои жизни при исполнении своих обязанностей,

1) приветствует доклад Генерального секретаря от 1 мая 1995 года;

2) постановляет продлить мандат МООННГ на дополнительный период, заканчивающийся 12 января 1996 года, при условии его пересмотра Советом в случае внесения любых изменений в мандат миротворческих сил СНГ;

3) заявляет о своей полной поддержке усилий Генерального секретаря, направленных на достижение всеобъемлющего политического урегулирования конфликта, включая вопрос о политическом статусе Абхазии, при полном уважении суверенитета и территориальной целостности Республики Грузия, а также усилий, которые предпринимаются Российской Федерацией в ее качестве содействующей стороны для активизации поиска мирного урегулирования конфликта, и призывает Генерального секретаря продолжать свои усилия с этой целью при помощи Российской Федерации в качестве содействующей стороны и при поддержке Организации. по безопасности и сотрудничеству в Европе (ОБСЕ);

4) призывает стороны достичь существенного прогресса в переговорах под эгидой Организации Объединенных Наций и при помощи Российской Федерации в качестве содействующей стороны и при участии представителей ОБСЕ;

◆

26 мая 1995 г. Республика Беларусь, г. Минск
Совет глав государств-участников Содружества Независимых Государств

РЕШЕНИЕ
о продлении срока пребывания Коллективных сил по поддержанию мира зоне конфликта в Абхазии, Республика Грузия

Совет глав государств Содружества Независимых Государств,

выражая озабоченность в связи с затяжным характером окончательного разрешения конфликта в Абхазии, Республика Грузия,

неизменно выступая за территориальную целостность Республики Грузия,

отмечая стабилизирующую роль Коллективных сил по поддержанию мира в сдерживании вооруженных столкновений, обеспечении безопасности населения, создании соответствующих условий для продолжения грузино-абхазского диалога,

учитывая просьбу абхазской стороны от 12 апреля 1995 года и грузинской стороны от 20 апреля 1995 года о продлении срока пребывания Коллективных сил по поддержанию мира в зоне конфликта,

принимая во внимание готовность конфликтующих сторон к продолжению политического диалога по урегулированию конфликта,

решили:

продлить срок пребывания Коллективных сил по поддержанию мира в зоне -конфликта в Абхазии, Республика Грузия, до 31 декабря 1995 года.

Настоящее Решение вступает в силу с момента его подписания.

Совершено в городе Минске 26 мая 1995 года в одном подлинном экземпляре на русском языке. Подлинный экземпляр хранится в Исполнительном Секретариате Содружества Независимых Государств, который направит каждому государству, подписавшему настоящее Решение, его заверенную копию.

за АЗЕРБАЙДЖАНСКУЮ РЕСПУБЛИКУ
Г. Алиев

за РЕСПУБЛИКУ АРМЕНИЯ
Л. Тер-Петросян

за РЕСПУБЛИКУ БЕЛАРУСЬ
А. Лукашенко

за РЕСПУБЛИКУ ГРУЗИЯ
Э. Шеварднадзе

за РЕСПУБЛИКУ КАЗАХСТАН
Н. Асанбаев

за КЫРГЫЗСКУЮ РЕСПУБЛИКУ
А. Акаев

за РОССИЙСКУЮ ФЕДЕРАЦИЮ
Б. Ельцин

за РЕСПУБЛИКУ ТАДЖИКИСТАН
Э. Рахмонов

за РЕСПУБЛИКУ УЗБЕКИСТАН
И. Каримов

Решение не подписано Республикой Молдова, Туркменистаном, Украиной.

РЕШЕНИЕ
об уточнении и продлении Мандата Коллективных сил по поддержанию мира в зоне конфликта в Абхазии, Республика Грузия

Совет глав государств Содружества Независимых Государств

решил:

1. Внести уточнения в Мандат Коллективных сил по поддержанию мира в зоне конфликта в Абхазии, Республика Грузия (новая редакция текста Мандата прилагается).

2. Продлить срок действия указанного Мандата до 31 декабря 1995 года.

Совершено в городе Минске 26 мая 1995 года в одном подлинном экземпляре на русском языке. Подлинный экземпляр хранится в Исполнительном Секретариате Содружества Независимых Государств, который направит каждому государству, подписавшему настоящее Решение, его заверенную копию.

за АЗЕРБАЙДЖАНСКУЮ РЕСПУБЛИКУ
Г. Алиев

за КЫРГЫЗСКУЮ РЕСПУБЛИКУ
А. Акаев

за РЕСПУБЛИКУ АРМЕНИЯ
Л. Тер-Петросян

за РОССИЙСКУЮ ФЕДЕРАЦИЮ
Б. Ельцин

за РЕСПУБЛИКУ БЕЛАРУСЬ
А. Лукашенко

за РЕСПУБЛИКУ ТАДЖИКИСТАН
Э. Рахмонов

за РЕСПУБЛИКУ ГРУЗИЯ
Э. Шеварднадзе

за РЕСПУБЛИКУ УЗБЕКИСТАН
И. Каримов

за РЕСПУБЛИКУ КАЗАХСТАН
Н. Асанбаев

Решение не подписано Республикой Молдова, Туркменистаном, Украиной.

Приложение
к Решению Совета глав государств
Содружества Независимых Государств об уточнении
и продлении Мандата Коллективных сил
по поддержанию мира в зоне конфликта
в Абхазии, Республика Грузия от 26 мая 1995 года

МАНДАТ
Коллективных сил по поддержанию мира в зоне конфликта в Абхазии, Республика Грузия

В соответствии с решениями Совета глав государств Содружества Независимых Государств об использовании Коллективных сил проводится операция по поддержанию мира в зоне конфликта в Абхазии, Республика Грузия.

Выполнены задачи, поставленные перед Коллективными силами по поддержанию мира, по разъединению вооруженных сил сторон в конфликте, прекращению огня на суше, море и в воздушном пространстве.

В зоне конфликта размещены миротворческие воинские контингенты СНГ, а также военные наблюдатели Миссии Организации Объединенных Наций по наблюдению в Грузии.

В соответствии с Соглашением о прекращении огня и разъединении сил от 14 мая 1994 года созданы зона безопасности, зона ограничения вооружений и зона контроля, в которых оговорены и зафиксированы определенные уровни вооружений и личного состава.

Коллективные силы по поддержанию мира будут выполнять возложенные на них задачи, содействующие обеспечению полномасштабного урегулирования конфликта в Абхазии, Республика Грузия, особенно в части создания условий для безопасного и достойного возвращения беженцев в места их прежнего постоянного проживания, содействия обеспечению соблюдения норм международного гуманитарного права и прав человека; будет продолжено также оказание содействия в проведении работ по разминированию.

1. В соответствии с Решением Совета глав государств об уточнении и продлении Мандата Коллективных сил по поддержанию мира в зоне конфликта в Абхазии, Республика Грузия, от 26 мая 1995 года срок операции продлевается до 31 декабря 1995 года.

Срок действия Мандата может быть продлен решением Совета глав государств Содружества Независимых Государств.

2. В состав Коллективных сил по поддержанию мира выделяются силы и средства по мере реализации Решения Совета глав государств Содружества об утверждении Мандата на проведение операции по поддержанию мира в зоне грузино-абхазского конфликта от 21 октября 1994 года.

3. Для контроля за выполнением обязательств, взятых сторонами в соответствии с Соглашением о прекращении огня и разъединении сил от 14 мая 1994 года, создается Группа военных наблюдателей.

4. С момента принятия решения о выделении воинских контингентов в состав Коллективных сил по поддержанию мира и в Группу военных наблюдателей до их прибытия в

зону конфликта подготовка персонала, его материально-техническое обеспечение и финансирование расходов, включая расходы по перевозке их в район операции, будут осуществляться за счет государств, направивших эти контингенты и наблюдателей.

5. На Коллективные силы по поддержанию мира и Группу военных наблюдателей возлагаются задачи, предусмотренные решениями Совета глав государств Содружества Независимых Государств, другими документами, принятыми в Содружестве Независимых Государств по миротворческой деятельности, Соглашением о прекращении огня и разъединении сил от 14 мая 1994 гора, Четырехсторонним соглашением о добровольном возвращении беженцев и перемещенных лиц от 4 апреля 1994 года, а именно:

а) обеспечение строгого соблюдения прекращения огня, установление мира и предотвращение возобновления военных действий в зоне конфликта путем разъединения вооруженных формирований конфликтующих сторон;

б) создание условий для безопасного и достойного возвращения людей, покинувших зону конфликта, в районы их прежнего места проживания и выполнения других положений Четырехстороннего соглашения о добровольном возвращении беженцев и перемещенных лиц от 4 апреля 1994 года, в том числе деятельности Четырехсторонней комиссии, создаваемой в соответствии с упомянутым Соглашением;

в) наблюдение за выполнением сторонами достигнутых между ними договоренностей, в частности положений Меморандума о понимании от 1 декабря 1993 года, Коммюнике о втором раунде переговоров от 13 января 1994 года, Заявления о мерах по политическому урегулированию грузино-абхазского конфликта от 4 апреля 1994 года и Соглашения о прекращении огня и разъединении сил от 14 мая 1994 года, а также других возможных соглашений, к которым стороны придут в процессе всеобъемлющего политического урегулирования;

г) содействие в восстановлении районов, пораженных конфликтами, в том числе в оказании гуманитарной помощи, проведении разминирования, воссоздании основных систем жизнеобеспечения населения;

д) обеспечение безопасности таких ключевых систем жизнеобеспечения населения, как Ингури ГЭС и другие;

е) содействие обеспечению соблюдения норм международного гуманитарного права и прав человека;

ж) тесное сотрудничество с персоналом Миссии ООН по наблюдению в Грузии и другим персоналом Организации Объединенных Наций, находящимся в регионе;

з) осуществление контроля за расформированием и выводом всех добровольческих вооруженных формирований, состоящих из лиц, прибывших из-за пределов Абхазии;

и) осуществление во взаимодействии с Миссией ООН по наблюдению в Грузии контроля над тяжелой боевой техникой.

Коллективные силы по поддержанию мира и Группа военных наблюдателей по решению Командующего этими силами после согласования с руководством обеих конфликтующих сторон могут решать и другие задачи в ходе проведения операции в зоне конфликта, руководствуясь при этом стремлением обеспечения и упрочения мира между противоборствующими сторонами.

6. Командующий Коллективными силами по поддержанию мира в зоне конфликта (далее - Командующий) подчиняется Совету глав государств Содружества Независимых Государств. По вопросам, требующим оперативного решения, он консультируется с Председателем Совета министров иностранных дел государств-членов Содружества и Председателем Совета министров обороны государств-участников Содружества Независимых Государств, осуществляет непосредственное руководство проведением операции по поддержанию мира и является прямым начальником для всего личного состава Коллективных сил по поддержанию мира.

7. Воинские контингенты государств-участников, выделенные в состав Коллективных сил по поддержанию мира, и Группа военных наблюдателей переходят в подчинение Командующего с момента прибытия их в район операции и доклада командиров (начальников) этих контингентов об их прибытии.

8. Для управления Коллективными силами и Группой военных

наблюдателей при Командующем создается Объединенный штаб с подразделениями охраны, связи, обеспечения и обслуживания, выделяемыми вооруженными силами государств, участвующих в операции.

Структуру Объединенного штаба и подразделений обеспечения определяет Командующий. Он имеет право вносить необходимые изменения в структуру Штаба в пределах выделенной численности.

9. В функции Командующего Коллективными силами по поддержанию мира входит:

реализация решений Совета глав государств Содружества о проведении операции по поддержанию мира в зоне конфликта;

представление докладов главам государств, министрам иностранных дел и министрам обороны о ходе выполнения задач, поставленных перед Коллективными силами по поддержанию мира, и о соблюдении конфликтующими сторонами договоренностей, относящихся к операции;

руководство Коллективными силами по поддержанию мира и Группой военных наблюдателей при подготовке и проведении операции по поддержанию мира в зоне конфликта;

организация и руководство подготовкой подчиненных штабов, частей и подразделений Коллективных сил по поддержанию мира и Группы военных наблюдателей;

организация и поддержание взаимодействия с руководством принимающего государства, конфликтующих сторон, министерствами обороны государств-участников операции, Штабом по координации военного сотрудничества государств-участников Содружества Независимых Государств и местными органами власти, с Миссией ООН по наблюдению в Грузии, представителями ОБСЕ и других международных организаций в зоне конфликта;

ведение переговоров с представителями конфликтующих сторон;

обеспечение связи, официальных встреч между представителями конфликтующих сторон и их безопасности;

распоряжение финансовыми и материально-техническими средствами, выделенными для обеспечения Коллективных сил по поддержанию мира и Группы военных наблюдателей.

10. В течение всего срока проведения операции по поддержанию мира в зоне конфликта государства, направившие воинские контингенты в зону конфликта, обеспечат личному составу предоставление льгот и выплату вознаграждений, надбавок и пособий, устанавливаемых действующим законодательством этих государств.

11. Воинские контингенты, выделенные в состав Коллективных сил, по поддержанию мира в зоне конфликта, и Группа военных наблюдателей будут уважать и соблюдать положения Соглашения "О Группах наблюдателей и Коллективных силах по поддержанию мира в Содружестве Независимых Государств" от 20 марта 1992 года, протоколов, от 15 мая 1992 года "О статусе Групп военных наблюдателей и Коллективных сил по поддержанию мира в

Содружестве Независимых Государств", "О комплектовании, структуре, материально-техническом и финансовом обеспечении Группы военных наблюдателей и Коллективных сил по поддержанию мира в Содружестве Независимых Государств" и "О временном порядке формировании и задействования Групп военных наблюдателей и Коллективных сил по поддержанию мира в зонах конфликтов между государствами и в государствах-участниках Содружества Независимых Государств", а также будут соблюдать и уважать Женевские конвенции о защите жертв войны от 12 августа 1949 года и дополнительные протоколы к ним от 8 июня 1977 года и Конвенции о защите культурных ценностей в случае вооруженного конфликта от 14 мая 1954 года.

РЕШЕНИЕ
о предложениях о согласованных действиях по урегулированию конфликта в Абхазии, Республика Грузия

Совет глав государств Содружества Независимых Государств

р е ш и л:

согласиться с предложенными политическими шагами и формами участия государств- участников Содружества в урегулировании конфликта в Абхазии, Республика Грузия (приложения 1, 2).

Совершено в городе Минске 26 мая 1995 года в одном подлинном экземпляре на русском языке. Подлинный экземпляр хранится в Исполнительном Секретариате Содружества Независимых Государств, который направит каждому государству, подписавшему настоящее Решение, его заверенную копию.

за АЗЕРБАЙДЖАНСКУЮ РЕСПУБЛИКУ
Г. Алиев

за РЕСПУБЛИКУ АРМЕНИЯ
Л. Тер-Петросян

за РЕСПУБЛИКУ БЕЛАРУСЬ
А. Лукашенко

за РЕСПУБЛИКУ ГРУЗИЯ
Э. Шеварднадзе

за РЕСПУБЛИКУ КАЗАХСТАН
Н. Асанбаев

за КЫРГЫЗСКУЮ РЕСПУБЛИКУ
А. Акаев

за РОССИЙСКУЮ ФЕДЕРАЦИЮ
Б. Ельцин

за РЕСПУБЛИКУ ТАДЖИКИСТАН
Э. Рахмонов

за РЕСПУБЛИКУ УЗБЕКИСТАН
И. Каримов

Решение не подписано Республикой Молдова, Туркменистаном, Украиной.

Приложение 1
к Решению Совета глав государств
Содружества Независимых Государств
от 26 мая 1995 года

О возможных политических шагах по урегулированию конфликта в Абхазии, Республика Грузия

1. Провести рабочую встречу представителей правительств, министерств иностранных дел России и Грузии, а также абхазской стороны для обсуждения и парафирования Соглашения об урегулировании конфликта в Абхазии, которое содержало бы обязательства покончить с военным противостоянием, жить в мире и дружбе, найти прочное политическое решение.

2. Следующим шагом стала бы Конференция национального примирения, на которой можно подписать указанное Соглашение. Положение этого рамочного документа могло бы быть развито в ходе дальнейших переговоров. На Конференции национального примирения в присутствии соответствующих представителей Армении и Азербайджана, а также представителей СНГ, ООН и ОБСЕ, могло бы быть подписано Заявление о гарантиях мирного урегулирования в Грузии, в соответствии с которым Содружество Независимых Государств и Российская Федерация, как государство - председатель в органах Содружества, взяли бы на себя обязательства гаранта выполнения достигнутых договоренностей.

3. При достаточной предварительной проработке вопроса на этой Конференции представители России, Грузии, Армении и Азербайджана, а также представители абхазской стороны могли бы подписать соглашение о восстановлении и эксплуатации железной дороги Адлер-Самтредиа-Баку-Ереван.

Изложенная выше схема может быть реализована только в случае практического решения проблемы возвращения беженцев и перемещенных лиц в Абхазию.

Приложение 2
к Решению Совета глав государств
Содружества от 26 мая 1995 года

ФОРМЫ УЧАСТИЯ государств-участников Содружества в урегулировании конфликта в Абхазии, Республика Грузия

1. Выделение в состав миротворческих сил мотострелковых подразделений на штатной технике (взвод, рота, батальон).

2. Выделение военных наблюдателей в состав Штаба миротворческих сил (общее количество - до 45 человек).

3. Выделение офицеров-операторов, специалистов родов войск и служб в состав Штаба миротворческих сил (общее количество - до 20 человек).

4. Для ремонта техники (АТ, БТ) и вооружения требуются ремонтные подразделения (взвод, рота).

5. Для обеспечения подвоза запасов материально технических средств требуются автотранспортные взводы (3-4 взвода).

6. Для добывания достоверных разведывательных данных требуются разведывательные подразделения (до разведывательной роты).

7. Для обеспечения надежного управления всеми подразделениями миротворческих сил, особенно в УКВ радиосетях требуются подразделения связи (до роты связи), а для ремонта средств связи - взвод с мастерской МЗ-М2 или АТО-У.

8. Для выполнения восстановительных работ (мосты, дороги) и разминирования местности требуются инженерно-саперные подразделения (до 3-4 иср).

9. Для уменьшения санитарных потерь необходимы медицинские подразделения (до медицинской роты) и врачи-специалисты (хирург, дерматолог, врач-стоматолог, эпидемиолог с подвижной лабораторией ПСЭЛ).

10. Участие в финансировании проводимой операции, в форме долевого взноса, для погашения текущих расходов.

11. Участие в урегулировании конфликта в форме оказания согласованной материально-технической помощи миротворческим силам.

ЗАЯВЛЕНИЕ СОВЕТА ГЛАВ ГОСУДАРСТВ СОДРУЖЕСТВА НЕЗАВИСИМЫХ ГОСУДАРСТВ о конфликте в Абхазии, Республика Грузия

Прошло более полутора лет после начала процесса полномасштабного урегулирования вооруженного конфликта в Абхазии, Республика Грузия. Несмотря на миротворческие усилия России и СНГ в целом, а также ООН и ОБСЕ, этот процесс далек от своего завершения.

Конфликт повлек за собой гибель тысяч людей, в большинстве своем мирных жителей. Более трехсот тысяч человек вынуждены были покинуть места постоянного проживания. За пределами Абхазии оказалось практически все грузинское население, составлявшее 47 процентов ее жителей.

В специальной резолюции Будапештская встреча ОБСЕ на высшем уровне выразила глубокую озабоченность в связи с этнической чисткой, массовым изгнанием населения -преимущественно грузинского - из мест проживания и гибелью большого числа невинных гражданских лиц.

В своей резолюции 993 (1993 год) Совет Безопасности ООН отмечает "продолжающееся противодействие возвращению беженцев и перемещенных лиц со стороны абхазских властей".

Совет глав государств СНГ поддерживает меры, предпринятые Российской Федерацией по урегулированию конфликта в Абхазии, и готов

оказать в этом возможное содействие. Совет убежден в том, что продление срока Мандата миротворческих сил в Абхазии с вносимыми в него коррективами создаст необходимые условия для скорейшего, безопасного, добровольного и достойного возвращения всех беженцев и перемещенных лиц и будет способствовать полномасштабному урегулированию конфликта в Абхазии. Совет считает, что урегулирование должно осуществляться с соблюдением фундаментальных прав человека, независимо от национальности, происхождения, религиозной и иной принадлежности.

Ликвидация этого конфликта и его последствий явилась бы большим достижением для многонациональной Грузии, победой разума и зрелости Содружества, весомым вкладом в стабилизацию обстановки в Закавказье, на всем пространстве СНГ.

Совет глав государств:

1. Подтверждая свою приверженность территориальной целостности Республики Грузия, выступает за продолжение переговоров и скорейшее их завершение, призывает стороны в конфликте добиваться его полномасштабного урегулирования в рамках единого федеративного государство.

2. Приветствует готовность Республики Грузия проводить консультации о ее новой Конституции, которая стала бы основой для достойного разрешения всех спорных вопросов государственного устройства.

3. Поддерживает необходимость осуществления своего решения о направлении наблюдателей от своих стран в зону конфликта в Абхазии.

4. Руководствуясь положениями, содержащимися в Алматинском меморандуме от 10 февраля 1995 года о преодолении угрозы сепаратизма, считает важнейшим условием скорейшего урегулирования конфликта неукоснительное соблюдение этих положений всеми государствами-участниками Содружества.

◆

საქართველოს პარლამენტის მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით დაჯილდოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები:

თამაზ გოგინაშვილი — პოლკოვნიკი, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის პირველი მოადგილე;

გიორგი ჩეჩელაშვილი — პოლკოვნიკი, კადრების სამმართველოს უფროსი.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1995 წლის 30 მაისი.

◆

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში აფხაზეთიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრების შესახებ

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო, საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობაში კოოპტაციის წესით შეყვანილ იქნენ აფხაზეთიდან არჩეული საქართველოს პარლამენტის წევრები.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი, 1995 წლის 14 ივნისი.

◆

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №360
საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული წვევამდელი ახალგაზრდების სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ

აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული 18-დან 25 წლის ასაკამდე წვევამდელები, რომლებსაც არა აქვთ სამხედრო სამსახურის გადავადების უფლება და სამედიცინო კომისიების მიერ მიჩნეულ იქნებიან ვარგისად სამხედრო სამსახურისათვის, „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის საფუძველზე ექვემდებარებიან გაწვევას. ვინაიდან აფხაზეთიდან გადაადგილებული ახალგაზრდები დროებით ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა რეგიონებსა და რაიონებში, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. შეიქმნას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური გაწვევის კომისია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კო-

მისრის თავმჯდომარეობით. კომისიის მუშაობის ხელმძღვანელობა და კონტროლი დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატის გამწვევ და სამედიცინო კომისიებს.

2. აფხაზეთის ტერიტორიიდან გადაადგილებული წვევამდელების აღრიცხვა და გაწვევა განხორციელდეს საქართველოს ქალაქებისა და რაიონული კომისარიატების მიერ მათი დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, არსებული წესითა და მოქმედი საკანონმდებლო აქტების შესაბამისად.

3. აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული წვევამდელები ვალდებული არიან გამოცხადდნენ სამხედრო კომისარიატში დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო გასაწვევ უბნებში — პერსონალურ უწყებებში აღნიშნულ ვადაში და მისამართზე.

4. საქართველოს რესპუბლიკის სამხარეო, ქალაქებისა და რაიონების მმართველობის ადგილობრივმა საძართალდამცავმა, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებმა, გამგეობებთან და მერიებთან არსებულმა შტაბებმა და საინიციატივო ჯგუფებმა აფხაზეთის მკვიდრი წვევამდელების სამხედრო სამსახურში გაწვევისას:

— ჩაატარონ იგივე სამუშაო და მიიღონ ისეთივე ზომები, როგორც რაიონებში მუდმივად მცხოვრები ახალგაზრდების გაწვევისას, არსებული კანონმდებლობის თანახმად;

— აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული წვევამდელების გაწვევა მოახდინონ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კომისარიატისათვის დავალებული გეგმა-დავალების შესაბამისად.

5. აფხაზეთის მკვიდრი წვევამდელებისათვის სამსახურის ვადის განვადების, სამხედრო სამსახურიდან მოქმედი კანონის თანახმად განთავისუფლებისა და სხვა სააპელაციო საკითხებს გადაწყვეტს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური გამწვევი კომისია.

6. დაევალოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გაერთიანებულ სამხედრო კომისარიატს:

— დააზუსტოს წვევამდელთა სიები თავიანთი დროებითი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით;

— უზრუნველყოს ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, ქუთაისში, წყალტუბოში, ზუგდიდში, სენაკში, წალენჯიხაში, ჩხოროწყუში, ქ. ბათუმსა და ქ. რუსთავში დროებითი გამწვევი პუნქტების მუშაობა.

7. მმართველობის ადგილობრივმა ორგანოებმა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატს გაუწიონ დებულებებით გათვალისწინებული დახმარება ახალგაზრდების სამხედრო სამსახურში გაწვევასთან დაკავშირებული მუშაობის ჩატარებაში.

8. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

ო. ფაცაცია

თბილისი, 1995 წლის 16 ივნისი.

საქართველოს პარლამენტის
დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა
აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა, მშვიდობიან მოქალაქეთა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

საქართველოს პარლამენტი აღნიშნავს, რომ გაწეული გარკვეული მუშაობის მიუხედავად, შესაბამისი ორგანოების მიერ დღემდე შეუსრულებელია „საქართველოს რესპუბლიკის ინტერესების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულ და უკვალოდ დაკარგულ სამხედრო მოსამსახურეთა პერსონალური აღრიცხვისა და მათი ოჯახების წევრთათვის შეღავათების, უპირატესობებისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 27 ნოემბრის №15 ბრძანებულება, „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას დაინვალიდებულ სამხედრო მოსამსახურეთა და მოხალისეთა, დაღუპულ მებრძოლთა ოჯახების წევრთათვის პენსიების დანიშვნისა და შეღავათების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 1993 წლის 18 თებერვლის № 154-Iს დადგენილება და „აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1995 წლის 7 თებერვლის №60 დადგენილება.

უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა, მშვიდობიან მოქალაქეთა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის მიზნით საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. ეთხოვოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს – სახელმწიფოს მეთაურს განიხილოს აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის რეორგანიზებული სამთავრობო კომისიის საქმიანობის გააქტიურების საკითხი და მიანიჭოს ამ კომისიას განსაკუთრებული უფლებები; ასევე გადაწყვიტოს ქ. ჟენევაში 1994 წლის 2 სექტემბერს მიღებული შეთანხმების საფუძველზე ტყვეთა გაცვლისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისათვის ოთხმხრივი კომისიის შექმნის შესახებ და ამ კომისიაში დაკარგულ მეომართა ახლობლების სავალდებულო ჩართვის საკითხი.

2. დაევალოს აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სამთავრობო კომისიას:

ა) განახორციელოს ქმედითი ღონისძიებები აფხაზეთში და სამაჩაბლოში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა, მათ შორის შესაძლო ტყვეთა, მძევალთა, ჩარჩენილ მებრძოლთა და ინდივიდუალურ ტყვეთა უსაფრთხო გამოყვანისათვის;

ბ) დააჩქაროს მუშაობა დაღუპულ მეომართა და მშვიდობიან მოქალაქეთა სამარხების დადგენისა და მათ საფუძველზე შესაბამისი რუკების შედგენისათვის;

გ) ხელი შეუწყოს დაღუპულ მეომართა და მშვიდობიან მოქალაქეთა საფლავების მოწყობას ქალაქებსა და რაიონებში;

დ) აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ხსნის საქველმოქმედო ფონდთან ერთად ორგანიზაცია გაუწიოს აფხაზეთში დაღუპულ მეომართა და მშვიდობიან მოქალაქეთა დადგენილი საფლავებიდან გადმოსვენებას და ამასთან დაკავშირებული ყველა პრობლემის მოგვარებას.

3. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს ათი დღის ვადაში:

ა) განიხილოს და გადაწყვიტოს აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძებნისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სამთავრობო კომისიის მუშაობის დაფინანსების, მისთვის ავტოტრანსპორტის, საწვავის ლიმიტისა და კავშირგაბმულობის საშუალებების გამოყოფის საკითხი;

ბ) შეიმუშაოს და პარლამენტის განსახილველად წარმოადგინოს წინადადებები აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტებში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა, მშვიდობიან მოქალაქეთა ოჯახების წევრებისათვის შეღავათებისა და უპირატესობების მინიჭების შესახებ;

გ) განიხილოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ჰუმანიტარული დახმარების ბიუროს საბჭოს შემადგენლობაში აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა ხსნის საქველმოქმედო ფონდის წარმომადგენლის შეყვანისა და აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტებში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა, მშვიდობიან მოქალქეთა ოჯახების წევრთათვის ჰუმანიტარული დახმარების განაწილების საკითხი.

4. საქართველოს რესპუბლიკის ყველა შეიარაღებულმა სამთავრობო სტრუქტურამ ათი დღის ვადაში წარუდგინოს სამთავრობო კომისიას აფხაზეთში დაღუპულ და უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა დაზუსტებული სია.

5. დაევალოს საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების, საფინანსო-საბიუჯეტო, სოციალურ საკითხთა და ვეტერანთა საქმეების კომისიებს, მათთვის მინიჭებული კომპეტენციის ფარგლებში, ამ დადგენილების შესრულების კონტროლი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი, 1995 წლის 29 ივნისი.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის
ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გულრიფშის რაიონის კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის სოციალური დახმარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ

1. საქართველოს რესპუბლიკის საავიაციო ტრანსპორტის დეპარტამენტმა (ზ. ჭანკოტაძე) კვირაში ერთხელ დანიშნოს შვეულმფრენის რეისი, ქუთაისი-აჟარის მიმართულებით, თვითღირებულების ფარგლებში მგზავრების მიერ საქართველოს რესპუბლიკის საავიაციო ტრანსპორტის დეპარტამენტის ნიხრით დაწესებული ფასის გადახდით.

2. საქართველოს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტისა (ბ. დარჯანია) და სატყეო მეურნეობის დეპარტამენტებმა (დ. გიგაური) განიხილონ ზუგდიდი-აჟარის მიმართულებით მგზავრობის მომსახურებისათვის ყველაზანმავალი სამხიდიანი ავტომანქანის გამონახვისა და მისი სათანადო გადაკეთების შემდეგ გამოყენების შესაძლებლობის საკითხი.

3. საქართველოს რესპუბლიკის საქავტოგზის კონცერნმა (ბ. სარალიძე) ოცი დღის ვადაში უზრუნველყოს აღდგენითი სამუშაოების განხორციელება ჭუბურ-საკენის საავტომობილო გზაზე, რისთვისაც:

– საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ კონცერნს გამოუყოს 90 მილიარდი კუპონი;

– საქართველოს რესპუბლიკის ნავთობპროდუქტების კონცერნმა გადასცეს მას 40 ტონა დიზელის საწვავი და 5 ტონა ბენზინი წინასწარი გადახდის გარეშე, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტმა დაახმაროს საჭირო რაოდენობის ავტოთვითმცლელები;

– საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ ანაზღაურების ნებისმიერი ფორმით დაახმაროს „კამაცუს“ მარკის ბულდოზერი.

4. საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრომ (ფ. ინჯია):

– თბილისთან სოფელ აჟარის საიმედო სატელეფონო კავშირის დროულად აღდგენის მიზნით განიხილოს სატელიტური აპარატურის შეძენისა და გამართვის საკითხი;

– სამი დღის ვადაში აღადგინოს კავშირი რაციით;

– ძირეულად გააუმჯობესოს საფოსტო კორესპონდენციების ხეობის სოფლებისათვის მიწოდების საქმე, აღადგინოს რადიოკავშირი.

5. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ (თ. კვაჭანტირაძე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სამინისტროსთან (ჯ. ჯანელიძე) ერთად მიავლინოს კოდორის ხეობაში სპე-

ციალისტების ჯგუფი, რომელმაც მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად უზრუნველყოს სკოლების მუშაობის აღდგენა მომავალი სასწავლო წლისათვის;

– იმ სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებს, რომლებიც კოდორის ხეობის დაცვაში მონაწილეობდნენ და სწავლის გაგრძელება უნდათ, შეუქმნას პირობები ამ კატეგორიის აბიტურიენტებისათვის დადგენილი შელავათების გათვალისწინებით;

– უზრუნველყოს არსებული სკოლები სასწავლო ლიტერატურით, სწავლის პროცესისათვის საჭირო საკანცელარიო და სხვა საგნებით.

6. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ (ა. ჯორბენაძე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან (ე. ბერია) ერთად სამი თვის ვადაში უზრუნველყოს კოდორის ხეობაში სამედიცინო ობიექტების მუშაობის აღდგენა, მათი კვალიფიციური კადრებით დაკომპლექტება, საჭირო მედიკამენტებით მომარაგება და ხეობაში მცხოვრები მოსახლეობის დისპანსერიზაცია.

7. საქართველოს რესპუბლიკის შრომისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ (თ. გაზდელიანი) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოცუზრუნველყოფის სამინისტრსთან (შ. წულეისკირი) ერთად ორი თვის ვადაში უზრუნველყოს ხეობაში მცხოვრებ პენსიონერთა აღრიცხვა და მათთვის პენსიების დროული გაცემა, აფხაზეთის კონფლიქტში დაღუპულ მეომართა ოჯახების, დაჭრილთა სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელება.

8. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ (შ. კვირაია) მიიღოს ზომები კოდორის ხეობის სოფლებში კრიმინოგენური მდგომარეობის გამოსასწორებლად და მოსახლეობისათვის შრომისა და ცხოვრების ნორმალური პირობების შესაქმნელად.

ამ მიზნით მიმდინარე წლის 15 აგვისტოდან ხეობაში ორი კვირის ვადით მიავლინოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი დ.გულუა. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ჯ. გოგიაშვილის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ სამინისტროს მიერ ჩამოყალიბდა პოლიციის 70 კაციანი მატერიალურად უზრუნველყოფილი ქვედანაყოფი კოდორის ხეობაში სამუშაოდ გასაგზავნად.

9. ცეკავშირის გამგეობამ (ნ. ჟღენტი):

– მიიღოს სათანადო ზომები, რათა სამი თვის ვადაში აღადგინოს კოდორის ხეობის სავაჭრო ობიექტების მუშაობა;

– უზრუნველყოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება და შესყიდვა მოსახლეობისაგან მათი შემდგომი რეალიზაციის მიზნით;

– საქართველოს რესპუბლიკის ვაჭრობისა და მომარაგების სამინისტროსთან (მ. ზანკალიანი) ერთად განახორციელოს სპეციალური ღონისძიე-

ბანი ხეობის სოფლების სავაჭრო ქსელში წარდგენილი განაცხადის მიხედვით პურის ფქვილის, ნავთის, საპნის, ასანთისა და სხვა პირველადი მოხმარების საქონლის აუცილებელი შეტანისათვის, მათ შორის მარილი და საპონი შეზიდულ იქნეს ქალაქ ზუგდიდში არსებული რეზერვიდან.

10. საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტმა (ვ. ვაშაკიძე) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტთან (კ. ჯაჭვლიანი) ერთად ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ხეობაში მყოფ აფხაზეთის სხვადასხვა რაიონებიდან დევნილთა აღრიცხვა, მათთვის სათანადო მოწმობების გაცემა, ჰუმანიტარული დახმარებისა და სხვადასხვა სარგოების მიღების ორგანიზაცია.

11. საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების განაწილების საკოორდინაციო ბიურომ (გ. ყუბანეიშვილი) შემოსული ჰუმანიტარული დახმარების განაწილებისას აუცილებლად გაითვალისწინოს კოდორის ხეობის მცხოვრებთა საჭიროებანი.

12. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ (დ. იაკობიძე) გადაწყვიტოს წარმოდგენილ ღონისძიებათა დასაფინანსებლად საქართველოს რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯზე საჭირო თანხების (დაახლოებით 310 მილიარდი კუპონის) გამოყოფის საკითხი.

13. საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ (ზ. გეგეჭკორი) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროებთან ერთად (გ. ესაკია) დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ხეობის მოსახლეობისათვის სამუშაო პირობების შესაქმნელად, მიიღოს ზომები ვეტერინარული სამსახურის აღსადგენად, შხამქიმიკატების (ქლოროფოსი და სხვ.) შესატანად, მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვა-დამზადების უზრუნველსაყოფად.

14. კოდორის ხეობის მოსახლეობისა და იქ დარჩენილ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა რაიონებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სურსათით, საწვავითა და პირველადი მოთხოვნილების საგნებით მომარაგების მიზნით ზამთრის სეზონის დაწყებამდე ხეობაში ეტაპობრივად შეტანილ იქნეს:

ა) სურსათი (პასუხისმგებლები: ა. ბურჯანაძე, მ. ზანკალიანი, ნ. ჟღენტი)

– პურის ფქვილი – 200 ტონა
– მარილი – 20 ტონა
– მცენარეული ზეთი – 300 ლტ.
– ბრინჯი – 10 ტონა
– ასანთი – 150 ტონა
– სიგარეტი – 700 ყუთი
– შაქარი – 15 ტონა
– საავიაციო ნავთი – 30 ტონა

– სარეცხი საპონი – 2 ტონა
– სარეცხი ფხვნილი – 2 ტონა
– ჩაი – 1 ტონა;
ბ) ქლოროფოსი – 0,5 ტონა;
გ) საწვავი და საპოხი მასალა – (პასუხისმგებელი დ. ზუბიტაშვილი)
– ნავთი – 20 ტონა
– დიზელის საწვავი – 50 ტონა
– დიზელის ზეთი – 5 ტონა
– სატვირთო მანქანის აკუმულატორები – 10 ცალი
დ) სამშენებლო მასალები (პასუხისმგებელი არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა კომიტეტი – გ. მირიანაშვილი)
– ცემენტი – 10 ტონა
– ლინოლეუმი – 1200 კვ.მ.
– საღებავი – 1200 კგ.
– სახურავი – 2500 კვ.მ.
– მინა – 2200 კვ.მ.

15. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ (ზ. ერქვანია):

– უზრუნველყოს ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების, გულრიფშის რაიონის გამგეობის (დ. გვაძაბია) და აჟარის გამგეობის (რ. კორძაია) მუშაობის გააქტიურება კოდორის ხეობის სოფლების მოსახლეობის სოციალურ საკითხთა მოწესრიგებისათვის;

– დასახულ ღონისძიებათა კონტროლი განახორციელოს ადგილზე მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელ პირთა მეშვეობით დამტკიცებული გრაფიკის თანახმად.

16. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ (თ. ნადარეიშვილი) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ (ზ. ერქვანია) უზრუნველყონ სათანადო იდეოლოგიური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მუშაობა ხეობის მოსახლეობაში; გამოიყენონ ადგილობრივი პოტენციალი მოსახლეობაში სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გასატარებლად, ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური ურთიერთობების შესაქმნელად, დღევანდელობისათვის მისაღები ტრადიციების აღსადგენად და გასამტკიცებლად. ამ მიზნით ორი თვის ვადაში შეიმუშაონ სათანადო პროგრამა.

17. მიღებულ იქნეს ცნობად ნავთობპროდუქტების კონცერნის თავმჯდომარის მოადგილის ვ. კიკნაძის განცხადება იმის შესახებ, რომ აღნიშნულ კონცერნთან არსებული საქართველო-კორეის კომპანიის მიერ კოდორის ხეობაში ჩასატარებელი ღონისძიებებისათვის უსასყიდლოდ გამოყოფილი იქნება 20 ტონა დიზელის საწვავი. საქართველოს რესპუბლიკის პურპროდუქტების კორპორაციამ (ა. ბურჯანიძე) უკვე დაიწყო კოდორის ხეობის მოსახლეობისათვის პურის ფქვილის შეზიდვა.

18. ბრძანებულების შესრულების კონტროლი დაევალოთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს (ზ. ერქვანია) და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის საგანგებო სიტუაციების, ლტოლვილთა და განსახლების სამსახურს (გ. ნოზაძე), რომლებმაც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს (ო. ფაცაცია) მიმდინარე წლის სექტემბერში მოახსენონ ბრძანებულების შესრულების მიმდინარეობა.

ე. შევარდნაძე

თბილისი, 1995 წლის 17 აგვისტო.

◆

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება № 599

აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სამთავრობო კომისიის დაფინანსების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 15 აგვისტოს № 255 ბრძანებულებით შექმნილი აფხაზეთში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სამთავრობო კომისიის მიერ გაწეულია გარკვეული მუშაობა, კერძოდ მისი ინიციატივით მოხერხდა ბევრი ადამიანის ტყვეობიდან დახსნა, გაცვლა და განთავისუფლება. ამასთან, სამთავრობო კომისიის საქმიანობას ხელს უშლიდა რიგი ობიექტური მიზეზი. მაგ: კომისიის მუშაობის ფინანსური უზრუნველყოფა.

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის 1995 წლის 29 ივლისის № 767-II-ს „აფხაზეთისა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტებში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა, მშვიდობიან მოქალაქეთა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ მესამე პუნქტის ა/ და ბ/ ქვეპუნქტების შესრულების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1) განისაზღვროს აფხაზეთსა და შიდა ქართლში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სამთავრობო კომისიის მუშა-აპარატი 4 საშტატო ერთეულით. აღნიშნული საშტატო ერთეულების თანამდებობრივი განაკვეთები განისაზღვროს დანართის შესაბამისად.

2) დაევალოს „საქნავთობპროდუქტების“ სახელმწიფო კონცერნს კომისიას გამოუყოს საწვავის საჭირო რაოდენობა კომისიის მეირ წარმოდგენილი მოთხოვნების შესაბამისად წინასწარი ანგარიშსწორებით.

3) დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს უზრუნველყოს შესაძლებლობების ფარგლებში კომისიის მუშაობა შესაბამისი კავშირგაბმულობის საშუალებებით.

4) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა ოჯახის წევრებს პენსიები დაენიშნოთ, შეღავათები დაუწესდეთ ომის ინვალიდთა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთათვის მოქმედი ნორმატივების შესაბამისად.

5) დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს აწარმოოს აფხაზეთსა და შიდა ქართლში უგზო-უკვლოდ დაკარგულ მებრძოლთა მოძიებისა და მათი ოჯახების წევრთა უფლებების დაცვის სამთავრობო კომისიის ცალკე დაფინანსება, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საფინანსო სამსახურის მეშვეობით წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის და გაანგარიშების საფუძველზე.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი

ო. ფაცაცია

თბილისი, 1995 წლის 28 სექტემბერი.

◆

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს კ ა ნ ო ნ ი

ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეების ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების სოციალური დაცვის ორგანიზაციულ, ეკონომიკურ და სამართლებრივ საფუძვლებს მათი კეთილდღეობისა და აქტიური საქმიანობის პირობების შესაქმნელად.

თავი I.

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. სახელმწიფო პოლიტიკა ვეტერანების მიმართ

სახელმწიფო პოლიტიკა ვეტერანების მიმართ ითვალისწინებს:

1. ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის შექმნას;

2. სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ამ კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით დადგენილი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური შეღავათების გარანტიების, მათი პრაქტიკული შესრულებისათვის ღონისძიებათა სისტემას;

3. საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი ბიუჯეტებიდან ვეტერანების სოციალური გარანტიების უზრუნველყოფის პროგრამებისათვის საბიუჯეტო სახსრების გამოყოფას.

მუხლი 2. ვეტერანების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა

ვეტერანების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობა მოიცავს ამ კანონს, საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებს, აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია ამ კანონისაგან განსხვავებული წესები, მაშინ გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების წესები.

სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, სამინისტროებს, უწყებებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს, კონცერნებს, ასოციაციებს თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში და არსებული თავისუფალი სახსრებისა და საშუალებების გათვალისწინებით, საბიუჯეტო ურთიერთობის შეუცვლელად შეუძლიათ მიიღონ გადაწყვეტილება ვეტერანების სოციალური დაცვის დამატებითი შეღავათებისა და წახალისების შესახებ, რომლებიც ამ კანონით არ არის გათვალისწინებული.

საქართველოს რესპუბლიკის ვეტერანებს ენიჭებათ ამ კანონით, საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობითა და სხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული უფლებები და შეღავათები. დაუშვებელია ადრე მოქმედი შეღავათების, უპირატესობების, უფლებების, დახმარების გაუქმება ან გაუარესება, თუ არ იქნა სხვა ტოლფასი აქტები.

მუხლი 3. ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა

ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და ამ კანონის დებულებების შესრულების სისტემური კონტროლი ევალება ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს.

მუხლი 4. ვეტერანების სოციალური დაცვის ღონისძიებათა დაფინანსება

საქართველოს სახელმწიფო უზრუნველყოფს ვეტერანებისათვის ამ კანონით დაწესებული უფლებებისა და შეღავათების რეალიზაციას და სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან მათი სოციალური დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად სახსრების გამოყოფას.

დამატებითი სახსრების მიღება ვეტერანების სოციალური დაცვის ამ კანონით განსაზღვრული ღონისძიებების დასაფინანსებლად, დადგენილი წესით, შეიძლება ნებისმიერი კანონიერი წყაროდან საბიუჯეტო ურთიერთობის შეუცვლელად.

ვეტერანების სოციალური დაცვის ის ღონისძიებები, რომლებიც დააწესეს

ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებმა, ფინანსდება ავტონომიური რესპუბლიკური ბიუჯეტისა და სხვა კანონიერი წყაროების ხარჯზე.

ვეტერანების სოციალური დაცვის ღონისძიებები, რომლებიც დააწესეს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა, ფინანსდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე.

ვეტერანთა საზოგადოებრივ გაერთიანებებში ნებაყოფლობით შესულ ფულად სახსრებსა და მატერიალურ ფასეულობებს იყენებენ ეს ორგანიზაციები დადგენილი წესით.

მუხლი 5. კანონის მოქმედების სფერო

ეს კანონი ვრცელდება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებზე, რომლებიც ადრე მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ცნობილი იყვნენ ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანებად ან ცნობილი არიან ვეტერანებად ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 6. ვეტერანთა კატეგორიები

ამ კანონით დადგენილია ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა შემდეგი კატეგორიები:

1. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;

2. სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;

3. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები;

4. შეიარაღებული ძალების ვეტერანები

მუხლი 7. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები

მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან:

1. სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის თადარიგში დათხოვნილები (გადამდგარნი), რომლებიც გადიოდნენ სამხედრო სამსახურს ან დროებით იმყოფებოდნენ მეორე მსოფლიო ომის ან სამშობლოს დაცვის სხვა საბრძოლო ოპერაციების დროს მოქმედი არმიის შემადგენლობის სამხედრო ნაწილებში, შტაბებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე ომის წლებში დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი პარტიზანები და იატაკქვეშა ორგანიზაციების წევრები;

2. სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილები (გადამდგარნი), აგრეთვე შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირები,

რომლებიც ომის წლებში გადიოდნენ სამსახურს ქალაქებში, რომელთა დაცვაში მონაწილეობა ჩაითვლება წელთა ნამსახურობაში შეღავათიანი პირობებით პენსიის დანიშვნისათვის, რაც დაწესებულია მოქმედი არმიის სამხედრო ნაწილთა სამხედრო მოსამსახურისათვის;

3. არმიის, ფლოტის, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ნებაყოფლობით დაქირავებული პირები, რომლებსაც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ეკავათ საშტატო თანამდებობები მოქმედი არმიის შემადგენლობაში შემავალ სამხედრო ნაწილებში, შტაბებსა და დაწესებულებებში ან რომელიც ამ პერიოდში იმყოფებოდნენ ქალაქებში, რომელთა დაცვაში მონაწილეობა ჩაითვლება წელთა ნამსახურებაში შეღავათიანი პირობებით პენსიის დასანიშნავად, რაც დაწესებულია მოქმედი არმიის სამხედრო ნაწილების სამხედრო მოსამსახურეებისათვის;

4. დაზვერვისა და კონტრდაზვერვის თანამშრომლები და სხვა პირები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სპეციალურ დავალებებს ასრულებდნენ მოქმედი არმიის ნაწილებში, მტრის ზურგში ან სხვა სახელმწიფო ტერიტორიაზე;

5. სამხედრო ობიექტებისა და საწარმოების, სახალხო კომისარიატების მუშა-მოსამსახურეები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის დროს გადაყვანილ იყვნენ სამხედრო მოსამსახურეების მდგომარეობაზე და ასრულებდნენ მოქმედი არმიისა და ფლოტისათვის სამხედრო დაკვეთებს, აგრეთვე ზურგის მუშაკები, რომლებიც დავალდებულნი არიან ორდენებითა და მედლებით ომის წლებში მამაცური შრომისათვის, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების (მათ შორის კულტურისა და ხელოვნების) მუშაკები, ცენტრალური გაზეთების, ჟურნალების, სატელეგრაფო სააგენტოს, საინფორმაციო ბიუროთა კორესპონდენტები, დოკუმენტური კინოფილმების ცენტრალური სტუდიის (კინოქრონიკის) კინოოპერატორები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში მივლინებული იყვნენ მოქმედ არმიაში;

6. გამანადგურებელი ბატალიონების, ოცეულებისა და სახალხო დაცვის რაზმების მოსამსახურეები, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილები (გადამდგარნი) შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მებრძოლები და მეთაურთა შემადგენლობის პირები, რომლებიც ომის დროს მონაწილეობდნენ მთავრობის საბრძოლო დავალებათა შესრულებაში;

7. პირები, რომლებიც პარტიზანული რაზმების, იატაკქვეშელთა ჯგუფებისა და ანტიფაშისტური ფორმირებების შემადგენლობაში მონაწილეობდნენ ფაშისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებებში სახელმწიფოთა ტერიტორიაზე;

8. სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან თა-

დარიგში დათხოვილები (გადამდგარნი), რომლებიც 1941 წლის 22 ივნისიდან 1945 წლის 3 სექტემბრამდე გადიოდნენ სამხედრო სამსახურს იმ სამხედრო ნაწილებში, დაწესებულებებსა და სამხედრო სასწავლებლებში, რომლებიც არ შედიოდნენ მოქმედი არმიის შემადგენლობაში და დაჯილდოებულნი არიან მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში გამარჯვებისათვის“ ან მედლით „იაპონიაზე გამარჯვებისათვის“;

9. პირები, რომლებიც ომის წლებში მუშაობდნენ საჰაერო თავდაცვის, ადგილობრივი თავდაცვის ობიექტებზე, აგრეთვე თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობებზე, საზღვაო ბაზებში, აეროდრომებსა და სხვა სამხედრო ობიექტებზე მოქმედი ფრონტის ზურგში და რკინიგზისა და საავტომობილო გზების ფრონტისპირა უბნებზე;

10. ომის დასაწყისში სხვა სახელმწიფოების ნავსადგურებში ინტერნირებული სატრანსპორტო ფლოტის ხომალდების ეკიპაჟის წევრები;

11. პირები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის წლებში ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დავალებით აგროვებდნენ საბრძოლო მასალებს და სამხედრო ტექნიკას, განნაღმავდნენ ტერიტორიებსა და ობიექტებს;

12. პირები, რომლებიც ქალაქ ლენინგრადის ბლოკადის პერიოდში 1941 წლის 8 სექტემბრიდან 1944 წლის 27 იანვრამდე მუშაობდნენ მის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში და დაჯილდოებულნი არიან მედლით „ლენინგრადის დაცვისათვის“ ან ნიშნით „ლენინგრადის ბლოკადის მონაწილეს“;

13. მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საკონცენტრაციო ბანაკებსა და გეტოებში იძულებით პატიმრობაში მყოფი მეომრები და სხვა პირები, რომლებსაც დამატყვევებელი მხარის სასარგებლოდ წარმოებულ საბრძოლო ოპერაციებში მონაწილეობა არ მიუღიათ ნებაყოფლობით და ყოფილი არასრულწლოვანი პატიმრები.

სამხედრო ნაწილების, შტაბებისა და დაწესებულებების ნუსხას, რომლებიც ომის წლებში შედიოდნენ მოქმედი არმიის შემადგენლობაში, აგრეთვე ნუსხას იმ ქალაქებისა, რომელთა დაცვაში მონაწილეობა ჩაითვლება წელთა ნამსახურეობაში შეღავათიანი პირობებით პენსიის დასანიშნავად, რაც დაწესებულია მოქმედი არმიის საბრძოლო ნაწილის სამხედრო მოხმარებისათვის, ამტკიცებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის წარდგინებით.

მუხლი 8. სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები

სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანებსა და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან:

სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის თადარიგში დათხოვნილები (გადამდგარი), სამხედრო შეკრებებზე გაწვეული რეზერვისტები, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირები, ამ ორგანოთა თანამშრომლები, თავდაცვის სამინისტროს თანამშრომლები, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ გაგზავნილი იყვნენ და მონაწილეობდნენ სხვა სახელმწიფოებში საბრძოლო მოქმედებებში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს.

სხვა კატეგორიის პირებისათვის სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანის სტატუსს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან:

1) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული არმიის, სახალხო გვარდიის სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის თადარიგში დათხოვნილები /გადამდგარნი/, მილიციის მუშაკები და ამ ფორმირებებში მოხალისედ შესული სამოქალაქო პირები, რომლებიც 1918-1921 წლებში მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დასაცავად და მისი ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად;

2) 1921-1924 წლებში საქართველოს ეროვნული მოძრაობის ან დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების მონაწილენი;

3) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის მონაწილეები, რომლებიც საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაინვალიდნენ ან დაჭილდოვდნენ ორდენებითა და მედლებით.

მუხლი 10. შეიარაღებული ძალების ვეტერანები

შეიარაღებული ძალების ვეტერანებს მიეკუთვნებიან ყოფილი საბჭოთა კავშირის, საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების სამხედრო მოსამსახურეები, შინაგანი ჯარების, სახელმწიფო უშიშროების ჯარების, სასაზღვრო ჯარების, სამხედრო პროკურატურისა და სამხედრო სასამართლოების სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც დაჯილდოებულნი არიან ორდენებითა და მედლებით ან საუწყებო წარჩინების ნიშნებით და აქვთ წელთა ნამსახურეობისათვის

პენსიის უფლება, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილები /გადამდგარნი/, აგრეთვე ყოფილი სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც დაინვალიდნენ სამხედრო სამსახურის დროს მიღებული ჭრილობების, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად.

მუხლი 11. მეორე მსოფლიო ომისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ინვალიდობის განსაზღვრა

მეორე მსოფლიო ომისა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედებების ინვალიდებს მიეკუთვნებიან:

1) მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მოქმედი არმიის სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილები /გადამდგარნი/, პარტიზანები, აგრეთვე საპენსიო უზრუნველყოფის მხრივ სამხედრო მოსამსახურეებთან გათანაბრებული შესაბამისი კატეგორიის მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც დაინვალიდნენ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში ფრონტზე, სამხედრო მოქმედების რაიონში, რკინიგზისა და საავტომობილო გზების ფრონტისპირა უბნებში, თავდაცვითი ზღუდეების, სამხედრო-საზღვაო ბაზებისა და აეროდრომების მშენებლობის დროს მიღებული ჭრილობების, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

2) სამხედრო მოსამსახურეები, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირები, რომლებიც დაინვალიდნენ მეორე მსოფლიო ომისა და შემდგომ პერიოდში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირები, რომლებიც დაინვალიდნენ საბრძოლო მოქმედებების რაიონებში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

4) სამხედრო მოსამსახურეები, შინაგან საქმეთა და სახელმწიფო უშიშროების ორგანოების რიგითი და მეთაურთა შემადგენლობის პირები, გამანადგურებელი ბატალიონების, ოცეულებისა და სახალხო დაცვის რაზმეულის მებრძოლები და მეთაურები, რომლებიც დაინვალიდნენ მთავრობის საბრძოლო დავალებების შესრულების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

5) პირები, რომლებსაც ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა ომის წლებში დაავალეს საბრძოლო მასალებისა და სამხედრო ტექნიკის შეგროვება, ტერიტორიებისა და ობიექტების გაწმენდა და დაინვალიდნენ ამ პერიოდში მიღებული ჭრილობის, კონტუზიის ან დასახიჩრების შედეგად;

6) მუშები და მოსამსახურეები, რომლებიც ემსახურებოდნენ სხვა სახელმ-

წიფოში მოქმედ სამხედრო კონტიგენტს და დაინვალიდნენ საბრძოლო მოქმედებების პერიოდში ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად.

მუხლი 12. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდობის განსაზღვრა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდებს მიეკუთვნებიან:

1) საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის რეგულარული არმიის, სახალხო გვარდიის სამხედრო მოსამსახურეები, მათ შორის თადარიგში დათხოვნილები /გადამდგარნი/, მილიციის მუშაკები და ამ ფორმირებებში მოხალისედ შესული სამოქალაქო პირები, რომლებიც 1918-1921 წლებში მონაწილეობდნენ საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დასაცავად და მისი ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად და დაინვალიდნენ საბრძოლო მოქმედებების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

2) საქართველოში 1921-1924 წლებში ეროვნული მოძრაობის ან დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილენი, რომლებიც დაინვალიდნენ ამ პერიოდში საბრძოლო მოქმედების დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან დაავადების შედეგად;

თავი II.
ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების სოციალური დაცვა

მუხლი 13. ვეტერანების სოციალური დაცვა

ვეტერანების სოციალური დაცვა ითვალისწინებს მათთვის შემდეგ შეღავათებს:

1) საპენსიო უზრუნველყოფას, კანონმდებლობის შესაბამისად დახმარების მიცემას;

2) შეღავათებს საყოფაცხოვრებო-კომუნალურ და სავაჭრო მომსახურებაში;

3) სამედიცინო, საპროთეზო-ორთოპედიულ დახმარებას, სანიტარულ-საკურორტო მკურნალობას, სამკურნალო-საწამლო საშუალებებით უზრუნველყოფას;

4) ტრანსპორტით უზრუნველყოფის და მგზავრობით სარგებლობის შეღავათიან პირობებს;

5) დახმარებას შრომითი მოწყობის, სწავლების, გადამზადების და შრომის პირობების გაუმჯობესებაში;

6) კავშირგამბულობის საშუალებებით, კულტურულ-სანახაობრივი და

სპორტულ-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების შეღავათიანი მომსახურებით სარგებლობას;

7) სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის დაწესებულებებით სარგებლობას.

მუხლი 14. მეორე მსოფლიო ინვალიდების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ინვალიდების სოციალური დაცვა

მე-11 და მე-12 მუხლებში აღნიშნული ინვალიდების სოციალური დაცვის მიზნით წესდება შემდეგი უფლებები და შეღავათები:

1) პენსიების მომატება და ინდექსაცია საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2) განთავისუფლება ყველა სახის სახელმწიფო დაბეგვრისაგან;

3) ბიუჯეტის სახსრებიდან შესაძლებლობის შემთხვევაში შეღავათიანი პირობებით ერთჯერადი კრედიტის მიღება ბინის, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და საბაღე სახლის შესაძენად /ასაშენებლად/, საბაღე-საბოსტნე მიწის ნაკვეთის, დამხმარე ან ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად კრედიტის მესამე წლის დასაწყისიდან ათი წლის განმავლობაში დაფარვის პირობით;

4) მომუშავე ინვალიდებისათვის დროებითი გაცემა ხელფასის 100 პროცენტის ოდენობით და საერთო დაავადების შედეგად დროებითი შრომისუუნარობის დროს დახმარების გაცემა ზედიზედ ოთხ თვემდე, ხოლო კალენდარული წლის განმავლობაში – ხუთ თვემდე;

5) დახმარება კუთვნილი საცხოვრებელი სახლის შეკეთებაში ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული პირობებით;

6) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით საკარმიდამო მიწის ნაკვეთის უფასოდ მიღების უპირატესი უფლება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ან მებაღეობა-მებოსტნეობის მეურნეობის მოსაწყობად;

7) ინდივიდუალური სახლის მშენებლობისათვის ადგილობრივი საშენი მასალების პირველ რიგში გამოყოფისა და მიღების უფლება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული პირობებით;

8) დაკავებული სასამსახურო საცხოვრებელი სახლებიდან გამოსახლების დაუშვებლობა სამაგიეროს მოუცემლად;

9) მათთან მცხოვრები პენსიონერების, ინვალიდების ან ოჯახის შრომისუუნარო წევრების განთავისუფლება საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების /გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანა, გაზი, ელექტრო და თბოენერგია, რადიო,

ტელეფონი, გარდა საერთაშორისო და საქალაქთაშორისო საუბრებისა, კოლექტიური ანტენა /ღირებულების გადასახადისაგან, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო;

10) იმ სახლებში მცხოვრები ინვალიდებისათვის, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, მოსახლეობისათვის მისაყიდი სათბობის ღირებულებისა და მისი მიტანის ხარჯების 50 პროცენტის ფასდაკლებით გადახდა და მათი პირველ რიგში უზრუნველყოფა სათბობით, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო;

11) გაზრდილი და პირველი მოთხოვნილების სურსათის და სამრეწველო საქონლის შესაძენად სპეციალიზებული მაღაზიებით, სექციებითა და განყოფილებებით სარგებლობა;

12) პენსიაში გასვლის შემდეგ სახელმწიფო და მუნიციპალურ ამბოლატორიულ-კლინიკური დაწესებულებების, პოლიკლინიკების მომსახურებით სარგებლობლობა, რიგგარეშე მომსახურება და ყოველწლიური დისპანსერიზაცია, ჰოსპიტალიზაცია, ჰოსპიტლებისა და სხვა სახელმწიფო და მუნიციპალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში რიგგარეშე უფასო მკურნალობა სახელმწიფოს ხარჯზე;

13) სამედიცინო დაწესებულებათა დასკვნის საფუძველზე სპეციალურ სარეაბილიტაციო ცენტრში ჯანმრთელობის აღსადგენი მკურნალობის უფასოდ ჩატარება სახელმწიფოს ხარჯზე;

14) რეცეპტით გასაცემი წამლებით უფასო უზრუნველყოფა აფთიაქების სახელმწიფო ქსელში; ექიმის დასკვნით I ჯგუფის ინვალიდებისათვის წამლებით ბინაზე მიტანით მომსახურება; ერთ-ერთ სახელმწიფო აფთიაქზე მიმაგრება;

15) კბილების პროთეზის უფასოდ დამზადება და შეკეთება /ძვირფასი ლითონების პროთეზის გარდა/ სახელმწიფო სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე სხვა პროთეზით და საპროთეზო-ორთოპედიული ნაკეთობებით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე;

16) სამედიცინო დასკვნის საფუძველზე სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით წელიწადში ერთხელ სანატორიუმის, დასასვენებელი სახლისა და პროფილაქტორიუმის უფასო საგზურით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე.

ინვალიდებს საგზურს მისცემენ ის ორგანოები, სადაც ისინი იღებენ პენსიას. თუ საგზური მიეცემა პირველი ჯგუფის ინვალიდს, მაშინ ასეთივე საგზური ეკუთვნის იმ მომვლელს, რომელიც ინვალიდს აცილებს სანატორიუმამდე და მასთან ერთად იმყოფება. სურვილის მიხედვით, ინვალიდს ორ წელიწადში ერთხელ სანატორიუმის ან დასასვენებელი სახლის საგზურის ნაცვლად ეძლევა კომპენსაცია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;

17) ინვალიდი ვეტერანების ბავშვების უზრუნველყოფა საბავშვო-გამაჯანსაღებელი დაწესებულებების უფასო საგზურით სახელმწიფოს ხარჯზე;

18) ხელსაყრელ დროს ყოველწლიური ფასიანი შვებულებით და წელიწადში ერთხელ ერთი თვის დამატებითი უხელფასო შვებულებით სარგებლობის უფლება.

თუ ომის I, II ჯგუფის ინვალიდებს სამკურნალოდ ან სანატორიუმში წასასვლელად და უკან დასაბრუნებლად არ ჰყოფნით მორიგი და დამატებითი შვებულება, ნებადართულია, გაუფორმდეთ საავადმყოფო ფურცელი საჭირო დღეების რაოდენობით და მიეცეთ დახმარება სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ხაზით, იმის მიუხედავად, თუ ვინ და ვის ხარჯზე გასცა საგზური;

19) ხელით სამართავი მცირელიტრაჟიანი ავტომანქანის ან მოტოეტლის სახელმწიფოს ხარჯზე მიღების უფლება იმ ინვალიდებისათვის, რომელთა დაავადება და დაზიანება შედის საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ავტოტრანსპორტის მიკუთვნებისათვის სამედიცინო ჩვენებათა ნუსხაში /ავტომანქანისა – 7 წლის, ხოლო მოტოეტლისა – 5 წლის ექსპლუატაციის ვადით/ მათი გაყიდვა ან სხვისთვის გაცემის უფლების გარეშე;

ცალკეულ შემთხვევაში I და II ჯგუფის ინვალიდებს ხელით სამართავი მსუბუქი ავტომანქანა ან მოტოეტლი ეძლევათ მაშინაც, როცა ავტომანქანის სამართავად საჭირო ჯანმრთელობა არა აქვთ, მაგრამ ინვალიდის მომსახურებისათვის ავტომანქანის მართვა შეუძლია ერთ დასახლებულ პუნქტში მათთან ერთად მცხოვრებ ოჯახის წევრს ან სხვა პირს;

20) ავტომანქანის მართვის სწავლება სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მიერ;

21) გარდაცვალების შემთხვევაში მისთვის ადრე მიცემული ავტომანქანის გარდაცვლილის ოჯახისათვის საკუთრებაში დატოვება;

22) მათთვის, ვინც შეღვათიან ფასებში მიიღეს ან სრული ღირებულების გადახდით შეიძინეს სატრანსპორტო საშუალება, ფულადი კომპენსაცია ბენზინის ხარჯის, სატრანსპორტო საშუალების რემონტის, ტექნიკური მომსახურების და სათადარიგო ნაწილების შესაძენად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;

23) მათთვის, ვისაც აქვს სატრანსპორტო საშუალების მიღების შესაბამისი სამედიცინო დასკვნა, სურვილისამებრ, სატრანსპორტო საშუალების ნაცვლად სატრანსპორტო მომსახურების ხარჯების დასაფარავად ყოველწლიური ფულადი კომპენსაცია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;

24) ქალაქში საქალაქო ტრანსპორტით /გარდა ტაქსის/ უფასოდ სარგებლობა, სოფლად-საგარეუბნო და საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით უფასოდ სარგებლობა სახელმწიფოს ხარჯზე.

I და II ჯგუფის ინვალიდებს წელიწადში ერთხელ სარკინიგზო ან საჰაერო ტრანსპორტით უფასოდ მგზავრობის უფლება /ორივე მიმართულებით. პირს, რომელიც აცილებს ინვალიდს, გადაეხდება მგზავრობის 50 პროცენტი;

III ჯგუფის ინვალიდებს ორ წელიწადში ერთხელ, სურვილის მიხედვით, სარკინიგზო და საჰაერო მგზავრობის ხარჯების /ორივე მიმართულებით/ 50 პროცენტი გადაეხდებათ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით;

25) ყველა სახის ტრანსპორტის ბილეთის რიგგარეშე შეძენა;

26) სატრანსპორტო საშუალებისათვის განკუთვნილი სახელმწიფო ფარეხებით, სადგომებით და ტექნიკური მომსახურეობით უპირატესი სარგებლობა;

27) სახელმწიფო დაწესებულებებში სპეციალობის მიხედვით სამუშაოზე რიგგარეშე მიღება;

28) სამუშაო სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირებისას სამუშაოზე უპირატესი დატოვება;

29) არასრული სამუშაო დროის ხანგრძლივობით მუშაობის უფლება; ამასთან შრომის ანაზღაურება ფაქტობრივად ნამუშევარი დროის ან ფაქტობრივად გამომუშავების მიხედვით, I და II ჯგუფის ინვალიდებისათვის 6 საათიანი სამუშაო დღის ხანგრძლივობით, III ჯგუფის ინვალიდებისათვის, აგრეთვე შინაშრომაში ჩაბმული ინვალიდებისათვის – თვეში 18 სამუშაო დღის ხანგრძლივობით;

30) ახალი პროფესიების დაუფლება სახელმწიფოს ხარჯზე. სამუშაოს ადგილის მიხედვით კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე კადრების მომზადებისა და გადამზადების სახელმწიფო სისტემაში სწავლების მთელ პერიოდში უკანასკნელ სამუშაო ადგილზე შრომის ანაზღაურების საშტატო განაკვეთის 100 პროცენტის შენარჩუნებით;

31) უკონკურსოდ ჩარიცხვა სახელმწიფოს უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში;

32) უკონკურსოდ ჩარიცხვა სახელმწიფო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და შესაბამისი პროფესიების შემსწავლელ კურსებზე;

33) საბრძოლო მოქმედებაში მონაწილეობის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან ავადმყოფობის შედეგად დაინვალიდებული სტუდენტებისათვის სპეციალური მომატებული სტიპენდიის დანიშვნა სახელმწიფო სასწავლებლებში;

34) ბინაზე ტელეფონის რიგგარეშე დადგმა სახელმწიფოს ხარჯზე;

35) საქალაქთაშორისო სალაპარაკო პუნქტში, ფოსტასა და კავშირგაბმულობის სხვა დაწესებულებებში კავშირგაბმულობის საშუალებებით რიგგარეშე და შეღავათიანი მომსახურება სახელმწიფოს ხარჯზე;

36) კულტურულ-სანახაობითი და სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში რიგგარეშე და შეღავათიანი მომსახურება სახელმწიფოს ხარჯზე;

37) მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში, აგრეთვე პენსიონერთა სოციალური მომსახურების ტერიტორიულ ცენტრებში და ბინაზე სოციალური დახმარების განყოფილებებში რიგგარეშე მიღება;

38) საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობის დროს მიღებული ჭრილობის, კონტუზიის, დასახიჩრების ან ავადმყოფობის შედეგად დაინვალიდებულ დაზღვეულ სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შემდეგ ერთი წლის გასვლამდე დაზღვევის სახელმწიფო კომპანიების მიერ ერთჯერადი სადაზღვევო თანხით უზრუნველყოფა.

ომის ვეტერანთა ჰოსპიტალების დახურვა დაიშვება მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით.

მუხლი 15. მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს სოციალური დაცვა

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს სოციალური დაცვის მიზნით უწესდებათ შემდეგი უფლება და შეღავათები:

1) პენსიების მომატება და ინდექსაცია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2) შეღავათიანი საგადასახადო დაბეგვრა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად;

3) ბიუჯეტის სახსრებიდან შესაძლებლობის შემთხვევაში შეღავათიანი პირობებით ერთჯერადი კრედიტების მიღება ბინის, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და საბაღე სახლის შესაძენად /ასაშენებლად/, საბაღე-საბოსტნე მიწის ნაკვეთის, დამხმარე ან ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად კრედიტის მესამე წლის დასაწყისიდან ორი წლის განმავლობაში დაფარვის პირობით;

4) დახმარება კუთვნილი საცხოვრებელი სახლის პირველი რიგის შეკეთებაში ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული პირობებით;

5) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით საკარმიდამო მიწის ნაკვეთის უფასოდ მიღების უფლება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ან მებაღეობა-მებოსტნეობის მეურნეობის მოსაწყობად;

6) ინდივიდუალური სახლის მშენებლობისა და სახლის შეკეთებისათვის ადგილობრივი საშენი მასალების პირველ რიგში გამოყოფა და მიღება;

7) იმ სახლებში მცხოვრები პირებისათვის, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, მოსახლეობისათვის მისაყიდი სათბობის ღირებულებისა და მისი მიტანის ხარჯების 50 პროცენტის ფასდაკლებით გადახდა და ამ კატეგორიის პირების სათბობით პირველ რიგში უზრუნველყოფა, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო;

8) დაკავებული სასამსახურო საცხოვრებელი სახლიდან გამოსახლების დაუშვებლობის სამაგიეროს მიუცემლად;

9) ომის მონაწილეებისა და მათთან მცხოვრები პენსიონერი ან ოჯახის შრომისუუნარო წევრების მიერ საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების /გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანა, გაზი, ელექტრო და თბოენერგია, რადიო, ტელეფონი, გარდა საერთაშორისო და საქალაქთაშორისო საუბრებისა, კოლექტიური ანტენა) ღირებულების 50 პროცენტის ფასდაკლებით გადახდა, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო.

საცხოვრებელი ქირის გადახდაზე შეღავათები უწესდებათ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფო და მუნიციპალური ფონდების სახლებში, აგრეთვე პრივატიზებულ საცხოვრებელ სახლებში, ხოლო საყოფაცხოვრებო ფონდის სახეობის მიუხედავად, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო სამსახური;

10) გაზრდილი და პირველი მოთხოვნილების სურსათისა და სამრეწველო საქონლის შესაძენად სპეციალიზებული მაღაზიებით, სექციებითა და განყოფილებებით სარგებლობა;

11) რიგგარეშე და შეღავათიანი მომსახურება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო სამსახურებში;

12) პენსიაში გასვლის შემდეგ იმ სახელმწიფო პოლიკლინიკების უფასოდ მომსახურებით სარგებლობა, რომლებზეც პენსიაზე გასვლამდე იყვნენ მიმაგრებული; სამედიცინო დახმარება და ყოველწლიური დისპანსერიზაცია სახელმწიფო და მუნიციპალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში / მათ შორის ომის ვეტერანების ჰოსპიტალში/ სახელმწიფოს ხარჯზე;

13) რეცეპტით გასაცემი წამლების უფასოდ უზრუნველყოფა, ერთ-ერთ სახელმწიფო აფთიაქზე მიმაგრება;

14) კბილის პროთეზის უფასოდ დამზადება და შეკეთება /ძვირფასი ლითონის პროთეზის გარდა/ სახელმწიფო და მუნიციპალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე სხვა პროთეზებით და საპროთეზო ორთოპედიული ნაკეთობებით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე;

15) სამედიცინო დასკვნის საფუძველზე წელიწადში ერთხელ სანატორიუმის, დასასვენებელი სახლის და პროფილაქტორიუმის უფასო საგზურით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე. საგზურებს გასცემენ ის ორგანოები, სადაც ისინი იღებენ პენსიას;

16) სამედიცინო დასკვნის საფუძველზე ოქტომბრიდან აპრილის ჩათვლით ამბულატორიულ-საკურორტო საგზურით უზრუნველყოფა და პანსიონატში ადგილის უპირატესი მიღება;

17) მათთვის ხელსაყრელ დროს ყოველწლიური ფასიანი შვებულებით და წელიწადში ერთხელ ერთი თვის ხანგრძლივობის უხელფასო შვებულებით სარგებლობის უფლება;

18) ამ მუხლით გათვალისწინებული პირებისათვის ყოველწლიური სატრანსპორტო ხარჯების სახელმწიფო ანაზღაურება ქალაქში-საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობისათვის, სოფლად-საგარეუბნო და საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით სარგებლობის, საგარეუბნო რკინიგზის ტრანსპორტით სარგებლობისათვის, მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით და ოდენობით.

ორ წელიწადში ერთხელ /ორივე მიმართულებით/, სურვილის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე რკინიგზისა და საჰაერო ტრანსპორტით, აგრეთვე საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება ან წელიწადში ერთხელ ამ მგზავრობის ღირებულების ანაზღაურება და ზამთრის პერიოდში რკინიგზის, საჰაერო ან საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით მგზავრობის ღირებულების 50 პროცენტის ანაზღაურება მთავრობის მიერ დადგენილი წესით;

19) ყველა სახის ტრანსპორტის ბილეთის რიგგარეშე შეძენა;

20) სახელმწიფო დაწესებულებებში სპეციალობის მიხედვით სამუშაოზე უპირატესი მიღება;

21) სამუშაო სტაჟის ხანგრძლივობის მიუხედავად სახელმწიფო დაწესებულებებში მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირებისას სამუშაოზე / სამსახურში/ უპირატესი დატოვება;

22) ახალი პროფესიის დაუფლება სახელმწიფოს ხარჯზე. სამუშაო ადგილის მიხედვით კვალიფიკაციის ამაღლების კურსებზე კადრების მომზადებისა და გადამზადების სახელმწიფო სისტემაში სწავლების მთელ პერიოდში უკანასკნელ სამუშაო ადგილზე შრომის ანაზღაურების საშარიფო განაკვეთის 100 პროცენტის შენარჩუნებით;

23) ბინაზე ტელეფონის დადგმის უპირატესი უფლება;

24) საქალაქთაშორისო სალაპარაკო პუნქტში, ფოსტასა და კავშირგაბმულობის სხვა დაწესებულებებში კავშირგაბმულობის საშუალებებით რიგგარეშე და შეღავათიანი მომსახურება დადგენილი წესით;

25) კულტურულ-სანახაობით და სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში რიგგარეშე და შეღავათიანი მომსახურება დადგენილი წესით;

26) მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში, აგრეთვე პენსიონერთა მომსახურების ტერიტორიულ ცენტრებში და ბინაზე სოციალური დახმარების განყოფილებაში რიგგარეშე მიღება;

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეებს, რომლებიც დაინვალიდნენ საერთო დაავადების, შრომითი და სხვა მიზეზების შედეგად /გარდა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შედეგად დაინვალიდებული პირებისა/ ეძლევათ ომის ინვალიდებისათვის დაწესებული ყველა შეღავათი დადგენილი ინვალიდობის შესაბამისი ჯგუფის დამატებითი საექსპერტო შემოწმების გარეშე.

მეორე მსოფლიო ომის მონაწილებზე, რომლებმაც მიაღწიეს 70 წელს, ვრცელდება ყველა უფლება და შეღავათი, რომლებიც დადგენილია ამ კანონით მეორე მსოფლიო ომის III ჯგუფის ინვალიდებისათვის;

27) სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლის მონაწილეებს და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების მონაწილეებს სოციალური დაცვის მიზნით დამატებით უდგინდებათ შემდეგი უფლებები და შეღავათები:

ა) უკონკურსოდ ჩარიცხვა უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სახელმწიფო სასწავლებლებში;

ბ) უკონკურსოდ ჩარიცხვა სახელმწიფო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში და შესაბამისი პროფესიების შემსწავლელ კურსებზე;

გ) უმაღლესი და საშუალო-სპეციალური სახელმწიფო სასწავლებლების სტუდენტებისათვის სპეციალური მომატებული სტიპენდიების დანიშვნა.

მუხლი 16. მეორე მსოფლიო ომის ინვალიდების და მონაწილეების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულთა /გარდაცვლილთა/, მათ შორის ომის შემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა, ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების ოჯახის წევრთა /შემდგომში/ დაღუპულთა, გარდაცვლილთა/ სოციალური დაცვა

ამ კანონით დადგენილი სოციალური დაცვის ღონისძიებები ვრცელდება დაღუპული /გარდაცვლილი/ ვეტერანების ოჯახის შემდეგ წევრებზე;

ა) შრომისუუნარო მშობლებზე მიუხედავად მათი ასაკისა;

ბ) მეუღლეზე, რომელიც მეორედ არ დაქორწინებულა;

გ) არასრულწლოვან /18 წლის ასაკამდე/ შვილებზე და ოჯახის სხვა შრომისუუნარო წევრებზე, რომლებიც იმყოფებოდნენ დაღუპული /გარდაცვლილი/ პირის კმაყოფაზე და საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იღებდნენ მარჩენალის პენსიას.

დაღუპულთა /გარდაცვლილთა/ ოჯახის წევრებს სოციალური დაცვის მიზნით უწესდებათ შემდეგი უფლებები და შეღავათები;

1) პენსიის მიღების უფლება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2) ყველა სხვა სახელმწიფო დაბეგვრა 50 პროცენტის ფასდაკლებით;

3) სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან, შესაძლებლობის შემთხვევაში, შეღავათიანი პირობებით ერთჯერადი კრედიტის მიღება ბინის, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და საბაღე სახლის შესაძენად /ასაშენებლად/ . საბაღე-საბოსტნე მიწის ნაკვეთის, დამხმარე ან ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად კრედიტის მესამე წლის დასაწყისიდან ათი წლის განმავლობაში დაფარვის პირობით;

5) ინდივიდუალური სახლის მშენებლობისათვის ადგილბრივი საშენი

მასალების პირველ რიგში გამოყოფა და მიღება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული პირობებით;

6) დაკავებული სასამსახურო საცხოვრებელი სახლებიდან გამოსახლების დაუშვებლობა სამაგიერო ბინის მიუცემლად;

7) საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების /გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანა, გაზი, ელექტრო და თბოენერგია, რადიო, ტელეფონი, გარდა საერთაშორისო და საქალაქთაშორიო საუბრებისა, კოლექტიური ანტენა/ ღირებულების 50 პროცენტის გადახდა, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო.

ეს შეღავათები უწესდებათ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფო და მუნიციპალურ საცხოვრებელ სახლებში, აგრეთვე პრივატიზებულ საცხოვრებელ სახლებში, ხოლო საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების გადახდისა – პირებს საცხოვრებელი ფონდის სახეობის მიუხედავად, იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვინ არის საცხოვრებელი სახლის დამქირავებელი ან მფლობელი;

8) იმ სახლებში მცხოვრები პირებისათვის, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, მოსახლეობისათვის მისაყიდი სათბობის ღირებულებისა და მისი მიტანის ხარჯების 50 პროცენტის ფასდაკლებით გადახდა და ამ კატეგორიის პირების პირველ რიგში უზრუნველყოფა სათბობით, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო;

9) პენსიაში გასვლის შემდეგ იმ სახელმწიფო პოლიკლინიკების მომსახურებით სარგებლობა, რომლებზეც დაღუპულის /გარდაცვლილის/ ოჯახის წევრები იყვნენ მიმაგრებულნი დაღუპულის /გარდაცვლილის/ სიცოცხლეში სახელმწიფოს ხარჯზე;

10) რეცეპტით გასაცემი წამლებით უფასოდ უზრუნველყოფა ერთ-ერთ სახელმწიფო აფთიაქზე მიმაგრებით;

11) სამედიცინო დასკვნის საფუძველზე დაღუპულის /გარდაცვლილის/ უკანასკნელი სამუშაო ადგილის მიხედვით წელიწადში ერთხელ სანატორიუმის, დასასვენებელი სახლისა და პროფილაქტორიუმის საგზურით უპირატესი უზრუნველყოფა.

არამომუშავე ოჯახის წევრებს საგზურით უზრუნველყოფს ორგანიზაცია, სადაც დაღუპული /გარდაცვლილი/ იღებდა პენსიას;

12) მეუღლის შვილებთან ერთად სანატორიუმში, დასასვენებელ სახლსა და პროფილაქტორიუმში დასასვენებლად, აგრეთვე ბავშვთა გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში მკურნალობისათვის საგზურით უპირატესი უზრუნველყოფა სამუშაო ადგილის მიხედვით;

13) ბინაზე ტელეფონის დადგმის უპირატესი უფლება;

14) ამ მუხლში ჩამოთვლილი პირებისათვის სატრანსპორტო ხარჯების სახელმწიფო უზრუნველყოფა ქალაქში-საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობისათვის, სოფლად – საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით სარგებლობისათვის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით;

15) მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში, აგრეთვე პენსიონერთა სოციალური მომსახურების ტერიტორიულ ცენტრში და ბინაზე სოციალური დახმარების განყოფილებაში პირველ რიგში მიღება;

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებისას გარდაცვლილი (დაღუპული) ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების ოჯახის წევრებს უწესდებათ შემდეგი დამატებითი უფლებები და შეღავათები:

ა) ერთდროული და ყოველთვიური დახმარება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;

ბ) დაღუპულთა (გარდაცვლილთა ოჯახის მემკვიდრეები მემკვიდრეობის უფლების მოწმობის წარდგენისას სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მიერ ერთჯერადი ფულადი დახმარებით უზრუნველყოფა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;

გ) დაღუპულის (გარდაცვლილის) ოჯახის მემკვიდრეების მემკვიდრეობის უფლების მოწმობის მიღებისას სახელმწიფო ბაჟის გადახდის დროს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი შეღავათებით სარგებლობა.

მუხლი 17. შეიარაღებული ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვა

შეიარაღებული ძალების ვეტერანთა სოციალური დაცვის ღონისძიებები განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით, ხოლო ამ კატეგორიის ვეტერანებს მოხუცებულობის გამო საპენსიო ასაკის მიღწევისას სოციალური დაცვის მიზნით უწესდებათ შემდეგი უფლებები და შეღავათები;

1. პენსიების მომატება და ინდექსაცია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

2. შეღავათიანი საგადასახადო დაბეგვრა საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად;

3. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნისას სამსახურიდან დათხოვნილი (გადამდგარი) ვეტერანების უზრუნველყოფა ერთდროული გასასვლელი ფულადი დახმარებით შემდეგი ოდენობით: 15 კალენდარული წლის და ნაკლები ნამსახურეობისათვის – 6 თვის, 15-დან 20 წლამდე – 8 თვის, 20-დან 25 წლამდე – 10 თვის და 25 და მეტი კალენდარული წლის ნამსახურეობისათვის – 12 თვის სარგოს ოდენობით;

4. სამხედრო სამსახურში ყოფნის ვადის ჩათვლა უწყვეტ შრომით სტაჟში, რომელიც საჭიროა სოციალური დაზღვევის გათვალისწინებული დახმარების მისაღებად, აგრეთვე წელთა ნამსახურებიდან დათხოვნის დღიდან სამუშაოზე მოწყობამდე ან ყველა სახის სასწავლებელში შესვლის დღემდე არ გასულა ექვს თვეზე მეტი;

5. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით საკარმიდამო მიწის ნაკვეთის უფასოდ მიღება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად ან მებაღეობა-მებოსტნეობის მეურნეობის მოსაწყობად;

6. იმ სახლებში მცხოვრები პირებისათვის, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, მოსახლეობისათვის მისაყიდი სათბობისა და მისი მიტანის ხარჯების 50 პროცენტის ფასდაკლებით გადახდა და ამ კატეგორიის პირების სათბობით პირველ რიგში უზრუნველყოფა, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო;

7. დაკავებული სასამსახურო საცხოვრებელი სახლებიდან გამოსახლების დაუშვებლობა სამაგიერო ბინის მიუცემლად;

8. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი (გადამდგარი) ვეტერანების ცხოვრება და ჩაწერა საქართველოს ნებისმიერ რაიონსა და ქალაქში, გარდა იმ ქალაქებისა და რაიონებისა, რომელთა ნუსხა დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ;

9. ამ მუხლით გათვალისწინებული ვეტერანებისა და მათთან მცხოვრები შრომისუუნარო ოჯახის წევრების მიერ საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების (გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანა, გაზი, ელექტრო და თბოენერგია, რადიო, ტელეფონი, გარდა საერთაშორისო და საქალაქთაშორისო საუბრებისა, კოლექტიური ანტენა) ღირებულების 50 პროცენტის გადახდა, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო.

შეღავათები საცხოვრებელი ბინის ქირის გადახდაზე უწესდებათ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფო და მუნიციპალური საცხოვრებელი ფონდების, აგრეთვე პრივატიზებულ საცხოვრებელ სახლებში, ხოლო საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების გადახდაზე – პირების მათი საცხოვრებელი ფონდის სახეობის მიუხედავად;

10. პენსიაზე გასვლის შემდეგ იმ სახელმწიფო პოლიკლინიკების უფასო მომსახურებით სარგებლობა, რომლებზეც პენსიაზე გასვლამდე იყვნენ მიმაგრებული; სამედიცინო დახმარება სახელმწიფო და მუნიციპალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სახელმწიფოს ხარჯზე;

11. კბილების პროთეზის უფასოდ დამზადება და შეკეთება (ძვირფასი ლითონის პროთეზის გარდა) სახელმწიფო და მუნიციპალურ სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, აგრეთვე სხვა პროთეზებით და საპროთეზო-ორთოპედიული ნაკეთობით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე;

12. ჰოსპიტალში მკურნალობის შემდეგ სანატორიუმსა და დასასვენებელ სახლში ინტენსიური მკურნალობისათვის უფასო საგზურით უზრუნველყოფა სახელმწიფოს ხარჯზე;

13. სამედიცინო დასკვნის საფუძველზე წელიწადში ერთხელ დადგენილი წესის მიხედვით ვეტერანების უზრუნველყოფა სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და პროფილაქტორიუმების საგზურით; არამომუშავე ვეტერანებს უზრუნველყოფენ ის ორგანოები, სადაც ისინი იღებენ პენსიას;

14. მათთვის ხელსაყრელ დროს ყოველწლიური ფასიანი და წელიწადში ერთხელ ერთი თვის დამატებითი უხელფასო შვებულებით სარგებლობის უფლება;

15. ამ მუხლში ჩამოთვლილი პირებისათვის სატრანსპორტო ხარჯების სახელმწიფო ანაზღაურება ქალაქში – საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობისათვის, სოფლად – საგარეუბნო და საქალაქთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტით სარგებლობისათვის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით და ოდენობით;

16. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი (გადამდგარი) ვეტერანების და მათი ოჯახების წევრების ახალ საცხოვრებელ ადგილას გაყვანა და ბარგის გატანა იმ სამხედრო ნაწილის მიერ, სადაც ის მსახურობდა;

17. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი (გადამდგარი) გენერლებისა და უფროსი ოფიცრების სანატორიულ-საკურორტო მკურნალობისათვის წელიწადში ერთხელ რკინიგზის, საავტომობილო სახელმწიფო ტრანსპორტით ორივე მიმართულებით უფასოდ მგზავრობა სახელმწიფო ხარჯზე. მგზავრობისა და გადაზიდვის დოკუმენტებს აფორმებენ შესაბამისი სამხედრო კომისარიატები.

მუხლი 18. სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ვეტერანების სოციალური დაცვის დამატებითი ღონისძიებები

სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე ვეტერანების, რომლებსაც მინიჭებული აქვთ საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება ან იტალიის და იუგოსლავიის განთავისუფლებისათვის ამ სახელმწიფოთა ეროვნული გმირის წოდება, ან რომლებიც დაჯილდოებულნი არიან საბჭოთა კავშირის სამივე ხარისხის დიდების ორდენით, საქართველოს რესპუბლიკის დავით აღმაშენებლის ორდენით და ვახტანგ გორგასლის სამივე ხარისხის ორდენით, ამ კანონით დადგენილი სოციალური დაცვის ღონისძიებათ გარდა დამატებით უწესდებათ:

1. გარდაცვალების შემთხვევაში კანონით დადგენილი წესით ქუჩის, სკოლის, მოედნისათვის მათი სახელის მინიჭება და დაკრძალვის ადგილას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი ნიმუშის მიხედვით გარდაცვლილის ბიუსტის დადგმა სახელმწიფოს ხარჯზე;

2. ოჯახისათვის (მშობლები, მეუღლე, შვილები) ერთდროული ფულადი დახმარების გაცემა 20 მინიმალური პენსიის (ხელფასის) ოდენობით.

მუხლი 19. ვეტერანი პენსიონერის შრომითი საქმიანობის უფლება

ვეტერან პენსიონერებს, თუ პენსიაზე გასვლის შემდეგ განაგრძობენ შრომით საქმიანობას, პენსია და ხელფასი დაკავებული თანამდებობის (გამომუშავების) მიხედვით ეძლევათ სრული ოდენობით.

ომის ინვალიდების სამუშაოზე მისაღებად და მათ შესანარჩუნებლად მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირების დროს ყოველი დარგისათვის წესდება ჯგუფშანი მუშა-მოსამსახურეთა ორი პროცენტის ფარგლებში. სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხე-

ლმძღვანელებს ევალებათ დაწესებული ჯავშანის ფარგლებში ინვალიდების სამუშაოზე დაუყონებლივ მიღება დღიდან მიმართვისა და მუშაკთა რაოდენობის ან შტატების შემცირების დროს მათი სამუშაოზე დატოვების უპირატესი უფლების უზრუნველყოფა.

მუხლი 20. ვეტერანების სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ

ვეტერანების სოციალური დაცვის ღონისძიებები განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას (საბიუჯეტოს გარდა) ადგილობრივი მმართველობის ორგანოების, სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 21. სარიტუალო სამსახურის გაწევა

დაღუპული (გარდაცვლილი) მეორე მსოფლიო ომის ინვალიდების ან მონაწილეების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანების, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანების, სამხედრო სამსახურის ვეტერანების დაკრძალვა ხდება დაღუპულის (გარდაცვლილის) ნათესავების სურვილით შერჩეულ ადგილებში (სამხედრო მოსამსახურეების – სამხედრო პატივის მიგებით).

აღნიშნული კატეგორიის დაღუპული (გარდაცვლილი ვეტერანის ნეშტის მომზადება გადასატანად, დაკრძალვის ადგილზე ნეშტის გადატანა, დაკრძალვა და საფლავის მოწყობა ხდება საქართველოს რესპუბლიკის იმ სამინისტროებისა და უწყებების ხარჯზე, რომელთა დაქვემდებარებულ ჯარებსა და დაწესებულებებში გადიოდნენ სამხედრო სამსახურს ან მუშაობდნენ დაღუპული (გარდაცვლილი) მეორე მსოფლიო ომის ინვალიდები ან მონაწილენი, სხვა სახელმწიფოების ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების ვეტერანები, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების ვეტერანები, შეიარაღებული ძალების ვეტერანები. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უზრუნველყოფენ საფლავის ადგილის გამოყოფას დაღუპულის (გარდაცვლილის) საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ან სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე - საძმო სასაფლაოზე.

უმუშევარი ვეტერანის დაკრძალვა და საფლავის მოწყობა ხდება იმ ორგანოების ხარჯზე, რომლებიც მას პენსიით უზრუნველყოფენ.

თუ დაღუპული (გარდაცვლილი) ვეტერანის დაკრძალვის ორგანიზაციას

დაღუპულის (გარდაცვლილი) ოჯახის წევრები ან სხვა მოქალქეები იკისრებენ, მათ ეძლევათ ფულადი დახმარება დაკრძალვისათვის საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი III.
დასკვნითი დებულებები

მუხლი 22. ვეტერანების საზოგადოებრივი გაერთიანებები

ვეტერანების კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკაში, ავტონომიური რესპუბლიკებში, ქალაქებში, რაიონებში, საწარმოებში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იქმნება ვეტერანების შესაბამისი საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ხელს უწყობენ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში ვეტერანების სოციალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ გადაწყვეტილებათა მიღებას, სახელმწიფო ორგანოებში და საზოგადოებრივ გაერთიანებებში წარმოადგენენ და იცავენ ვეტერანების ინტერესებს.

საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ხელს უწყობენ ვეტერანების საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობას, ეხმარებიან ფინანსურად, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ნორმალური ფუნქციონირებისათვის გამოუყოფენ კეთილმოწყობილ სამუშაო ადგილებს, მოწყობილობას, ინვენტარსა და ქონებას.

გადაწყვეტილებას ვეტერანების სოციალური დაცვისა და ვეტერანების საზოგადოებრივი გაერთიანებების საქმიანობის შესახებ სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ღებულობენ მხოლოდ ვეტერანების შესაბამისი ორგანოებისა და გაერთიანებების წარმომადგენლების მონაწილეობით.

ვეტერანი პენსიონერების საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან /გაერთიანებებთან/ არსებული თავიანთი სახსრებით შექმნილი საწარმოები, ორგანიზაციები და სხვა სტრუქტურები, რომლებშიც მომუშავეთა არანაკლებ 50 პროცენტი ვეტერანი პენსიონერია და მათი კომერციული საქმიანობის შედეგად მიღებული გადასახადები და შენატანები ჩაირიცხება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტში და მოხმარდება მხოლოდ ვეტერანთა სოციალურ უზრუნველყოფას. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი შეიმუშავებს ვეტერანთა სოციალური დაცვის მიზნით მიღებული სახსრების განაწილების წესს.

მუხლი 23. ვეტერანების დამსახურების აღნიშვნა

საქართველოს რესპუბლიკის ვეტერანების დამსახურების აღნიშვნის მიზნით

წესდება სამკერდე ნიშანი „საქართველოს რესპუბლიკის ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანი“.

სამკერდე ნიშნის დებულებას და მედლის აღწერილობას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

მუხლი 24. ვეტერანის უფლებათა დამადასტურებელი მოწმობა

ვეტერანების უფლებები და შეღავათები ხორციელდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ ვეტერანებისათვის დადგენილი ერთიანი ნიმუშის მოწმობის წარდგენის შემთხვევაში.

ვეტერანის მოწმობის ნიმუშსა და გაცემის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

ეს კანონი ამოქმედდეს მიღებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე –
სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე

საქართველოს პარლამენტის სპიკერი
ვახტანგ გოგუაძე

თბილისი, 1995 წლის 17 ოქტომბერი.

◆

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 1995 წლის 18 ოქტომბერი, ქ. თბილისი

ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მოწყობისათვის ზოგიერთი დამატებითი ღონისძიებების განხორციელების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი აღნიშნავს, რომ მიუხედავად გაწეული მუშაობისა, რიგი სამინისტრო და უწყება სათანადო ყურადღებას არ უთმობს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ ზემდგომი ორგანოების გადაწყვეტილებებს, რაც მნიშვნელოვან გართულებას იწვევს.

არადამაკმაყოფილებლად სრულდება ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური მოწყობის სრულყოფისა და მათი მშობლიურ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების ღონისძიებათა ორგანიზაცია, ირღვევა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1992 წლის 30 დეკემბრის № 41 განკარგულება; ბოლომდე არ განხორციელდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 31 დეკემბრის №

900 დადგენილება; მითუმეტეს ლტოლვილ და იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსაკუთრებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაჭრილ მებრძოლთა, სამედიცინო მოსმახურება და კვების პროდუქტებით მომარაგება.

ქ. თბილისის მერიამ და საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ, მიუხედავად კონკრეტული დავალებისა, ვერ მოახერხა იძულებით გადაადგილებული ოჯახებისათვის დამატებითი დროებითი საცხოვრებელი ფართობის გამონახვა.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი **ადგენს:**

1. ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ყოველთვიური დახმარების გაცემაში დაშვებული დაგვიანებების აღკვეთის მიზნით:

– საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ პრიორიტეტულად, ყოველი თვის პირველ კვირაში, უზრუნველყოს საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტისათვის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თანხების გამოყოფა;

– ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ ბანკს დააწესოს კონტროლი საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტიდან მიზნობრივად გადარიცხული თანხების ოპერატიულად ჩარიცხვაზე;

– დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის საგადასახადო ინსპექციას კომერციულ ბანკებში გამოავლინოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის განკუთვნილი სახსრების უსაფუძვლო დაგვიანებები და გამოიყენოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები.

2. ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა იმ ორგანიზებულად ჩასახლების ობიექტებისათვის, რომლებსაც სხვა შემოსავლები არ გააჩნიათ, კომუნალური მომსახურების ტარიფები 1995 წლის 1 ოქტომბრიდან გაუთანაბრდეს მოსახლეობისათვის დაწესებულ დონეს.

3. რესპუბლიკის ქალაქების მერიებმა და რაიონების გამგეობებმა განიხილონ საკითხი ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯზე კომუნალური გადასახადების დადგენილი ტარიფების 50 პროცენტამდე შემცირების შესახებ იმ ოჯახებისათვის, რომელთაც შეფარებული ჰყავთ ლტოლვილები ან იძულებით გადაადგილებული პირები.

4. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრომ უახლოეს ხანში განიხილოს საკითხი საქართველოს რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების კომიტეტისათვის ორგანიზებულად ჩასახლებული ობიექტების შეკეთებისა და ზამთრის სეზონთან დაკავშირებული გადაუდებელი სამუშაოებისათვის ერთი მილიონი ლარის გამოყოფის შესახებ.

5. საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინიტრომ, სარკინიგზო ტრანსპორტის დეპარტამენტმა, რესპუბლიკის ქალაქების მერიებმა და რაიონების გამგეობებმა განიხილონ და ათი დღის ვადაში წარმოადგინონ კონკრეტული წინადადებები ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირ-

თათვის ქალაქის ელექტროტრანსპორტით უფასოდ, ხოლო სარკინიგზო ტრანსპორტით 50 პროცენტით ფასდაკლებით მგზავრობის უფლების მიცემის შესახებ.

6. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ უზრუნველყოს ლტოლვილ და იძულებით გადაადგილებულ მოსწავლეთა უფასო სასკოლო სახელმძღვანელოებით მომარაგება.

7. საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებულმა საერთაშორისო ჰუმანიტარული დახმარების კოორდინაციის ბიურომ უზრუნველყონ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა უფასო სამედიცინო მომსახურება და მათი საჭირო მედიკამენტებით მომარაგება.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულია პროგრამა, რომლის შესაბამისად იძულებით გადაადგილებულ პირთა ძირითადი დისლოკაციის ქალაქებში, მათი სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გამოყოფილია: ქალაქ თბილისის მე-9 საავადმყოფოში – 250, ხოლო ქალაქ ქუთაისსა და ქალაქ ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში 50-50 საწოლი.

8. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ, იუსტიციის სამინისტრომ, რესპუბლიკის ქალაქების მერიებმა და რაიონების გამგეობებმა უზრუნველყონ ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობების, დაბადების მოწმობების, გარდაცვალების, ინვალიდობასთან დაკავშირებული ცნობების და სხვათა ოპერატიულად უფასოდ გაცემა.

9. ეთხოვოს საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატას რესპუბლიკის ქალაქების მერიებთან და რაიონების გამგეობებთან ერთად რეგულარულად შეამოწმოს ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების მომხმარებლამდე მოწოდებისა და მიზნობრივი ხარჯვის, ჰუმანიტარული დახმარების სახით მიღებული ტვირთების განაწილების მდგომარეობა და მიიღოს უმკაცრესი ზომები გამოვლენილ დარღვევათა მიმართ.

10. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აპარატის საგანგებო სიტუაციების, ლტოლვილთა და განსახლების სამსახურს, რომელმაც პერიოდულად მოახსენოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს მისი შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის
მოვალეობის შემსრულებელი ბ. გულუა

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი

მოვლენათა ქრონიკა – აფხაზეთის საკითხი 3

თავი I

1989 წელი

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულება № 343 გ 1989 წლის 14 მაისი 51
2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქ. სოხუმის № 359 კალინინის საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ 51
3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 515 აფხაზეთის ა.მ.გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის კოლექტივების ერთობლივი მიმართვის შესახებ 52

თავი II

1990 წელი

4. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს, სამხრეთ ოსეთის საოლქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეებისათვის საკვალიფიკაციო კლასის მინიჭების შესახებ 53
5. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში საკითხების შესასწავლად კომისიის შექმნის შესახებ 54
6. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ი.პ.კარდაშიდისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ეკონომისტის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ 55
7. საქართველოს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1990 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილების შესახებ 55

თავი III

1991 წელი

8. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების შესახებ 56
9. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განცხადება 57
